

557.5(076)

15

პ. ჯიქია

ჰილრაელისკურ ბაანგაროზებათა
მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი

თბილისი—1968

3. X O T O

ჰირაკვიკუჩ გეანგეჩიშეხათა
მ ა გ ე დ ი თ ე ბ ი

576984

17318

საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის
ფუნდამენტური ბიბლიოთეკა
Фундаментальная Библиотека
Груз. Политехнического Института

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“

თბილისი
1963

ა ვ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

წინამდებარე სახელმძღვანელო — „ჰიდრაველიკურ გაანგარიშებათა მაგალითები“ — მიზნად ისახავს ჰიდრაველიკის ზოგადი კურსის პრაქტიკული ნაწილის შესწავლას. ასეთი ხასიათის წიგნი პირველად გამოდის ქართულ ენაზე. მასში წარმოდგენილია მთელი რიგი ორიგინალური ამოცანების ამოხსნა. ზოგი მათგანი, გადამუშავებული სახით, გამოყენებულია ჩვენივე წიგნიდან „ჰიდრაველიკა“.

ვინაიდან ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო პროგრამებით გავალისწინებული აღარ არის პრაქტიკული მეცადინეობა ჰიდრაველიკაში, ამიტომ უფრო მეტად იზრდება ჩვენს მიერ მოწოდებული წიგნის მნიშვნელობა. იგი დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც დასწრებული, ისე საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებს; განსაკუთრებით გამოიყენებენ მას დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები ჰიდრაველიკაში საკონტროლო სამუშაოს შესრულებისას. ჩვენი სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს მელიორაციისა და სამშენებლო ტექნიკუმის მსმენელთ, აგრეთვე, იმ საინჟინრო ტექნიკურ მუშაკებს, რომელნიც ჰიდრაველიკურ გაანგარიშებებს აწარმოებენ ჰიდროტექნიკის, მელიორაციისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ეს წიგნი გამოადგებათ ფაბრიკა-ქარხნების რაციონალიზატორებსაც, რომლებიც ემსახურებიან პნევმატიკურ და ჰიდროსტატიკურ დანადგარებს.

ამ წიგნის პირველი თავი შეადგინა, მთლიანად წიგნის რედაქტირება გასწია და საერთოდ მისი დასაბუქდად მომზადების საქმეში აქ-

ტიური მონაწილეობა მიიღო ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდრაულიკის კათედრის დოცენტმა ნ. ქუთათელაძემ, რომელსაც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ავტორი კმაყოფილებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას და გაითვალისწინებს მათ წიგნის შემდგომი გამოცემისას.

ჰ ი ლ რ ო ს ზ ა ზ ი ქ ა

ამოცანა (№ 1). მოცემულია ზეთით სავსე ცილინდრული ჭურჭელი. რომლის დიამეტრი $D=2,2$ მ, ხოლო ზეთის სიმაღლე ცილინდრში $H=4,5$ მ (იხ. ნახ. 1), ზეთის მოცულობითი წონა $\gamma=0,8$ ტ/მ³, ცილინდრის დღუშზე მოქმედი გარეგანი ძალა $P_0=80$ კგ.

ვიანგარიშით როგორც ჭურჭლის ფსკერის ფართის ერთეულზე მოქმედი სრული ჰიდროსტატიკური წნევა, ასევე ფსკერის მთლიან ფართზე მოქმედი წნევის ძალა (წნევის ტოლქმედი).

ამოხსნა. დღუშის მოქმედებით გამოწვეული წნევა ზეთის ზედაპირის ერთ კვ. მეტრზე იქნება:

$$p_0 = \frac{P_0}{\omega} = \frac{4 \cdot P_0}{\pi D^2} = \frac{4 \cdot 80}{3,14 \cdot 4,84} = 21,05 \text{ კგ/მ}^2,$$

სადაც ω არის დღუშის (ან ჭურჭლის) განივი კვეთის ფართი მ²-ობით.

ახლა ვიანგარიშით სრული ჰიდროსტატიკური წნევა ჭურჭლის ფსკერის 1 კვ. მეტრზე შემდეგი ცნობილი ფორმულით:

$$p = p_0 + \gamma H = 21,05 + 800 \cdot 4,5 = 3621,05 \text{ კგ/მ}^2,$$


სადაც γ მივიღეთ 800 კგ/მ³ ტოლი.

სრული ჰიდროსტატიკური წნევის ძალა კი ჭურჭლის ფსკერის მთელ ფართზე

$$P = p \cdot \omega = P_0 \cdot \frac{\pi D^2}{4} = 3621,05 \cdot \frac{3,14 \cdot 2,2^2}{4} = 13760 \text{ კგ} = 13,76 \text{ ტ.}$$


ამოცანა (№ 2). მოცემულია წყლით სავსე რკინის კასრი, რომლის სიმაღლე $h_2=1,2$ მ და დიამეტრი $D=0,6$ მ (იხ. ნახ. 2). ცარიელ კასრის წონა $G=60$ კგ. კასრის ზედაპირთან შეერთებულია ვერტიკალური მილი, რომლის დიამეტრი $d=0,05$ მ. წყლის სიმაღლე მასში $h_1=5$ მ. მილის დღუშზე მოქმედი გარეგანი ძალა $P_0=20$ კგ.

კასრის ფსკერის სიმტკიცეზე შემოწმების მიზნით წინასწარ ხაზირთა განისაზღვროს: 1) სრული ჰიდროსტატიკური წნევის ძალა



ნახ. 1.

რის ფსკერის მთელ ფართზე და 2) რეაქციის ძალა, რომელიც აღიძვრება კასრის საყრდენში.



ნახ. 2.

ამოხსნა. სრული ჰიდროსტატიკური წნევის ძალა კასრის ფსკერის მთელ ფართზე შეგვიძლია უშუალოდ განვსაზღვროთ შემდეგი ცნობილი განტოლებით:

$$P = (p_0 + \gamma H) \cdot \omega$$

სადაც ჩვენ შემთხვევაში

$$H = h_1 + h_2, \quad \omega = \frac{\pi D^2}{4}$$

და

$$P_0 = \frac{P_0}{\omega} = \frac{4P_0}{\pi d^2}$$

არის დგუშის მოქმედებით გამოწვეული წნევა წყლის ზედაპირზე მიღში.

ამრიგად, საანგარიშო გამოსახულება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$P = [p_0 + \gamma(h_1 + h_2)] \cdot \omega = \left[\frac{4P_0}{\pi d^2} + \gamma(h_1 + h_2) \right] \cdot \frac{\pi D^2}{4};$$

თუ ამ გამოსახულებაში შევიტანთ მოცემულ სიდიდეებს, მივიღებთ:

$$P = \left[\frac{4 \cdot 20}{3,14 \cdot 0,05^2} + 1000(5,0 + 1,2) \right] \cdot \frac{3,14 \cdot 0,6^2}{4} =$$

$$= 4630,4 \text{ კგ} = 4,63 \text{ ტ.}$$

რეაქციის ძალა კასრის საყრდენში იქნება:

$$R = P_0 + \gamma \left(\frac{\pi d^2}{4} \cdot h_1 + \frac{\pi D^2}{4} \cdot h_2 \right) + Q =$$

$$= 20 + 1000 \left(\frac{3,14 \cdot 0,05^2}{4} \cdot 5 + \frac{3,14 \cdot 0,6^2}{4} \cdot 1,2 \right) + 60 = 429 \text{ კგ} = 0,43 \text{ ტ.}$$

ამოცანა № 3. ჭურჭელში წყლის სიმაღლე $H = 250$ სმ, ფსკერზე მოწყობილია მრგვალი ზერეტის დასაკეტი ფარი.

გაეიგოთ ის ძალა, რომელიც საჭიროა ფარის გასაღებად, თუ ზერეტის დიამეტრი $d = 50$ სმ და ფარის ხაზუნის კოეფიციენტი $f = 0,5$.

ამოხსნა. წყლის წნევის ძალა ფარზე ტოლია:


$$P = \gamma H \cdot \frac{\pi d^2}{4} = 491 \text{ კგ,}$$

ხოლო ძალა, რომელიც საჭიროა მის გასაღებად

$$R = f \cdot P = 245,5 \text{ კგ.}$$

ამოცანა № 4. განვიხილოთ ქურჭელი ა, რომელშიც ჩასხმულია წყალი. ქურჭლის ფსკერი წარმოადგენს ნახევარსფეროს, რომლის დიამეტრი $D=0,4$ მ, ხოლო მასზე მოსული დაწნევა $h=3,0$ მ (იხ. ნახ. 3). განვსაზღვროთ წნევის ძალა ქურჭლის ფსკერზე.

ამოხსნა. ქურჭლის ფსკერის მრუდწირულ ზედაპირზე წყლის წნევის ძალის განსაზღვრისათვის წინასწარ საჭიროა მისი თარაზული და შვეული მდგენელების განსაზღვრა. ვინაიდან თარაზული წნევის ძალები მოქმედებენ ფსკერის ზედაპირზე საწინააღმდეგო მიმართულებით, ამიტომ ისინი ერთმანეთს გააბათილებენ და წნევის ძალის განსაზღვრისათვის საკმარისია მხოლოდ მისი შვეული მდგენელის პოვნა. წნევის ძალის შვეული მდგენელი კი ტოლია წყლის ისეთი შვეული სვეტის წონისა, რომელიც ეყრდნობა თვით განსახილველ მრუდწირულ ზედაპირს და შემოსაზღვრულია ზემოდან წყლის თავისუფალი ზედაპირით.



ნახ. 3.

ნახაზის მიხედვით ჩვენს შემთხვევაში გვაქვს:

$$P = \gamma \frac{\pi D^2}{4} \cdot h + \gamma \frac{\pi D^3}{6 \cdot 2} = 394 \text{ კგ.}$$


ქურჭლის ფსკერის უმდაბლეს წერტილში ხალასი (მანომეტრიული) ჰიდროსტატიკური წნევა ტოლია:

$$p = \gamma \left(h + \frac{D}{2} \right) = 0,32 \text{ კგ/სმ}^2.$$

ამოცანა № 5. მოცემულია მილით შეერთებული ორი შვეული ცილინდრი (იხ. ნახ. 4). მარცხენა ცილინდრის დიამეტრი $d=0,25$ მ, მარჯვენა ცილინდრის $D=0,5$ მ, წყლის დონეთა სხვაობა $h=0,8$ მ, პირველი ცილინდრის დგუშზე მოქმედი ძალა $P_1=120$ კგ.

გავიგოთ რა სიძშიმის ტვირთი უნდა მოქმედებდეს მეორე ცილინდრის დგუშზე, რომ არ დაირღვეს წონასწორობა (იხ. ნახ. 4).

ამოხსნა. წყლის თავისუფალ ზედაპირზე მარცხენა ცილინდრში დგუშით გამოწვეული წნევა ტოლია:



ნახ. 4.

$$p_1 = \frac{P_1}{\omega_1}$$

მარცხენა ცილინდრიდან მარჯვენა ცილინდრის დგუშს გადაეცემა კუთრი წნევა:

$$\frac{P_1}{\omega_1} + \gamma h;$$

წყლის ზედაპირზე მარჯვენა ცილინდრში დგუშის ზემოქმედების გამო აღძრული წნევა

$$p_2 = \frac{P_2}{\omega_2}$$

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ცილინდრებში სითხის წონასწორობისათვის საჭიროა $a-a$ სიბრტყეზე ორივე ცილინდრში მოქმედი წნევა იყოს ტოლი, ე. ი.

$$\frac{P_1}{\omega_1} + \gamma h = \frac{P_2}{\omega_2};$$

აქედან

$$P_2 = P_1 \frac{\omega_2}{\omega_1} + \gamma h \omega_2,$$

სადაც

$$\omega_1 = \frac{\pi d^2}{4},$$

ხოლო

$$\omega_2 = \frac{\pi D^2}{4}.$$

მაზასადამე,

$$P_2 = P_1 \frac{D^2}{d^2} + \gamma h \frac{\pi D^2}{4} = 637 \text{ კგ.}$$

ამოცანა № 6 ყველა მონაცემები № 5 ამოცანისაა, მხოლოდ $P_2 = 300 \text{ კგ.}$

განესაზღვროთ ცილინდრის დიამეტრი D .

ამოხსნა. წინა ამოცანიდან ვიცით, რომ

$$P_2 = \left(\frac{P_1}{d^2} + \gamma h \cdot \frac{\pi}{4} \right) D^2,$$

აიდანაც

$$D = \sqrt{\frac{P_2}{\frac{P_1}{d^2} + \gamma h \frac{\pi}{4}}} = \sqrt{\frac{300}{\frac{120}{25^2} + 0,001 \cdot 80 \cdot \frac{3,14}{4}}} = 34,3 \text{ სმ.}$$

ამოცანა № 7. № 5 ამოცანის პირობის მიხედვით დავუშვათ:

$$P_1 = 90 \text{ კგ, } P_2 = 900 \text{ კგ. } d = 0,15 \text{ მ და } D = 0,45 \text{ მ.}$$

ვიპოვოთ ისეთ ღონეთა სხვაობა h , რომლის დროსაც ორივე ცილინდრის დგუში წონასწორობაში იქნება.

ამოხსნა. დგუშების წონასწორობისათვის საჭიროა დაცული იყოს შემდეგი პირობა:

$$\frac{P_2}{\omega_2} = \frac{P_1}{\omega_1} + \gamma h,$$

აქედან


$$h = \frac{4P_2}{\gamma \pi D^2} - \frac{4P_1}{\gamma \pi d^2} = 0,570 \text{ მ.}$$

ამოცანა № 8. გავიგოთ დგუშზე წნევის ძალა (იხ. ნახ. 5) მისი $a-a$ სიბრტყიდან $a'-a'$ სიბრტყეზე გადანაცვლების შემდეგ, თუ პირველ მდგომარეობაში ($a-a$) დგუშზე წნევა ქვევიდან ზევით $p = 25$ ატმ, დგუშის აწევის სიმაღლე $H = 1,5$ მ, დიამეტრი $D = 0,35$ მ.

ამოხსნა. საწყისი წნევის ძალა დგუშზე უდრის საწყის წნევას, გადამრავლებულს მის ფართობზე, ე. ი.

$$P_1 = p \cdot \frac{\pi D^2}{4} = 25 \cdot \frac{3,14 \cdot 35^2}{4} = 24052,8 \text{ კგ.}$$

$H = 1,5$ მ-ზე დგუშის აწევით დახარჯული წნევის ძალა




ნახ. 5.

$$P_2 = \gamma \cdot \omega H = \gamma \frac{\pi D^2}{4} \cdot H = 144,32 \text{ კგ.}$$

აწევის შემდეგ დგუშზე მოქმედი წნევის ძალა კი

$$P = P_1 - P_2 = 23908,48 \text{ კგ.}$$

ამოცანა № 9. გავიგოთ ჰიდრავლიკური მულტიპლიკატორის დგუშის დიამეტრი D , თუ $d=0,18$ მ (იხ. ნახ. 6), წნევის სიმაღლე $H=10$ მ და დგუშის ჰოკზე მოქმედი გარეგანი წნევა $p=20$ ატმ. $=20$ კგ/სმ².



ნახ. 6.

ამოხსნა. წნევის ძალა A დგუშზე

$$P_1 = \gamma \cdot H \omega =$$

$$= 1000 \cdot \frac{3,14 D^2}{4} \cdot 10 =$$

$$= 7850 D^2.$$

მეორეს მხრივ B ჰოკზე მოქმედებს გარეგანი წნევის ძალა P_2 :

$$P_2 = p \frac{\pi d^2}{4} =$$

$$= 20 \cdot \frac{3,14 \cdot 18^2}{4} = 5090 \text{ კგ.}$$

წონასწორობისათვის კი საჭიროა, რომ $P_1 = P_2$ ე. ი.

$$7850 D^2 = 5090.$$

აქედან

$$D = \sqrt{\frac{5090}{7850}} = 0,805 \text{ მ.}$$

ამოცანა № 10. წინა ამოცანის პირობის მიხედვით მივიღოთ:

$$d = 0,2 \text{ მ, } D = 1,2 \text{ მ,}$$

ხოლო გარეგანი წნევა $p = 30$ ატმ.

ვიპოვოთ წნევის სიმაღლე H , რომლის დროსაც დამყარდება წონასწორობა.

ამოხსნა. როგორც წინა ამოცანიდან ვიცით, წონასწორობისათვის საჭიროა, რომ $P_1 = P_2$, ე. ი.

$$\gamma \frac{\pi D^2}{4} \cdot H = \frac{\pi d^2}{4} \cdot p = \frac{\pi d^2}{4} \cdot \gamma H_0,$$

სადაც

$$p = \gamma H_0; H_0 = \frac{p}{\gamma} = \frac{30}{0,001} = 300 \text{ მ.}$$

აქედან

$$H = \frac{d^2}{D^2} \cdot H_0 = \frac{0,04 \cdot 300}{1,44} = 8,33 \text{ მ.}$$

ამოცანა № 11. წყლის სიმაღლე ღია პიეზომეტრში $h=1,8$ მ. განსახილველი რეზერვუარი ღიაა.

განვსაზღვროთ წყლის ხალასი წნევა რეზერვუართან პიეზომეტრის მიერთების კვეთის სიმაღლის ცენტრში.

ამოხსნა. ხალასი წნევა

$$p = \gamma h = 1000 \cdot 1,8 = 1800 \text{ კგ/მ}^2 = 0,18 \text{ კგ/სმ}^2.$$

ამოცანა № 12. რა სიმაღლეზე დაიწვეს ვაკუუმმეტრში წყალი, თუ რეზერვუარის თავისუფალ ზედაპირზე წნევა $p_0 = 0,64$ ატ.

ამოხსნა.

$$h_{\text{ვაკ.}} = \frac{p_{\text{ატ}} - p_0}{\gamma} = \frac{1,0 - 0,64}{0,001} = 360 \text{ სმ} = 3,6 \text{ მ},$$

სადაც $p_{\text{ატ}}$ არის ატმოსფერული წნევა.

ამოცანა № 13. რეზერვუარის ღია პიეზომეტრში წყლის სიმაღლე $h=8$ მ. განვსაზღვროთ სრული წნევა რეზერვუარში პიეზომეტრის მიერთების კვეთის ცენტრში.

ამოხსნა. სრული ჰიდროსტატიკური წნევის საანგარიშო განტოლების თანახმად

$$p = p_{\text{ატ}} + \gamma h = 1,8 \text{ კგ/სმ}^2 = 1,8 \text{ ატ.}$$

ამოცანა № 14. მანომეტრი გვიჩვენებს წნევას $p=7,5$ ატ.

გავიგოთ პიეზომეტრული სიმაღლე h .

ამოხსნა. პიეზომეტრული სიმაღლე

$$h = \frac{p - p_{\text{ატ}}}{\gamma} = \frac{7,5 - 1,0}{0,001} = 6500 \text{ სმ} = 65 \text{ მ}.$$

ამოცანა № 15. კესონის კომპრესორი აწვითარებს წნევას $p=3$ ატ. გავიგოთ რა სიღრმეზე შეიძლება კესონის ჩაშვება ისე, რომ მასში წყალი არ შევიდეს.

ამოხსნა. აღნიშნული ზღვრული პირობის თანახმად, წყლის სრული ჰიდროსტატიკური წნევა კესონის შესასვლელი კვეთის სიღრმეზე კომპრესორის მიერ განვითარებული წნევის ტოლი უნდა იყოს ე. ი.

$$p_{\text{ატ}} + \gamma H = p$$

აქედან, კესონის ჩაშვების სიღრმე

$$H = \frac{p - p_{\text{ატ}}}{\gamma} = \frac{3,0 - 1,0}{0,001} = 2000 \text{ სმ} = 20 \text{ მ}.$$

ამოცანა № 16. მდინარეში კესონის ჩაშვების სიღრმე $H=15$ მ.


გავიგოთ როგორი წნევა უნდა განავითაროს კესონის კომპრესორმა, რომ კესონის კამერაში წყალი არ შევიდეს.

ამოხსნა. წნევის საანგარიშო განტოლების მიხედვით

$$p = p_{\text{ატ}} + \gamma H = 1,0 + 0,001 \cdot 1500 = 2,5 \text{ კგ/სმ}^2 = 2,5 \text{ ატ.}$$

ამოცანა № 17. ორი დახშული ჭურჭელი შეერთებულია მილით, რომლის ბ წერტილში ჩართულია ონკანი (იხ. ნახ. 7). მარცხენა ჭურჭელში წნევა $p_0' = 2,5$ ატ, მარჯვენა ჭურჭელში $p_0'' = 0,6$ ატ, $h_1 = 2$ მ, ხოლო $h_2 = 1,5$ მ.

განვსაზღვროთ წყლის წნევა ონკანის ცენტრში.



ნახ. 7.

ამოხსნა. შევადგინოთ წნევის განტოლებანი ონკანის ცენტრში გამავალი სიბრტყისათვის.
წნევა ონკანში მარცხენა ჭურჭლიდან

$$p_1 = p_0' + \gamma \cdot h_1 = p_{\text{ატ}} + \gamma \cdot (h_1 + h_1'),$$

სადაც $p_{\text{ატ}}$ არის ატმოსფერული წნევა, ხოლო

$$h_1' = \frac{p_0' - p_{\text{ატ}}}{\gamma} = 15 \text{ მ.}$$

წნევა მარჯვენა ჭურჭლიდან

$$p_2 = p_{\text{ატ}} - \gamma \cdot (h_2 + h_{2\text{ვკ}}),$$

ვინაიდან $a-a$ საფარდი სიბრტყის მიმართ წონასწორობის პირობიდან გამოვძინებ

სადაც

$$p_{\text{ატ}} = p_2 + \gamma \cdot (h_2 + h_{2\text{ვკ}}),$$


$$h_{2\text{ვკ}} = \frac{p_{\text{ატ}} - p_0''}{\gamma} = 4 \text{ მ.}$$

წნევა ონკანზე ამ წნევათა სხვაობის ტოლი იქნება:

$$p = p_1 - p_2 = [p_{აბ} + \gamma(h_1 + h_1')] - [p_{აბ} - \gamma \cdot (h_2 + h_{გაგ.})] =$$

$$= p_{აბ} + \gamma h_1 + \gamma h_1' - p_{აბ} + \gamma h_2 + \gamma \cdot h_{გაგ.} = \gamma \cdot (h_1 + h_1' + h_2 + h_{გაგ.}) = 2,25 \text{ კგ/სმ}^2.$$

ამოცანა № 18. საჭიროა გაიზომოს წნევათა სხვაობა საწნეო მილსადენის 1-1 და 2-2 კვეთებს შორის (იხ. ნახ. 8). ამ მიზნით გამოვიყენოთ ვერცხლისწყლიანი დიფერენციალური მანომეტრი, რომლის მილაკები შეფუერთოთ მილსადენს 1-1 და 2-2 კვეთებში.



ნახ. 8.

ამოხსნა. აღვნიშნოთ h_1 და h_2 წყლის სვეტის სიმაღლე ვერცხლისწყლის სათანადო დონის ზემოთ განსახილველი კვეთების ცენტრებამდე. წნევები განსახილველი კვეთების ცენტრებში აღვნიშნოთ p_1 და p_2 , დიფერენციალური მანომეტრის ჩვენება აღვნიშნოთ h -ით, წყლის მოცულობითი წონა — γ_1 , ვერცხლისწყლის კი — γ_2 .

შევადგინოთ წონასწორობის პირობა ა-ა საფარდი სიბრტყის მიმართ. ასეთი შემთხვევისათვის წონასწორობის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$p_1 + \gamma_1 h_1 + \gamma_2 z = p_2 + \gamma_1 h_2 + \gamma_2 (h + z);$$

საიდანაც წნევათა სხვაობა

$$p_1 - p_2 = \gamma_1 h_2 + \gamma_2 h + \gamma_2 z - \gamma_1 \cdot h_1 - \gamma_2 z = \gamma_2 h - \gamma_1 (h_1 - h_2) = \gamma_2 \cdot h - \gamma_1 h;$$

საბოლოოდ კი

$$\Delta p = p_1 - p_2 = h \cdot (\gamma_2 - \gamma_1).$$


დავუშვათ, რომ დიფერენციალური მანომეტრის ჩვენება $h = 0,45$ მ. γ_2 და γ_1 -ის მნიშვნელობანი ავიღოთ ცნობარიდან. გვექნება:

$$\gamma_2 = 0,0136 \text{ კგ/სმ}^3; \text{ და } \gamma_1 = 0,001 \text{ კგ/სმ}^3,$$

მაშასადამე, საძიებელი წნევათა სხვაობა

$$p_1 - p_2 = (0,0136 - 0,001) \cdot 45 = 0,0126 \cdot 45 = 0,567 \text{ კგ/სმ}^2.$$

ამოცანა № 19. არხზე აგებული ფარის სიგანე $b=2,5$ მ, წყლის მაქსიმალური სიმაღლე ფარის წინ $H=1,5$ მ, ფარის წონა $Q=275$ კგ. (ფარს შემოვლებული აქვს რკინის ჩარჩო), ხახუნის კოეფიციენტი ფარის კილოებში $f=0,4$. განესაზღვროთ: 1. წნევის ძალა ფარზე, 2. ავადგომის ეპიურა და 3. ვიანგარიშით ფარის ამწევი ძალა.



ნახ. 9.

ამოხსნა. 1. წნევის ძალა იანგარიშება შემდეგი განტოლებით:

$$P = \gamma \frac{H^2}{2} \cdot b = 1 \cdot \frac{1,5^2}{2} \cdot 2,5 = 2,81 \text{ ტ} = 2810 \text{ კგ.}$$

წნევის ეპიურის ასაგებად საჭიროა, ფარის ქვედა კიდიდან ამართულ შიგა ნორმალზე მოვზომოთ γH -ის ტოლი მონაკვეთი და მისი ბოლო სწორი ხაზით შევავერთოთ წყლის ზედაპირისა და ფარის სიბრტყის გადაკვეთის წერტილთან. მიღებული სამკუთხედი წარმოადგენს ფარზე მოქმედი ხალასი ჰიდროსტატიკური წნევის ეპიურას (იხ. ნახ. 9).

ფარის ასაწევი ძალის დასადგენად საჭიროა ვიანგარიშოთ ხახუნის ძალა T :

$$T = f \cdot P = 0,4 \cdot 2810 = 1124 \text{ კგ.}$$

ამწევი ძალა უნდა აღემატებოდეს, როგორც ხახუნის ძალას T , ისე ფარის საკუთარ წონას Q :

$$R \geq T + Q = 1124 + 275 = 1399 \text{ კგ.}$$

ამოცანა № 20. წინა ამოცანის პირობის მიხედვით მივიღოთ:

$$H=5,0 \text{ მ, } b=15,0 \text{ მ და } Q=47500 \text{ კგ.}$$

განესაზღვროთ ფარის ამწევი R ძალა ორი $f_1=0,2$ და $f_2=0,5$ შემთხვევისათვის.

მაშინ პირველი, როდესაც ხახუნის კოეფიციენტი $f_1=0,2$,

$$T_1 = f_1 \cdot P = 0,2 \cdot 187500 = 37500 \text{ კგ,}$$

ამწვევი ძალა კი

$$R_1 = T_1 + Q = 37500 + 47500 = 85000 \text{ კგ.}$$

მეორე, როდესაც ხახუნის კოეფიციენტი

$$f_2=0,5,$$


მაშინ

$$T_2 = f_2 \cdot P = 0,5 \cdot 37500 = 18750 \text{ კგ,}$$

ხოლო ამწვევი ძალა

$$R_2 = T_2 + Q = 18750 + 47500 = 66250 \text{ კგ.}$$

ამოცანა № 21. განვიხილოთ შვეული ფარი, რომელსაც წყალი აწვება ორივე მხრიდან. მოცემულია: $H=4,0$ მ, $h=2,0$ მ, ფარის სიგანე $b=5,0$ მ, ხახუნის კოეფიციენტი $f=0,5$, ფარის წონა $Q=350$ კგ (იხ. ნახ. 10).



ნახ. 10.

განესაზღვროთ: 1. წყლის წნევის ძალა ფარის სიგანის ერთეულზე, 2. მთლიანი წნევის ძალა ფარზე, 3. წნევის ცენტრი და 4. ფარის ამწვევი ძალა— R .

ამოხსნა. წნევის ძალა მარცხნიდან ფარის სიგანის ერთეულზე ტოლია:

$$P_1 = \frac{\gamma}{2} H^2 = 8,0 \text{ ტ} = 8000 \text{ კგ.}$$

წნევის ძალა მარჯვნიდან

$$P_2 = \frac{\gamma}{2} h^2 = 2,0 \text{ ტ} = 2000 \text{ კგ.}$$

წნევის ტოლქმედი ძალა სიგანის ერთეულზე

$$P = P_1 - P_2 = \frac{\gamma}{2} (H^2 - h^2) = 8000 - 2000 = 6000 \text{ კგ.}$$

მთლიანი წნევის ძალა ფარის b სიგანეზე

$$P = (P_1 - P_2) \cdot b = 6000 \cdot 5,0 = 30 \text{ ტ} = 30000 \text{ კგ.}$$

წნევის ცენტრის დაცილება ფსკერიდან

$$y_0 = \frac{1}{3} \cdot \frac{H^3 - h^3}{H^2 - h^2} = \frac{1}{3} \cdot \frac{4^3 - 2^3}{4^2 - 2^2} = 1,55 \text{ მ.}$$


ფარის ამწევი ძალა, როგორც ვიცით,

$$R = T + Q = 15000 + 350 = 15350 \text{ კგ.}$$

სადაც

$$T = f \cdot P = 0,5 \cdot 30000 = 15000 \text{ კგ.}$$

ამოცანა № 22. მოცემულია კედელი, რომლის წინ დაწნევა $H = 5,0$ მ.



ნახ. 11.

ვიზოვით წნევის ცენტრი და მისი დაშორება კედლის სიმძიმის ცენტრამდე (იხ. ნახ. 11).

ამოხსნა. მანძილი წყლის ღონიდან წნევის ცენტრამდე გამოითვლება ფორმულით:

$$y_0 = y_1 + \frac{I_0}{y_1 \cdot a},$$

სადაც მანძილი სიმძიმის ცენტრამდე

$$y_1 = \frac{H}{2}; \quad I_0 = \frac{b \cdot H^3}{12} \text{ (რომელიც)}$$

დესავე კედლის ინერციის მომენტი აღებულია ცენტრალური ღერძის მიმართ) და $a = b \cdot H$. კედლის სიგანე აღნიშნულია b -თი.

მაშასადამე,

$$y_0 = \frac{H}{2} + \frac{2 \cdot b H^3}{12 \cdot H \cdot b \cdot H} = \frac{H}{2} + \frac{H}{6} = \frac{4H}{6} = \frac{2}{3}H.$$

მანძილი წნევის ცენტრიდან კედლის სიმძიმის ცენტრამდე


$$\delta = y_0 - y_1 = \frac{2}{3}H - \frac{H}{2} = \frac{H}{6} = \frac{5}{6} = 0,833 \text{ მ.}$$

ამოცანა № 23. ვიპოვოთ სეგმენტურ საკეტზე მოქმედი წნევის ძალა და წნევის ცენტრი, თუ მოცემულია, რომ $H=2$ მ, საკეტის სიგანე (ნახაზის მართებულ სიბრტყეში) $b=2$ მ, $\varphi=60^\circ$, $R=2,3$ მ და $e=R-R\cos\varphi=1,15$ მ.

ამოხსნა. სეგმენტურ საკეტზე წნევის ძალის განსაზღვრისათვის საჭიროა წინასწარ ვიპოვნოთ მისი ჰორიზონტალური და ვერტიკალური მდგენელები.

საიხსნადი
100 - 0,20

186984



ნახ. 12.

წნევის ძალის ჰორიზონტალური მდგენელის სიდიდე ტოლია ჰიდროსტატიკური წნევის ძალისა განსახილველი საკეტის ცილინდრული ზედაპირის ვერტიკალურ პროექციაზე, კერძოდ

$$P_1 = \gamma \cdot b \frac{H^2}{2} = 1,0 \cdot 2,0 \frac{2,0^2}{2,0} = 4 \text{ ტ.}$$

ამ მდგენელის მოქმედების წირი გაივლის შესაბამისი ჰიდროსტატიკური წნევის სამკუთხა ეპიურის (იხ. ნახაზზე ABC ეპიურა) სიმძიმის ცენტრში (წერტილი C_1).

წნევის ძალის ვერტიკალური მდგენელის სიდიდე ტოლია ე. წ. „წნევის პრიზმის“ წონისა და მიმართულია ვერტიკალურად ქვემოლად

2. პ. ჯიქია

საქ. პოლიტექნიკური უნივერსიტეტი
ფუნდამენტური მეცნიერებათა ინსტიტუტი

ზემოთ, ვინაიდან „წნევის პრიზმი“ განლაგებულია სითხის ფარგლებს გარეთ (იხ. ნახ. 12).

$$P_3 = \gamma b \cdot \vartheta \cdot (abb') = \left(\frac{\pi R^2}{360^\circ} \varphi - \frac{1}{2} R \sin \varphi \cdot R \cos \varphi \right) \cdot \gamma b = \\ = \gamma \cdot b \cdot R^2 \left(\frac{\pi \varphi}{360^\circ} - \frac{1}{2} \sin \varphi \cdot \cos \varphi \right) = 3,26 \text{ ტ.}$$

ან სხვანაირად:

$$P_3 = \gamma \cdot b \cdot \left[c \cdot H - \left(\frac{c+R}{2} \cdot H - \frac{\pi R^2}{360} \varphi \right) \right] = 3,26 \text{ ტ.}$$

ვერტიკალური მდგენელის მოქმედების წირი გაივლის „წნევის პრიზმის“ სიმძიმის ცენტრში (წერტ. C_3).

ტოლქმედი ძალის სიდიდე

$$P = \sqrt{P_1^2 + P_3^2} = \sqrt{4^2 + 3,26^2} = 5,13 \text{ ტ.}$$

წნევის ძალის მოქმედების წირი გაივლის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მდგენელების მოქმედების წირების გადაკვეთის „წერტილში“ და მას რადიალური მიმართულება ექნება (ანუ გაივლის სიმრუდის O ცენტრში).

წნევის ცენტრის (m -წერტილის) კოორდინატების განსაზღვრა შეგვიძლია უშუალოდ, ანალიზური ხერხითაც, რისთვისაც შევადგინოთ ab რკალისა და P ძალის მოქმედების წირის განტოლებები. თუ მათ გადავწყვეტთ ერთობლივად, ვიპოვნით მათი გადაკვეთის წერტილის კოორდინატებს ანუ m წნევის ცენტრს. კოორდინატთა სათავე ავირჩიოთ სიმრუდის O ცენტრში (იხ. ნახ. 12), მაშინ:

$$z = x \cdot \operatorname{tg} \alpha, \text{ ხოლო } z^2 + x^2 = R^2.$$

გადავწყვიტოთ ეს სისტემა:

$$\operatorname{tg} \alpha = \frac{P_3}{P_1} = \frac{3,26}{4,00} = 0,815,$$

მაშინ
$$z = 0,815 \cdot x \text{ და } x^2 + (0,815x)^2 = R^2,$$

აქედან გამომდინარე $x_1 = 1,78 \text{ მ. და } z_1 = 0,815 \cdot 1,78 = 1,45 \text{ მ.}$

ამოცანა № 24. ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა კედელში მოწყობილი ხერტის ფარის გაღება წყლის დონის ცვლილების მიხედვით ავტომატურად ხდებოდეს. ამისათვის უნდა ავირჩიოთ ფარის ბრუნვის ღერძის მდებარეობა ისე, რომ აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებული იქნეს.

მოცემულია წყლის საპროექტო სიმაღლე ფარის ზემოთ $H = 1,5 \text{ მ}$, ფარის სიმაღლე $h' = 2,0 \text{ მ}$, ხოლო სიგანე $b = 1,2 \text{ მ}$ (იხ. ნახ. 13).

ამოხსნა. როგორც ვიცით მანძილი სიმძიმის ცენტრიდან წნევის ცენტრამდე იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\delta = y_0 - y_1 = \frac{I_0}{\omega \cdot y_1} = \frac{b(h')^3}{12 \cdot b \cdot h' \cdot y_1} = \frac{(h')^2}{12 \cdot y_1} = \frac{(h')^2}{12 \left(H + \frac{h'}{2} \right)},$$

სადაც

$$y_1 = H + \frac{h'}{2}$$

და იგი წყლის ზედაპირიდან ფარის სიმძიმის ცენტრამდე მანძილს წარმოადგენს.

ამოცანის პირობის დასაკმაყოფილებლად საჭიროა, ფარის ბრუნვის ღერძი გავატაროთ

$\left(H + \frac{h'}{2} + \delta \right)$ სიღრმეზე, რადგან

ამ შემთხვევაში წნევის ძალის მომენტი ბრუნვის ღერძის მიმართ ნულის ტოლი იქნება. H მოცემული მნიშვნელობისათვის ფარი დარჩება უძრავ მდგომარეობაში. მაგრამ წყლის დონის ცვლილების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამ შემთხვევას (წყლის სიმაღლე დონის ცვლილების დროს აღვნიშნოთ h):

1. როდესაც $h = H = 1,5$ მ ფარი წონასწორობაში იქნება; თუ მის ღერძს გავატარებთ $y_0 = H + \frac{h'}{2} + \delta$ სიღრმეზე.


თუ ამ მნიშვნელობას ახლა ბოლო გამოსახულებაში ჩავსვამთ, მივიღებთ:

$$\delta = \frac{(h')^2}{12 \left(H + \frac{h'}{2} \right)} = \frac{2,0^2}{12(1,5 + 1,0)} = \frac{4,0}{30} = 0,133 \text{ მ.}$$

ასე რომ

$$y_0 = H + \frac{h'}{2} + \delta = 1,5 + 1,0 + 0,133 = 2,633 \text{ მ.}$$

მაშასადამე, ტოლქმედი ძალის მომენტი იქნება ნულის ტოლი.



ნახ. 13.

2. ახლა თუ $h=2,2 \text{ მ} > H=1,5 \text{ მ}$, მაშინ ფარი გაიღება, რადგანაც

$$\delta = \frac{(h')^2}{12\left(h + \frac{h'}{2}\right)} = \frac{2,0^2}{12(2,2+1)} = 0,104 \text{ მ.}$$

წნევის ცენტრი გადაინაცვლებს ფარის ღერძის ზემოთ და შეიქმნება ფარის გამღები მომენტი.

3. ხოლო, თუ $h=1,0 \text{ მ} < H$, მაშინ δ მნიშვნელობა გადიდდება და მივიღებთ


$$\delta = \frac{(h')^2}{12\left(h + \frac{h'}{2}\right)} = \frac{2,0^2}{12(1,0+1,0)} = 0,166 \text{ მ,}$$

ხოლო

$$y_0 = h + \frac{h'}{2} + \delta = 2,166 \text{ მ.}$$

რაც იმას ნიშნავს, რომ წნევის ცენტრი განლაგებულია ფარის ბრუნვის ღერძის ქვემოთ $0,033 \text{ მ}$ და მაშასადამე, იქმნება მომენტი, რომელიც ფარს თავის საყრდენებს მიაბჯენს.

γ ამოცანა № 25. ჭურჭლის კედელში მოწყობილია მრგვალი ხვრეტი, რომლის დიამეტრი $d=0,4 \text{ მ}$, წყლის სიღრმე $H=1,0 \text{ მ}$, მანძილი წყლის ზედაპირიდან ხვრეტის სიმძიმის ცენტრამდე



ნახ. 14.

$$y_1 = H + \frac{d}{2} = 1,2 \text{ მ.}$$

გავიგოთ ხვრეტის საკეტის ფართზე მოქმედი წნევის ცენტრი. ამოხსნა. წნევის ცენტრის დაშორება სიმძიმის ცენტრამდე ტოლია:

$$\delta = y_0 - y_1 = \frac{I_0}{y_1 \cdot \omega},$$

სადაც

$$I_0 = \frac{\pi d^4}{64} \text{ და } \omega = \frac{\pi d^2}{4}.$$


ამრიგად,

$$\delta = \frac{\pi d^4 \cdot 4}{64 \cdot \pi d^2 \cdot y_1} = \frac{d^2}{19,2} = 0,0083 \text{ მ,}$$

მაშასადამე,

$$y_0 = y_1 + \delta = H + \frac{d}{2} + \delta = 1,2083 \text{ მ.}$$

ამოცანა № 26. საყრდენი კედლის ანგარიშისათვის საჭიროა გამოვარკვიოთ წნევის ძალები კედლის შემადგენელ ნაწილებზე ცალ-ცალკე (იხ. ნახ. 15). გასარკვევია აგრეთვე წნევის ცენტრების დაცილება წყლის თავისუფალ ზედაპირამდე.



ნახ. 15.

მოცემულია: $h_1=1,0$ მ, $h_2=3,0$ მ, $h_3=1,5$ მ, $l_1=0,5$ მ, $l_2=0,8$ მ, კედლის სიგანე $b=4$ მ და $\alpha=45^\circ$.

ამოხსნა. 1. წნევის ძალა კედლის ab ნაწილზე

$$P_{ab} = \frac{\gamma \cdot h_1^2}{2} \cdot b = 2000 \text{ კგ.}$$

კედლის ab ნაწილის წნევის ცენტრი დაცილებულია b წერტილიდან შემდეგი მანძილით:

$$y_0 = \frac{1}{3} h_1 = 0,333 \text{ მ.}$$

2. წნევის ძალა კედლის bc ნაწილზე

$$P_{bc} = \gamma \cdot h_1 \cdot a = \gamma \cdot h_1 \cdot l_1 \cdot b = 2000 \text{ კგ.}$$

3. წნევის ძალა კედლის cd ნაწილზე

$$P_{cd} = \gamma \cdot h_0 \cdot a = \gamma \left(h_1 + \frac{h_2}{2} \right) \cdot a = 1000 \cdot 2,5 \frac{h_2}{\sin \alpha} \cdot b = 42430 \text{ კგ,}$$

სადაც h_0 არის ვერტიკალური მანძილი სიბის თავისუფალი ზედაპირიდან კედლის cd ნაწილის სიმაღლის ცენტრამდე.

წნევის ძალის ანგარიში შეიძლება მოვახდინოთ აგრეთვე შემდეგი განტოლებით:

$$P_{cd} = \frac{\gamma}{2 \sin \alpha} [(h_1 + h_2)^2 - h_1^2] \cdot b = 42430 \text{ კგ.}$$

წნევის ცენტრი დაშორებულია წყლის ზედაპირიდან კედლის დახრილობის გასწვრივ შემდეგ მანძილზე:

$$y_0 = y_1 + \frac{I_0}{y_1 \cdot \omega} = \frac{\left(h_1 + \frac{h_2}{2}\right)}{\sin \alpha} + \frac{b \cdot \left(\frac{h_2}{\sin \alpha}\right)^3}{\frac{12 \left(h_1 + \frac{h_2}{2}\right)}{\sin \alpha} \cdot b \cdot \frac{h_2}{\sin \alpha}} = 3,96 \text{ მ.}$$

4. წნევის ძალა კედლის *md* ნაწილზე

$$P_{md} = \gamma (h_1 + h_2) \cdot b \cdot l_2 = 8000 \text{ კგ.}$$

წნევის ცენტრი კი დაცილებულია წყლის ზედაპირიდან $h_1 + h_2 = 4$ მ მანძილზე

5. წნევის ძალა კედლის *mn* ნაწილზე

$$P_{mn} = \gamma \cdot h_0 \cdot \omega = \gamma \cdot \left(h_1 + h_2 + \frac{h_3}{2}\right) \cdot b h_3 = 28500 \text{ კგ,}$$

ან სხვანაირად:


$$P_{mn} = \frac{\gamma}{2} [(h_1 + h_2 + h_3)^2 - (h_1 + h_2)^2] \cdot b = 28500 \text{ კგ.}$$

წნევის ცენტრის დაცილება წყლის ზედაპირიდან

$$y_0 = y_1 + \frac{I_0}{y_1 \cdot \omega} = 4,789 \text{ მ.}$$

მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება საყრდენი კედლის სტატიკური ანგარიშისათვის.

ამოცანა № 21. განვსაზღვროთ წყლის ჰიდროსტატიკური წნევის ძალები კედლის ცალკეულ უბნებზე, როდესაც ადგილი აქვს წყლის ზემოქმედებას კედლის ორივე მხრიდან (იხ. ნახ. 16).
მოცემული გვაქვს: $h_1 = 1,0$ მ, $h_2 = 4,0$ მ, $h_3 = 2,0$ მ, $h_5 = 5,0$ მ, $h_4 = h_5 - h_3 = 3,0$ მ, $b = 5,0$ მ, $l_1 = l_2 = 1,2$ მ, $\alpha = 30^\circ$.
ამოხსნა. კედლის *ab* და *bc* ნაწილებზე წნევის ძალები იანგარიშება წინა ამოცანაში განხილული წესით.



ნახ. 16.

ვიანგარიშით ტოლქმედი წნევის ძალა კედლის cd ნაწილზე:

$$P_{cd} = P'_{cd} - P''_{cd} = \frac{\gamma}{2} [(h_1 + h_2)^2 - h_1^2] - (h_5 - h_3)^2 \cdot b = 54375 \text{ კვ},$$

სადაც

$$P'_{cd} = \frac{\gamma}{2} [(h_1 + h_2)^2 - h_1^2] \cdot b,$$

ხოლო

$$P''_{cd} = \frac{\gamma}{2} (h_5 - h_3)^2 \cdot b.$$

შესაბამისად გამოხატავენ წნევის ძალებს კედლის cd ნაწილზე მარცხენა და მარჯვენა მხრიდან (ზემო და ქვემო მხრიდან).

წნევის ცენტრი კედლის cd ნაწილზე შეგვიძლია განვსაზღვროთ მომენტთა განტოლებიდან:

$$P_{cd} \cdot l_0 = P'_{cd} \cdot l'_0 - P''_{cd} \cdot l''_0,$$

საიდანაც

$$l_0 = \frac{P'_{cd} \cdot l'_0 - P''_{cd} \cdot l''_0}{P_{cd}}$$

და სადაც l_0 არის მანძილი d წერტილიდან P_{cd} ტოლქმედი ძალის წნევის ცენტრამდე, ხოლო l'_0 და l''_0 იგივე მანძილია (მხრებია) P'_{cd} და P''_{cd} ძალების მიმართ.

აღვნიშნოთ y'_0 და y''_0 მანძილები წნევის ცენტრებიდან წყლის ზედაპირამდე შესაბამისად კედლის მარცხენა და მარჯვენა მხრიდან, მაშინ ჩვენი შემთხვევისათვის მივიღებთ, რომ

$$l'_0 = (h_1 + h_2) - y'_0, \text{ ხოლო } l''_0 = (h_5 - h_3) - y''_0,$$

სადაც

$$y'_0 = \left(h_1 + \frac{h_2}{2} \right) + \frac{bh_2^3}{12 \cdot \left(h_1 + \frac{h_2}{2} \right) \cdot h_2 \cdot b} \quad \text{და} \quad y''_0 = \frac{2}{3} (h_5 - h_3).$$

წნევის ძალა კედლის dm ნაწილზე განვსაზღვროთ შემდეგნაირად:

$$P_{dm} = \gamma [(h_1 + h_2) - (h_5 - h_3)] \cdot b \cdot l_2 = 2250 \text{ კვ}.$$

წნევის ცენტრს კედლის dm ნაწილზე განვსაზღვრავეთ უკვე ცნობილი წესით.

ახლა გამოვარკვიოთ წნევის ძალა კედლის mn ნაწილზე, კერძოდ

$$P_{mn} = P'_{mn} - P''_{mn} = \frac{\gamma}{2 \sin \alpha} \{ [(h_1 + h_2 + h_3)^2 - (h_1 + h_2)^2] - [h_5^2 - (h_5 - h_3)^2] \} \cdot b = 7000 \text{ კვ}.$$

წნევის ცენტრი კედლის mn ნაწილზე შეგვიძლია განვსაზღვროთ ანალოგიურად, იმავე მომენტთა განტოლებით:

$$P_{mn} \cdot l_0 = P'_{mn} \cdot l'_0 - P''_{mn} \cdot l''_0,$$

ხოლო

$$l_0 = \frac{P'_{mn} l'_0 - P''_{mn} l''_0}{P_{mn}},$$

სადაც

$$P'_{mn} = \frac{\gamma}{2 \sin \alpha} \cdot [(h_1 + h_2 + h_3)^2 - (h_1 + h_2)^2] \cdot b,$$

$$P''_{mn} = \frac{\gamma}{2 \sin \alpha} [h_5^2 - (h_5 - h_3)^2] \cdot b;$$

ზემოაღნიშნულ ტოლობებში P_{mn}' არის წნევის ძალა კედლის mn ნაწილზე მარცხენა მხრიდან, ხოლო P_{mn}'' — წნევის ძალა mn ნაწილზე კედლის მარჯვენა მხრიდან. l'_0 და l''_0 მანძილები წარმოადგენენ შესაბამისად P'_{mn} და P''_{mn} ძალების მხრებს d წერტილის მიმართ. l'_0 და l''_0 სიდიდეების დასადგენად წინასწარ, ცნობილი წესით, უნდა განვსაზღვროთ კედლის mn ნაწილისათვის მანძილები წნევის სათანადო ცენტრებიდან წყლის თავისუფალ ზედაპირამდე (mn კედლის დახრილობის გასწვრივ) ორივე მხრიდან (y'_0 და y''_0).

ამოცანა № 28. განვსაზღვროთ წნევის ძალა და წნევის ცენტრი $abcd$ შედგენილ კედელზე.

მოცემულია: $H=6$ მ, $h_1=2,5$ მ, $h_2=2,0$ მ, $h_3=1,5$ მ, კედლის სიგანე $b=1$ მ, $\gamma=1$ ტ/მ³. დანარჩენი სიდიდეები ნაჩვენებია ნახაზზე (იხ. ნახ. 17).

ამოხსნა. შევარჩიოთ ძალის მასშტაბი: 1 მმ—0,2 ტ. ახლა ვიანგარიშოთ წნევის ძალები და წნევის ცენტრები კედლის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებზე.

წნევის ძალა კედლის ab ნაწილზე

$$P_{ab} = \gamma \cdot \frac{h_1^2}{2} \cdot b = 3,125 \text{ ტ.}$$


მანძილი წნევის ცენტრიდან სითხის თავისუფალ ზედაპირამდე კედლის ab ნაწილზე ტოლია:

$$y_1 = 2/3 h_1 = 1,67 \text{ მ.}$$

კედლის bc ცილინდრულ ნაწილზე წნევის ძალის ვერტიკალური მდგენელი ტოლია:

$$P'_{bc} = \gamma \cdot b \cdot \text{ფ.}(abca') = \gamma \cdot b \left[\text{ფ.}(aa'co) - \frac{\pi r^2}{4} \right] =$$

$$= \gamma \cdot b \left[(h_1 + h_2) \cdot r - \frac{\pi r^2}{4} \right] = 5,86 \text{ ტ.}$$



ნახ. 17.

ჰორიზონტალური მდგენელი კი:

$$P''_{bc} = \gamma \cdot \left(h_1 + \frac{h_2}{2} \right) h_2 \cdot b = 7,0 \text{ ტ.}$$

წნევის ძალა კედლის bc ნაწილზე ტოლია:

$$P_{bc} = \sqrt{(P'_{bc})^2 + (P''_{bc})^2} = \sqrt{5,86^2 + 7,0^2} = 9,129 \text{ ტ.}$$

წნევის ცენტრის კოორდინატების საპოვნელად კედლის bc ნაწილზე შემდგენიარად უნდა მოვიქცეთ: O ცენტრში შევარჩიოთ კოორდინატთა სათავე. oz ღერძი მივმართოთ ვერტიკალურად ქვემოდან ზევით (იხ. ნახ. 17). შევადგინოთ P_{bc} ძალის მოქმედების წირისა და r რადიუსის მქონე რკალის განტოლებანი და გადავწყვიტოთ ისინი ერთობლივად, რის შედეგად ვიპოვით მათი გადაკვეთის წერტილის, ანუ „წნევის ცენტრის“ კოორდინატებს (x_1 და z_1):

$$\left. \begin{aligned} z &= x \cdot \operatorname{tg} \alpha_1 \\ z^2 + x^2 &= r^2 \end{aligned} \right\} \text{სადაც } \operatorname{tg} \alpha_1 = \frac{P'_{bc}}{P''_{bc}} = \frac{5,86}{7,00} = 0,837;$$

ამიტომ

$$z = 0,837 \cdot x$$

და

$$(0,837 \cdot x)^2 + x^2 = r^2, \text{ ანუ } 0,7 x^2 + x^2 = 4,$$

საიდანაც

$$x_1 = 1,54 \text{ მ}, z_1 = 0,837 \cdot 1,54 = 1,29 \text{ მ}.$$

ამრიგად, განისაზღვრა კედლის bc ნაწილზე m წნევის ცენტრის კოორდინატები (არჩეული ღერძების მიმართ).

ახლა განვსაზღვროთ წნევის ძალის სიდიდე კედლის cd ნაწილზე

$$P_{cd} = \gamma \left(h_1 + h_2 + \frac{h_3}{2} \right) \cdot \frac{h_3}{\sin \alpha_2} \cdot b = 1,0 \cdot 5,25 \cdot 3,0 \cdot 1,0 = 15,75 \text{ ტ}.$$

წნევის ცენტრი კი დაცილებულია წყლის თავისუფალი ზედაპირიდან (მის გაგრძელებიდან) y_2 მანძილზე (იხ. ნახ. 17):

$$\begin{aligned} y_2 = y_1 + \frac{I_o}{y_1 \cdot \omega} &= \frac{\left(h_1 + h_2 + \frac{h_3}{2} \right)}{\sin \alpha_2} + \frac{b \cdot \left(\frac{h_3}{\sin \alpha_2} \right)^3}{12 \cdot \left(h_1 + h_2 + \frac{h_3}{2} \right) b \cdot \frac{h_3}{\sin \alpha_2}} = \\ &= 10,5 + \frac{9,0}{12 \cdot 10,5 \cdot 3,0} = 10,524 \text{ მ}. \end{aligned}$$

P_{cd} ძალა მიმართულია კედლის cd ნაწილის მართობულად.

შემდგომ მოვხდინოთ კედლის აღნიშნულ შემადგენელ ნაწილებზე მოქმედი წნევის ძალების შეჯამება გრაფიკული ხერხით (იხ. ნახ. 17).


მთლიანი წნევის ძალის სიდიდე $abcd$ კედელზე ტოლია:

$$P_{abcd} = 26,4 \text{ ტ}.$$

წნევის ცენტრი განისაზღვრება ძალების შეჯამების თოკის მრავალგვერდის მეთოდით.

ამოცანა № 29. განვიხილოთ α კუთხით დახრილი ფარი. შევერჩიოთ ამ ფარს თარაზული ბრუნვის ღერძის ისეთი მდებარეობა, რომ იგი ავტომატურად გაიღოს, როდესაც დონე ფარის წინ წინასწარ დადგენილ სიმაღლეს ასცილდება.

მოცემულია ფარის დახრის კუთხე $\alpha = 72^\circ$, წყლის წინასწარ დადგენილი სიღრმე $H = 3$ მ და წყლის სიღრმე ფარის ქვემოთ $h = 1,0$ მ (იხ. ნახ. 18).



ნახ. 18.

დავადგინოთ ფარის თარაზული ბრუნვის ღერძის ისეთი მდებარეობა, რომლის დროსაც დაკმაყოფილებული იქნება ზემოაღნიშნული პირობა.

ამოხსნა. წყლის წნევის ძალა ფარის წინ (მარჯვნიდან) მის ერთეულ სიგანეზე:

$$P_1 = \gamma \frac{H^2}{2 \sin \alpha};$$

წნევის ძალა ფარის მარცხენა მხრიდან

$$P_2 = \gamma \frac{h^2}{2 \sin \alpha};$$

ტოლქმედი წნევის ძალა ფარზე გამოითვლება შემდეგნაირად:

$$P = P_1 - P_2 = \frac{\gamma}{2 \cdot \sin \alpha} \cdot (H^2 - h^2).$$

წნევის ცენტრის დაცილება ფარის ფსკერიდან (ფარის დახრილობის გასწვრივ)

$$l_0 = \frac{1}{3 \cdot \sin \alpha} \cdot \frac{H^3 - h^3}{H^2 - h^2} = 1,14 \text{ მ.}$$

ამოცანის პირობის დასაკმაყოფილებლად საჭიროა ფარის ბრუნვის ღერძი მოვათავსოთ ზუსტად წნევის ცენტრში, ანუ ფსკერიდან $L_0 = 1,14$ მ მანძილზე.

ამოცანა № 30. ფარის დაგეგმარების დროს საჭიროა წნევა განსაზღვროთ მის სხვადასხვა კვეთში.

წყლის მნიშვნელოვანი სიმაღლის დროს ჩვეულებრივი ხის ფარის კვეთი დიდი ზომის გამოდის, რაც არ არის ხელსაყრელი როგორც ეკონომიურად, ისე ექსპლოატაციის თვალსაზრისით.

ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ აძჯობინებენ ლითონის ფარს. იმისათვის, რომ ფარის კოჭები (რიგელები) ერთი და იგივე კვეთის იყოს, საჭიროა სიმაღლის მიხედვით სათანადოდ განლაგებული კოჭები თანაბრად იყვნენ დატვირთულნი (იხ. ნახ. 19).

დავეუშვათ, ფარის სიმაღლე $H = 5,0$ მ, სიგანე $b = 7,0$ მ, წყლის წნევა ცალმხრივია. საჭიროა წყლის მთელი დატვირთვა გავანაწილოთ ხუთ კოჭზე.

გავიგოთ ფარის სხვადასხვა სიღრმეზე მოქმედი წნევა და მოვახდინოთ კოჭების სათანადო განლაგება.


ამოხსნა. წნევის ძალა ფარის მთლიან ფართობზე ტოლია:

$$P = \gamma \frac{H^2}{2} \cdot b = 87500 \text{ კგ.}$$

ასეთ შემთხვევაში თითოეულ კოჭზე მოქმედი ძალა ტოლი უნდა იყოს:

$$P_1 = \frac{P}{5} = 17500 \text{ კგ.}$$

როგორც ვიცით, ფარის ერთეულ სიგანეზე მოქმედი წნევის ძალა გამოიხატება ტოლფერდა სამკუთხედის ფართობით (გაუჩხენოთ, რომ აღნიშნული ტოლფერდა სამკუთხედი წარმოადგენს ფარზე ჰიდროსტა-



ნახ. 19.

ტიკური წნევის ეპიურას). თუ ამ სამკუთხედის ფართობს დაეყოფთ ხუთ თანასწორ ნაწილად, მაშინ მიღებული თანასწორი ფართობების სიმძიმის ცენტრებზე გატარებული თარაზული წირები განსაზღვრავენ კოჭების ღერძების განლაგებას.

ამრიგად:

$$1. \frac{ABC_{\text{ფართ.}}}{AB^{IV}C^{IV}_{\text{ფართ.}}} = \frac{1}{5} = \frac{(h')^2}{H^2}, \text{ აქედან } h' = \frac{H}{\sqrt{5}} = 2,24 \text{ მ};$$

$$2. \frac{AB^IC^I_{\text{ფართ.}}}{AB^{IV}C^{IV}_{\text{ფართ.}}} = \frac{2}{5} = \frac{(h'')^2}{H^2}, \text{ აქედან } h'' = \frac{H \cdot \sqrt{2}}{\sqrt{5}} = 3,16 \text{ მ};$$

$$3. \frac{AB^{II}C^{II}_{\text{ფართ.}}}{AB^{IV}C^{IV}_{\text{ფართ.}}} = \frac{3}{5} = \frac{(h''')^2}{H^2}, \text{ აქედან } h''' = \frac{H\sqrt{3}}{\sqrt{5}} = 3,87 \text{ მ};$$

$$4. \frac{AB^{III}C^{III}_{\text{ფართ.}}}{AB^{IV}C^{IV}_{\text{ფართ.}}} = \frac{4}{5} = \frac{(h^{IV})^2}{H^2}, \text{ აქედან } h^{IV} = \frac{H\sqrt{4}}{\sqrt{5}} = 4,47 \text{ მ}.$$

მაშასადამე, წნევის სამკუთხედის ფართობი დაყოფილია ხუთ ტოლ ნაწილად ან, რაც იგივეა, ფარის ზედაპირი დაყოფილია ხუთ ტოლად დატვირთულ უბნად (ფარის სიმძიმის მიხედვით). ახლა საჭიროა ვიპოვოთ წნევის ეპიურას ტოლი ფართეულების სიმძიმის ცენტრების დაშორება წყლის ზედაპირიდან, კერძოდ:

1. ABC სამკუთხედის სიმძიმის ცენტრის დაშორება წყლის ზედაპირიდან ტოლია:

$$h_1 = \frac{2}{3} h' = 1,49 \text{ მ};$$

2. რადგანაც $BCB'C'$ ფართი ტრაპეციაა, ამიტომ:

$$h_2 = h' + \frac{h'' - h'}{3} \cdot \frac{2h'' + h'}{h'' + h'} = 2,73 \text{ მ};$$

$$3. h_3 = h'' + \frac{h''' - h''}{3} \cdot \frac{2h''' + h''}{h''' + h''} = 3,54 \text{ მ};$$

$$4. h_4 = h''' + \frac{h^{IV} - h'''}{3} \cdot \frac{2h^{IV} + h'''}{h^{IV} + h'''} = 4,18 \text{ მ};$$

$$5. h_5 = h^{IV} + \frac{H - h^{IV}}{3} \cdot \frac{2 \cdot H + h^{IV}}{H + h^{IV}} = 4,75 \text{ მ}.$$

კოპები უნდა განვალაგოთ სიმძიმის ცენტრების სიორმეზე (h_1, h_2, h_3, h_4 და h_5) რის შედეგად ისინი თანაბრად იქნებიან დატვირთული.

ამოცანა № 31. ხრეშიან ან სხვა რომელიმე ჟონვად ნიადაგზე აგებული კაშხალის ფუძეში შეიძლება ადგილი ჰქონდეს წყლის ფილტრაციას. ეს მოვლენა განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს კაშხალის წინ მალაღი დაწნევის შემთხვევაში (იხ. ნახ. 20).

კაშხალის ანგარიშის დროს მდგრადობაზე მხედველობაში უნდა მივიღოთ წყლის წნევა, რომელიც დამოკიდებულია, კაშხალის წინ ფაქტიურად არსებულ დაწნევაზე.

უნდა განვსაზღვროთ კაშხლის მდგრადობის კოეფიციენტი. კაშხალის განივი კვეთის ზომები მოყვანილია ნახაზზე:

$$H=7,0 \text{ მ}, h=3,0 \text{ მ}, l_1=2,0 \text{ მ}, l_2=6,0 \text{ მ}, l_3=10,0 \text{ მ}, l_4=l_3-l_2=4,0 \text{ მ}, l_5=1,0 \text{ მ}.$$


ამოხსნა. კაშხალის ცალკეულ ნაწილებზე წყლის ჰიდროსტატიკური წნევის ძალები ვიანგარიშოთ გრაფო-ანალიზური ხერხით:

1. თარაზული წნევის ძალა კედლის kb ნაწილის ერთეულ სიგანეზე ტოლია:

$$P_1 = \frac{\gamma \cdot H^2}{2} = 24,5 \text{ ტ} = 24500 \text{ კგ}.$$

ეს წნევის ძალა გამოიხატება abk ტოლფერდა სამკუთხედის ფართობით.

2. თარაზული წნევის ძალა ფუძის მარცხენა b_2b_3 ნაწილზე გამოიხატება ($a_1a_2b_3b_2$) ტრაპეციის ფართობით:



ნახ. 20.

$$P_2 = \gamma \cdot [H + (H+h)] \frac{h}{2} = \gamma(2H+h) \frac{h}{2} = 25,5 \text{ ტ} = 25500 \text{ კგ.}$$

3. თარაზული წნევის ძალა ფუძის მარჯვენა $c_1 c_2$ ნაწილზე გამოიხატება $c_1 c_2 c_3$ სამკუთხა ეპიურას ფართობით:

$$P_3 = \frac{\gamma h^2}{2} = 4,5 \text{ ტ} = 4500 \text{ კგ.}$$

4. შვეული წნევის ძალა, რომელიც მოქმედებს კაშხალის ფუძეზე ქვევიდან ზევით, გამოიხატება $n_1 b_1 c_2 n_2$ ტრაპეციის ფართობით:

$$P_1' = \frac{[(H+h)+h]}{2} \cdot (l_3 + l_5) = 71,5 \text{ ტ} = 71500 \text{ კგ.}$$

5. შვეული წნევის ძალა ფუძის $b b_2$ ნაწილზე

$$P_2' = \gamma H \cdot l_5 = 7,0 \text{ ტ} = 7000 \text{ კგ.}$$

6. კაშხალის საკუთარი წონა მის ერთეულ სიგანეზე საძირკვლის წონის გარეშე

$$Q_1 = \gamma_1 \left(\frac{l_1 + l_2}{2} \cdot H \right) = 61,5 \text{ ტ} = 61500 \text{ კგ.}$$

7. საძირკველის საკუთარი წონა

$$Q_2 = \gamma_1 \cdot h \cdot (l_5 + l_3) = 72,6 \text{ ტ} = 72600 \text{ კგ.}$$

სადაც γ_1 არის ბეტონის მოცულობითი წონა და $2,2 \text{ ტ/მ}^3$ უდრის.

წნევის ძალებისა და კაშხალის საკუთარი წონის გამოთვლის შემდეგ კაშხალის მდგრადობის პირობების დასადგენად საჭიროა განვსაზღვროთ კაშხალზე მოქმედი ძალთა ვექტორების მხრები e_2 წერტილის მიმართ.

P_1 ძალის მხარი

$$y_1 = \frac{1}{3} H + h = 5,33 \text{ მ.}$$

P_2 ძალის მხარი y_2 იანგარიშება როგორც ტრაპეციის სიმძიმის ცენტრის დაშორება ფუძიდან, ე. ი.

$$y_2 = \frac{h}{3} \cdot \frac{h+3H}{h+2H} = 1,41 \text{ მ.}$$

P_3 ძალის მხარი იქნება:

$$y_3 = \frac{h}{3} = 1,0 \text{ მ.}$$

P_1' ძალის მხარი გამოიხატება, როგორც ტრაპეციის სიმძიმის ცენტრის დაშორება e_2 წერტილიდან და ტოლია:

$$y_4 = \frac{l_3 + l_5}{3} \cdot \frac{3h + 2H}{2h + H} = 6,5 \text{ მ,}$$

P_2' ძალის მხარი

$$y_5 = l_3 + \frac{l_5}{2} = 10,5 \text{ მ,}$$

Q_1 და Q_2 ძალების მხრების განსაზღვრა შეიძლება გრაფიკულად¹.

Q_1 ძალის მხარი ტოლია:

$$y_6 = l_7 + l_4 = 3,8 + 4,0 = 7,8 \text{ მ,}$$

ხოლო Q_2 ძალის მხარი

$$y_7 = \frac{l_3 + l_5}{2} = 5,5 \text{ მ.}$$

ვინაიდან დავადგინეთ როგორც ძალები, ისე მათი მხრები e_2 წერტილის მიმართ, უკვე შეგვიძლია გამოვთვალოთ კაშხალის, როგორც დამჭერი, ისევე გადამყირავებელი მომენტები:

$$M_{\text{გადა.}} = P_1 \cdot y_1 + P_2 \cdot y_2 + P_1' \cdot y_4 = 24,5 \cdot 5,33 + 25,5 \cdot 1,41 + 71,5 \cdot 6,5 = 130,59 + 35,95 + 464,75 = 631,29 \text{ ტმ,}$$

$$M_{\text{დამჭ.}} = P_3 \cdot y_3 + Q_1 \cdot y_6 + Q_2 \cdot y_7 + P_2' \cdot y_5 = 4,5 \cdot 1,0 + 61,6 \cdot 7,8 + 72,6 \cdot 5,5 + 7,0 \cdot 10,5 = 957,78 \text{ ტმ.}$$

ამ მომენტთა ფარდობა განსაზღვრავს კაშხლის მდგრადობის კოეფიციენტს:

$$\alpha = \frac{M_{\text{დამჭ.}}}{M_{\text{გადაყ.}}} = \frac{957,98}{631,29} = 1,51.$$


როგორც ვხედავთ, კაშხალი მდგრადობის თვალსაზრისით კარგ პირობებში იმყოფება, მას გააჩნია მდგრადობის ტექნიკურად საკმარისი მარაგი.

¹ იხ. პ. ჯიქია. ჰიდრაულიკა. 1947 წ. გვ. 59.

ტექნიკის მრავალ დარგში ხშირად გვიხდება ჰიდროდინამიკის სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტა. ჰიდროდინამიკის ამოცანები ჰიდროსტატიკის ამოცანებთან შედარებით ხასიათდებიან მეტი სირთულით. პრაქტიკული ჰიდროდინამიკის განვითარების საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულა სითხის მოძრაობის ძირითადი განტოლების—დ. ბერნულის განტოლების გამოყენებამ.

ქვემოთ განხილულ ჰიდრაულიკურ გაანგარიშებათა მაგალითების ამოხსნის დროს ძირითადად გამოყენებული იქნება დ. ბერნულის განტოლება და აგრეთვე ჰიდროდინამიკის სხვა კანონებიც.

ამოცანა № 32. მოცემულია აუზი A (იხ. ნახ. 21). მოცემული აუზის წყლის ზედაპირზე გავატაროთ $O-O$ სიბრტყე. აუზიდან წყალი გამოედინება მილით, რომლის დიამეტრი $d_1=0,10$ მ, ხოლო გამოსასვლელი კვეთის დიამეტრი $d_2=0,08$ მ. მილიდან წყალი გამოედინება ატმოსფეროში. დაწნევა $H=7,2$ მ.



ნახ. 21.

გამოვთვალოთ ხარჯი (Q), სიჩქარე (v) და უკიეზომეტრული დაწნევები მილსადენის 1—1 და 2—2 კვეთებში. ვიგულისხმობთ, რომ სითხე იდეალურია (მილში ენერგიის ხარჯვას წინააღობაზე ადგილი არა აქვს).

ამოხსნა. შევადგინოთ ბერნულის განტოლება 0-0 და 2-2 კვეთებისათვის ა-ა საფარდი სიბრტყის მიმართ (საფარდი სიბრტყე გატარებულია მილის 2-2 კვეთის ცენტრში):

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} + z_2,$$

სადაც $v_0=0$ რადგან A აუზში წყლის შედაპირის ფართობი დიდია; $p_0=p_2=p_{at}$ რადგან 0-0 და 2-2 კვეთებში მოქმედებს ატმოსფერული წნევა; $z_0=H$ არის მანძილი 0-0 კვეთიდან ა-ა საფარდ სიბრტყემდე; $z_2=0$.

ამ მნიშვნელობათა (1) განტოლებაში ჩასმით მივიღებთ:

$$H = \frac{v_2^2}{2g},$$

საიდანაც

$$v_2 = \sqrt{2gH} = \sqrt{2 \cdot 9,81 \cdot 7,2} = 11,85 \text{ მ/წმ.}$$

ბარჯი 2-2 კვეთში ტოლია:

$$Q = \omega_2 \cdot v_2 = \frac{\pi d_2^2}{4} \cdot v_2 = \frac{3,14 \cdot 0,08^2}{4} \cdot 11,85 = 0,0597 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ვინაიდან განვსაზღვრეთ v_2 სიჩქარე, ამიტომ უწყვეტობის განტოლებიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ v_1 სიჩქარეც:

$$Q = \omega_1 \cdot v_1 = \omega_2 \cdot v_2,$$

აქედან

$$v_1 = \frac{\omega_2}{\omega_1} \cdot v_2 = 7,595 \text{ მ/წმ.}$$

პიეზომეტრული სიმაღლის დასადგენად დავწეროთ ბერნულის განტოლება 0-0 და 1-1 კვეთებისათვის იმავე საფარდ სიბრტყის მიმართ:

$$z_0 + \frac{p_0}{\gamma} + \frac{v_0^2}{2g} = z_1 + \frac{p_1}{\gamma} + \frac{v_1^2}{2g}$$

ან

$$H + \frac{p_{at}}{\gamma} = \frac{p_1}{\gamma} + \frac{v_1^2}{2g},$$

ვინაიდან


$$\frac{v_0^2}{2g} \approx 0, \quad z_1 = 0 \text{ და } z_0 = H.$$

ამ განტოლების წვერებაა გადაჯგუფების შემდეგ მივიღებთ:

$$\frac{p_1}{\gamma} - \frac{p_{at}}{\gamma} = H - \frac{v_1^2}{2g} = 7,2 - 2,94 = 4,25 \text{ მ.}$$

ეს არის წყლის სვეტის სიმაღლე, რომელსაც პიეზომეტრული სიმაღლე (დაწნევა) ეწოდება. ჭარბი პიეზომეტრული დაწნევა 2—2 კვეთში ნულის ტოლია, ვინაიდან დაწნევა H (პოტენციალური ენერჯია) მთლიანად იხარჯება 2—2 კვეთში v_2 სიჩქარის განვითარებაზე. ამრიგად, წნევის წირი იქნება abc .

ამოცანა № 33. მოცემულია წყალსაცავი აუზი A . წყალი აუზიდან მოედინება ჰორიზონტალური მილით, რომლის დიამეტრი $d_1=0,15$ მ. შემდეგ წყალი გადადის მილში, რომლის დიამეტრი $d_2=0,45$ მ. ბოლოს ისეთ მილში, რომლის დიამეტრი $d_3=0,08$ მ. ბოლო მილიდან წყალი გამოედინება ატმოსფეროში (იხ. ნახ. 22).



ნახ. 22.

განესაზღვროთ სიჩქარე v_3 , წყლის ხარჯი Q მილსადენის ბოლო კვეთში (3—3) და ავგოთ პიეზომეტრული დაწნევის წირი, თუ დაწნევა $H=15$ მ (ვიხილავთ ისევ იდეალურ სითხეს).

ამოხსნა. ამოცანის პირობის გადასაწყვეტად დავწეროთ ბერნულის განტოლება 0—0 და 3—3 კვეთებისათვის ა—ა საფარდ სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} + z_3,$$

სადაც

$$v_0 \approx 0; p_0 = p_3 = p_{at}; z_0 = H \text{ და } z_3 = 0$$

რის გამოც ბერნულის განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$H = \frac{v_3^2}{2g},$$

აქედან

$$v_3 = \sqrt{2g \cdot H} = \sqrt{19,62 \cdot 15,0} = 17,12 \text{ მ/წმ},$$

ხოლო წყლის ხარჯი

$$Q = \omega_3 \cdot v_3 = \frac{\pi d_3^2}{4} \cdot v_3 = 0,0856 \text{ მ}^3/\text{წმ} = 85,6 \text{ ლიტრ/წმ}.$$

ახლა ავაგოთ პიეზომეტრული წირი. ვინაიდან 3—3 კვეთში დაწნევა H უკვე მთლიანად დახარჯულია წყლის ნაკადის v_3 სიჩქარის განვითარებისათვის, ამიტომ ნაკადის ერთეული წონის პოტენციალური ენერგია (კუთრი პოტენციალური ენერგია) მთლიანად გადადის ხვედრით კინეტიკურ ენერგიაში, რის გამო პიეზომეტრიული სიმაღლე 3—3 კვეთში $\frac{p_3 - p_{at}}{\gamma}$ უდრის ნულს.

ახლა ვიანგარიშოთ პიეზომეტრიული სიმაღლეები 1—1 და 2—2 კვეთებისათვის. რისთვისაც ჯერ განვსაზღვროთ 1—1 და 2—2 კვეთებში v_1 და v_2 სიჩქარეები, შემდეგ კი სათანადო ხვედრით კინეტიკურ ენერგიათა სიდიდეები (სიჩქარის დაწნევათა სიმაღლეები).

სითხის უწყვეტობის განტოლების თანახმად

$$Q = \omega_1 \cdot v_1 = \omega_2 \cdot v_2 = \omega_3 \cdot v_3;$$

აქედან 1—1 კვეთში სიჩქარე

$$v_1 = \frac{\omega_3}{\omega_1} \cdot v_3 \quad \text{და} \quad v_2 = \frac{\omega_3}{\omega_2} \cdot v_3,$$

ხოლო მათი შესაბამისი კინეტიკური ენერგიები

$$\frac{v_1^2}{2g} = \left(\frac{\omega_3}{\omega_1} \right)^2 \cdot \frac{v_3^2}{2g},$$

$$\frac{v_2^2}{2g} = \left(\frac{\omega_3}{\omega_2} \right)^2 \cdot \frac{v_3^2}{2g}.$$


სათანადო მნიშვნელობათა ჩასმისა და გამოთვლის შედეგად მივიღებთ:

$$\frac{v_1^2}{2g} = 1,215 \text{ მ}, \quad \text{ხოლო} \quad \frac{v_2^2}{2g} = 0,015 \text{ მ}.$$

ახლა $\frac{v_1^2}{2g}$ და $\frac{v_2^2}{2g}$ მნიშვნელობები გადავზომოთ 0—0 სიბრტყის ქვემოთ დინების ღერძის მართობულად და მიღებული წერტილების შეერთების შედეგად მივიღებთ საძიებელ პიეზომეტრულ წირს (abcdef).

ამოცანა № 34. *A* აუზიდან წყალი გამოედინება მილით, რომლის კვეთის ფართი $\omega_1 = 0,10 \text{ მ}^2$, მილის გაფართოებული ნაწილის კვეთის ფართი $\omega_2 = 0,15 \text{ მ}^2$ (იხ. ნახ. 23). მილის ბოლო ნაწილი შევიწროებულია (კონუსურია) და გამოსასვლელი კვეთის ფართი $\omega_3 = 0,12 \text{ მ}^2$, აუზის განივი კვეთის ფართი $\omega_0 = 1,2 \text{ მ}^2$, დაწნევა $H = 5 \text{ მ}$, 1—1 კვეთისათვის $z_1 = 2 \text{ მ}$, ხოლო 2—2 კვეთისათვის $z_2 = 1,1 \text{ მ}$ ა—ა საფარდი სიბრტყე გატარებულია 3—3 კვეთის სიმძიმის ცენტრში.

განვსაზღვროთ წყლის ხარჯი Q და ავაგოთ მოცემული კვეთებისათვის პიეზომეტრული დაწნევის წირი (ვიგულისხმობთ, რომ სითხე იდეალურია).



ნახ. 23.

ამოხსნა. შევადგინოთ ბერნულის განტოლება 0—0 და 3—3 კვეთებისათვის ა—ა საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} + z_3.$$

ვინაიდან

$$z_3 = 0, z_0 = H, p_0 = p_3 = p_{at} \text{ და } v_0 = 0,$$

ამიტომ ბერნულის განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{v_0^2}{2g} + H = \frac{v_3^2}{2g}. \quad (1)$$

ახლა, თუ გამოვიყენებთ უწყვეტობის განტოლებას, მივიღებთ:

$$\frac{v_3^2}{2g} = H + \frac{v_3^2}{2g} \left(\frac{\omega_3}{\omega_0} \right)^2,$$

საიდანაც

$$H = \left[1 - \left(\frac{\omega_3}{\omega_0} \right)^2 \right] \cdot \frac{v_3^2}{2g},$$

ამიტომ სიჩქარე

$$v_3 = \sqrt{\frac{2gH}{1 - \left(\frac{\omega_3}{\omega_0} \right)^2}} = \sqrt{\frac{2 \cdot 9,81 \cdot 5}{1 - \left(\frac{0,12}{1,2} \right)^2}} = 9,954 \text{ მ/წმ.}$$

ხოლო წყლის ხარჯი

$$Q = \omega_3 \cdot v_3 = 0,12 \cdot 9,954 = 1,194 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ახლა ავაგოთ პიეზომეტრული დაწნევის წირი. ჰარბი (ხალასი) წნევა 3—3 კვეთში იქნება ნულის ტოლი. 2—2 კვეთში პიეზომეტრული დაწნევის გამოსარკვევად დაეწეროთ ბერნულის განტოლება 2—2 და 3—3 კვეთისათვის ა—ა საფარდ სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} + z_2 = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} + z_3,$$

სადაც

$$z_3 = 0, \quad p_3 = p_{\text{ატ.}}$$

წვერების გადაჯგუფების შემდეგ ეს განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{p_2 - p_{\text{ატ.}}}{\gamma} = \frac{v_3^2}{2g} - \frac{v_2^2}{2g} - z_2.$$

ზემოაღნიშნულ ტოლობაში სითხის უწყვეტობის განტოლების საფუძველზე v_2 სიჩქარე გამოვხატოთ v_3 და სათანადო მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$\frac{p_2 - p_{\text{ატ.}}}{\gamma} = 0,72 \text{ მ.}$$

1—1 კვეთში პიეზომეტრული დაწნევის განსაზღვრისათვის ისევ ვწერთ ბერნულის განტოლებას 1—1 და 3—3 კვეთებისათვის:

$$\frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} + z_1 = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} + z_3,$$

სადაც


$$z_3 = 0; \quad p_3 = p_{\text{ატ.}}$$

საბოლოოდ მივიღებთ:

$$\frac{p_1 - p_{\text{ატ.}}}{\gamma} = \left[1 - \left(\frac{\omega_3}{\omega_1} \right)^2 \right] \cdot \frac{v_3^2}{2g} - z_1 = -4,22 \text{ მ.}$$

დაწნევის ეს სიდიდე გამოხატავს წნევის დეფიციტს 1-1 კვეთში ატმოსფერულ წნევამდე და მას ვაკუუმის უწოდებენ. ამრიგად, 1-1 კვეთში განვითარებულია ვაკუუმი რომლის სიდიდე მილსადენის კვეთის ფართის (ω_1 -ის) შემცირებასთან ერთად გაიზრდება და პირიქით. პიეზომეტრული დაწნევის წირი წარმოადგენს $abcde$ ტეხილს.

ამოცანა № 35. გერმეტულად დახშულ ქურქელში წყლის თავისუფალ ზედაპირზე (0^1-0^1 სიბრტყე) წნევა $p_0=0,9$ ატ (იხ. ნახ. 24). ქურქლიდან სითხე გამოედინება მილსადენით, რომლის პირველი უბნის



ნახ. 24.

დიამეტრი $d_1=0,08$ მ, მილის გაფართოებული ნაწილის (მეორე უბნის) დიამეტრი $d_2=0,20$ მ, ხოლო გამოსასვლელი კვეთის დიამეტრი $d_3=0,10$ მ. სიმაღლე წყლის ზედაპირიდან მილის ღერძამდე $H=3$ მ ($a-a$ საფარდი სიბრტყე გატარებულია მილის ღერძზე).

განვსაზღვროთ მილსადენიდან გამოდინებული წყლის ხარჯი Q და პიეზომეტრული დაწნევის წირის მდებარეობა; მხედველობაში ნუ მივიღებთ ენერგიის დანაკარგს.

აღოხსნა. ამოცანის ამოხსნის მიზნით დავწეროთ ბერნულის განტოლება $0-0$ და $3-3$ კვეთებისათვის $a-a$ საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$z_0 + \frac{p_0}{\gamma} + \frac{v_0^2}{2g} = z_3 + \frac{p_3}{\gamma} + \frac{v_3^2}{2g},$$

სადაც

$$z_0 = H; v_0 \approx 0; p_0 < p_{at} \text{ და } z_3 = 0;$$

ამიტომ

$$H + \frac{p_0}{\gamma} = \frac{p_{at}}{\gamma} + \frac{v_3^2}{2g}$$

$$H = \frac{p_{\text{ატ}} - p_0}{\gamma} + \frac{v_3^2}{2g}$$

საიდანაც ნაკადის გამოდინების სიჩქარე

$$v_3 = \sqrt{2g \left(H - \frac{p_{\text{ატ}} - p_0}{\gamma} \right)} = \sqrt{19,62 \left(3 - \frac{10000 - 9000}{1000} \right)} = \\ = \sqrt{39,3} = 6,28 \text{ მ/წმ,}$$

წყლის ხარჯი

$$Q = v_3 \cdot \omega_3 = 6,28 \cdot 0,00786 = 0,0493 \text{ მ}^3/\text{წმ} = 49,3 \text{ ლ/წმ.}$$

1—1 კვეთში პიეზომეტრული დაწნევის განსაზღვრის მიზნით, შევადგინოთ ბერნულის განტოლება 1—1 და 3—3 კვეთებისათვის ა—ა საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$z_1 + \frac{p_1}{\gamma} + \frac{v_1^2}{2g} = z_3 + \frac{p_3}{\gamma} + \frac{v_3^2}{2g}$$

ზემოთ მოყვანილი განტოლებიდან გამომდინარე

$$h_1 = h_{3\text{ატ}} = \frac{p_{\text{ატ}} - p_1}{\gamma} = \frac{v_1^2}{2g} - \frac{v_3^2}{2g} = \left[\left(\frac{\omega_2}{\omega_1} \right)^2 - 1 \right] \cdot \frac{v_3^2}{2g} = \\ = \left[\left(\frac{0,00786}{0,00503} \right)^2 - 1 \right] \cdot 2,0 = 2,92 \text{ მ.}$$

ახლა განვსაზღვროთ პიეზომეტრული დაწნევის სიმაღლე 2—2 კვეთში. ამ მიზნით შევადგინოთ ბერნულის განტოლება 2—2 და 3—3 კვეთებისათვის ა—ა საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$z_2 + \frac{p_2}{\gamma} + \frac{v_2^2}{2g} = z_3 + \frac{p_3}{\gamma} + \frac{v_3^2}{2g}$$

სადაც

$$z_2 = z_3 = 0, \quad p_3 = p_{\text{ატ}}$$

რის გამოც

$$h_2 = \frac{p_2 - p_{\text{ატ}}}{\gamma} = \frac{v_3^2}{2g} - \frac{v_2^2}{2g} = \left[1 - \left(\frac{\omega_3}{\omega_1} \right)^2 \right] \cdot \frac{v_3^2}{2g} = \\ = \left[1 - \left(\frac{0,00786}{0,0314} \right)^2 \right] \cdot 2,0 = 1,87 \text{ მ.}$$

როგორც ვიცი, 3-3 კვეთში ჰარბი (ხალასი) წნევა


$$h_3 = \frac{p_3 - p_{at}}{\gamma} = \frac{p_{at} - p_{at}}{\gamma} = 0.$$

პიეზომეტრული დაწნევის წირი წარმოადგენს *abcde* ტეხილს (იხ. ნახ. 24).

ამოცანა № 36. წინა ამოცანების (1, 2, 3, 4) ამოხსნის დროს მხედველობაში არ ვღებულობდით სითხის ენერგიის დანაკარგს ჰიდრაულიკურ წინაღობათა გადალახვაზე, ე. ი. ვიხილავდით იდეალურ სითხეს. ეს ჩვენ დავუშვით, მხოლოდ მეთოდური თვალსაზრისით, იმისათვის, რომ რეალური სითხის განხილვის შემთხვევაში გვქონოდა შედარების საშუალება.

პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის დროს საჭიროა გამოყენებულ იქნეს ბერნულის განტოლება რეალური სითხისათვის. ამ შემთხვევაში სიჩქარის, ხარჯის და წნევის განსაზღვრისათვის, როგორც თეორიიდან ცნობილია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინაღობათა პარამეტრების დადგენას.

შეთქვათ, *A* აუზიდან გამოყვანილია მილი (იხ. ნახ. 25), რომლის სიგრძე $l_1 = 50$ მ, დიამეტრი $d_1 = 0,20$ მ. მილსადენი შემდეგ ვიწროვდება და მეორე უბნისათვის $l_2 = 20$ მ, ხოლო



ნახ. 25.

$d_2 = 0,125$ მ მილსადენის მესამე უბნის სიგრძე;

$l_3 = 40$ მ, დიამეტრი $d_3 = 0,20$ მ მილსადენის ბოლო უბნის სიგრძე;

$l_4 = 5,0$ მ, დიამეტრი $d_4 = 0,06$ მ. გამოსასვლელ 4-4 კვეთიდან წყალი გამოედინება ატმოსფეროში. დაწნევა მილსადენზე $H = 25$ მ

განვსაზღვროთ გამოდინების სიჩქარე v_4 , ხარჯი Q და ავაგოთ პიეზომეტრული დაწნევის წირი.

ამოხსნა. ამოცანის გადასაწყვეტად დავწეროთ ბერნულის განტოლება $0-0$ და $4-4$ კვეთებისათვის $a-a$ საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_4^2}{2g} + \frac{p_4}{\gamma} + z_4 + \Sigma h_e,$$

სადაც

$$v_0 \approx 0; p_0 = p_4 = p_{at}, z_0 = H \text{ და } z_4 = 0.$$

ამ მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ ბერნულის განტოლებიდან მივიღებთ:

$$H = \frac{v_4^2}{2g} + \Sigma h_e. \quad (1)$$

როგორც ვიცი, Σh_e წვერი გამოხატავს მილში სითხის მოძრაობის დროს ყველა სახის წინააღმდეგობებზე დახარჯულ ენერჯიათა ჯამს (ენერჯიის დანაკარგებს მილსადენის სიგრძეზე და ადგილობრივ წინააღმდეგობათა გადალახვაზე) ან სხვანაირად, — ყველა სახის და წნევის დანაკარგების ჯამს.

განვიხილოთ დაწნევის დანაკარგები ჩვენი შემთხვევისათვის (იხ. ნახ. 25). სახელდობრ განვსაზღვროთ ცალკეული სახის დაწნევის დანაკარგები:

1. დაწნევის დანაკარგი მილში წყლის შესვლის დროს

$$h_{e1} = \xi_1 \frac{v_1^2}{2g} = 0,50 \cdot \frac{v_1^2}{2g};$$

2. დაწნევის დანაკარგი მილსადენის l_1 სიგრძეზე

$$h_{e2} = \lambda_1 \cdot \frac{l_1}{d_1} \cdot \frac{v_1^2}{2g} = 0,0224 \cdot \frac{50}{0,2} \cdot \frac{v_1^2}{2g} = 5,04 \frac{v_1^2}{2g};$$

λ_1 კოეფიციენტი გამოთვლილია დარსის ცორომულით: $\lambda_1 = 0,02 \left(1 + \frac{1}{40d_1} \right);$

3. მილის უეცარი შევიწროებით გამოწვეული დაწნევის დანაკარგები

$$h_{e3} = \xi_2 \cdot \frac{v_2^2}{2g} = 0,335 \cdot \frac{v_2^2}{2g},$$

სადაც

$$\frac{\omega_2}{\omega_1} = \frac{d_1^2}{d_2^2} = 0,40$$

და შესაბამისად $\xi_1 = 0,535^2;$

აქ და გვემოთ წინააღმდეგობის კოეფიციენტების მნიშვნელობებს ვიღებთ ცნობარიდან.

4. დაწნევის დანაკარგი მილსადენის l_2 სიგრძეზე

$$h_{e_4} = \lambda_2 \cdot \frac{l_2}{d_2} \cdot \frac{v_2^2}{2g} = 0,0241 \cdot \frac{20}{0,125} \cdot \frac{v_2^2}{2g} = 3,86 \frac{v_2^2}{2g};$$

5. 2-2 კვეთში უეცარი გაფართოებით გამოწვეული დაწნევის დანაკარგი

$$h_{e5} = \xi_3 \cdot \frac{v_3^2}{2g} = \frac{(v_2 - v_3)^2}{2g} = \left(\frac{\omega_3}{\omega_2} - 1 \right)^2 \cdot \frac{v_3^2}{2g} = 2,44 \frac{v_3^2}{2g};$$

6. დაწნევის დანაკარგი მილის l_3 სიგრძეზე

$$h_{e_6} = \lambda_3 \cdot \frac{l_3}{d_3} \cdot \frac{v_3^2}{2g} = 0,0224 \cdot \frac{40}{0,20} = 4,48 \cdot \frac{v_3^2}{2g}.$$

7. 3-3 კვეთში ნაკადის შევიწროებით გამოწვეული დაწნევის დანაკარგი

$$h_{e_7} = \xi_4 \cdot \frac{v_4^2}{2g} = 0,5 \cdot \frac{v_4^2}{2g},$$

სადაც

$$\frac{\omega_4}{\omega_3} = 0,09 \text{ და } \xi_4 = 0,5;$$

8. დაწნევის დანაკარგი მილის l_4 სიგრძეზე

$$h_{e_8} = \lambda_4 \cdot \frac{l_4}{d_4} \cdot \frac{v_4^2}{2g} = 0,0224 \cdot \frac{5,0}{0,06} \cdot \frac{v_4^2}{2g} = 1,867 \frac{v_4^2}{2g};$$

დაწნევის დანაკარგების ჯამი

$$\begin{aligned} \Sigma h_e &= h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} + h_{e_4} + h_{e_5} + h_{e_6} + h_{e_7} + h_{e_8} = \\ &= (0,5 + 5,04) \frac{v_1^2}{2g} + (0,335 + 3,86) \frac{v_2^2}{2g} + (2,50 + 4,48) \frac{v_3^2}{2g} + \\ &+ (0,5 + 1,867) \frac{v_4^2}{2g} = 5,54 \frac{v_1^2}{2g} + 4,20 \frac{v_2^2}{2g} + 6,92 \frac{v_3^2}{2g} + 2,367 \frac{v_4^2}{2g}. \end{aligned} \quad (2)$$

სითხის უწყვეტობის განტოლების საფუძველზე v_1 , v_2 და v_3 სიჩქარეები გამოვხატოთ v_4 :

$$v_1 = \frac{\omega_4}{\omega_1} \cdot v_4, \quad v_2 = \frac{\omega_4}{\omega_2} \cdot v_4, \quad v_3 = \frac{\omega_4}{\omega_3} \cdot v_4.$$

სათანადო სიჩქარის დაწნეგები ტოლია:

$$\left. \begin{aligned} \frac{v_1^2}{2g} &= \left(\frac{\omega_1}{\omega_1}\right)^2 \cdot \frac{v_4^2}{2g} = \left(\frac{d_4^2}{d_1^2}\right)^2 \cdot \frac{v_4^2}{2g} = 0,0081 \cdot \frac{v_4^2}{2g}, \\ \frac{v_2^2}{2g} &= \left(\frac{\omega_2}{\omega_2}\right)^2 \cdot \frac{v_4^2}{2g} = \left(\frac{d_4^2}{d_2^2}\right)^2 \cdot \frac{v_4^2}{2g} = 0,0225 \frac{v_4^2}{2g}, \\ \frac{v_3^2}{2g} &= \left(\frac{\omega_3}{\omega_3}\right)^2 \cdot \frac{v_4^2}{2g} = \left(\frac{d_4^2}{d_3^2}\right)^2 \cdot \frac{v_4^2}{2g} = 0,0081 \cdot \frac{v_4^2}{2g}. \end{aligned} \right\} (3)$$

ამ მნიშვნელობების (2) განტოლებაში ჩასმით მივიღებთ:

$$\begin{aligned} \Sigma h_e &= (5,54 \cdot 0,0081 + 4,20 \cdot 0,0225 + 6,92 \cdot 0,0081 + 2,367) \frac{v_4^2}{2g} = \\ &= (0,0448 + 0,0945 + 0,056 + 2,367) \frac{v_4^2}{2g} = 2,562 \frac{v_4^2}{2g}. \end{aligned} \quad (4)$$

ახლა დაწნევის დანაკარგების (Σh_e) ეს მნიშვნელობა (1) განტოლებაში ჩავსვათ და მივიღებთ:

$$H = \frac{v_4^2}{2g} + \Sigma h_e = \frac{v_4^2}{2g} + 2,56 \frac{v_4^2}{2g} = 3,56 \frac{v_4^2}{2g}. \quad (5)$$

აქედან:

4—4 კვეთიდან წყლის გამოდინების სიჩქარე

$$v_4 = \sqrt{\frac{2gH}{3,56}} = 11,73 \text{ მ/წმ},$$

ხარჯი

$$Q = \omega_4 \cdot v_4 = 0,033 \text{ მ}^3/\text{წმ} = 33 \text{ ლიტ/წმ},$$

სადაც

$$\omega_4 = \frac{\pi d_4^2}{4} = 0,00282 \text{ მ}^2.$$

ახლა ავაგოთ პიეზომეტრული დაწნევის წირი. ამ მიზნით დავწეროთ ბერნულის განტოლება 0—0 და ნებისმიერი X—X კვეთისათვის 0—0 საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_x^2}{2g} + \frac{p_x}{\gamma} + z_x + \Sigma h_{e,x},$$

სადაც

$$v_0 \approx 0, p_0 = p_{at}, z_0 = H, z_x = 0.$$

წევრების ჩასმისა და გადაჯგუფების შემდეგ, მივიღებთ:

$$\frac{P_r - P_{\text{ახ}}}{\gamma} = H - \left(\frac{v_z^2}{2g} + \sum h_{\text{ერ}} \right). \quad (6)$$

ამ განტოლების მიხედვით შეგვიძლია მილსადენის ნებისმიერ კვეთ-ში განვსაზღვროთ პიეზომეტრული დაწნევა.

წინასწარ გამოვარკვიოთ სიჩქარის დაწნევა სათანადო კვეთე-ბისათვის:

$$\frac{v_1^2}{2g} = \frac{H}{3,56} = \frac{25,0}{3,56} = 7,0 \text{ მ,}$$

$$\frac{v_3^2}{2g} = 0,0081 \cdot \frac{v_1^2}{2g} = 0,0081 \cdot 7,0 = 0,0567 \text{ მ,}$$

$$\frac{v_2^2}{2g} = 0,0225 \cdot \frac{v_1^2}{2g} = 0,0225 \cdot 7,0 = 0,1575 \text{ მ,}$$

$$\frac{v_4^2}{2g} = 0,0081 \cdot \frac{v_1^2}{2g} = 0,0081 \cdot 7,0 = 0,0567 \text{ მ.}$$

ახლა ცალ-ცალკე გამოვთვალოთ დაწნევის დანაკარგების რიცხვი-თი მნიშვნელობები:

$$h_{\text{ერ}1} = 0,5 \cdot \frac{v_1^2}{2g} = 0,5 \cdot 0,0567 = 0,0283 \text{ მ,}$$

$$h_{\text{ერ}2} = 5,54 \cdot \frac{v_1^2}{2g} = 5,54 \cdot 0,0567 = 0,3141 \text{ მ,}$$

$$h_{\text{ერ}3} = 0,335 \cdot \frac{v_2^2}{2g} = 0,335 \cdot 0,1575 = 0,0562 \text{ მ,}$$

$$h_{\text{ერ}4} = 3,86 \cdot \frac{v_2^2}{2g} = 3,86 \cdot 0,1575 = 0,6079 \text{ მ,}$$

$$h_{\text{ერ}5} = 2,50 \cdot \frac{v_3^2}{2g} = 2,50 \cdot 0,0567 = 0,1417 \text{ მ,}$$

$$h_{\text{ერ}6} = 4,48 \cdot \frac{v_2^2}{2g} = 4,48 \cdot 0,0567 = 0,2540 \text{ მ,}$$

$$h_{\text{ერ}7} = 0,5 \cdot \frac{v_4^2}{2g} = 0,5 \cdot 7,0 = 3,50 \text{ მ,}$$

$$h_{\text{ერ}8} = 1,867 \cdot \frac{v_1^2}{2g} = 1,867 \cdot 7,0 = 13,069 \text{ მ.}$$

ამ სიდიდეთა გამორკვევის შემდეგ აღვილდება პიეზომეტრული წილის აგება.

როგორც ვიცით, (6) განტოლებით შეიძლება პიეზომეტრული დაწნევის განსაზღვრა ნებისმიერ კვეთში.

პიეზომეტრული დაწნევის სიმაღლეები სათანადო კვეთებში აღვნიშნოთ შემდეგნაირად:

$$h_i = \frac{p_i - p_{at}}{\gamma}$$

მაშინ (6) განტოლებიდან:

$$\begin{aligned} h_1 &= H - \left(\frac{v_1^2}{2g} + h_{e_1} \right) = 25,0 - (0,05670 + 0,02835) = \\ &= 25,0 - 0,08505 = 24,915 \text{ მ (წერტილი a),} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} h_2 &= H - \left(\frac{v_1^2}{2g} + h_{e_1} + h_{e_2} \right) = 25,0 - (0,05670 + 0,02835 + 0,31412) = \\ &= 25,0 - 0,39917 = 24,60 \text{ მ (წერტილი b),} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} h_3 &= H - \left(\frac{v_2^2}{2g} + h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} \right) = 25,0 - (0,15750 + 0,02835 + \\ &+ 0,31412 + 0,05286) = 25,0 - 0,55283 = 24,447 \text{ მ (წერტილი c),} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} h_4 &= H - \left(\frac{v_2^2}{2g} + h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} + h_{e_4} \right) = 25,0 - (0,55283 + 0,60795) = \\ &= 25,0 - 1,16078 = 23,839 \text{ მ (წერტილი d),} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} h_{e5} &= H - \left(\frac{v_3^2}{2g} + h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} + h_{e_4} + h_{e_5} \right) = \\ &= 25,0 - (0,0567 + 0,60795 + 0,14175) = 25,0 - 0,7564 = \\ &= 24,243 \text{ (წერტილი m),} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} h_6 &= H - \left(\frac{v_3^2}{2g} + h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} + h_{e_4} + h_{e_5} + h_{e_6} \right) = \\ &= 25,0 - (0,7564 + 0,2540) = 25,0 - 1,0104 = 23,9896 \text{ მ (წერტილი n),} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} h_7 &= H - \left(\frac{v_4^2}{2g} + h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} + h_{e_4} + h_{e_5} + h_{e_6} + h_{e_7} \right) = \\ &= 14,46903 \text{ მ (წერტილი k),} \end{aligned}$$

$$h_8 = H - \left(\frac{v_4^2}{2g} + h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} + h_{e_4} + h_{e_5} + h_{e_6} + h_{e_7} + h_{e_8} \right) =$$

$$= H - \left(\frac{v_1^2}{2g} + \Sigma h_e \right) = 25,0 - (7,0 + 17,96903) =$$

$$= 25,0 - 24,96903 \approx 0 \text{ (წერტილი 1).}$$

შევეერთოდ აღნიშნული წერტილები და მივიღებთ პიეზომეტრული დაწნევის $abcdmnlk$ ტეხილ წირს.

სრული ენერჯიის მრუდის აგებისათვის (თუ ამას მოითხოვს საჭიროება) მილის თითოეული ნაწილის პიეზომეტრულ წირს ზემოთ უნდა აიზომოს სათანადო სიჩქარის დაწნევა და გატარდეს პიეზომეტრული წირის პარალელური ჰიდროდინამიკური დაწნევის წირი მილის სათანადო უბნების ფარგლებში.)

ამოცანა № 37. განვიხილოთ ორი დახშული A და B რეზერვუარი (იხ. ნახ. 26). რეზერვუარიდან გამოდის მილსადენი, რომლის პირველი უბნის სიგრძე $l_1 = 7000$ მ, დიამეტრი $d_1 = 0,2$ მ, 1—1 კვეთში მილის დიამეტრი იზრდება $d_2 = 0,3$ მ, მილსადენის მეორე უბნის სიგრძე $l_2 = 500$ მ, რომელიც უერთდება B რეზერვუარს. რეზერვუარების დონეთა სხვაობა $H = 20$ მ. მოხვეული უბნის რადიუსი $R = 0,8$ მ, $h = 1,5$ მ. A და B რეზერვუარში წყლის ზედაპირებზე სხვადასხვა შემთხვევებში განვიხილავთ სხვადასხვა შესაძლო წნევებს.

განვსაზღვროთ მილსადენის წყლის ხარჯი და ავაგოთ პიეზომეტრული დაწნევის წირი.

ამოხსნა. განვიხილოთ რამდენიმე საანგარიშო შემთხვევა.

1 შემთხვევა. ვიკულისხმობთ, რომ A და B რეზერვუარები ღიაა. შევადგინოთ ბერნულის განტოლება $0-0$ და 0^1-0^1 კვეთებისათვის ა—ა საფარდ სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{(v_0')^2}{2g} + \frac{p_0'}{\gamma} + z_0' + \Sigma h_e, \quad (1)$$

სადაც

$$v_0 \approx 0, p_0 = p_0' = p_a, v_0' \approx 0, z_0 = H, z_0' = 0.$$

ამ მნიშვნელობის (1) განტოლებაში ჩასმით მივიღებთ:

$$H = \Sigma h_e.$$


განვსაზღვროთ ყველა სახის დაწნევის დანაკარგი:

1. დაწნევის დანაკარგი მილში შესვლაზე

$$h_{e1} = \xi_1 \cdot \frac{v_1^2}{2g};$$

2. დაწნევის დანაკარგი მილსადენის მოხვეულ უბანზე ($R=0,8$ მ),

$$h_{\xi 2} = \xi_2 \cdot \frac{v_1^2}{2g};$$



ნახ. 26.

3. დაწნევის დანაკარგი მილსადენის l_1 სიგრძეზე

$$h_{\xi 3} = \lambda_1 \cdot \frac{l_1}{d_1} \cdot \frac{v_1^2}{2g};$$

4. დაწნევის დანაკარგი მილსადენის უეცარ გაფართოებაზე

$$h_{e_4} = \frac{(v_1 - v_2)^2}{2g} = \frac{\left(v_1 - \frac{\omega_1}{\omega_2} \cdot v_1\right)^2}{2g} = \left(1 - \frac{\omega_1}{\omega_2}\right)^2 \cdot \frac{v_1^2}{2g};$$

5. დაწნევის დანაკარგი მილსადენის l_2 სიგრძეზე

$$h_{e_5} = \lambda_2 \cdot \frac{l_2}{d_2} \cdot \frac{v_2^2}{2g};$$

6. დაწნევის დანაკარგი მილსადენის მეორე უბნიდან წყლის შესვლაზე B აუზში

$$h_{e_6} = \xi_6 \cdot \frac{v_2^2}{2g} = \frac{v_2^2}{2g}; \quad (\xi_6 = 1).$$

ამ მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$\Sigma h_e = \left[\xi_1 + \xi_2 + \lambda_1 \cdot \frac{l_1}{d_1} + \left(1 - \frac{\omega_1}{\omega_2}\right)^2 \right] \frac{v_1^2}{2g} + \left(\lambda_2 \cdot \frac{l_2}{d_2} + \xi_6 \right) \frac{v_2^2}{2g}.$$

v_1 სიჩქარე გამოვხატოთ v_2 :

$$v_1^2 = \left(\frac{\omega_2}{\omega_1} \cdot v_2 \right)^2$$

და

$$\Sigma h_e = \left\{ \left[\left(\xi_1 + \xi_2 + \lambda_1 \cdot \frac{l_1}{d_1} + \left(1 - \frac{\omega_1}{\omega_2}\right)^2 \right) \cdot \left(\frac{\omega_2}{\omega_1} \right)^2 + \lambda_2 \cdot \frac{l_2}{d_2} + \xi_6 \right] \frac{v_2^2}{2g} \right\}.$$

დავადგინოთ წინალობის კოეფიციენტთა მნიშვნელობანი (ცნობარიდან):

$$\xi_1 = 0,5, \quad \xi_2 = 0,134, \quad \lambda_1 = 0,0224, \quad \lambda_1 \frac{l_1}{d_1} = 78,4;$$

$$\left(1 - \frac{\omega_1}{\omega_2}\right)^2 = \left(1 - \frac{d_1^2}{d_2^2}\right)^2 = 0,309,$$

$$\left(\frac{\omega_2}{\omega_1}\right)^2 = 5,06, \quad \lambda_2 \cdot \frac{l_2}{d_2} = 36,0, \quad \xi_6 = 1,0.$$

კოეფიციენტების ეს მნიშვნელობანი ჩავსვათ ბოლო განტოლებაში, მივიღებთ:

$$\Sigma h_e = 438,98 \frac{v_2^2}{2g}$$

ან

$$H = 438,98 \frac{v_2^2}{2g}$$

აქედან, B რეზერვუარში წყლის შესვლის სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2g \cdot H}{438,98}} = 0,945 \text{ მ/წმ},$$

ხოლო წყლის ხარჯი

$$Q = \omega \cdot v_2 = \frac{\pi \cdot d_2^2}{2} \cdot v_2 = 0,067 \text{ მ}^3/\text{წმ} = 67 \text{ ლიტ/წმ}.$$

2. შემთხვევა A აუზი დახშულია და წყლის ზედაპირზე წნევა $p_0 = 1,5$ ატმ. დანარჩენი პირობები იგივეა რაც 1. შემთხვევაში.

(1) განტოლებიდან ამ შემთხვევისათვის მივიღებთ:

$$H + \frac{p_0 - p_{\text{ატ}}}{\gamma} = \Sigma h_e. \quad (2)$$

იგივე იქნება აგრეთვე Σh_e შემაჯალ კოეფიციენტთა მნიშვნელობა, ასე რომ

$$H + \frac{p_0 - p_{\text{ატ}}}{\gamma} = 438,98 \cdot \frac{v_2^2}{2g},$$

$$v_2 = \sqrt{\frac{2g \left(H + \frac{p_0 - p_{\text{ატ}}}{\gamma} \right)}{438,98}},$$

სადაც

$$\frac{p_0 - p_{\text{ატ}}}{\gamma} = 5,0 \text{ მ},$$

და

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_{\text{ატ}}}{\gamma} = 20 + 5 = 25 \text{ მ};$$

ამიტომ სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2g H_0}{438,98}} = 1,06 \text{ მ/წმ},$$

წყლის ხარჯი

$$Q = 0,0742 \text{ მ}^3/\text{წმ} = 74,2 \text{ ლიტ/წმ}.$$

3 შემთხვევა. A აუზი დახშულია და $p_0 = 0,6$ ატმ. = $0,6 \text{ კგ/სმ}^2$ დანარჩენი პირობები იგივეა.

ასეთ პირობებში:

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_{\text{ატ}}}{\gamma} = 20 + \frac{6000 - 10000}{1000} = 20 - 4 = 16 \text{ მ},$$

სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2g \cdot H_0}{438,98}} = 0,84 \text{ მ/წმ},$$

წყლის ხარჯი

$$Q = \frac{3,14 \cdot 0,3^2}{4} \cdot 0,84 = 0,0588 \text{ მ}^3/\text{წმ} = 58,8 \text{ ლიტ/წმ}.$$

4 შემთხვევა. A რეზერვუარი ღიაა, ხოლო B რეზერვუარი დახშულია და $p_0' = 1,8$ ატ. დანარჩენი პირობები იგივეა.

ამ შემთხვევაში (1) განტოლებიდან მივიღებთ:

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_0'}{\gamma},$$

სადაც

$$\frac{p_0 - p_0'}{\gamma} = \frac{10000 - 18000}{1000} = -8,0 \text{ მ}.$$

მიღებული მონაცემის ჩასმით მივიღებთ:

$$H_0 = H - 8,0 = 12 \text{ მ} = \Sigma h_{\Sigma},$$

სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2g \cdot H_0}{438,98}} = 0,748 \text{ მ/წმ},$$

წყლის ხარჯი

$$Q = 51,36 \text{ ლიტ/წმ}.$$

5 შემთხვევა. A რეზერვუარი ღიაა, ხოლო B რეზერვუარი დახშულია და $p_0' = 0,4$ ატ.

ამ შემთხვევაში:

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_0'}{\gamma} = 26 \text{ მ}$$

ან

$$H_0 = \Sigma h_{\Sigma} = 438,98 \frac{v_2^2}{2g},$$

სადაც სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2g H_0}{438,98}} = 1,08 \text{ მ/წმ},$$

წყლის ხარჯი

$$Q = 0,07 \cdot 1,08 = 0,0756 \text{ მ}^3/\text{წმ} = 75,6 \text{ ლიტ/წმ}.$$

6 შემთხვევა. ორივე რეზერვუარი დახშულია. A რეზერვუარში წნევა $p_0 = 1,4$ ატმ, B რეზერვუარში კი $p_0' = 0,8$ ატმ.

(1) განტოლებიდან მივიღებთ:

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_0'}{\gamma} = 20 + \frac{14000 - 8000}{1000} = 26 \text{ მ,}$$

სადაც სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2gH_0}{438,98}} = 1,08 \text{ მ/წმ,}$$

წყლის ხარჯი

$$Q = 75,6 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

7 შემთხვევა. ორივე რეზერვუარი დახშულია. A რეზერვუარში წნევა $p_0 = 0,75$ ატ., ხოლო B რეზერვუარში $p_0' = 2,1$ ატ.

ამ შემთხვევისათვის მოქმედი დაწნევა ტოლია:

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_0'}{\gamma} = 20 + \frac{7500 - 2100}{1000} = 20 - 13,5 = 6,5 \text{ მ,}$$

ხოლო სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2gH_0}{438,98}} = 0,458 \text{ მ/წმ,}$$

წყლის ხარჯი

$$Q = 0,07 \cdot 0,458 = 32 \text{ ლიტ/წმ.}$$

8 შემთხვევა. A რეზერვუარი ღიაა, ხოლო B დახშული და წნევა მასში $p_0' = 3$ ატ.

ამ შემთხვევისათვის:

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_0'}{\gamma} = 20 + \frac{10000 - 30000}{1000} = 20 - 20 = 0.$$

როგორც ვხედავთ, დაწნევა ნულის ტოლია და, მაშასადამე, მოძრაობასაც არ ექნება ადგილი.

9 შემთხვევა. ორივე რეზერვუარი დახშულია. A რეზერვუარში წნევა $p_0 = 0,8$ ატ., ხოლო B რეზერვუარში $p_0' = 1,7$ ატ.

მივიღებთ:

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_0'}{\gamma} = 11,0 \text{ მ,}$$

სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2g \cdot H_0}{438,98}} = 0,7 \text{ მ/წმ,}$$

წყლის ხარჯი

$$Q = \omega_2 \cdot v_2 = 49 \text{ ლიტ/წმ.}$$

10 შემთხვევა. *A* რეზერვუარი ღიაა. *B* რეზერვუარი არ არსებობს და გამოდინება მილის ბოლოდან (კვეთი 2'-2') პირდაპირ ატმოსფეროში ხდება.

აქ ბურნულის განტოლება უნდა შევადგინოთ 0-0 და 2'-2' კვეთებისათვის ა'-ა' საფარდ სიბრტყის მიმართ.

მივიღებთ:

$$H_0 = H + h = \frac{v_2^2}{2g} + \Sigma h_e \quad (3)$$

ვინაიდან

$$v_0 \approx 0, \quad z_0 = H + h, \quad p_0 = p_2 = p_{at},$$

v_2 საძიებელი სიჩქარეა, ხოლო

$$z_2 = 0.$$

Σh_e მნიშვნელობა აქ შემცირდება

$$h_{e_6} = \xi_6 \cdot \frac{v_2^2}{2g}$$

სიდიდით, რადგანაც გამოდინება ატმოსფეროში ხდება და არა ღონის ქვეშ, როგორც ეს წინა შემთხვევებში იყო.

ვინაიდან $\xi_6 = 1$ ამიტომ მივიღებთ:

$$\Sigma h_e = 437,98 \cdot \frac{v_2^2}{2g},$$

ხოლო (3) განტოლებიდან გამომდინარე

$$H_0 = (1 + 437,98) \cdot \frac{v_2^2}{2g} = 438,98 \frac{v_2^2}{2g} = 21,5 \text{ მ,}$$

სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2g \cdot H_0}{438,98}} = 0,98 \text{ მ/წმ,}$$

ხოლო ხარჯი

$$Q = \omega_2 \cdot v_2 = 68,60 \text{ ლიტ/წმ.}$$

11 შემთხვევა. *A* რეზერვუარი ღიაა, ხოლო *B* რეზერვუარში წნევა $p_0' = 4$ ატ. ასეთ პირობებში

$$H_0 = H + \frac{p_{at} - p_0'}{\gamma} = 20 + \frac{10000 - 40000}{1000} = -10 \text{ მ.}$$

რაც იმას ნიშნავს, რომ დინება მოხდება B რეზერვუარიდან A რეზერვუარისაკენ $H_0 = 10$ მ. დაწნევით. ამ შემთხვევაში სიჩქარე

$$v_2 = \sqrt{\frac{2g \cdot H_0}{438,98}} = 0,669 \text{ მ/წმ,}$$

ხოლო წყლის ხარჯი

$$Q = 0,07 \cdot 0,669 = 46,83 \text{ ლიტ/წმ.}$$

პიეზომეტრული დაწნევის წირის ასაგებად შევადგინოთ ბერნულის განტოლება $0-0$ და ნებისმიერ $X-X$ კვეთებისათვის $a-a$ საფარდ სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_x^2}{2g} + \frac{p_x}{\gamma} + z_x + \Sigma h_{ex}$$

აქედან (რადგანაც $v_0 \approx 0$; $z_0 = H$)

$$\frac{p_x - p_0}{\gamma} = (H - z_x) - \left(\frac{v_x^2}{2g} + \Sigma h_{ex} \right). \quad (4)$$

ამ განტოლებით შეიძლება ავაგოთ პიეზომეტრული დაწნევის მრუდი (მე-5 ამოცანის მსგავსად).

1 შემთხვევისათვის $a-a$ სიბრტყიდან მოვზომოთ

$$H - \left(\frac{v_1^2}{2g} + \Sigma h_{e0-a} \right)$$

სიდიდე სადაც Σh_{e0-a} წარმოადგენს დაწნევის დანაკარგების ჯამს $0-0$ ზედაპირიდან მილსადენის შვეული ნაწილისა და $a-a$ სიბრტყის გადაკვეთამდე.

მილსადენის $1-1$ კვეთამდე დაწნევის დანაკარგი აღვნიშნოთ Σh_{e0-1} და $a-a$ სიბრტყიდან მოვზომოთ პიეზომეტრული დაწნევის $H - \left(\frac{v_1^2}{2g} + \Sigma h_{e0-1} \right)$ სიმაღლე.

$1-1$ კვეთში მილსადენის გაფართოების გარდა მხედველობაში უნდა მივიღოთ დაწნევის დანაკარგი ნაკადის უეცრივ გაფართოებაზე (h_e)_{ა.ბ.} პიეზომეტრული სიმაღლის წარმოსადგენად $1-1$ კვეთში მილსადენის გაფართოების შემდეგ $a-a$ სიბრტყის ზემოთ უნდა მოიზომოს მონაკვეთი:

$$H - \left[\frac{v_2^2}{2g} + \Sigma h_{e0-1} + (h_e)_{ა.ბ.} \right].$$

B აუზის ზედაპირისათვის, რომელზედაც დამთხვეულია ა-ა სა-
ფარდი სიბრტყე

$$\frac{P_z - P_0}{\gamma} = 0,$$

ვინაიდან

$$P_z = P_0 = P_{ატ.}$$

დაწნევის წირი (მრული) მიიღებს (1) სახეს (იხ. ნახ. 26).

მე-2 შემთხვევისათვის პიეზომეტრული დაწნევის წირის ასაგებად ანალოგიურად მოვიქცეთ, ოღონდ H დაწნევის ნაცვლად, მეორე შემთხვევის თავისებურების გამო, უნდა განვიხილოთ დაწნევა:

$$H_0 = H + \frac{P_0 - P_{ატ.}}{\gamma} = 20 + 5 = 25 \text{ მ.}$$

ანალოგიური აგების საფუძველზე პიეზომეტრული დაწნევის წირი მიიღებს (2) სახეს (იხ. ნახ. 26).

მე-3 შემთხვევისათვის ვინაიდან

$$P_0 < P_{ატ.},$$

ამიტომ

$$\frac{P_0 - P_{ატ.}}{\gamma} = -4 \text{ მ.}$$

ხოლო წინა შემთხვევების ანალოგიურად H ნაცვლად მივიღებთ:

$$H_0 = H + \frac{P_0 - P_{ატ.}}{\gamma} = 20 - 4 = 16 \text{ მ.}$$

პიეზომეტრული დაწნევის წირი მიიღებს (3) სახეს.

მე-4 შემთხვევისათვის ვინაიდან

$$\frac{P_{ატ.} - P_0'}{\gamma} = \frac{10000 - 18000}{1000} = -8 \text{ მ,}$$

ამიტომ დაწნევა H შემცირდება 8 მეტრით, ე, ი.

$$H_0 = H + \frac{P_{ატ.} - P_0'}{\gamma} = 12 \text{ მ.}$$

მაშასადამე, B აუზის ზედაპირიდან პიეზომეტრული დაწნევა უნდა მოიზომოს 8 მეტრის სიმაღლეზე (იხ. ნახ. 26). წირი მიიღებს (4) სახეს.

მე-5 შემთხვევისათვის

$$H_0 = H + \frac{P_{ატ.} - P_0'}{\gamma} = 20 + 6 = 26 \text{ მ.}$$

მაშასადამე, B რეზერვუარის ვაკუუმეტრში წყლის ზედაპირი დაიწვეს 6 მეტრით. პიეზომეტრული დაწნევის წირი მიიღებს (5) სახეს.

მე-6 შემთხვევისათვის A რეზერვუარის ზედაპირიდან მოვზომოთ $\frac{P_0 - P_{აბ}}{\gamma} = 4$ მ. სიმაღლე, ხოლო B რეზერვუარის ზედაპირიდან კი

$$\frac{P_{აბ} - P'_0}{\gamma} = 2,0 \text{ მ.}$$

მოქმედი დაწნევა ამ შემთხვევაში

$$H_0 = H + \frac{P_0 - P_{აბ}}{\gamma} + \frac{P_{აბ} - P'_0}{\gamma} = 26 \text{ მ.}$$

ე. ი. მივიღებთ იგივე დაწნევას, რაც მე-5 შემთხვევაში გვქონდა.

პიეზომეტრული წირის აგება წინა შემთხვევების ანალოგიურია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სათანადო დაწნევის სიმაღლეები 6—6 კვების ზემოთ უნდა გადავზომოთ. პიეზომეტრული წირი მიიღებს (6) სახეს (იხ. ნახ. 26).

მე-7 შემთხვევისათვის A რეზერვუარის ზედაპირიდან ქვემოთ მოვზომოთ $\frac{P_{აბ} - P_0}{\gamma} = 2,5$ მ სიმაღლე, B აუზის ზედაპირიდან კი

$$\frac{P'_0 - P_{აბ}}{\gamma} = 11 \text{ მ.}$$

ამ შემთხვევაში

$$H_0 = H + \frac{P_0 - P_{აბ}}{\gamma} + \frac{P_{აბ} - P'_0}{\gamma} = 20 - 2,5 - 11 = 6,5 \text{ მ.}$$

დაწნევის წირის აგება მოხდება ანალოგიურად, ოღონდ სათანადო პიეზომეტრული სიმაღლეები, ამ შემთხვევაში, 7—7 სიბრტყის ზემოთ უნდა გადავზომოთ. დაწნევის წირი მიიღებს (7) სახეს.

მე-8 შემთხვევისათვის

$$H_0 = H + \frac{P_{აბ} - P'_0}{\gamma} = 20 - 20 = 0.$$

მაშასადამე, მოქმედი წნევა ნულის ტოლია. პიეზომეტრული წირი იქნება ა—ა საფარდი სიბრტყის სწვრივი წირი 8—8; იგი წარმოადგენს ჰიდროსტატიკური წნევის წირს (იხ. ნახ. 26).

მე-9 შემთხვევისათვის დაწნევის წირის აგების წესი მე-7 შემთხვევის ანალოგიურია.

მე-10 შემთხვევისათვის

$$H = \frac{v_1^2}{2g} + \Sigma h_e.$$

წირის აგების წესი წინა ამოცანის ანალოგიურია.

2'-2' კვეთისათვის:

$$\frac{p_0 - p_2}{\gamma} = 0.$$

ვინაიდან

$$p_0 = p_2 = p_{at}$$

წირი მიიღებს (10) სახეს.

მე-11 შემთხვევისათვის დაწნევის წირი აივება შემდეგი წესით: B აუზის ზედაპირიდან მოვზომოთ $\frac{p_0' - p_{at}}{\gamma} = 30$ მ. სიმაღლე. ამ სიმაღლეზე მიღებული 11—11 სიბრტყიდან ცნობილი წესით ავაგოთ წნევის წირი (იხ. ნახ. 26, წირი 11), ან რაც იგივეა, 0—0 ზედაპირიდან ზემოთ გადავზომოთ

$$H_0 = \frac{p_0' - p_{at}}{\gamma} - H = 10 \text{ მ.}$$

წყლის მოძრაობა H_0 დაწნევით B აუზიდან A აუზისაკენ წარიმართება.

დაწნევის წირის აგების წესი აღრე განხილული მაგალითების ანალოგიურია, ოღონდ პიეზომეტრიული დაწნევის სიმაღლეები უნდა გადავზომოთ 0—0 სიბრტყის ზემოთ B რეზერვუარის მხრიდან.

ამოცანა № 38. მოცემულია დახშული კურკელი. მის თავისუფალ ზედაპირზე ხელოვნურად განვითარებულია წნევა $p_0 = 1,6$ ატ. რეზერვუარიდან გამოყვანილია იელადი კვეთის მილსადენი. მილსადენის პირველი უბნის დიამეტრი $d_1 = 0,40$ მ, სიგრძე $l_1 = 50$ მ. 1—1 კვეთის შემდეგ მილის დიამეტრი იცვლება და უდრის: $d_2 = 0,10$ მ, მეორე უბნის სიგრძე $l_2 = 20$ მ, 2—2 კვეთიდან აილის დიამეტრი $d_3 = 0,30$ მ, მესამე უბნის სიგრძე $l_3 = 40$ მ, დაწნევა რეზერვუარში $H = 4,0$ მ. (იხ. ნახ. 27).

განვსაზღვროთ გამოდინების სიჩქარე v_3 , წყლის ხარჯი Q და ავაგოთ პიეზომეტრიული დაწნევის წირი მილსადენის მთელ სიგრძეზე.

ამოხსნა. შევადგინოთ ბერნულის განტოლება 0—0 და 3—3 კვეთებისათვის ა—ა სათარღი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} + z_3 + \sum h_{\Sigma}$$

სადაც

$$v_0 \approx 0; z_0 = H; z_3 = 0; p_3 = p_{at}$$

შემომოყვანილ მნიშვნელობათა ფორმულაში ჩასმის შედეგად მივიღებთ:

$$H_0 = H + \frac{p_0 - p_{at}}{\gamma} = \frac{v_3^2}{2g} + \sum h_{\Sigma} \quad (1)$$


ახლა გავარკვეით დაწნევის დანაკარგების ჯამი.

1. დაწნევის დანაკარგი ნაკადის შესვლაზე მილსადენში

$$h_{e_1} = \xi_1 \cdot \frac{v_1^2}{2g} = 0,5 \frac{v_1^2}{2g}$$

2. დაწნევის დანაკარგი მილსადენის l_1 სიგრძეზე

$$h_{e_2} = \lambda_1 \cdot \frac{l_1}{d_1} \cdot \frac{v_1^2}{2g} = 0,213 \cdot \frac{50}{0,4} \cdot \frac{v_1^2}{2g} = 2,662 \cdot \frac{v_1^2}{2g}$$



ნახ. 27.

3. დაწნევის დანაკარგი მილსადენის პირველი უბნიდან მეორე უბანში გადასვლაზე

$$h_{e_3} = \xi_2 \cdot \frac{v_2^2}{2g} = 0,25 \cdot \frac{v_2^2}{2g}$$

4. დაწნევის დანაკარგი მილსადენის l_2 სიგრძეზე

$$h_{e_4} = \lambda_2 \cdot \frac{l_2}{d_2} \cdot \frac{v_2^2}{2g} = 0,025 \cdot \frac{20}{0,10} \cdot \frac{v_2^2}{2g} = 5,0 \frac{v_2^2}{2g}$$

5. დაწნევის დანაკარგი ნაკადის შეცვარ გაფართოებაზე მილსადენის მეორე უბნიდან მესამე უბანზე გადასვლის დროს

$$h_{e_5} = \frac{(v_2 - v_3)^2}{2g} = \left(1 - \frac{\omega_2}{\omega_3}\right)^2 \frac{v_2^2}{2g} = 0,79 \frac{v_2^2}{2g}$$

6. დაწნევის დანაკარგები მილსადენის l_3 სიგრძეზე

$$h_{e_6} = \lambda_3 \cdot \frac{l_3}{d_3} \cdot \frac{v_3^2}{2g} = 0,022 \cdot \frac{40}{0,30} \cdot \frac{v_3^2}{2g} = 2,93 \frac{v_3^2}{2g}$$

ყველა სახის დანაკარგების ჯამი

$$\Sigma h_{\text{გ}} = (0,5 + 2,66) \frac{v_1^2}{2g} + (0,25 + 5,00 + 0,79) \frac{v_2^2}{2g} + 2,93 \frac{v_3^2}{2g}.$$

ამ ტოლობაში v_1 და v_2 სიჩქარეები გამოვხატოთ v_3 სიჩქარით და დაწინევის დანაკარგების ჯამის მიღებული მნიშვნელობა შევიტანოთ (1) განტოლებაში:

$$\begin{aligned} H_0 &= \frac{v_3^2}{2g} + \left[3,16 \left(\frac{\omega_3}{\omega_1} \right)^2 + 6,04 \left(\frac{\omega_3}{\omega_2} \right)^2 + 2,93 \right] \cdot \frac{v_3^2}{2g} = \\ &= (1 + 544,34) \cdot \frac{v_3^2}{2g} = 545,34 \cdot \frac{v_3^2}{2g}, \end{aligned}$$

აქედან

$$v_3 = \sqrt{\frac{2g \cdot H_0}{545,34}} = 0,60 \text{ მ/წმ},$$

სადაც

$$H_0 = H + \frac{P_0 - P_{\text{ატ}}}{\gamma} = 4 + \frac{16000 - 10000}{1000} = 10 \text{ მ}.$$

გამოდინებული ნაკადის ხარჯი

$$Q = \omega_3 \cdot v_3 = 0,042 \text{ მ}^3/\text{წმ} = 42 \text{ ლ/წმ}.$$

პიეზომეტრული დაწინევის წირის ასაგებად საჭიროა წინასწარ-ვიანგარიშით სათანადო სიჩქარის დაწინეები:

$$\frac{v_1^2}{2g} = \left(\frac{\omega_3}{\omega_1} \right)^2 \cdot \frac{v_3^2}{2g} = 0,0058 \text{ მ}.$$

ანალოგიურად:

$$\frac{v_2^2}{2g} = \left(\frac{\omega_3}{\omega_2} \right)^2 \cdot \frac{v_3^2}{2g} = 1,486 \text{ მ},$$

სადაც

$$\frac{v_3^2}{2g} = 0,0183 \text{ მ}.$$

პიეზომეტრული დაწინევის სიმაღლეების საანგარიშით მილსადენის ნებისმიერ კვეთში, გამოვიყენოთ შემდეგი გამოსახულება:

$$h_i = \frac{P_i - P_{\text{ატ}}}{\gamma} = H_0 - \left(\frac{v_i^2}{2g} + \Sigma h_{\text{გ}i} \right).$$

პიეზომეტრული დაწინევის სიმაღლეები გამოვთვალოთ შემდეგი კვეთებისათვის:

1. მილსადენის შესასვლელი კვეთისათვის

$$h_1 = H_0 - \left(\frac{v_1^2}{2g} + h_{e1} \right) = 10 - (1,0 + 0,5) \frac{v_1^2}{2g} = 9,991 \text{ მ.}$$

2. 1-1 კვეთისათვის მილსადენის პირველი უბნის ბოლოში

$$h_2 = H_0 - \left(\frac{v_1^2}{2g} + h_{e1} + h_{e2} \right) = H_0 - (1,0 + 0,5 + 2,662) \frac{v_1^2}{2g} = 9,758 \text{ მ.}$$

3. 1-1 კვეთისათვის მილსადენის მეორე უბნის მხრიდან (ნაკადის შევიწროების შემდეგ)

$$\begin{aligned} h_3 &= H_0 - \left(\frac{v_2^2}{2g} + \Sigma h_e \right) = H_0 - \frac{v_2^2}{2g} - 0,5 \frac{v_1^2}{2g} - 2,66 \frac{v_1^2}{2g} - 0,25 \frac{v_2^2}{2g} = \\ &= H_0 - 1,25 \frac{v_1^2}{2g} - 3,16 \frac{v_1^2}{2g} = 10 - 1,855 - 0,0183 = 8,127 \text{ მ.} \end{aligned}$$

4. 2-2 კვეთისათვის მილსადენის მეორე უბნის ბოლოში

$$h_4 = H_0 - \left[\frac{v_2^2}{2g} + h_{e1} + h_{e2} + h_{e3} + h_{e4} \right] = 10,0 - 9,31 = 0,69 \text{ მ.}$$

5. 2-2 კვეთისათვის მილსადენის მესამე უბნის დასაწყისში

$$\begin{aligned} h_5 &= H_0 - \left(\frac{v_3^2}{2g} + \Sigma h_{e1-5} \right) = H_0 - \left(\frac{v_3^2}{2g} + h_{e1} + h_{e2} + h_{e3} + h_{e4} + h_{e5} \right) = \\ &= 10 - (0,0183 + 0,0029 + 0,0154 + 0,372 + 7,43 + 1,172) = \\ &= 10 - 9,011 = 0,989 \text{ მ.} \end{aligned}$$

6. 3-3 კვეთში წნევა ატმოსფერული წნევის ტოლია და ამიტომ $h_6 = 0$. პიეზომეტრული დაწნევის წირი წარმოადგენს *abcdmn* ტეხილს.

ამოცანა № 39. ნაკადის ხარჯის განსაზღვრას მილსადენში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ნაკადის ხარჯის განმსაზღვრელ მოწყობილობას (იხ. ნახ. 28) ვენტურის წყალმზომი ეწოდება.

d_1 დიამეტრის მილი ორი კონუსური უბნის საშუალებით უერთდება მოკლე ცილინდრულ მილს (ჩანადგარს), რომლის დიამეტრი d_2 ტოლია. ამავე დროს $d_1 > d_2$.

გულისხმობენ, რომ ჩანადგარში დაწნევის დანაკარგი მეტად მცირეა და ამიტომ მას მხედველობაში არ ღებულობენ.

განსახილველი მილსადენები აღჭურვილია *A* და *B* პიეზომეტრული მილაკებით (იხ. ნახ. 28). ამ პიეზომეტრების ჩვენების მიხედვით განვსაზღვროთ მილსადენის ხარჯი. თუ მოცემულია: $d_1 = 0,40$ მ, $d_2 = 0,10$ მ, $h = 0,50$ მ. მილსადენი ჰორიზონტალურია.

ამოხსნა. ამოცანის გადასაწყვეტად დავწეროთ ბერნულის განტოლება 1-1 და 2-2 კვეთებისათვის ა-ა საფარდ სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} + z_1 = \frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} + z_2,$$


ხოლო ვინაიდან

$$z_1 = z_2 = 0,$$

ამიტომ

$$\frac{p_1}{\gamma} - \frac{p_2}{\gamma} = h_1 - h_2 =$$

$$= h = \frac{v_2^2 - v_1^2}{2g}, \quad (1)$$



ნახ. 28.

სადაც

$$h_1 = \frac{p_1}{\gamma} \quad \text{და} \quad h_2 = \frac{p_2}{\gamma}.$$

პიეზომეტრული სიმაღლეებია სათანადო კვეთებში. სიჩქარე v_2 გამოვხატოთ v_1 :

$$v_2 = \frac{\omega_1}{\omega_2} \cdot v_1 = v_1 \cdot \frac{d_1^2}{d_2^2}.$$

მაშინ

$$h = \frac{v_1^2}{2g} \left[\left(\frac{d_1^2}{d_2^2} \right)^2 - 1 \right],$$

სიჩქარე

$$v_1 = \sqrt{\frac{2gh}{\frac{d_1^4}{d_2^4} - 1}}.$$

წყლის ხარჯი

$$Q = k \cdot \omega_1 \sqrt{2gh},$$

სადაც

$$k = \frac{1}{\sqrt{\frac{d_1^4}{d_2^4} - 1}} = \frac{1}{\sqrt{a^4 - 1}} \quad \text{და} \quad a = \frac{d_1}{d_2}.$$

k ეწოდება ვენტურის წყალმზომის მუდმივა.

წყლის ხარჯი შეიძლება გამოისახოს შემდეგნაირად:

$$Q = k_0 \cdot \sqrt{h},$$


სადაც $k_0 = k \cdot \omega_1 \cdot \sqrt{2g} = 0,0352$

$$Q = 0,0352 \cdot \sqrt{0,5} = 0,0249 \text{ მ}^3/\text{წმ} = 24,9 \text{ ლიტ}/\text{წმ}.$$

ამოცანა № 40. არხის ტრასა იკვეთება რკინიგზის ხაზთან. საჭიროა წყლის დიუქერის საშუალებით გაყვანა რკინიგზის ქვეშ.

არხში წყლის ხარჯი ტოლია $Q = 2,0 \text{ მ}^3/\text{წმ}$, დიუქერის (მილის) სიგრძე $L = 20 \text{ მ}$, დაწნევის დანაკარგი დიუქერში H არ უნდა აღემატებოდეს $0,10 - 0,08 \text{ მ}$.

ვიზოვით მილის დიამეტრი D და ნაკადის სიჩქარე v , თუ დასაშვები სიჩქარე დიუქერში $v \leq 1,20 \text{ მ}/\text{წმ}$ (იხ. ნახ. 29).



ნახ. 29.

ამოხსნა. საკითხის გადასაწყვეტად დავწეროთ ბერნულის განტოლება არხში წყლის ზედა და ქვედა დონეთა 1-1 და 2-2 კვეთებისათვის ა-ა საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} + z_1 = \frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} + z_2 + \Sigma h_r.$$

შემოაღნიშნულ განტოლებაში $v_1 = v_2$ ვინაიდან არხის მთელ სიგრძეზე სიჩქარეები მუდმივია; გარდა ამისა:

$$z_1 + \frac{p_1}{\gamma} = H_1, \quad z_2 + \frac{p_2}{\gamma} = H_2,$$

ხოლო

$$H_1 - H_2 = H.$$

მიღებულ მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ, მივიღებთ:

$$H = \Sigma h_e. \quad (1)$$

ახლა ვიანგარიშოთ სათანადო დაწნევის დანაკარგები:

1. დაწნევის დანაკარგი ნაკადის შესვლაზე მილში

$$h_{e1} = \xi_1 \cdot \frac{v^2}{2g},$$

2. დაწნევის დანაკარგი დიუქერის ორ მოხვეულ უბანზე ($R=0,5$ მ)

$$h_{e2} = 2 \cdot \xi_2 \cdot \frac{v^2}{2g},$$

3. ხახუნით გამოწვეული დაწნევის დანაკარგი მილის მთელ სიგრძეზე

$$h_{e3} = \lambda \frac{L}{D} \cdot \frac{v^2}{2g},$$

4. დაწნევის დანაკარგი, რომელიც დაკავშირებულია ნაკადის დიუქერიდან გამოსვლასთან

$$h_{e4} = \frac{(v - v_2)^2}{2g} \approx 0,$$

ვინაიდან

$$v \approx v_2.$$

ახლა ეს მნიშვნელობები (1) განტოლებაში ჩავსვათ და მივიღებთ (ξ_1 , ξ_2 და λ გაირკვევა ჩვეულებრივი წესით):

$$H = \left(0,5 + 0,5 + \frac{0,40}{D} \right) \frac{v^2}{2g}. \quad (2)$$

ამ განტოლების მიხედვით ანგარიში მოვახდინოთ შემდეგი წესით: ვთქვათ მილის დიამეტრი $D=1,0$ მ. დიამეტრის ამ მნიშვნელობისათვის, როდესაც Q წინასწარ ცნობილია გავარკვიოთ v და H :

$$v = \frac{Q}{\omega} = \frac{4Q}{\pi D^2} = 2,548 \text{ მ/წმ},$$


$$H = \left(1 + \frac{0,40}{D} \right) \frac{v^2}{2g} = 1,40 \cdot \frac{v^2}{2g} = 0,465 \text{ მ}.$$

მაშასადამე, ჩვენთვის უკვე ნათელია, რომ H დაწნევა და v სიჩქარე, როდესაც $D=1,0$ მ ვერ აკმაყოფილებს პირობას ($0,465 > 0,10$ და $2,548 > 1,2$), ე. ი. საჭიროა დიამეტრის იმდენად გადიდება, რომ დაკმაყოფილდეს ამოცანის პირობა.

გამოთვალეთ ω , v და H სიდიდეები დიამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის და ანგარიშის შედეგი მოვათავსოთ სათანადო ცხრილში.

№№	D მ	ω მ ²	v მ/წმ	H მ
1	1.00	0.785	2,548	0.465
2	1.25	1.227	1,630	0.176
3	1.50	1.767	1,180	0.083
4	1.75	2.405	0,832	0.044
5	2.00	3.142	0,632	0.025
6	2.25	3.976	0.503	0.013
7	2.50	4.908	0.408	0.0085

ზემოთ მოცემული ცხრილიდან უკვე აღვიღია სასურველი სიჩქარის შესაბამისი D და H დადგენა.



ნახ. 30.


ზუსტი მნიშვნელობების მისაღებად სასურველია ავაგოთ მრუდები: $H = f_1(D)$, $v = f_2(D)$ (იხ. ნახ. 30).

მაგალითად $H=0,10$ მ მნიშვნელობისათვის განვსაზღვროთ შესაბამისი ψ და D .

ამისათვის $H=0,10$ მ მნიშვნელობიდან გავატაროთ აბსცისთა ღერძის სწვრივი ხაზი (იხ. ნახ. 30), ვიდრე არ გადაიკვეთება $H=f_1(D)$ მრუდი. გადაკვეთის წერტილი (ა) დავაგეგმილოთ აბსცისთა ღერძზე და ამოვიკითხოთ შესაბამისი მნიშვნელობა $D=1,45$ მ. იმავე (ა) წერტილიდან აღვმართოთ შვეული წირი, ვიდრე იგი (ბ) წერტილში არ გადაკვეთავს $\psi=f_2(D)$ მრუდს. ამ წერტილიდან გავატაროთ აბსცისთა ღერძის სწვრივი წირი, ვიდრე არ გადაკვეთავთ (ψ) ორდინატთა ღერძს. გადაკვეთის წერტილი მოგვცემს: $\psi=1,175$ მ/წმ.

როგორც ვხედავთ, მიღებული დიამეტრის დროს, მილში განვითარებული სიჩქარე არ აღემატება დასაშვებ მნიშვნელობას ($1,175 < < 1,20$ მ/წმ).

ამოცანა № 41. მოცემულია ტუმბოს შემწოვი მილი, რომლის დიამეტრი $d=0,30$ მ, მილის სიგრძე $l=40$ მ, წყლის ხარჯი $Q=0,120$ მ³/წმ. ტუმბოს ღერძი მდებარეობს ჭაში წყლის დონიდან $h_0=5,0$ მ სიმაღლეზე (იხ. ნახ. 31), ვაკუუმის დასაშვები სიმაღლე $h_{\text{ვაკ}}=7,0$ მ.



ნახ. 31.

გავარკვიოთ სამი მთავარი საკითხი:

1. ვაკუუმის სიდიდე შემწოვი მილის ნებისმიერ X—X კვეთში;
2. ტუმბოს ღერძის მდებარეობა, როდესაც ცნობილია ვაკუუმის

სიმაღლე და

3. გავიანგარიშოთ მილის დიამეტრი D .

ნ. პ. ჯიქია

ამოხსნა. 1. ვაკუუმის სიმაღლის საანგარიშოდ დაწვეროთ ბერნულის განტოლება $0-0$ და $X-X$ კვეთებისათვის იმავე $0-0$ საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_x^2}{2g} + \frac{p_x}{\gamma} + z_x + \Sigma h_{\ell}$$

ხოლო რადგან

$$v_0 \approx 0, v_x = v, z_0 = 0, z_x = h_{\delta}, p_0 = p_{at},$$

ამიტომ

$$h_{\text{ვაკ.}} = \frac{p_{at} - p_x}{\gamma} = \frac{v^2}{2g} + h_{\delta} + \Sigma h_{\ell}$$

ვიანგარიშით სხვადასხვა სახის დაწნევის დანაკარგები:

ა) წყლის შესვლაზე მიღში (ბადის გავლით)

$$h_{\ell_1} = \xi_1 \cdot \frac{v^3}{2g} = 5 \cdot \frac{v^2}{2g}$$

სადაც $\xi_1 = 5$ (იხ. ცნობარი),

ბ) მილსადენის მოხვეულ უბანზე

$$h_{\ell_2} = \xi_2 \cdot \frac{v^2}{2g} = 0,138 \frac{v^2}{2g}$$

გ) მილსადენის l სიგრძეზე

$$h_{\ell_3} = \lambda \cdot \frac{l}{d} \cdot \frac{v^2}{2g} = 0,0216 \cdot \frac{40}{0,3} \cdot \frac{v^2}{2g} = 2,88 \frac{v^2}{2g}$$

სხვადასხვა სახის დანაკარგების შეჯამების შემდეგ მივიღებთ:

$$\Sigma h_{\ell} = 8,018 \frac{v^2}{2g}$$

სიჩქარე მილსადენში

$$v = \frac{Q}{\omega} = 1,7 \text{ მ/წმ,}$$

ვაკუუმის სიმაღლე

$$h_{\text{ვაკ.}} = h_{\delta} + (1 + 8,018) \cdot \frac{v^2}{2g} = 6,33 \text{ მ.}$$

მიღებული ვაკუუმის სიმაღლე დასაშვებია.

2. გავარკვიოთ ტუმბოს ღერძის მდებარეობა, როდესაც წინასწარ მოცემულია $h_{\text{ვაკ.}} = 6,0$ მ:

$$h_{\text{ვაკ.}} = \frac{p_{at} - p_x}{\gamma} = \frac{v^2}{2g} + h_{\delta} + \Sigma h_{\ell}$$

აქნდან

$$h_{\delta} = h_{\text{ვკ}} - \left(\frac{v^2}{2g} + \Sigma h_{\Sigma} \right) = h_{\text{ვკ}} - 9,018 \frac{v^2}{2g} = 4,67 \text{ მ.}$$

ამრიგად, ტუმბოს ღერძი უნდა დავაყენოთ ქაში წყლის ზედაპირიდან 4,67 მ სიმაღლეზე.

3. დიამეტრის ანგარიში უნდა ჩატარდეს შემდეგი წესით: დავწეროთ გამოსახულება ვაკუუმის სიმაღლისათვის

$$h_{\text{ვკ}} = \frac{v^2}{2g} + h_{\delta} + \Sigma h_{\Sigma} = h_{\delta} + \left(1 + \xi_1 + \xi_2 + \lambda \frac{l}{d} \right) \cdot \frac{v^2}{2g},$$

ამიტომ სიჩქარე

$$v = \sqrt{\frac{2g(h_{\text{ვკ}} - h_{\delta})}{1 + \xi_1 + \xi_2 + \lambda \cdot \frac{l}{d}}},$$

ხარჯი

$$Q = \omega \cdot \frac{1}{\sqrt{1 + \xi_1 + \xi_2 + \lambda \cdot \frac{l}{d}}} \cdot \sqrt{2g(h_{\text{ვკ}} - h_{\delta})},$$

მაგრამ თუ აღვნიშნავთ:

$$\varphi = \frac{1}{\sqrt{1 + \xi_1 + \xi_2 + \lambda \cdot \frac{l}{d}}},$$

მაშინ საბოლოოდ

$$Q = \varphi \cdot \omega \cdot \sqrt{2g(h_{\text{ვკ}} - h_{\delta})}. \quad (1)$$

დიამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის ვიანგარიშოთ φ , ω და Q . მიღებული მონაცემებით შევადგინოთ ცხრილი (ქვემოთ მოცემული ფორმის მიხედვით).

№№	d	φ	v	ω	Q


ცხრილის მონაცემების მიხედვით ავაგოთ მრუდი:

$$d = f(Q),$$

ხოლო ამ მრუდიდან უკვე შეგვიძლია ვიპოვოთ დიამეტრის ის მნიშვნელობა, რომელიც შეესაბამება მოცემულ წყლის ხარჯს $Q=0,12$ მ³/წმ.

სათანადო რიცხვითი ანგარიშების წარმოებას ცხრილის შესადგენად და საკითხის ამოსახსნელად ვანდობთ მკითხველს.

ამოცანა № 42. ჰიდროელსადგურის სადაწნეო მილსადენის სიგრძე $L=160$ მ, დიამეტრი $D=1,60$ მ. მილსადენით მიწოდებული ნაკადი ამოდრავებს თარაზულღერძიან ტურბინს. ტურბინის მუშა თვლის გავლით წყლის ნაკადი გადადის შემწოვ მილში და შემდეგ უერთდება სადგურის ქვედა წყლის დონეს; შემწოვი მილის სიგრძე $L_1=6,15$ მ, შესასვლელი კვეთის დიამეტრი $D_1=1,30$ მ, გამოსასვლელი კვეთისაკი $D_2=2,10$ მ. საწნეო აუზის წყლის ზედაპირის აბსოლუტური ნიშნული $225,7$ მ ტოლია, ქვედა დონის $178,7$ მ, $H=47$ მ, $H_2=4,5$ მ, $h=0,5$ მ, წყლის ხარჯი $Q=6,66$ მ³/წმ, სიჩქარე მილსადენში $v=3,30$ მ/წმ (იხ. ნახ. 32).



ნახ. 32.

ვიანგარიშოთ:

1. დაწინევის სიდიდე, რომელიც გამოიყენება ტურბინის მიერ ჰიდროავლიკურ წინაღობათა მხედველობაში მიუღებლად და ფაქტიური დაწინევა;
2. ვაკუუმის სიდიდე შემწოვ მილში.

ამოხსნა. დაწნევის სიდიდის დასადგენად შევადგინოთ ბერნულის განტოლება $0-0$ და $1-1$ კვეთებისათვის $a-a$ საფარდი სიბრტყის მიმართ (წინალობას მხედველობაში არ ვიღებთ). საწნეო აუზი ამ შემთხვევაში წარმოვიდგინოთ სასრულო ზომის რეზერვუარის სახით. მაშინ ბერნულის განტოლება დაიწერება შემდეგნაირად:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} + z_1. \quad (1)$$

ბერნულის განტოლება დაეწეროთ აგრეთვე $2-2$ და $3-3$ კვეთებისათვის $a'-a'$ სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} + z_2 = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} + z_3. \quad (2)$$

(1) განტოლების წევრი $z_1=0$, რადგან $a-a$ სიბრტყე ემთხვევა $1-1$ კვეთის სიმძიმის ცენტრს; $z_0=H-H_1$; $v_0 \approx 0$. (1) განტოლების მარჯვენა ნაწილი გამოხატავს ნაკადის სრულ ხვედრით ენერგიას $1-1$ კვეთში

$$\left(\mathcal{E}_1 = \frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} \right).$$

(2) განტოლებაში $z_2=H_1$; $z_3=-h$; ასე რომ (2) განტოლება შემდეგნაირად დაიწერება:

$$\frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} - (H_1+h). \quad (2)$$

ამ განტოლების მარცხენა ნაწილი წარმოადგენს სრულ ხვედრით ენერგიას $2-2$ კვეთში

$$\left(\mathcal{E}_2 = \frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} \right).$$

$\mathcal{E}_1 - \mathcal{E}_2$ სხვაობა გამოხატავს კუთრი ენერგიის იმ ნაწილს, რომელიც იდეალური სითხის შემთხვევაში გადაეცემა ნაკადიდან ტურბინის ფრთებს (ჩიხბებს). თუ ამ სხვაობას აღვნიშნავთ $\Delta \mathcal{E}$ -თი, მაშინ

$$\begin{aligned} \Delta \mathcal{E} &= \mathcal{E}_1 - \mathcal{E}_2 = \frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + (H-H_1) - \left[\frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} - (H_1+h) \right] = \\ &= \frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + H - H_1 - \frac{v_3^2}{2g} - \frac{p_3}{\gamma} + H_1 + h. \end{aligned}$$

აქ მივიღოთ $v_0 \approx 0$; $v_3 \approx 0$; $p_3 = p_{ატ.} + \gamma h$; $\frac{p_3}{\gamma} = \frac{p_{ატ.}}{\gamma} + h$ და $p_0 = p_{ატ.}$ ახლა ჩავსვათ ეს მნიშვნელობანი ბოლო განტოლებაში და მივიღებთ:

$$\Delta y = \frac{P_{\text{ახ}}}{\gamma} + H - H_1 - \frac{P_{\text{ახ}}}{\gamma} - h + H_1 + h = H,$$

მ. ი.

$$\Delta y = H.$$

როგორც ვხედავთ, იდეალური სითხის შემთხვევაში ტურბინა იყენებს ჰეს-ის ძალოვანი კვანძის სრულ დაწნევას H , რომელიც წარმოადგენს საწნეო აუზისა და ქვედა წყლის დონეთა შორის ვერტიკალურ მანძილს.

ტურბინის ფაქტიური დაწნევის გამოსარკვევად, რომელიც საჭიროა სადგურის სიმძლავრის საანგარიშოდ, მხედველობაში უნდა მივიღოთ დაწნევის დანაკარგები არსებულ ჰიდროავლიკურ წინაღობათა გადალახვაზე.

1. დაწნევის დანაკარგი ნაკადის გავლის დროს გისოსში (საწნეო აუზში, მილსადენში შესვლამდე):

$$h_{e1} = \frac{v_1^2 - v_0^2}{2g},$$

სადაც v_0 არის ნაკადის ე. წ. მოსვლის სიჩქარე, ხოლო v_1 — გისოსში განვითარებული სიჩქარე და იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$v_1 = \frac{a+d}{d} \cdot \frac{1}{\eta} \cdot \frac{Q}{h \cdot l},$$

სადაც a არის გისოსის ღეროებს შორის მანძილი და 0,10 მ უდრის,

d — გისოსის ღეროს დიამეტრი, $d=0,04$ მ,

η — მარგი ქმედების კოეფიციენტი, $\eta=0,811$,

Q — გისოსში გავლილი წყლის ხარჯი, $Q=6,66$ მ³/წმ.

l — გისოსის ღეროების სიგრძე, $l=3,98$ მ.

ამრიგად ანგარიშის შედეგად მივიღებთ: $v_1=2,045$ მ/წმ და $v_0 = \frac{Q}{\omega} = 0,523$ მ/წმ, ხოლო საბოლოოდ:

$$h_{e1} = \frac{v_1^2 - v_0^2}{2g} = 0,20 \text{ მ.}$$

ჰიდროენერგეტიკული პრაქტიკის უმეტეს შემთხვევებში ჰეს-ის საწნეო მილსადენს არ გააჩნია მოხვეული უბნები, ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ადგილობრივი წინაღობა, ამიტომ ასეთ შემთხვევებში ნ. ჰავლოვსკის რჩევით, საკმარისია გამოვთვალოთ დაწნევის დანაკარგები მილსადენის სიგრძეზე:

$$h_{e2} = \lambda \frac{L}{D} \cdot \frac{v^2}{2g} = 1,11 \text{ მ.}$$

ნაკადის ჯამური დაწნევის დანაკარგი საწნეო მილსადენში

$$\Sigma h_e = h_{e_1} + h_{e_2} = 1,31 \text{ მ.}$$

ნაკადის ფაქტიური მოქმედი დაწნევა, რომელიც გამოიყენება სადგურის ძალოვან დანადგარზე

$$H' = H - \Sigma h_e = 47,0 - 1,31 = 45,69 \text{ მ.}$$

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული დაწნევის დანაკარგების ანგარიშის დროს მხედველობაში არ მიგვიღია დანაკარგები ტურბინაში, შემწვოვ მილში და სხვა. ეს დანაკარგები მხედველობაში მიიღებინა სადგურის სიმძლავრის გაანგარიშების დროს, რომელსაც ამ ამოცანაში არ ვიხილავთ.

ახლა გავარკვიოთ, არსებობს თუ არა შემწვოვ მილში ვაკუუმი და თუ არსებობს, სცილდება თუ არა იგი დასაშვებ ზღვარს.

ამ მიზნით შევადგინოთ ბერნულის განტოლება ნაკადის 2-2 და 3-3 კვეთებისათვის ა'-ა' საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} + z_2 = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} + z_3 + \Sigma h_e,$$

სადაც

$$z_2 = H; \quad z_3 = -h.$$

ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$\frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} + H_1 = \frac{v_3^2}{2g} + \frac{p_3}{\gamma} - h + \Sigma h_e.$$

აქედან:

$$\frac{p_3 - p_2}{\gamma} = \frac{v_2^2}{2g} - \frac{v_3^2}{2g} + H_1 + h - \Sigma h_e,$$

ხოლო როგორც ზემოთ აღვნიშნეთ:

$$\frac{p_3}{\gamma} = \frac{p_{at}}{\gamma} + h$$

და ამიტომ:

$$\frac{p_{at} - p_2}{\gamma} + h = \frac{v_2^2 - v_3^2}{2g} + H_1 + h - \Sigma h_e,$$

ანუ, ვაკუუმის სიმაღლე 2-2 კვეთში

$$\frac{p_{at} - p_2}{\gamma} = \frac{v_2^2 - v_3^2}{2g} + H_1 - \Sigma h_e. \quad (3)$$

როგორც ვხედავთ, ამ განტოლების მარჯვენა ნაწილი დადებითი

სიდიდეა, რადგანაც H_1 დადებითია, $v_2 > v_3$ და Σh_e შედარებით მცირე სიდიდეა.

ვიანგარიშით Σh_e .

1. დაწნევის დანაკარგი მილსადენის მოხვეულ უბანზე (მოხვეულობის რადიუსი $R=0,50$ მ)

$$h_{e1} = \xi \frac{v_2^3}{2g} = 0,170 \text{ მ,}$$

სადაც:

$$v_2 = \frac{Q}{\omega} = \frac{6,66}{4,3} = 5 \text{ მ/წმ,}$$

ხოლო

$$\xi = 0,133$$

2. დაწნევის დანაკარგი შემწოვ მილში ვიანგარიშით პროფ. ი. ესმანის ფორმულით:

$$h_{e2} = 0,008 \left(\frac{1}{D_1^4} - \frac{1}{D_2^4} \right) \frac{Q^2}{\text{tg} \frac{d}{2}},$$

სადაც

D_1 არის შემწოვი მილის შესასვლელი დიამეტრი, $D_1 = 1,31$ მ,

D_2 — შემწოვი მილის გამოსასვლელი დიამეტრი, $D_2 = 2,10$ მ,

α — მილის კონუსური განშლის კუთხე, $\alpha = 7^\circ 20'$

Q — წყლის ხარჯი რომელიც 6,66 მ/წმ უდრის.

ამ მნიშვნელობების საანგარიშო ფორმულაში ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$h_{e2} = 1,526 \text{ მ,}$$

ხოლო დაწნევის დანაკარგების ჯამი

$$\Sigma h_e = h_{e1} + h_{e2} = 0,173 + 1,526 = 1,70 \text{ მ.}$$

ებლა გავიგოთ გამოსასვლელი სიჩქარე v_3 :

$$v_3 = \frac{Q}{\omega_3} = 1,92 \text{ მ/წმ.}$$

შესაბამისი წევრების მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ (3) განტოლებაში ვიპოვნით შემწოვ მილში ვაკუუმის სიდიდეს:

$$h_{3\text{ვ.}} = \frac{p_{at} - p_2}{\gamma} = \frac{v_2^2 - v_3^2}{2g} + H_1 - \Sigma h_e = 3,41 \text{ მ.}$$


როგორც ვხედავთ ფაქტიურად განვითარებული ვაკუუმის სიდიდე არ აღემატება დასაშვებ (ზღვრულ) მნიშვნელობას, რადგანაც

$$h_{\text{ვაკ.}} = 3,71 < 7,0 \text{ მ.}$$

ამოცანა № 43. ღია აუზიდან შვეული მილით წყალი გაედინება ქვემოთ განლაგებულ აუზში (იხ. ნახ. 33). მილის სიგრძე $H=20$ მ, წყლის სიღრმე აუზში $h=1,5$ მ. მილის დიამეტრი $d=0,20$ მ. მილის დასაწყისში ჩართულია ონკანი.

საჭიროა დავადგინოთ მილში წყლის მოძრაობის ხასიათი, მისი სიჩქარე და ხარჯი.

ამოხსნა. შვეადგინოთ ბერნულის განტოლება აუზის თავისუფალი ზედაპირის 0-0 და მილსადენის გამოსასვლელ ა-ა კვეთებისათვის, იმავე ა-ა საფარდ სიბრტყის მიმართ:



ნახ. 33.

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v^2}{2g} + \frac{p}{\gamma} + z + \Sigma h_e$$

რადგანაც

$$v_0 \approx 0, p_0 = p = p_{\text{ატ}}, z_0 = h + H \text{ და } z = 0$$

ბერნულის განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$h + H = \frac{v^2}{2g} + \Sigma h_e. \quad (1)$$

ახლა ვიანგარიშოთ დაწნევის დანაკარგების ჯამი.

1. დაწნევის დანაკარგი ბილსადენის დასაწყისში მოწყობილი ონკანის ფარგლებში

$$h_{e_1} = \xi \cdot \frac{v^2}{2g}.$$

2. დაწნევის დანაკარგი განსახილველი მილსადენის სიგრძეზე

$$h_{e_2} = \lambda \cdot \frac{L}{d} \cdot \frac{v^2}{2g},$$

სადაც ჩვენს შემთხვევაში $L=H$.

ჩავსვათ ეს მნიშვნელობები (1) განტოლებაში და მივიღებთ:

საიდანაც

$$h+H = \left(1 + \xi + \lambda \cdot \frac{L}{d}\right) \frac{v^2}{2g},$$

$$\frac{v^2}{2g} = \frac{h+H}{1 + \xi + \lambda \cdot \frac{H}{d}}. \quad (2)$$

ებლა განვსაზღვროთ ვაკუუმის სიდიდე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მილსადენის რომელიმე კვეთში.

შევადგინოთ ბერნულის განტოლება მილსადენის ნებისმიერ $x-x$ და $a-a$ კვეთებისათვის იგივე $a-a$ საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_x^2}{2g} + \frac{p_x}{\gamma} + z_x = \frac{v^2}{2g} + \frac{p}{\gamma} + z + \Sigma h_r.$$

ამ გამოსახულებაში

დაწნევის დანაკარგი $z_x = h_x$, $z = 0$ $p = p_a$ და $v_x = v$.

$$h_r = \lambda \cdot \frac{h_x}{d} \cdot \frac{v^2}{2g}.$$

ამრიგად,

$$\frac{v_x^2}{2g} + \frac{p_x}{\gamma} + h_x = \frac{v^2}{2g} + \frac{p_a}{\gamma} + \lambda \cdot \frac{h_x}{d} \cdot \frac{v^2}{2g}.$$

აქედან ვაკუუმის სიმაღლე

$$h_{\text{ვაკ.}} = \frac{p_a - p_x}{\gamma} = h_x - \lambda \cdot \frac{h_x}{d} \cdot \frac{v^2}{2g} = h_x \cdot \left(1 - \frac{\lambda}{d} \cdot \frac{v^2}{2g}\right).$$

ამ განტოლებაში (2) განტოლებიდან $\frac{v^2}{2g}$ მნიშვნელობა ჩავსვათ და მივიღებთ;

$$h_{\text{ვაკ.}} = h_x \cdot \left(1 - \frac{\lambda}{d} \cdot \frac{h+H}{1 + \xi + \lambda \cdot \frac{H}{d}}\right). \quad (3)$$

როგორც ვხედავთ h_x -ის გაზრდასთან ერთად იზრდება $h_{\text{ვაკ.}}$ შესაძლოა სიდიდე და თუ $h_x = H$ მაშინ $h_{\text{ვაკ.}}$ მაქსიმალური იქნება. (3) განტოლების მარჯვენა ნაწილის ფრჩხილებში მოცემული წილადის მრიცხველი და მნიშვნელი გაყვით λ -ზე, და მივიღოთ, რომ $h_x = H$:

$$(h_{\text{ვაკ.}})_{\text{max}} = H \cdot \left[1 - \frac{1}{d} \cdot \frac{h+H}{\left(\frac{1+\xi}{\lambda} + \frac{H}{d}\right)}\right]. \quad (4)$$

ბოლო განტოლებიდან ირკვევა, რომ ონკანის ადგილობრივი დანაკარგის კოეფიციენტის (ξ) გადიდებით, $h_{3\alpha}$ -ის სიდიდე იზრდება, ხოლო h -ის და d გადიდებით ვაკუუმში მცირდება. თეორიულად უდიდესი ვაკუუმში იმ შემთხვევაში შეიქმნება, როდესაც

$$\lambda = 0 \text{ (მაშინ } h_{3\alpha} = H).$$

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ონკანის წინააღმდეგობის კოეფიციენტის (ξ) სიდიდე დამოკიდებულია ონკანის მობრუნების კუთხეზე.

მაგალითისათვის ონკანის მობრუნების კუთხე β მივიღოთ 20° ტოლი. ამ შემთხვევაში $\xi = 1,54$.

(2) განტოლებიდან ვიანგარიშოთ:

სიჩქარე

$$v = \sqrt{\frac{2g(h+H)}{1+\xi+\lambda \cdot \frac{H}{d}}} = 9,17 \text{ მ/წმ}$$

და ხარჯი

$$Q = \omega \cdot v = \frac{\pi d^2}{4} \cdot v = 0,288 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ვაკუუმის სიმაღლე (4) განტოლებიდან

$$(h_{3\alpha})_{\max} = 9,4 \text{ მ.}$$

ვაკუუმის სიმაღლე 1—1 კვეთისათვის, როდესაც $h_x = 15$ მ (3) განტოლების თანახმად $h_{3\alpha} = 7,06$ მ.

დიამეტრის შემცირებით, ვაკუუმშიც მცირდება. მაგალითად, თუ $d = 0,12$ მ, მაშინ $(h_{3\alpha})_{\max} = 8,2$ მ, ხოლო თუ $d = 0,10$ მ, მაშინ $(h_{3\alpha})_{\max} = 6,0$ მ. და ა. შ.

მილსადენის დიამეტრის მნიშვნელობისათვის $d = 0,1$ მ. ვიანგარიშოთ სათანადო სიჩქარე v და ხარჯი Q . ვღებულობთ $v = 7,47$ მ/წმ და ხარჯი $Q = 0,056$ მ³/წმ. შვეული მილის პრაქტიკული გამოყენების შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ონკანის მობრუნების β კუთხის ისეთი მნიშვნელობის პოვნა, რომლის დროსაც მივიღებთ $h_{3\alpha}$ -ის სასურველ სიდიდეს.


დაუშვათ $d = 0,10$ მ და $\lambda = 0,023$.

მილსადენის მოცემული ზომებისათვის ვცვალოთ ონკანის მობრუნების კუთხე: $\beta = 5^\circ, 10^\circ, 15^\circ, 20^\circ, 25^\circ, 30^\circ, 40^\circ$ და ვიანგარიშოთ შესაბამისი ξ და $h_{3\alpha}$ (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი).

№№	1	2	3	4	5	6	7
β	5°	10°	15°	20°	25°	30°	40°
ξ	0,24	0,52	0,90	1,54	2,51	3,91	6,22
$h_{\text{ვკ}}$	6,0	7,0	8,2	9,8	11,5	13,1	14,8

ცხრილიდან ვასკვნით, რომ როდესაც $d=0,10$, $\lambda=0,023$ და $\beta=10^\circ$ ვღებულობთ ვაკუუმის პრაქტიკულად დასაშვებ სიდიდეს $h_{\text{ვკ}}=7,0$ მ. მაშასადამე, შვეული მილის გამოყენების დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვაკუუმის სიდიდის დადგენას.

ამოცანა № 44. რკინიგზის ლიანდაგს ჰყვეთს წყლის ნაკადი (ღე-ლე), რომლის ხარჯი ნიაღვრის დროს $Q_{\text{max}}=15,0$ მ³/წმ. ნაკადი უნდა ვავატაროთ რკინიგზის ქვეშ მილით (იხ. ნახ. 34).



ნახ. 34.

ვიანგარიშით მილის დიამეტრი D , თუ დასაშვები სიჩქარე მილში $v=7,0$ მ/წმ, მილის სიგრძე $L=60,0$ მ. და $H_2=6,8$ მ. დიამეტრი უნდა შეირჩეს ისე, რომ ლიანდაგის შემადგენელი წყლის ჰორიზონტის ზემოთ მილის წინ 1 მ ნაკლები არ იყოს, ე. ი. დავაკმაყოფილოთ პირობა $h \geq 1,0$ მ.

ამოხსნა ერთის მხრივ მილსადენის კვეთის ფართი

$$\omega = \frac{Q}{v} = 2,14 \text{ მ}^2,$$

მეორეს მხრივ

$$\omega = \frac{\pi D^2}{4} = 2,14 \text{ მ}^2,$$

სადაც

$$D = \sqrt{\frac{4 \cdot \omega}{\pi}} = 1,65 \text{ მ,}$$

ხოლო თუ ავიღებთ, რომ $D = 1,70$ მ მაშინ:

$$\omega = \frac{\pi D^2}{4} = 2,27 \text{ მ}^2,$$

მიღებული დიამეტრის შესაბამისი სიჩქარე კი

$$v = \frac{Q}{\omega} = 6,6 \text{ მ/წმ.}$$

ახლა გავიგოთ წყლის მაქსიმალური დონე H_1 მილსადენის წინ მიღებული დიამეტრის შემთხვევაში.

ამ მიზნით დავწეროთ ბერნულის განტოლება წყლის ზედა დონისა და მილის გამოსასვლელი კვეთისათვის ა—ა საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} + z_1 + \Sigma h_e,$$

სადაც

$$v_0 \approx 0, p_0 = p_1 = p_a, z_0 = H_1 \text{ და } z_1 = 0$$

ამ მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ

$$H_1 = \frac{v_1^2}{2g} + \Sigma h_e. \quad (1)$$

ახლა დავადგინოთ წინალობის სათანადო კოეფიციენტები:

1. წინალობის კოეფიციენტი ნაკადის შესვლაზე მილში:

$$\xi_1 = 0,50,$$

2. მილის სიგრძეზე ხახუნის კოეფიციენტი

$$\xi_2 = \lambda \cdot \frac{L}{D} = 0,776,$$

სადაც

$$\lambda = 0,022,$$

ხოლო კოეფიციენტთა ჯამი

$$\Sigma \xi = \xi_1 + \xi_2 = 0,50 + 0,776 = 1,276.$$

ახლა ჩავსვათ ეს მნიშვნელობა (1) განტოლებაში და მივიღებთ:

$$H_1 = \frac{v_1^2}{2g} + 1,276 \frac{v_1^2}{2g} = (1 + 1,276) \cdot \frac{v^2}{2g} = 5,05 \text{ მ.}$$

H_1 -ის ეს მნიშვნელობა ვერ აკმაყოფილებს პირობას, რადგანაც

$$H_1 = 5,05 > \left(H_2 - h - \frac{D}{2} \right) = 4,95,$$

ხოლო

$$h = 0,9 < 1,0 \text{ მ.}$$

ამიტომ საჭიროა გავადიდოთ დიამეტრი, კერძოდ თუ მივიღებთ, რომ $D = 1,80 \text{ გ}$ მაშინ:

$$\omega = 2,545 \text{ მ}^2; v_1 = \frac{Q}{\omega} = 5,9 \text{ მ/წმ},$$

$$\Sigma \xi = \left(0,50 + 0,022 \cdot \frac{60}{1,8} \right) = 1,23,$$

$$H_1 = (1 + 1,23) \cdot \frac{v^2}{2g} = 4,007 \text{ მ.} < \left(H_2 - h - \frac{D}{2} \right) = 4,90 \text{ მ.}$$

ამრიგად, პირობა დაკმაყოფილებულია გარკვეული მარაგით და საბოლოოდ D უნდა ავიღოთ $1,8 \text{ მ}$ ტოლი.

ამოცანა № 45. არხი ჰყვეთს ღრმა ხევს. საჭიროა არხის გადაყვანა ხევზე და ხევის მაქსიმალური ხარჯის ბეტონის მილით არხის ქვეშ ვატარება. მილის სიმაღლე მილის ზემოთ $h_1 = 5,0 \text{ მ}$, წყლის სიღრმე არხში $h_2 = 3,0 \text{ მ}$, ბეტონის მილის სიგრძე $L = 60,0 \text{ მ}$. იმისათვის, რომ არხის კედლებზე არ განვითარდეს ხევის ფილტრაციული წყლის წნევა, საჭიროა მილის დიამეტრი ისე შევარჩიოთ, რომ წყლის სიღრმე მილის წინა კმაყოფილებს პირობას: $H = D + h_1 - 2$.

ამ სიღრმის მიხედვით უნდა გავამაგროთ მილის შესავალი ნაწილი. ხევის მაქსიმალური ხარჯი $Q = 10,0 \text{ მ}^3/\text{წმ}$. სიჩქარე მილში არ უნდა აღემატებოდეს $8,5 \text{ მ/წმ}$ (იხ. ნახ. 35).

ამოხსნა. განვიხილოთ ორი საანგარიშო შემთხვევა:

1. მილის ბოლოში წყლის სიღრმე $h < D$ და
2. მილის ბოლოში წყლის სიღრმე $h > D$.

იმ შემთხვევაში, როდესაც სიჩქარე წინასწარ ცნობილი არ არის, ამოცანის ამოხსნა უნდა მოვახდინოთ დიამეტრის შერჩევის საფუძველზე. ამოცანა გადავწყვიტოთ ბერნულის განტოლების გამოყენების გარეშე.

მილის წინაღობისა და ხარჯის კოეფიციენტები ξ და μ დამოკიდებული არიან დიამეტრზე, და ამიტომ წინასწარ უნდა დავუშვათ დიამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობანი და მათ მიხედვით გამოვთვალოთ შესაბამისი ჰიდრაულიკური ელემენტები: ξ , μ , ω , H , Q და v .

ავიღოთ:

$$D = 1,00 \text{ მ,}$$


მაშინ,

$$H = 1 + 5 - 2 = 4,0 \text{ მ}$$

და

$$\Sigma \xi = \xi_1 + \xi_2 = \xi_1 + \lambda \frac{L}{D} = 2,0,$$

სადაც ξ_1 არის წინალობის კოეფიციენტი ნაკადის მილში შესვლაზე,
 ξ_2 —მილის სიგრძეზე.



ნახ. 35.

აქედან ხარჯის კოეფიციენტი, როდესაც წყლის დონე მილიდან გამოსვლის დროს დაბალია

$$\mu = \sqrt{\frac{1}{1 + \Sigma \xi}} = 0,58,$$

ხარჯი

$$Q = \mu \cdot \omega \sqrt{2gH_1} = 6,507 \text{ მ}^3/\text{წმ.},$$

იგულისხმება, რომ $\mu = \varepsilon \varphi$, სადაც $\varepsilon = 1$ ხოლო დაწნევა მილის წინ

$$H_1 = H - \frac{D}{2} = 4,0 - 0,5 = 3,5 \text{ მ},$$

$$\omega = \frac{\pi D^2}{4} = 0,785 \text{ მ}^2,$$

სიჩქარე


$$v = \frac{Q}{\omega} = 8,29 \text{ მ/წმ.}$$

როგორც ვხედავთ დიამეტრის მიღებული მნიშვნელობა $D=1,0$ მ ვერ აკმაყოფილებს მაქსიმალური ხარჯის გატარების პირობას, ამიტომ განხილული წესით გამოთვალეთ ყველა პიდრაველიკური ელემენტი დიამეტრის შემდეგი მნიშვნელობებისათვის: $D=1,0; 1,5; 2,0; 2,5; 3,0$ და $3,5$ მ. ანგარიშის შედეგები შევიტანოთ 1 ცხრილში.

ცხრილი 1

№№	D მ	ξ	μ	ω მ²	H₁ მ	Q მ³/წმ	v მ/წმ
1	1,0	2,000	0,580	0,785	3,50	6,507	8,29
2	1,5	1,428	0,263	1,767	3,25	14,101	8,02
3	2,0	1,172	0,211	3,142	3,00	24,099	7,67
4	2,5	1,028	0,223	4,909	2,75	36,081	7,35
5	3,0	0,952	0,225	7,069	2,50	49,483	7,00
6	3,5	0,867	0,231	9,621	2,25	57,152	5,93

ცხრილის მონაცემების მიხედვით ავაგოთ მრუდი $Q=f(D)$ (იხ.



ნახ. 36.

ნახ. 36), რომლის მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ მაქსიმალური ხარჯს $Q=10$ მ³/წმ, შეესაბამება მილის დიამეტრი $D=1,22$ მ.

2 შემთხვევა. წყლის სიღრმე მილის გამოსასვლელი ქვეთის ქვემოთ $h=2,0$ მ $> D=1,22$ მ, სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს $5,0$ მ/წმ.

ანგარიში იმავე წესით ჩავატაროთ როგორც პირველ შემთხვევაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ წინაღობის კოეფიციენტი

ჯამში დამატებით შევიტანოთ მილიდან წყლის ქვეშ გამოღინების წინაღობის კოეფიციენტი $\xi_3=1,0$.

საანგარიშო დაწნევა ამ შემთხვევაში

$$H_2 = H - h,$$

ბარჯის კოეფიციენტი

$$\mu = \sqrt{\frac{1}{\Sigma \xi}} = \sqrt{\frac{1}{\xi_1 + \xi_2 + \lambda \frac{L}{D}}} = 0,632,$$

სანგარიშო დაწნევა

$$H_2 = H - h = 2,0 \text{ მ},$$

$$\omega = \frac{\pi D^2}{4} = 1,17 \text{ მ}^2,$$

ბარჯი

$$Q = \mu \cdot \omega \cdot \sqrt{2g \cdot H_2} = 13,108 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

სიჩქარე

$$v = \frac{Q}{\omega} = 4,17 \text{ მ/წმ}.$$

დაუშვათ დიამეტრის შემდეგი მნიშვნელობანი $D=1,0; 1,5; 2,0; 2,5$ და შევადგინოთ ცხრილი (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

№.№	D	ξ	μ	ω	H	Q	v
1	1,00	3,00	0,574	0,785	2,00	3,823	4,87
2	1,50	2,50	0,632	1,767	2,00	6,992	4,00
3	2,00	2,25	0,667	3,140	2,00	13,108	4,17
4	2,50	2,10	0,690	4,909	2,00	21,196	4,31

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ $Q=10$ მ³/წმ. ბარჯის დროს $D=1,70$ მ.

ამ შემთხვევაშიაც საჭიროა მკითხველმა ააგოს მრუდი $Q=f(D)$.

ამოცანა № 46. წყალშემკრებ A ქიდან მილსადენის საშუალებით წყალი B აუზს ისე უნდა მივაწოდოთ, რომ მილსადენის ტრასა გადაყვანილი იქნეს გამყოფ გორაკზე. ეს უკანასკნელი საჭიროა, რათა დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები თავიდან ავიცილოთ. ამ საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია ენერგიის ძირითადი კანონის საფუძველზე, იმ შემთხვევისათვის როდესაც მილსადენში არსებობს ვაკუუმი, ანუ როდესაც, მილსადენი შეასრულებს სიფონის როლს.

წყაროს წყლის შემავროვებელ A ქიდან (იხ. ნახ. 37) აუზამდე გადაყვანილია მილი, რომლის სიგრძე $L=1200$ მ.


განვიხილოთ სამი ძირითადი სანგარიშო შემთხვევა:

1 შემთხვევა. მოცემულია A და B აუზების წყლის დონეთა სხვაობა $H=20$ მ და მილის დიამეტრი $d=0,20$ მ.

ვიანგარიშით მიღში განვითარებული სიჩქარე v და ხარჯი Q ;

2. მოცემულია ხარჯი $Q = 0,05 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

დავადგინოთ მილის დიამეტრი d და შევამოწმოთ სიფონში (მილსადენში) ვაკუუმის სიდიდე;



ნახ. 37.

3. გამოვარკვეოთ რა გავლენას მოახდენს ხარჯის ტრანსპორტირებაზე A აუზში $h_1 = 0,8$ მ-ით ღონის დაწვევა, ან პირიქით, ჭის უცვლელი ღონის დროს B აუზის $h_2 = 1,0$ მ-ით ღონის დაწვევა, თუ მილსადენის დიამეტრი $d = 0,10$ მ.

განსახილველი მილსადენის მოხვეული უბნების რადიუსები ტოლია: $R_1 = 0,2$ მ; $R_2 = 5,0$ მ; $R_3 = 1,5$ მ; $R_4 = 2,0$ მ და $R_5 = 0,8$ მ.

ამოხსნა. 1 შემთხვევა. შევადგინოთ ბერნულის განტოლება (A) ჭისა და B აუზის წყლის ღონეებისათვის ა—ა საფარდ სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} + z_1 + \sum h_e.$$

v_0 და v_1 სიჩქარეები შეიძლება მივიღოთ ნულის ტოლი:

$$z_0 = H, \quad p_0 = p_1 = p_{at}, \quad z_1 = 0.$$

სათანადო მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ, ბერნულის განტოლებიდან მივიღებთ:

$$H = \sum h_e. \quad (1)$$

როგორც ვხედავთ მთელი მოქმედი დაწვევა (H) იხარჯება მილში განვითარებული წინაღობის გადასალახავად.*

ვიანგარიშით ცალკეული სახის დაწვევის დანაკარგები:

1. დაწვევის დანაკარგები შემწოვი მილის ბადეში

$$h_{e1} = \xi_1 \frac{v^2}{2g} = 5 \cdot \frac{v^2}{2g},$$

* დაწვევის დანაკარგები R_2 , R_3 და R_4 რადიუსების მქონე მოხვეულ უბნებზე სიმეირის გამო უგულვლყოფილია.

2. დაწნევის დანაკარგი მილსადენის მოხვეულ უბანზე, რომლის რადიუსი $R=0,2$

$$h_{e_2} = \xi_2 \cdot \frac{v^2}{2g} = 0,294 \frac{v^2}{2g},$$

3. დაწნევის დანაკარგი R_3 რადიუსის მქონე მოხვეულ უბანზე

$$h_{e_3} = \xi_3 \cdot \frac{v^2}{2g} = 0,15 \frac{v^2}{2g},$$

4. დაწნევის დანაკარგი მილის L სიგრძეზე

$$h_{e_4} = \lambda \frac{L}{\alpha} \cdot \frac{v^2}{2g} = 0,0224 \frac{1200}{0,20} \cdot \frac{v^2}{2g} = 134,2 \frac{v^2}{2g},$$

5. წყლის შესვლით გამოწვეული დაწნევის დანაკარგი (B) აუზში

$$h_{e_5} = \xi_4 \cdot \frac{v^2}{2g} = 1,0 \frac{v^2}{2g},$$

შადაც

$$\xi_4 = 1.$$

შვეიტანოთ ეს მნიშვნელობები საანგარიშო განტოლებაში და მივიღებთ:

$$H = \sum h_e = \left(\xi_1 + \xi_2 + \xi_3 + \xi_4 + \lambda \frac{L}{d} \right) \frac{v^2}{2g} = 20 \text{ მ.}$$

აქედან, წყლის მოძრაობის სიჩქარე მილსადენში

$$v = \sqrt{\frac{2gH}{\left(\xi_1 + \xi_2 + \xi_3 + \xi_4 + \lambda \frac{L}{d} \right)}} = 1,67 \text{ მ/წმ,}$$

ხარჯი

$$Q = v \cdot \omega = 1,67 \cdot \frac{\pi \cdot d^2}{4} = 1,67 \cdot \frac{3 \cdot 14 \cdot 0,2^2}{4} = 0,54 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

II შემთხვევა. მოცემული ხარჯი ($Q=0,05$ მ³/წმ. დავადგინოთ მილის (სიფონის) დიამეტრი d , ვაკუუმის სიდიდე $x-x$ კვეთში, და მილის ჩადების სიღრმე (h_3) იმავე კვეთში.

ამოცანის პირობის გადასაწყვეტად წინა შემთხვევაში მიღებული საანგარიშო განტოლება გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$H = \sum h_e = \sum \xi \cdot \frac{v^2}{2g},$$

და

$$Q = \sqrt{\frac{1}{\Sigma \xi}} \cdot \omega \cdot \sqrt{2g \cdot H} = \mu \cdot \omega \sqrt{2gH},$$

სადაც

$$\mu = \sqrt{\frac{1}{\Sigma \xi}}.$$

ვგულისხმობთ, რომ $\varepsilon = 1$. გამოვთვალოთ ნამრავლი:

$$\mu \cdot \omega = \frac{Q}{\sqrt{2gH}} = \frac{0,05}{\sqrt{2 \cdot 9,81 \cdot 20}} = 0,0025.$$

ახლა დავუშვათ მილსადენის დიამეტრის რიგი მნიშვნელობანი და გამოვთვალოთ შესაბამისი დაწნევის დანაკარგების კოეფიციენტები და სიდიდეები μ და Q . ანგარიში ვაწარმოოთ მანამ, სანამ არ დავაკმაყოფილებთ ზემოთ მოყვანილ პირობას ($\mu \cdot \omega = 0,0025$).

დავუშვათ $d = 0,10$ მ,

მაშინ

$$\omega = \frac{\pi d^2}{4} = 0,008 \text{ მ}^2.$$

ამ შემთხვევაში

$$\xi_1 = 5, \quad 3\xi_2 = 0,75, \quad \lambda \frac{L}{d} = 0,025 \cdot \frac{1200}{0,1} = 300, \quad \xi_4 = 1,$$

ჯამი

$$\Sigma \xi = 5,0 + 0,75 + 300 + 1 = 306,75,$$

$$\mu = \sqrt{\frac{1}{\Sigma \xi}} = \frac{1}{\sqrt{306,75}} = 0,057.$$

ამიტომ

$$\mu \cdot \omega = 0,057 \cdot 0,008 = 0,00046.$$

ამოცანა რომ არ გადაიტვიტოს ზედმეტი გამოთვლებით d სხვადასხვა მნიშვნელობისათვის ჩატარებული ანგარიშები შევიტანოთ ცხრილში.

ც ხ რ ი ლ ი

d მ	ω მ ²	$\Sigma \xi$	μ	$\omega \cdot \mu$
0.10	0.008	306.75	0.057	0.00046
0.15	0.018	206.75	0.070	0.00126
0.20	0.031	156.75	0.075	0.00233
0.25	0.049	126.75	0.089	0.00436

როგორც ცხრილიდან ვხედავთ ამოცანის პირობის მიხედვით გამოთვლილი ნამრავლის სიდიდეს $\mu \cdot \omega = 0,0025$ შეესაბამება მილსადენის დიამეტრის შემდეგი მნიშვნელობა: $d = 0,20$ მ.

$$Q = \mu \cdot \omega \sqrt{2gH} = 0,00233 \cdot \sqrt{19,62 \cdot 20} = 0,046 = 0,05 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

სიჩქარე

$$v = \frac{Q}{\omega} = \frac{0,046}{0,031} = 1,484 \text{ მ/წმ},$$

სიფონში ნაკადის სიჩქარე მივიღეთ დასაშვებზე ნაკლები; სახელდობრ, $v_{\text{დასაშ.}} = 1,5 > v = 1,484$.

სიჩქარის დადგენის შემდეგ, შეგვიძლია ვიპოვოთ ღონეთა სხვაობა H :

$$H = \Sigma \xi \cdot \frac{v^2}{2g} = 156,7 \cdot \frac{1,482}{16,62} = 17,6 \text{ მ.}$$

ახლა გავარკვეოთ $x-x$ კვეთში მაქსიმალური ვაკუუმის სიდიდე.

ამ მიზნით შევადგინოთ ბერნულის განტოლება $0-0$ და $x-x$ კვეთებისათვის (სიფონის უმაღლესი კვეთისათვის იმავე $0-0$ საფარდი სიბრტყის მიმართ):

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 = \frac{v_x^2}{2g} + \frac{p_x}{\gamma} + z_x + \Sigma h_{\text{ღ-x}}$$

$$v_0 = 0; z_0 = 0; z_x = h_x; p_0 = p_{\text{ატ.}}$$

$\Sigma h_{\text{ღ-x}}$ არის დაწნევის დანაკარგების ჯამი შემწოვის მილის დასაწყისიდან $x-x$ კვეთამდე.

სათანადო მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$\frac{p_{\text{ატ.}} - p_x}{\gamma} = \frac{v_x^2}{2g} + h_x + \Sigma h_{\text{ღ-x}} = (1 + \Sigma \xi_x) \frac{v_x^2}{2g} + h_x,$$

სადაც $\Sigma \xi_x$ არის დაწნევის დანაკარგების კოეფიციენტების ჯამი აღნიშნულ კვეთებს შორის (მივიღეთ აღნიშვნა $v = v_x$).

h_x დასადგენად საჭიროა ვიცოდეთ h_3 ხაღრმავება რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ნიადაგის გაყინვის სიღრმეზე.

ჩვენ შემთხვევაში h_3 მივიღოთ 1,0 მ ტოლი, მაშინ:

$$h_x = h - h_3 = 6 - 1 = 5 \text{ მ.}$$

ვაკუუმის დასადგენად საჭიროა აგრეთვე $\Sigma \xi_x$ გაანგარიშება (მილის დასაწყისიდან $x-x$ კვეთამდე):

$$\Sigma\xi = 5 + 0,2 + 0,025 \cdot \frac{150}{0,20} = 24,$$

$l = 150$ მ არის მილის სიგრძე $x-x$ კვეთამდე.
ამრიგად, ვაკუუმის სიღიღე

$$h_{333} = \frac{p_{at} - p_x}{\gamma} = (1 + 24) \frac{v^2}{2g} + 5 = 7,8 \text{ მ.}$$

ამოცანის პირობის თანახმად, თუ ვაკუუმის სიღიღე მეტია მის პრაქტიკულად დასაშვებ სიღიღეზე ($\sim 7,0$ მ.), მაშინ წყლის ნაკადი სიფონში წყვეტას განიკდის და მოძრაობასაც არ ექნება ადგილი.

ვინაიდან ჩვენ შემთხვევაში h_{333} დასაშვებ სიღიღეზე მეტია, საჭიროა შევარჩიოთ h_x ისეთი მნიშვნელობა, რომელიც დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას.

საანგარიშო განტოლებიდან

$$h_x = h_{333} - (1 + \Sigma\xi_x) \frac{v^2}{2g} = 7,0 - 2,8 = 4,20 \text{ მ,}$$

სადაც (h_{333}) დას. = $7,0$ არის დასაშვები ვაკუუმის სიმაღლე.

ამრიგად, მილის ჩადების სიღრმე $h_3 = h - h_x = 6,0 - 4,20 = 1,8$ მ ტოლი უნდა ავიღოთ.

ამ პირობების შესრულების შედეგად სიფონი იმუშავებს ნორმალურად და მასში განვითარებული სიჩქარე ტოლი იქნება I შემთხვევაში გამოთვლილი სიჩქარისა.

III შემთხვევა. თუ (A) ჭის დონე $h_1 = 0,8$ მ დაიწვეს მაშინ ეს გამოიწვევს H დაწნევის შემცირებას. მოქმედი დაწნევა ამ შემთხვევაში $H_1 = H - h_1$, ხოლო ნაკადის სიჩქარე მილსადენში

$$v = \sqrt{\frac{2gH_1}{\Sigma\xi}} = 1,612 \text{ მ/წმ,}$$

სადაც

$$H_1 = 20,00 - 0,80 = 19,2 \text{ მ,}$$

ხარჯი

$$Q = v \cdot \omega = 1,612 \cdot \frac{3 \cdot 14 \cdot 0,2^2}{4} = 0,050 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

როგორც ვხედავთ დონის დაწევა ხარჯს $53 - 50 = 3$ ლიტ/წმ ამცირებს.

თუ ჭის დონე უცვლელია ხოლო აუზის დონე $h_2 = 1,0$ მ დაიწვეს, მაშინ მოქმედი დაწნევაც გადიდება ($H_2 = H + h_2 = 21$ მ.). ამავე დროს სიჩქარე

$$v = \sqrt{\frac{2gH_2}{\Sigma\xi}} = 1,702 \text{ მ}$$

ლა

$$Q = \omega \cdot v = 0,054 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$


როგორც ვრწმუნდებით ხარჯი გაიზარდა.

სიფონის გამოყენება, იქ, სადაც ამისათვის სათანადო პირობებია, მეტად მიზანშეწონილია, როგორც ტექნიკურად ისე ეკონომიური თვალსაზრისით. ექსპლუატაციის ხარჯები უმნიშვნელოა, იგი მოქმედებს ავტომატიურად წყლის დონეების ცვალებადობის მიხედვით და მას ფართოდ იყენებენ პრაქტიკაში.

ამოცანა № 47. ხევის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადავიყვანოთ წყალი, რომლის ხარჯი $Q = 0,030 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

ვიანგარიშოთ მილის დიამეტრი d , ისე, რომ განსაზღვრული აუზების წყლის დონეთა სხვაობა $H = 2,0 \text{ მ}$ ნაკლები არ იყოს.

შემაერთებელი მილის (დიუქერის) სიგრძე $L = 800 \text{ მ}$ (იხ. ნახ. 38).



ნახ. 38.

ამოხსნა. მოქმედი დაწნევის საანგარიშოდ საჭიროა მილის დიამეტრის დადგენა. შევადგინოთ ბერნულის განტოლება 1—1 და 2—2 კვეთებისათვის ა—ა საფარლ სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} + z_1 = \frac{v_2^2}{2g} + \frac{p_2}{\gamma} + z_2 + \Sigma h_{\xi}$$

სადაც

$$v_1 = v_2 = 0 \quad z_1 = H_1 \quad z_2 = H_2 \quad \text{და} \quad p_1 = p_2 = p_{\text{ატ}}$$

მათი ფორმულაში ჩასმის შედეგად მივიღებთ:

$$H = H_1 - H_2 = \Sigma h_{\xi}$$

ახლა გავიგოთ დაწნევის დანაკარგები:

1. დაწნევის დანაკარგი მილსადენში წყლის შესვლაზე

$$h_{e_1} = \xi_1 \frac{v^2}{2g} = 0,5 \frac{v^2}{2g},$$

2. დაწნევის დანაკარგი მილის 2 მოხვეულ უბანზე (დანარჩენ მოხვეულ უბნებს მხედველობაში არ ვიღებთ)

$$h_{e_2} = 2 \cdot \xi_2 \cdot \frac{v^2}{2g} = 2 \cdot 0,25 \cdot \frac{v^2}{2g} = 0,5 \frac{v^2}{2g},$$

3. დაწნევის დანაკარგი მილსადენის სიგრძეზე

$$h_{e_3} = \lambda \cdot \frac{L}{d} \cdot \frac{v^2}{2g} = 0,025 \cdot \frac{800}{d} \cdot \frac{v^2}{2g} = \frac{20}{d} \cdot \frac{v^2}{2g},$$

4. დაწნევის დანაკარგი ნაკადის მილიდან აუზში შესვლაზე

$$h_{e_4} = \xi_3 \cdot \frac{v^2}{2g} = \frac{v^2}{2g} (\xi_3 = 1).$$

მაშასადამე,

$$H = \sum h_e = \left(2,0 + \frac{20}{d} \right) \frac{v^2}{2g}. \quad (1)$$

დაეუშვათ დიამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობანი და გამოვთვალოთ შესაბამისი სიჩქარეები:

$$v = \sqrt{\frac{2gH}{2 + \frac{20}{d}}}$$

და ხარჯი

$$Q = \omega \cdot v.$$

ანგარიშის შედეგები მოვათავსოთ ცხრილში.

d მ	v მ/წმ	ω მ ²	Q მ ³ /წმ
0.15	0.542	0.018	0.0098
0.20	0.622	0.031	0.0193
0.25	0.692	0.049	0.0339

ამ ცხრილიდან გამომდინარე ჩვენ შემოხვევისათვის შეგვიძლია $d=0,25$ მ ავიღოთ, რადგანაც მილის ამ დიამეტრისა და მოცემული H

სიმაღლის დროს ხარჯი $Q=0,0339$ მ³/წმ. როგორც ვხედავთ ხარჯის გატარების პირობა მისაღებია ვინაიდან ამოცანის პირობის თანახმად $Q=0,030$ მ³/წმ.

თუ საკიროა ისეთი d დადგენა, რომელიც ზუსტად გაატარებს $0,03$ მ³/წმ ხარჯს, მაშინ ცხრილის მიხედვით უნდა აიგოს $Q=f(d)$ მრუდი და ამ მრუდით მოიძებნოს d სათანადო მნიშვნელობა.

თუ პირობის მიხედვით ცნობილია d და Q , მაშინ H ვიანგარიშებთ (1) განტოლებით.

სითხის მოძრაობა მილსადენებში

ამოცანა № 48* მოცემულია ლითონის მილსადენი, რომლის სიგრძე $l=1,5$ კმ, დიამეტრი $D=0,20$ მ, მოქმედი დაწნევა $H=30,0$ მ.

განვსაზღვროთ წყლის ხარჯი მილსადენში (Q).

ამოხსნა. ამოცანის პირობის დასაკმაყოფილებლად გამოვიყენოთ შეზის ფორმულა. გავარკვიოთ ამ ფორმულაში შემავალი წევრების მნიშვნელობანი. ანგარიშის დროს გამოვიყენოთ აგრეთვე ხარჯის მოდულის ან ხარჯის მახასიათებლის ცნება:

$$K = \frac{Q}{\sqrt{i}} = \omega \cdot C \cdot \sqrt{R},$$

სადაც ω არის მილსადენის განივი კვეთის ფართი.

მილსადენის ჰიდრაულიკური ქანობი

$$i = \frac{H}{l} = \frac{30}{1500} = 0,02,$$

ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R = \frac{D}{4} = 0,05 \text{ მ} \left(R = \frac{\omega}{\chi} = \frac{\pi D^2}{4 \cdot \pi D} = \frac{D}{4} \right),$$

ხარჯი

$$Q = \omega C \sqrt{Ri} = 47,19 \cdot \frac{3,14 \cdot 0,2^2}{4} \cdot \sqrt{0,05 \cdot 0,02} = 0,047 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

C კოეფიციენტი განსაზღვრულია კუტტერის ცნობილი ფორმულით. ამავე შედეგს მივიღებთ, თუ ვისარგებლებთ ცხრილით (იხ. ცხრილი 24 დამატებაში).

როდესაც $D=0,2$ მ, $k=331,7$ მ³/წმ,

ხარჯი

$$Q = K \sqrt{i} = K \sqrt{\frac{H}{l}} = 331,7 \cdot \sqrt{\frac{30}{1500}} = 0,047 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ამოცანა № 49. განვსაზღვროთ მოძრავი ნაკადის ხარჯი, Q

* იხ. პ. ჯიქია. ჰიდრაულიკა. 1947 წ. 431—433 გვ.

მილსადენში რომლის სიგრძე $l=1000$ მ, დიამეტრი $D=0,15$ მ, მოქმედობა დაწნევა $H=20,0$ მ. მილსადენი ძველია და გაქუქვიანებული.
 ამოხსნა. წინალობის კოეფიციენტი ხმარებაში მყოფი მილსადენისათვის $\lambda=0,0441$.

მაშინ:

$$C = \sqrt{\frac{8 \cdot g}{\lambda}} = \sqrt{\frac{8 \cdot 9,81}{0,0441}} = 42,2 \text{ მ}^2/\sqrt{\text{მ}},$$

ხარჯი

$$Q = \omega C \sqrt{R \cdot i} = \frac{3,14 \cdot 0,15^2}{4} \cdot 42,2 \sqrt{\frac{0,15}{4} \cdot \frac{20}{1000}} =$$

$$= 0,0204 \frac{\text{მ}^3}{\sqrt{\text{მ}}} = 20,4 \text{ ლიტ}/\sqrt{\text{მ}}.$$

ჰიდრავლიკური რადიუსი

$$R = \frac{D}{4} = \frac{0,15}{4} = 0,0375 \text{ მ},$$

ქანობი

$$i = \frac{20}{1000} = 0,02.$$

ამოცანა № 50. ა) განვიხილოთ მილსადენი რომლის სიგრძე $l=2,5$ კმ, ხარჯი $Q=0,014$ მ³/წმ. მილსადენზე მოქმედი დაწნევა H მთლიანად იხარჯება ჰიდრავლიკურ წინალობათა გადალახვაზე და იგი $H=h_e=5,0$ მ.

განვსაზღვროთ მილსადენის დიამეტრი D .

ამოხსნა. დაწნევის დანაკარგი მილსადენში შეიძლება ვიანგარიშოთ ფორმულით:

$$h_e = \beta \frac{Q^2 l}{D^5},$$

საიდანაც

$$D = \sqrt[5]{\frac{\beta Q^2 l}{h_e}} = \sqrt[5]{\frac{0,0025 \cdot 0,014^2 \cdot 2500}{5}} = 0,26 \text{ მ}.$$

ბ) მოცემულია მილსადენი, რომლის სიგრძე $L=2,5$ კმ, ხარჯი $Q=0,25$ მ³/წმ, დაწნევა $H=10,0$ მ.

განვსაზღვროთ მილსადენის დიამეტრი D .


ამოხსნა. ამოცანის პირობის დასაკმაყოფილებლად წინასწარ განვსაზღვროთ ხარჯის მოდული:

$$K = \frac{Q}{\sqrt{i}} = \frac{Q}{\sqrt{\frac{H}{L}}} = \frac{250}{\sqrt{0,004}} = 4000 \text{ ლიტ}/\sqrt{\text{მ}}.$$

შემდეგ, ცხრილის საშუალებით, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ხარჯის მოდულის ამ მნიშვნელობას შეესაბამება მილის $D=500$ მმ დიამეტრი. (დანართი, იხ. ცხრილი 24).

ამოცანა № 51. მოცემულია სადაწნეო აუზი. აუზის ფსკერიდან სათავეს იღებს ცვლადი კვეთის მილსადენი. მილსადენის პირველი უბნის დიამეტრი $D_1=0,30$ მ, სიგრძე $l_1=500$ მ; მეორე უბნისათვის $D_2=0,25$ მ, $l_2=300$ მ; მესამე უბნისათვის კი $D_3=0,20$ მ, $l_3=250$ მ.

მილსადენმა უნდა გაატაროს ხარჯი $Q=0,050$ მ³/წმ (იხ. ნახ. 39).



ნახ. 39.

განესაზღვროთ მილსადენის დაწნევა H , რომელიც უზრუნველყოფს ჰიდრაულიკურ წინაღობათა გადალახვას მილსადენის სიგრძეზე.

ამოხსნა. დაწნევის დანაკარგი მილსადენის პირველ უბანზე გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$h_{с1} = \frac{Q^2 \cdot l_1}{K_1^2},$$

მეორე უბანზე

$$h_{с2} = \frac{Q^2 \cdot l_2}{K_2^2},$$

მესამე უბანზე

$$h_{с3} = \frac{Q^2 \cdot l_3}{K_3^2}.$$

სამივე უბანზე დაწნევის დანაკარგების ჯამი მილსადენის სრული დაწნევის ტოლი უნდა იყოს:

$$H = h_{с1} + h_{с2} + h_{с3} = Q^2 \sum \frac{l}{K^2}$$

ბოლო თუ C განსაზღვრისათვის ვისარგებლებთ მანინგის ფორმულით, მაშინ ბოლო გამოსახულებიდან მივიღებთ:

$$H = Q^2 \cdot \Sigma \frac{l}{K^2} = 50^2 \cdot \left(\frac{250}{116000} + \frac{300}{3774000} + \frac{500}{100000} \right) = 8,63 \text{ მ}$$

(დანართი, იხ. ცხრილი 23).


როგორც ვხედავთ მილსადენის სრული დაწნევა, რომელიც მთლიანად იხარჯება ჰიდრავლიკურ წინაღობათა გადასალახავად ტოლია:

$$H = 8,63 \text{ მ.}$$

ამოცანა № 52. ორი რეზერვუარი შეერთებულია ცვლადი კვეთის მილსადენით (იხ. ნახ. 40). მილსადენის პირველი უბნისათვის $l_1 = 200$ მ, $d_1 = 150$ მმ, მეორე უბნისათვის $l_2 = 400$ მ, $d_2 = 125$ მმ.

მოცემულია რეზერვუარებში თავისუფალი ზედაპირების შემდეგი სიმაღლეები: $H_1 = 50,0$ მ, $H_2 = 25,0$ მ.

განესაზღვროთ წყლის ხარჯი Q და აევაგოთ ჰიდროდინამიკური დაწნევის წირი.



ნახ. 40.

ამოხსნა. დაწნევის დანაკარგები მილსადენის ცალკეული უბნებისათვის გამოისახებიან შემდეგნაირად:

$$h_{e_1} = \frac{Q^2 l_1}{K_1^2}, \quad h_{e_2} = \frac{Q^2 l_2}{K_2^2}.$$

მოკმედი დაწნევა, რომელიც დაწნევის დანაკარგების ჯამის ტოლი უნდა იყოს

$$H = h_{e_1} + h_{e_2} = Q^2 \left(\frac{l_1}{K_1^2} + \frac{l_2}{K_2^2} \right) = Q^2 \Sigma \frac{l}{K^2}.$$

სათანადო მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ ამ განტოლებიდან მივიღებთ (დანართი, იხ. ცხრილი 25):

$$H = H_1 - H_2 = 25 = Q^2 \left(\frac{200}{24600} + \frac{400}{9250} \right) = 0,05133 \cdot Q^2,$$

საიდანაც ხარჯი

$$Q = \sqrt{\frac{25,0}{0,05133}} = 22,0 \text{ ლიტ/წმ.}$$

ჰიდროდინამიკური დაწნევის წირის აგების მიზნით გამოეთვალოთ დაწნევის დანაკარგები მილსადენის ცალკეულ უბნებზე:

$$h_{e_1} = Q^2 \frac{l_1}{K_1^2} = 22^2 \cdot \frac{200}{24600} = 3,92 \text{ მ,}$$

$$h_{e_2} = Q^2 \frac{l_2}{K_2^2} = 22^2 \cdot \frac{400}{9250} = 21,1 \text{ მ.}$$

გამოწმებთ:


$$H = h_{e_1} + h_{e_2} = 3,92 + 21,1 = 25 \text{ მ.}$$

abc ტეხილი წარმოადგენს ჰიდროდინამიკურ დაწნევის წირს.

ამოცანა № 53. განვიხილოთ ცვლადი კვეთის მაგისტრალური მილსადენი, რომლის ცალკეული უბნების კვანძებში ადგილი აქვს წყლის ხარჯის გაცემას. წყალსადენის პირველი უბნის სიგრძე $L_1 = 500$ მ, დიამეტრი $d_1 = 0,25$ მ, უბნის ბოლოში (პირველ კვანძში) გაცემული ხარჯი $q_1 = 0,025$ მ³/წმ. მეორე უბნისათვის $L_2 = 1000$ მ, $d_2 = 0,30$ მ, უბნის ბოლოში გაცემული ხარჯი $q_2 = 0,03$ მ³/წმ; მესამე უბნისათვის $L_3 = 175$ მ, $d_3 = 0,175$ მ, $q_3 = 0,015$ მ³/წმ.

კვანძები განლაგებულია საფარდ სიბრტყიდან შემდეგ სიმაღლეებზე (იხ. ნახ. 41):

$$z_1 = 5,0 \text{ მ; } z_2 = 12,0 \text{ მ და } z_3 = 25,0 \text{ მ.}$$



ნახ. 41.

ვიანგარიშით აღნიშნული ხარჯების გატარებისათვის საჭირო წყლის დაწნევა.

ამოხსნა. დავადგინოთ:

საანგარიშო ხარჯები კვანძებში

და $Q_3 = q_3 = 0,015 \text{ მ}^3/\text{წმ}$, $Q_2 = Q_3 + q_2 = 0,015 + 0,03 = 0,045 \text{ მ}^3/\text{წმ}$

$$Q_1 = Q_2 + q_1 = 0,045 + 0,025 = 0,07 \text{ მ}^3/\text{წმ};$$

დაწნევის დანაკარგები მილსადენების ცალკეულ უბნებზე (დანართი, იხ. ცხრილი 25)

$$h_{e_1} = Q_1^2 \frac{L_1}{K_1^2} = 4,93 \text{ მ},$$

$$h_{e_2} = Q_2^2 \frac{L_2}{K_2^2} = 1,56 \text{ მ},$$

$$h_{e_3} = Q_3^2 \frac{L_3}{K_3^2} = 2,10 \text{ მ};$$

დაწნევის დანაკარგების ჯამი

$$\Sigma h_e = h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} = H - \chi_3,$$

ანუ

$$H = \Sigma h_e + \chi_3 = 4,93 + 1,56 + 2,10 + 25,0 = 33,59 \text{ მ}.$$

ახლა ავავიკოთ ჰიდროდინამიკური დაწნევის წირი (იხ. ნახ. 41):

$$t_1 = H - (h_{e_1} + \chi_1) = 33,59 - (4,93 + 5) = 23,66 \text{ მ},$$

$$t_2 = H - (h_{e_1} + h_{e_2} + \chi_2) = 33,59 - 18,49 = 15,10 \text{ მ},$$

$$t_3 = H - (h_{e_1} + h_{e_2} + h_{e_3} + \chi_3) = 33,59 - (4,93 + 1,56 + 2,10 + 25) = 33,59 - 33,59 = 0.$$

მაშასადამე, ჰიდროდინამიკური დაწნევის წირი წარმოგვიდგება *abcd* ტეხილის სახით.


ამოცანა № 54. (მეთოდური მითითებანი) ზემოთ განხილულ ამოცანაში ნაგულისხმები იყო, რომ ხარჯის გაცემა სწარმოებს წყალსადენის სისტემის გარკვეულ წერტილებში, სახელდობრ 1,2 და 3 კვანძებში. იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯის გაცემა მომხმარებლებისათვის მცირე მანძილზე განლაგებულ წერტილებში სწარმოებს, პრაქტიკულად სთვლიან, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ხარჯის განუწყვეტელ გაცემას განსახილველი მილსადენების სიგრძეზე (იხ. ნახ. 42).

ამოხსნა. თუ მილსადენის გასწვრივ ადგილი აქვს ხარჯის განუწყვეტელ გაცემას, მაშინ მილსადენის განსახილველი უბნის სიგრძის გადიდებასთან ერთად ხარჯი მცირდება. თუ მილსადენის მთელ სიგრძეს *L* ავლნიშნავთ, მაშინ მილსადენის ნებისმიერ *x* კვეთში ხარჯი

$$Q_x = \frac{q(L-x)}{L}, \quad (1)$$

სადაც x არის მილსადენის დასაწყისიდან განსახილველ კვეთამდე მანძილი, q — საწყისი ხარჯი.

ამ გამოსახულების მიხედვით $Q_{x=0}=q$, თუ $x=0$ და $Q=0$, როდესაც $x=L$ (ანუ ხარჯი მილსადენის ბოლოში ნულის ტოლია).



ნახ. 42.

(1) განტოლების მიხედვით შეგვიძლია შევადგინოთ გამოსახულება ჰიდრაულიკურ ქანობისათვის მილსადენის ნებისმიერ კვეთში:

$$i_x = \frac{h_x}{L_x} = \frac{Q_x}{K^2} = \frac{q^2 \cdot (L-x)^2}{L^2 K^2} \quad (2)$$

სადაც k არის ხარჯის მოდული. დაწნევის დანაკარგი მილსადენის დასაწყისიდან dx მანძილზე

$$dh_{e_x} = i_x \cdot dx = \frac{q^2(L-x)^2}{L^2 K^2} \cdot dx \quad (3)$$

ზემოაღნიშნული განტოლების ინტეგრირების შედეგად მივიღებთ:

$$h_e = \int_0^L \frac{q^2(L-x)^2}{L^2 K^2} dx = \frac{Lq^2}{3K^2} \quad (4)$$

როგორც ვხედავთ დაწნევის დანაკარგები მილსადენში ხარჯის განუწყვეტელი გაცემის დროს სამჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ჩვეულებრივ სატრანზიტო მილებში.

თუ (3) განტოლების ინტეგრირებას მოვახდენთ 0-დან ნებისმიერ x კვეთამდე, მაშინ მიღებული გამოსახულებით შესაძლებელი იქნება დაწნევის წირის აგება განსახილველი მილსადენის გასწვრივ.

$$h_{e_x} = \frac{q^2}{3L^2 K^2} \cdot (3L^2 x - 3Lx^2 + x^3) \quad (5)$$

თუ დაუშვებთ x რიგ ნიშვნელობას მაშინ (5) განტოლების საშუალებით შეგვიძლია ვიანგარიშოთ დაწნევის დანაკარგების სათანადო ნიშვნელობანი h_{e_x} და ავაგოთ დაწნევის abc მრუდი (იხ. ნახ. 42).

მაგალითად, მილის ბოლო წერტილისათვის $L=1500$ მ, $d=0,30$ მ, $q=50,0$ ლ/წმ, ხოლო დანაკარგი


$$h_e = \frac{L \cdot q^2}{3k^2} = \frac{1500 \cdot 50^2}{3 \cdot 8820^2} = 14,18 \text{ მ.}$$

ამოცანა № 55. წყალსადენის გაყვანის პრაქტიკაში წყლის ტრანსპორტირების რეგულიაციის მიზნით წყალმომარაგების ქსელის ტერიტორიაზე აწყობენ რამდენიმე სადაწნეო აუზს.

ჩვენ განვიხილოთ მხოლოდ ორი მარეგულირებელი აუზის შემთხვევა, ვინაიდან აუზების რიცხვს არ შეუძლია არსებითი ცვლილება შეიტანოს სისტემის ანგარიშის პრინციპში.

ორი სადაწნეო აუზი შეერთებულია მილსადენით (იხ. ნახ. 43). მილსადენის AC ნაწილის სიგრძე $L_1=1500$ მ, დიამეტრი $d_1=0,25$ მ;

CB ნაწილის სიგრძე $L_2=1200$ მ, დიამეტრი $d_2=0,20$ მ, დაწნევა $H_1=60$ მ, $H_2=35$ მ. C წერტილში დადგმულია ონკანი, რომლის მეშვეობით სწარმოებს წყლის მიწოდება მომხმარებლისადმი.



ნახ. 43.

წყლის ხარჯი, რომელიც მოედინება A აუზიდან

აღენიშნოთ q_1 , ხოლო B აუზიდან — q_2 . წყლის ხარჯი, რომელიც გაედინება C ონკანიდან აღენიშნოთ q_3 .

დავადგინოთ თანაფარდობა აღნიშნულ ხარჯებს შორის და ავაგოთ პიდროდინამიკური დაწნევის წირი.

ამოხსნა 1. დავუშვათ, რომ C წერტილში ონკანი დაკეტილია, მაშინ $q_3=0$ და A აუზიდან წყალი დაიწყებს B აუზში გადაღინებას. ამ შემთხვევაში $q_1=q_2$. განვსაზღვროთ დაწნევა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ხარჯს:

$$H = H_1 - H_2 = \frac{q_1^2 \cdot L_1}{K_1^2} + \frac{q_1^2 \cdot L_2}{K_2^2} = q_1^2 \left(\frac{L_1}{K_1^2} + \frac{L_2}{K_2^2} \right), \quad (1)$$

საიდანაც

$$q_1 = \sqrt{\frac{H_1 - H_2}{\frac{L_1}{K_1^2} + \frac{L_2}{K_2^2}}} = \sqrt{\frac{60 - 35}{\frac{1500}{374000} + \frac{1200}{116000}}} = 41,65 \text{ ლიტ/წმ.}$$

(იხ. დანართი, ცხრილი 25).

პიეზომეტრული დაწნევა C წერტილში შეგვიძლია გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$h_c = H_1 - \frac{q_1^2 \cdot L_1}{K_1^2} = 60 - \frac{41,65 \cdot 1500}{374000} = 53,04 \text{ მ}$$

თუ h_c ავმართავთ C წერტილში, მივიღებთ დაწნევის AaB წირს (იხ. ნახ. 43).

2. თუ ონკანი C წერტილში გახსნილია, მაშინ ადგილი ექნება q_3 ხარჯის გამოდინებას. ონკანის გარკვეულ სიდიდეზე გაღების დროს, ჰიდროდინამიკური დაწნევა C წერტილში შეიძლება გახდეს H_2 დაწნევის ტოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოდინებული ნაკადი იკვებება მხოლოდ A რეზერვუარიდან. ამრიგად, ონკანის გაღებას რომლის დროსაც $h_c = H_2$ უწოდებენ განსაკუთრებულ გაღებას, ხოლო დაწნევას C წერტილში—კრიტიკულ დაწნევას (დაწნევის წირი წარმოგვიდგება Aa_3B ტეხილის სახით).

განსახილველ შემთხვევაში B აუზი არ ახდენს წყლის არც მიღებას, არც გაცემას, ე. ი. $q_2 = 0$. A აუზის ხარჯი მთლიანად გაედინება C ონკანში და მაშასადამე, $q_1 = q_3$ (კრიტიკული ხარჯის შემთხვევა).

ზემონათქვამის გათვალისწინებით ადვილად დავრწმუნდებით, რომ

$$H_1 - h_c = H_1 - H_2 = \frac{q_{1,3}^2 \cdot L_1}{K_1^2},$$

საიდანაც

$$q_{1,3} = \sqrt{\frac{(H_1 - H_2) \cdot K_1^2}{L_1}} = \sqrt{\frac{25 \cdot 374000}{1500}} = 78,94 \text{ ლიტ/წმ.}$$

3. იმ შემთხვევაში, როდესაც $q_2 = q_1 < q_{1,3}$, $h_c > h_{c,3}$ ანუ $h_c > H_2$ (იხ. ნახ. 43).

ამ შემთხვევაში დაწნევის წირი წარმოგვიდგება Aa_1B ტეხილის სახით.

A აუზიდან მოდინებული წყლის ხარჯის ნაწილი გაედინება C ონკანიდან, ხოლო მისი დარჩენილი ნაწილი კვებავს B აუზს, ე. ი. $q_1 = q_2 + q_3$.

4. როდესაც $q_2 > q_{1,3}$, $h_c < h_{c,3}$ და $h_c < H_2$, მაშინ დაწნევის წირი წარმოგვიდგება Aa_2B ტეხილის სახით. ცხადია, ამ შემთხვევაში C ონკანი იღებს წყალს ორივე A და B აუზებიდან.

$$q_3 = q_1 + q_2.$$

5. უდიდეს ხარჯს C წერტილიდან იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, როდესაც ონკანი იქნება მთლიანად გაღებული. ამ შემთხვევაში $h_c = 0$ და დაწნევის წირი მიიღებს ACB სახეს.

მაქსიმალური ხარჯი ონკანიდან ტოლია:

$$(q_3)_{max} = (q_1)_{max} + (q_2)_{max} = \sqrt{\frac{H_1 \cdot K_1^2}{L_1}} + \sqrt{\frac{H_2 \cdot K_2^2}{L_2}} = \\ = \sqrt{\frac{60 \cdot 374000}{1500}} + \sqrt{\frac{35 \cdot 116000}{1200}} = 135,5 \text{ ლიტ/წმ.}$$


ამოცანა № 56. წყალსადენის სისტემებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ორი კვანძი შეერთებულია განშტოებული მილსადენებით, ანუ პარალელურად ჩართული რამდენიმე მილსადენით.

განვიხილოთ *a* და *b* რეზერვუარები, რომელთა მაგისტრალები განიცილიან განშტოებას და უერთდებიან ერთმანეთს სამი პარალელურად ჩართული მილსადენის საშუალებით (იხ. ნახ. 44).

იმის გამო, რომ განშტოების წერტილებში დაწნევები თითოეულ მილსადენისათვის ერთი და იგივეა (საერთო), ამიტომ ერთი და იგივე იქნება აგრეთვე მოქმედი დაწნევა თვითეული მილსადენის ფარგლებში.

განსახილველ განშტოებათა სიგრძეებია: l_1 , l_2 და l_3 . მოქმედი დაწნევა $H = H_a - H_b$ ყველა მილებისათვის მუდმივი სიდიდეა.

იმისდა მიხედვით თუ რა სიგრძე ექნება მილსადენებს (l_1 , l_2 და l_3) მუდმივი დაწნევის დროს, მათი ჰიდრავლიკური ქანობები განისაზღვრებიან შემდეგი გამოსახულებით:



ნახ. 44

$$i = \frac{H_a - H_b}{l} = \frac{H}{l}$$

ახლა განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი.

მოცემულია ხარჯი სისტემაში $Q = 100$ ლიტ/წმ, პირველი მილსადენის სიგრძე $l_1 = 600$ მ, მეორე

მილსადენის $l_2 = 280$ მ, მესამე — $l_3 = 550$ მ. მილსადენების დიამეტრები შესაბამისად უტოლდებიან: $d_1 = 0,15$ მ; $d_2 = 0,20$ მ და $d_3 = 0,10$ მ.

გამოვთვალოთ ხარჯი თითოეულ განშტოებაში q_1 , q_2 , q_3 და მოქმედი დაწნევა H .

ამოხსნა. როგორც ვიცით წნევათა სხვაობა განშტოების კვანძებში მუდმივი იქნება ყველა მილებისათვის და ამიტომ:

$$H = \frac{q_1^2 \cdot l_1}{K_1^2} = \frac{q_2^2 \cdot l_2}{K_2^2} = \frac{q_3^2 \cdot l_3}{K_3^2} \quad (1)$$

ზემოაღნიშნული განტოლებიდან

$$q_1 = \sqrt{\frac{H \cdot K_1^2}{l_1}} = K_1 \cdot \sqrt{\frac{H}{l_1}} = K_1 \cdot \sqrt{i_1}.$$

ახლა q_2 და q_3 გამოვხატოთ q_1 -ით.

(1) განტოლებიდან (იხ. დანართი, ცხრილი 24)

$$q_2 = q_1 \cdot \frac{K_2}{K_1} \cdot \sqrt{\frac{l_1}{l_2}} = q_1 \cdot \frac{331,7}{149,37} \cdot \sqrt{\frac{600}{800}} = 3,15 \cdot q_1,$$

$$q_3 = q_1 \cdot \frac{K_3}{K_1} \cdot \sqrt{\frac{l_1}{l_3}} = q_1 \cdot \frac{48,1}{149,37} \cdot \sqrt{\frac{600}{550}} = 0,363 \cdot q_1,$$

სისტემის ხარჯი

$$Q = 100 = q_1 + q_2 + q_3 = q_1 + 3,15 \cdot q_1 + 0,363 \cdot q_1 = 4,513 \cdot q_1.$$

საიდანაც

$$q_1 = \frac{Q}{4,513} = 22,158 \text{ ლიტ/წმ},$$

$$q_2 = 3,15 \cdot q_1 = 3,15 \cdot 22,158 = 69,798 \text{ ლიტ/წმ}$$

და

$$q_3 = 0,363 \cdot q_1 = 0,363 \cdot 22,158 = 8,04 \text{ ლიტ/წმ}.$$

სისტემის ხარჯი ანგარიშის მიხედვით გაუტოლდება:

$$Q = q_1 + q_2 + q_3 = 22,158 + 69,798 + 8,04 = 99,996 \text{ ლიტ/წმ} \approx 100 \text{ ლიტ/წმ}.$$

მოქმედი დაწნევა H შეგვიძლია ადვილად ვიანგარიშოთ (1) განტოლების საშუალებით.

გამოდინება ხვრეებიდან და ნამაჯებიდან

ამოცანა № 57. მოცემულია ჭურჭელი, რომლის ფსკერში მოწყობილია მცირე ზომის ხვრეტი. ხვრეტიდან ხდება წყლის გამოდინება.


გამოვიანგარიშოთ წყლის ხარჯი Q და სიჩქარე v თუ ხვრეტის ფართობი $\omega = 0,008 \text{ მ}^2$, დაწნევა $H = 3,0 \text{ მ}$. ნაკადის კოეფიციენტი $\mu = 0,60$ (იხ. ნახ. 45).

ამოხსნა. ხვრეტის ხარჯი ვიანგარიშოთ ცნობილი ფორმულით:

$$Q = \mu \cdot \omega \sqrt{2gH} = 0,037 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

გამოდინების სიჩქარე ტოლია:

$$v = \frac{Q}{\omega} = 7,7 \text{ მ/წმ}.$$




ნახ. 45.

სიჩქარე შეგვიძლია განვსაზღვროთ აგრეთვე ქვემოთ მოყვანილი ფორმულითაც:

$$v = \varphi \sqrt{2gH}$$

თუ, რასაკვირველია, წინასწარ ცნობილია სიჩქარის φ კოეფიციენტის მნიშვნელობა.



ნახ. 46.

ამოცანა № 58. ჭურჭლის ფსკერში მოწყობილია კვადრატული კვეთის ხვრეტი.

ვიანგარიშოთ გამოდინებული წყლის ხარჯი, თუ კვადრატის გვერდის სიგრძე $a = 0,30 \text{ მ}$, ხოლო დაწნევა $H = 6,0 \text{ მ}$ (იხ. ნახ. 46).


ამოხსნა. საანგარიშო განტოლებაში შემავალი ხარჯის კოეფიციენტი μ ავიღოთ ცხრილიდან (იხ. ცხრილი 3).

ცხრილის მიხედვით, როდესაც დაწნევა $H = 6 \text{ მ}$ სიგრძე და $a = 0,3 \text{ მ}$, ხარჯის კოეფიციენტი $\mu = 0,602$.

ამიტომ

$$Q = \mu \cdot \omega \sqrt{2g \cdot H} = 0,607 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ამოცანა № 59. ცილინდრის ფსკერში, რომლის დიამეტრი $D=1,5$ მ, მოწყობილია მრგვალი ხვრეტი. ხვრეტის დიამეტრი $d=0,018$ მ, დაწნევა $H=6,0$ მ.



ნახ. 46ა


განვსაზღვროთ ხვრეტის ხარჯი Q , თუ გამოდინება ატმოსფეროში ხდება (იხ. ნახ. 45).

ამოხსნა. ხარჯის ფორმულაში μ მნიშვნელობა ავიღოთ ცხრილიდან (იხ. ცხრილი 4). ცხრილიდან: $d=0,018$ მ, $H=6,0$ მ შეესაბამება ხარჯის კოეფიციენტი $\mu=0,596$.

ამიტომ, წყლის ხარჯი

$$Q = \mu \cdot \omega \sqrt{2gH} = 0,596 \cdot \frac{3,14 \cdot 0,018^2}{4} \cdot \sqrt{19,62,6} = 0,00165 \text{ მ}^3/\text{წმ.} = 1,65 \text{ ლ/წმ.}$$

ამოცანა № 60. წინა ამოცანის პირობებისაგან განსხვავებით დავუშვათ, რომ ცილინდრი დახურულია და წყლის ზედაპირზე წნევა $p_0=0,6$ ატმ. (იხ. ნახ. 47).



ნახ. 47.


ამოხსნა. ვინაიდან წყლის ზედაპირზე განვითარებულია ვაკუუმი, ამიტომ შეიცვლება ხვრეტზე მოქმედი დაწნევა. ხვრეტზე მოქმედი დაწნევა ტოლია:

$$H' = H - \left(\frac{p_0 - p_0}{\gamma} \right) = 6 - 4 = 2 \text{ მ,}$$

ხარჯი კი

$$Q = \mu \cdot \omega \sqrt{2g \left[H - \left(\frac{p_0 - p_0}{\gamma} \right) \right]} = 0,00095 \text{ მ}^3/\text{წმ.} = 0,95 \text{ ლ/წმ.}$$

ამოცანა № 61. მოცემულია აუზი, რომლის გვერდით კედელში ფსკერთან მოწყობილია კვადრატული კვეთის ხვრეტი (იხ. ნახ. 48). წყლის სიღრმე აუზში (ხვრეტის სიმაღლის ცენტრის ზემოთ) მუდმივია და $H=10$ მ. წყლის სიღრმე აუზიდან გამოსვლის შემდეგ თავისუფალი ზედაპირიდან ხვრეტის სიმაღლის ცენტრამდე მუდმივია და $h=4$ მ. თავისუფალი ზედაპირის ფართი აუზში $\omega_0 = 4,5$ მ². ხვრეტის ზომებია: $\omega = 1,5 \cdot 1,5 = 2,25$ მ².



ნახ. 48.

გამოვთვალოთ ხვრეტიდან გამოდინებული წყლის ხარჯი Q და სიჩქარე v .

ამოხსნა. ხვრეტზე მოქმედი დაწნევა $h_2 = H - h$. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არასრულ კუმშვას და ამიტომ ხარჯის კოეფიციენტი

$$\mu_1 = \mu(1 + \epsilon) = 0,62 \cdot (1 + 0,134) = 0,703,$$

სადაც ცხრილის მიხედვით $\epsilon = 0,134^*$, ვინაიდან

$$\frac{\omega}{\omega_0} = \frac{1,5 \cdot 1,5}{4,5} = 0,5.$$

წყლის ხარჯი

$$Q = \mu_1 \cdot \omega \sqrt{2g(H-h)} = 0,703 \cdot 2,25 \sqrt{19,62 \cdot 6} = 17,15 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

სიჩქარე

$$v = \frac{Q}{\omega} = \frac{17,15}{2,25} = 7,62 \text{ მ/წმ}.$$

ამოცანა № 62. კაშხლის ზემო ნაწილში მოწყობილია წყალგასაშვები ხვრეტი (მილი), რომელიც წყალდიდობის დროს ზედმეტ წყალს კაშხლის ქვედა ბიეფში აგდებს. დავუშვათ, რომ დაწნევა ხვრეტის ღერძზე $H=3$ მ და ვგულისხმობთ, რომ ეს დაწნევა მუდმივია. ხვრეტის დიამეტრი $d=1,5$ მ, კაშხლის სისქე (მილის სიგრძე) $l=2,5$ მ (იხ. ნახ. 49).

განვსაზღვროთ ხვრეტიდან გამოდინებული წყლის ხარჯი Q .

ამოხსნა. უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ გამოდინების ხასიათი. ჩვენ ვიცით რომ, თუ $l = (3,0 \div 4,0) d$, მაშინ გამოდინება ხვრეტი-


* იხ. Н. Павловский, гидравлический справочник, 1937, стр. 336

დან ვენტურის ნამატიდან გამოდინების ანალოგიურია და თუ $l < 3d$ გამოდინება თხელკედლიანი ხერტის ანალოგიური იქნება.

ჩვენს შემთხვევაში $l = 2,5 < 3,0d = 4,5$ მ. მაშასადამე, გამოდინება თხელკედლიანი ხერტის ანალოგიურია და $\mu = 0,60$.

მაშინ გამოდინებული წყლის ხარჯი

$$Q = \mu \cdot \omega \sqrt{2gH} = 0,60 \cdot \frac{3,14 \cdot 1,5^2}{4} \cdot \sqrt{19,62 \cdot 3} = 8,132 \text{ მ}^3/\text{წმ},$$



ნახ. 49

სიჩქარე

$$v = \frac{Q}{\omega} = 4,602 \text{ მ/წმ}.$$

ახლა დავეშვათ $l = (3,0 \div 4,0) \cdot d$, მაშინ გამოდინება ხერტიდან ვენტურის ნამატიდან გამოდინების ანალოგიური იქნება. თუ მილის შესასვლელი კვეთი არ არის მორგავლებული (ე. ი. თუ იგი მახვილია), მაშინ

$$\mu = 0,82,$$

ხარჯი

$$Q = 0,82 \cdot 1,767 \cdot \sqrt{19,62 \cdot 3} = 10,94 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

თუ მილის შესასვლელი კვეთი ძაბრისებრია (კონოიდალურია), მაშინ

$$\mu = 0,97,$$

წყლის ხარჯი

$$Q = 13,13 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ამრიგად, ხერტიდან გამოდინებული ხარჯის სიდიდზე, ერთსა და იმავე H და ω შემთხვევაში, დიდ გავლენას ახდენს როგორც კედლის სისქე ასევე შესასვლელი ნაწილის მოხაზულობა.

საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ გამოდინებული ხარჯის მიღებული მნიშვნელობანი:

1. თხელკედლიან ხერტიდან გამოდინების დროს $Q = 8,132 \text{ მ}^3/\text{წმ}$,
2. ვენტურის ნამატიდან გამოდინების დროს, როდესაც შესავალი ნაწილი მახვილია $Q = 10,94 \text{ მ}^3/\text{წმ}$,
3. როდესაც ვენტურის ნამატიდან გამოდინების დროს შესავალი ნაწილი კონოიდალურია $Q = 13,13 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

როგორც ვხედავთ, თხელკედლიან ხვრეტიდან გამოდინებასთან შედარებით, კონოიდალური ნამატიდან გამოდინების დროს ხარჯი 4,998 მ³/წმ იზრდება, ე. ი. 61,4%. მახვილ კუთხოვანი შესავალი კვეთის მქონე ნამატი კი ხარჯს 32% ზრდის.

ამოცანა № 63. ვიანგარიშით წყლის ხარჯი, რომელიც გამოედინება რეზერვუარის ფსკერის ხვრეტიდან, თუ დაწნევის სიმაღლე $H=5,0$ მ, ხვრეტის ფართობი $\omega=0,15$ მ², ხოლო ფსკერის ფართობი $\omega_0=1,15$ მ² (იხ. ნახ. 50).

ამოხსნა. ვინაიდან

$$\frac{\omega}{\omega_0} = \frac{0,15}{1,15} = 0,130 > 0,05,$$

ამიტომ საქმე გვაქვს არასრულ კუმშვასთან და ამ შემთხვევაში ხარჯის კოეფიციენტს ვიპოვით ფორმულით:

$$\mu = \mu_0 \cdot (1 + k) = 0,62(1 + 0,013) = 0,628.$$

k კოეფიციენტის სიდიდეს ცხრილიდან* ვიღებთ.

წყლის ხარჯი


$$Q = 0,628 \cdot 0,15 \cdot \sqrt{19,62 \cdot 5} = 0,934 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ამოცანა № 64. მოცემულია აუზი (იხ. ნახ. 51), რომელიც ორი ტიხარის საშუალებით გაყოფილია სამ ნაწილად. პირველ ტიხარში მოწყობილია ω_1 ფართის მქონე ხვრეტი, რომლის საშუალებით წყალი გაედინება აუზის პირველ განყოფილებიდან მეორეში. მეორე ტიხარში მოწყობილია ω_2 ფართის მქონე ხვრეტი რომლის საშუალებით წყალი 2 განყოფილებიდან გადადის 3 განყოფილებაში; ამ უკანასკნელიდან კი წყალი აუზის გვერდითი კედლის ω_3 ხვრეტის საშუალებით გამოედინება ატმოსფეროში.

განესაზღვროთ წყლის დონეთა სხვაობა აუზის ცალკეულ განყოფილებებში (h_1 , h_2 და h_3) და გამოდინებული წყლის ხარჯი Q , თუ წყლის საწყისი დაწნევა $H=5$ მ. ხვრეტების ფორმა მრგვალია და მათი ფართობი სათანადოდ ტოლია:

$$\omega_1 = 0,10 \text{ მ}^2, \quad \omega_2 = 0,12 \text{ მ}^2, \quad \omega_3 = 0,08 \text{ მ}^2.$$

ამოხსნა. განვიხილოთ ამოცანის გადაწყვეტის პირველი ხერხი. იმის გამო რომ დაწნევა მუდმივია შეგვიძლია დავუშვათ, რომ წყლის



ნახ. 50.

* Н. Павловский, Гидравлический справочник, 1987 г, стр. 336.

ძრაობა დამყარებულია და ხარჯი ყველა კვეთში ტოლია. წყლის ხარჯი სათანადო კვეთებში შეგვიძლია გამოვსახოთ ცნობილი ფორმულის საშუალებით:

$$Q_1 = \mu_1 \cdot \omega_1 \cdot \sqrt{2gh_1}, \quad Q_2 = \mu_2 \cdot \omega_2 \cdot \sqrt{2gh_2}$$


და

$$Q_3 = \mu_3 \cdot \omega_3 \cdot \sqrt{2gh_3}.$$

სრული დაწნევა კი

$$H = h_1 + h_2 + h_3.$$

ამ ოთხი განტოლებიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ ოთხი უცნობი: h_1 , h_2 , h_3 და Q .



ნახ. 51.

იმის გამო, რომ $Q_1 = Q_2 = Q_3 = Q$ არის სისტემის მუდმივი ხარჯი, ანიტომ

$$\mu_1 \cdot \omega_1 \sqrt{2gh_1} = \mu_2 \cdot \omega_2 \sqrt{2gh_2} = \mu_3 \cdot \omega_3 \sqrt{2gh_3}. \quad (1)$$

ჩვენ შემთხვევაში $\mu_1 \approx \mu_2 \approx \mu_3$, რადგან სამივე ხერტში წყლის გამოდინების პირობები თითქმის ერთნაირია.

(1) განტოლების ტოლი ელემენტების შეკვეცის შემდეგ მივიღებთ:

$$\omega_1 \sqrt{h_1} = \omega_2 \sqrt{h_2} = \omega_3 \sqrt{h_3},$$

საიდანაც

$$h_2 = \left(\frac{\omega_1}{\omega_2} \right)^2 \cdot h_1 \quad \text{და} \quad h_3 = \left(\frac{\omega_1}{\omega_3} \right) \cdot h_1.$$

ახლა, თუ ამ მნიშვნელობებს შევიტანთ H გამოსახულებაში, მივიღებთ:

$$H = h_1 \left[1 + \left(\frac{\omega_1}{\omega_2} \right)^2 + \left(\frac{\omega_1}{\omega_3} \right)^2 \right],$$

საიდანაც

$$h_1 = \frac{H}{1 + \left(\frac{\omega_1}{\omega_2} \right)^2 + \left(\frac{\omega_1}{\omega_3} \right)^2} = 1,535 \text{ მ.}$$

ახლა უკვე ადვილად განისაზღვრება h_2 და h_3 :

$$h_2 = \left(\frac{\omega_1}{\omega_2} \right)^2 \cdot h_1 = 1,066 \text{ მ.}$$

$$h_3 = \left(\frac{\omega_1}{\omega_3} \right)^2 h_1 = 2,399 \text{ მ.}$$

განსაზღვრეთ აგრეთვე რეზერვუარიდან გამოდინებული წყლის ხარჯი ($\mu=0,6$):

$$Q = \mu \cdot \omega_1 \sqrt{2g h_1} = 0,3288 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

იგივე ამოცანა შეგვიძლია გადავწყვიტოთ სხვა გზითაც. კერძოდ, (1) განტოლების თანახმად:

$$h_1 = \frac{Q^2}{\mu_1^2 \cdot \omega_1^2 \cdot 2g}, \quad h_2 = \frac{Q^2}{\mu_2^2 \cdot \omega_2^2 \cdot 2g}, \quad h_3 = \frac{Q^2}{\mu_3^2 \cdot \omega_3^2 \cdot 2g}. \quad (2)$$

დაწნევათა ეს მნიშვნელობები შევიტანოთ H გამოსახულებაში, მივიღებთ:

$$H = \frac{Q^2}{\mu_1^2 \omega_1^2 \cdot 2g} + \frac{Q^2}{\mu_2^2 \omega_2^2 \cdot 2g} + \frac{Q^2}{\mu_3^2 \omega_3^2 \cdot 2g},$$

ხოლო, ვინაიდან $\mu_1 = \mu_2 = \mu_3 = \mu$, ამიტომ

$$H = \left(\frac{1}{\omega_1^2} + \frac{1}{\omega_2^2} + \frac{1}{\omega_3^2} \right) \cdot \frac{Q^2}{\mu^2 \cdot 2g},$$

საიდანაც

$$Q = \frac{\mu \sqrt{2gH}}{\sqrt{\frac{1}{\omega_1^2} + \frac{1}{\omega_2^2} + \frac{1}{\omega_3^2}}} = 0,329 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$


ხარჯის განსაზღვრის შემდეგ h_1 , h_2 და h_3 სიღიდეების ანგარიშში ადვილად შეგვიძლია ჩავატაროთ (2) განტოლებით.

ამოცანა № 65. სწორკუთხა კვეთის არხზე აგებულია ფარი. ფარის სიგანე $b=2,5$ მ, დაწნევა ფარის წინ $H_1=4$ მ, ფარის ქვემო მხარეზე წყლის სიღრმე $H_2=3,0$ მ (იხ. ნახ. 52).

განესაზღვროთ, რა სიმაღლეზე უნდა აიწიოს ფარი, რომ გამოდინებული წყლის ხარჯი $Q=3,0$ მ³/წმ.

ამოხსნა. გამოდინება ფარის ხერტიდან არასრულია, რადგანაც სამი მხრიდან ხერტი შემოფარგლულია არხის მიმმართველი კედლებით და ფსკერით.

ხარჯის μ კოეფიციენტის მნიშვნელობა ვიანგარიშით ფორმულით:



ნახ. 52

$$\mu = \mu_0 (1 + 0,4 n) = 0,60 \left(1 + 0,4 \cdot \frac{10,5}{13,0} \right) = 0,792$$

(n არის ფარდობა ხერტის იმ პერიმეტრისა, რომლის გასწვრივ ქავლს არ გააჩნია კუმშვა სრულ პერიმეტრთან).

აღნიშნოთ: $h_1 = H_1 - H_1$, მაშინ ხარჯი

$$Q = \mu \cdot a \sqrt{2gh_1}$$

საიდანაც

$$a = \frac{Q}{\mu \cdot \sqrt{2gh_1}} = 0,857 \text{ მ}.$$

ხერტი სწორკუთხოვანია და $a = bh$, ამიტომ ფარის საძიებელი ვალემა

$$h = \frac{a}{b} = 0,342 \text{ მ}.$$

შევამოწმოთ ხარჯი:

$$Q = \mu \cdot a \sqrt{2gh_1} = 2,997 \text{ მ}^3/\text{წმ} = 3,00 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ამოცანა № 66. განესაზღვროთ ხარჯი და სიქარე წყალში ჩაძირული კურკლის ხერტიდან გამოდინების დროს, თუ მოძრაობა დამფარებულია ($H = \text{const}$) და ხერტის ფართობი a საკმაოდ მცირეა კურკლის განივკვეთის ფართთან (a_0) შედარებით (იხ. ნახ. 53).

მოცემულია: $H_1 = 5,50$ მ, $h_1 = 1,50$ მ, $H = 4,0$ მ, $a_1 = 0,11$ მ².

ამოხსნა. ხერტიდან გამოდინების სიჩქარის გასარკვევად დავწეროთ ბერნულის განტოლება 0-0 და 1-1 კვეთებისათვის ა-ა საფარდი სიბრტყის მიმართ:

$$\frac{v_0^2}{2g} + \frac{p_0}{\gamma} + z_0 =$$


$$= \frac{v_1^2}{2g} + \frac{p_1}{\gamma} + z_1 + \Sigma h_e,$$

სადაც

$$v_0 \approx 0, z_0 = H_1, z_1 = 0,$$

$$\Sigma h_e = \xi \frac{v_1^2}{2g}.$$

უკანასკნელ განტოლებიდან მივიღებთ:



ნახ. 53.

$$(1 + \xi) \frac{v_1^2}{2g} = \frac{p_0 - p_1}{\gamma} + H_1 \text{ და } v_1 = \sqrt{\frac{2g \left(H_1 + \frac{p_0 - p_1}{\gamma} \right)}{1 + \xi}},$$

სადაც


$$p_1 = p_0 + \gamma h_1.$$

ამ მნიშვნელობის ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$v_1 = \frac{1}{\sqrt{1 + \xi}} \sqrt{2g(H_1 - h_1)} = \varphi \sqrt{2gH},$$

ბარჯი

$$Q = \mu \omega_1 \cdot \sqrt{2gH} = 0,60 \cdot 0,11 \cdot 4,43 \cdot 2 = 0,584 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$



ნახ. 54.

ქურჭლის დაცლის დრო იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

ამოცანა № 67. მოცემულია ქურჭელი, რომლის ხერტზე დაწნევა $H=4$ მ, სითხის ზედაპირის ფართობი $\omega_0=4$ მ², ხერტის ფართობი $\omega_1=1,5$ მ². წყლის მოდინებას ქურჭლის ადგილი არა აქვს.


განესაზღვროთ რა დროის განმავლობაში დაიცლება ქურჭელი (იხ. ნახ. 54).

$$t = \frac{2\omega_0 \sqrt{H}}{\mu \cdot \omega_1 \sqrt{2g}} = 40,1 \text{ წამი,}$$

სადაც

$$\mu = 0,60$$

ამოცანა № 68. მოცემულია მილით შეერთებული ორი ცილინდრული აუზი. 1 აუზის დიამეტრი $D=4,5$ მ, შემაერთებელი მილის სიგრძე $L=300$ მ, საწყისი დაწნევა $H=5$ მ.



ნახ. 55.

განვსაზღვროთ მილის ისეთი დიამეტრი, რომლის დროსაც 5 წუთის განმავლობაში წყლის დონე ორივე აუზში გათანასწორდება. პირველ აუზში წყლის მოდინება სწარმოებს მუდმივად (იხ. ნახ. 55).

ამოხსნა. იმისათვის რომ 2 აუზში წყლის დონემ H სიმაღლეზე აიწიოს საჭიროა გა-

ვიდეს გარკვეული დროის მონაკვეთი t . ეს დრო შეგვიძლია ვიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$t = \frac{2\omega_0 \sqrt{H}}{\mu \omega_1 \sqrt{2g}}; \text{ საიდანაც } \mu \omega_1 = \frac{2\omega_0 \sqrt{H}}{t \sqrt{2g}} = \frac{2 \cdot \pi D^2 \sqrt{H}}{4 \cdot 5 \cdot 60 \sqrt{2g}} = 0,053.$$

μ და ω_1 მნიშვნელობები დამოკიდებული არიან მილის დიამეტრის მნიშვნელობაზე.

ჯერ განვსაზღვროთ μ :

$$\mu = \sqrt{\frac{1}{\xi_1 + \xi_2 + \lambda \frac{L}{d}}}$$

სადაც $\xi_1 = 0,5$ (წინააღმდეგობის კოეფიციენტი მილში შესვლაზე), λ არის გარსის წინააღმდეგობის კოეფიციენტი ($\lambda = 0,023$), $\xi_2 = 1$ (წინააღმდეგობის კოეფიციენტი ნაკადის შესვლაზე 2 აუზში).

ასე რომ

$$\mu = \sqrt{\frac{1}{1,5 + \frac{7,5}{d}}}, \quad \omega_1 = \frac{\pi d^2}{4}$$

ამ გამოსახლებათა საშუალებით ვიპოვით μ , ω_1 და $\mu \omega_1$ მნიშვნელობებს.

დავუშვათ d -ს რიგი მნიშვნელობა და გამოვთვალოთ შესაბამისი μ , ω და $\mu \cdot \omega_1$ მნიშვნელობები. მიღებული შედეგები შევიტანოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

№№	d	μ	ω_1	$\mu \cdot \omega_1$
1	0,10	0,115	0,0078	0,00089
2	0,15	0,130	0,0196	0,00255
3	0,20	0,160	0,0314	0,0050
4	0,25	0,178	0,0504	0,00897
5	0,30	0,193	0,0707	0,01360
6	0,35	0,207	0,0988	0,02450
7	0,40	0,220	0,1260	0,0655

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს ჩვენთვის საჭირო დიამეტრი დაახლოებით 0,4 მ ტოლია.

თუ დავიცავთ მეტ სიზუსტეს, მაშინ საჭირო იქნება აიგოს $d = f(\mu \omega_1)$ მრუდი და ამ მრუდის საშუალებით განისაზღვროს $\mu \omega_1 = 0,053$ მნიშვნელობის შესატყვისი დიამეტრი.

ამოცანა № 69. დიდი ქანობის მქონე მდინარეებზე ნაოსნობის განხორციელების მიზნით აგებენ რაბებს. რაბის მოქმედების პრინციპი ძირითადად შემდეგში მდგომარეობს. იხურება რაბის ქვემო ფარი და ზემო წყალგასაშვები ხერცების გაღებით წყალი მდინარის ზედა დონიდან შემოედინება რაბში მანამ, ვიდრე ზედა და ქვედა დონეები არ გათანაბრდება. ამის შემდეგ იღება რაბის ზემო ფარი. რაბში შემოდის გემი და იხურება რაბის ზემო ფარი და ხერცების საკეტები. შემდეგ, ქვემო ხერცების საკეტების გაღებით რაბში წყლის დონე დაიწევს და გაუტოლდება მდინარის ქვედა დონეს. იღება რაბის ქვემო ფარი, გემი გამოდის რაბიდან და განაგრძობს გზას. რაბის მუშაობის აღნიშნული პროცესი შეიძლება ჩატარდეს შებრუნებული მიმართულებითაც, ანუ მდინარის ქვედა დონიდან ზედა დონისაკენ (იხ. ნახ. 56).

მოცემულია: $H = 9,0$ მ, $H_1 = 17,0$ მ, $H_2 = 12,0$ მ, $H_3 = 8,0$ მ, $H_4 = 4,0$ მ, $H_5 = 9,0$ მ, რაბის სიგრძე $L = 80,0$ მ, რაბის სიგანე $b = 15,0$ მ, ზედა და ქვედა წყალგაშვები ხერცების დიამეტრი $d = 2,2$ მ.

განვსაზღვროთ t დრო, რომელიც საჭიროა კამერის ასავსებად და დასაცლელად.

ამოხსნა. I შემთხვევა. წარმოვიდგინოთ, რომ კამერა ავსებულია წყლით და მისი დონე ეთანაბრება მდინარის ზედა დონეს ($H_4 + H_1$).

განვსაზღვროთ დრო, რომელიც საჭიროა კამერაში წყლის დონის დასაწევად მდინარის ქვედა დონემდე (H_5 სიმაღლემდე).

აღნიშნული დროის შუალედი იანგარიშება შემდეგი ცნობილი ფორმულით:


$$t = \frac{2\omega_0 \cdot \sqrt{H_1}}{\mu \omega \sqrt{2g}} = \frac{2 \cdot L \cdot b \cdot \sqrt{H_1}}{\mu \cdot \frac{\pi d^2}{4} \cdot \sqrt{2g}} = \frac{2 \cdot 80 \cdot 15 \cdot \sqrt{17}}{0,6 \cdot \frac{3,14 \cdot 2,22}{4} \sqrt{19,62}} =$$

$$= 979 \text{ წმ} = 16,317 \text{ წთ},$$

სადაც ω_0 არის წყლის თავისუფალი ზედაპირის ფართი რაბის კამერაში.

II შემთხვევა. კამერაში წყლის სიმაღლე $H_3 = 4$ მ.

განვსაზღვროთ დრო, რომელიც საჭიროა კამერაში წყლის დონის $H_3 + H_1$ სიმაღლემდე ასაწევად.



ნახ. 56.

რაბის ზედა ხვრეტებიდან გამოდინების დროს ადგილი ექნება წყლის მოძრაობის ორ სახეს:

1. ვიდრე კამერის ქვედა წყლის დონე მიაღწევს ზემო ხვრეტების სიმაღლის ცენტრს, დინება დამყარებული იქნება ($H_3 + H_2$ სიღრმემდე);

2. აღნიშნული ხვრეტების სიმაღლის ცენტრის ზემოთ წყლის დონის აწევისას დაწნევა H თანდათანობით მცირდება და წყლის გამოდინება ხვრეტიდან არადამყარებული იქნება.

განვსაზღვროთ t_1 დრო, რომლის განმავლობაში წყლის დონე რაბში ზემო ხვრეტების სიმაღლის ცენტრს მიაღწევს (II-შემთხვევის 1 ფაზა).

წყლის მოცულობა, რომელსაც მიიღებს რაბის კამერა ზედა ხვრეტების სიმაღლის ცენტრამდე ტოლია $\omega_0 \cdot H_3$. ზემო ხვრეტიდან გამოდინებული წყლის ხარჯი t_1 დროის განმავლობაში, რომელიც აღნიშნული წყლის მოცულობის ($\omega_0 \cdot H_3$) ტოლია გამოისახება შემდეგნაირად:

$$\mu \cdot \omega \sqrt{2gH} \cdot t_1 = \omega_0 \cdot H_3,$$

ბოლო

$$t_1 = \frac{\omega_0 H_3}{\mu \omega \sqrt{2gH}} = \frac{L \cdot b \cdot H_3}{\frac{\pi d^2}{4} \cdot \sqrt{2gH}} = \frac{80 \cdot 15 \cdot 8}{0,6 \cdot 9,8 \cdot 4,43 \cdot 3,0} = 318 \text{ წმ} = 5,30 \text{ წთ.}$$

სადაც ω არის წყალგასაშვები ხერცების განივკვეთის ფართი.

ახლა განვსაზღვროთ t_2 დრო, რომლის განმავლობაში წყლის დონე კამერაში აიწვევს ხერცების სიმძიმის ცენტრიდან რაბის ზემო დონემდე (H სიმაღლემდე).


$$t_2 = \frac{2 \cdot \omega_0 \cdot \sqrt{H}}{\mu \cdot \omega \cdot \sqrt{2g}} = \frac{2 \cdot 80 \cdot 15 \cdot \sqrt{9}}{0,60 \cdot \frac{3 \cdot 14 \cdot 2,2^2}{4} \cdot 4,43} = 712,8 \text{ წმ} = 11,8 \text{ წთ.}$$

ამრიგად, კამერის ავსების სრული დრო ტოლია:

$$t = t_1 + t_2 = 318 + 712 = 1030,8 \text{ წმ} = 17,20 \text{ წთ.}$$

ამოცანა № 70. მოცემულია წყლით სავსე კურკელი. ამ კურკელის წყლის დონიდან $H=3$ მ სიღრმეზე გამოყვანილია მილი, რომლის სიგრძე $L=20$ მ, დიამეტრი $d=0,2$ მ, აუზის სიგრძე $l=5$ მ, სიგანე $b=4$ მ. მილის ბოლოს ონკანია (იხ. ნახ. 57).

ვიანგარიშოთ დროის მონაკვეთი t , რომლის განმავლობაშიც აუზი დაიცილება.



ნახ. 57.

ამოხსნა. დავადგინოთ წინაღობის კოეფიციენტი მნიშვნელობანი და ამასთან დაკავშირებით ხარჯის კოეფიციენტი:

1. წინაღობის კოეფიციენტი, რომელიც დაკავშირებულია ნაკადის შესვლასთან მილში $\xi_1 = 0,5$,

8. პ. ჯიქია

2. წინალობის კოეფიციენტი ონკანისათვის $\xi_2 = 0,40$ (როდესაც მობრუნების კუთხე $\beta = 14^\circ$),

3. ხახუნით გამოწვეული წინალობის კოეფიციენტი

$$\xi_3 = \lambda \cdot \frac{L}{d} = 2,24,$$

ხარჯის კოეფიციენტი

$$\mu = \frac{1}{\sqrt{\sum \xi}} = \frac{1}{\sqrt{0,5 + 0,40 + 2,24}} = 0,564.$$


დრო, რომლის განმავლობაში დაიცლება აუზი ტოლია:

$$t = \frac{2\omega_0 \sqrt{H}}{\mu \cdot \omega \sqrt{2g}} = 882,65 \text{ წთ},$$

სადაც

$$\omega_0 = b \cdot l = 4,0 \cdot 5 = 20 \text{ მ}^2.$$

ამოცანა № 71. რეზერვუარის კედელში მოწყობილია მრგვალი კვეთის ხვრეტი, წყლის დაწნევა ხვრეტზე $H = 6,0$ მ, ხოლო დიახეტრი $d = 0,2$ მ. ხვრეტზე შეიძლება მოვაწყოთ სხვადასხვა ტიპის ნამატები (იხ. ნახ. 58).



ნახ. 58.

განვსაზღვროთ გამოდინებული ხარჯი ცალკეულ შემთხვევებში.

ამოხსნა I შემთხვევა. ხარჯი თხელკედლიან ხვრეტიდან გამოდინების დროს

$$Q = \mu_1 \cdot \omega \cdot \sqrt{2gH} = 0,204 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

სადაც

$$\mu_1 = 0,60^*.$$

II შემთხვევა. განვსაზღვროთ ხარჯი ხვრეტზე მოწყობილი ცილინდრული ნამატიდან.

ნამატის სიგრძე

$$l = 3,5 d = 3,5 \cdot 0,2 = 0,7 \text{ მ},$$

ხარჯის კოეფიციენტი

$$\mu_2 = 0,82,$$

წყლის ხარჯი

$$Q = \mu_2 \cdot \omega \cdot \sqrt{2gH} = 0,82 \cdot 0,0314 \cdot 10,85 = 0,297 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

* იხ. ცხრილები №№ 3, 4, 5, 6, 7 დანართში.

III შემთხვევა. ხარჯი კონოიდალური ნამატიდან ($\mu_3=0,97$)

$$Q = \mu_3 \cdot a \cdot \sqrt{2gH} = 0,97 \cdot 0,0314 \cdot 10,85 = 0,330 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

IV შემთხვევა. ხარჯი შინაგან (ბორდას) ნამატიდან ($\mu_4=0,71$)

$$Q = \mu_4 \cdot a \cdot \sqrt{2gH} = 0,71 \cdot 0,0314 \cdot 10,85 = 0,241 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

V შემთხვევა. ხარჯი ბოლოგაშლილ ნამატიდან, როდესაც ნამატის გამოსასვლელი დიამეტრი $d_1=0,30$ მ ($\beta=7^\circ$ და $\mu_5=0,50$)


$$Q = \mu_5 \cdot a \cdot \sqrt{2gH} = 0,60 \cdot 0,071 \cdot 10,85 = 0,382 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

VI შემთხვევა. ხარჯი ბოლო შევიწროებული ნამატიდან, როდესაც $\beta=13^\circ 24'$ და $\mu_6=0,95$

$$Q = \mu_6 \cdot a \cdot \sqrt{2gH} = 0,95 \cdot 0,0314 \cdot 10,85 = 0,326 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

მოყვანილი სიდიდეები ცხადყოფენ ცალკეული სახის ნამატების უპირატესობას (ხარჯის გატარების თვალსაზრისით) თხელკედლიან ხვრეტთან შედარებით.

ამოცანა № 72. წყლის ნაკადის ხარჯის გასაზომ კურკელს გააჩნია $d_2=0,2$ მ დიამეტრის ხვრეტი (იხ. ნახ. 59 ა). ღინების შესანელებლად



ნახ 59.

(დასაწყენარებლად) კურკელის შიგნით მოწყობილია ტიხარი, რომლის ხვრეტის დიამეტრი $d_1=0,1$ მ, დაწნევა $H=2,0$ მ.

გამოთვალეთ ხარჯი Q და H_1 და H_2 დაწნევები.

მივიღოთ ორი საანგარიშო შემთხვევა:

- 1) გამოდინება სწარმოებს თხელკედლიან ხვრეტიდან,
- 2) გამოდინება სწარმოება ცილინდრულ ნამატიდან.

ამოხსნა. I შემთხვევა. დამყარებული მოძრაობის დროს
 ორივე ხერხეთის ხარჯი ერთი და იგივეა, $Q_1 = Q_2$.
 განვსაზღვროთ ხარჯი ტიხარის ხერხეტიდან:

$$Q_1 = \mu_1 \cdot a_1 \sqrt{2gH_1},$$

საიდანაც

$$H_1 = \frac{Q_1^2}{\mu_1^2 \cdot a_1^2 \cdot 2g}.$$

ხარჯი თხელკედლიან ხერხეტიდან ატმოსფეროში ტოლია:

$$Q_2 = \mu_2 \cdot a_2 \sqrt{2gH_2},$$

საიდანაც

$$H_2 = \frac{Q_2^2}{\mu_2^2 \cdot a_2^2 \cdot 2g}.$$

ნახაზიდან გამომდინარე

$$H = H_1 + H_2.$$

ჩავსვათ ამ უკანასკნელში H_1 და H_2 მნიშვნელობანი და მივიღებთ:

$$H = \frac{Q_1^2}{\mu_1^2 a_1^2 2g} + \frac{Q_2^2}{\mu_2^2 \cdot a_2^2 \cdot 2g} = \frac{Q^2}{2g} \left(\frac{1}{\mu_1^2 \cdot a_1^2} + \frac{1}{\mu_2^2 \cdot a_2^2} \right),$$

სადაც

$$Q = Q_1 = Q_2.$$

გამოვთვალოთ H გამოსახულებაში შემავალი წევრები:

$$\frac{1}{\mu_1^2 \cdot a_1^2} = \frac{1}{0,6^2 \cdot \left(\frac{3 \cdot 14 \cdot 0,12}{4} \right)^2} = 44634,$$

$$\frac{1}{\mu_2^2 \cdot a_2^2} = \frac{1}{0,6^2 \cdot \left(\frac{3 \cdot 14 \cdot 0,2^2}{4} \right)^2} = 2817.$$

შეშასაღამე,

$$H = \frac{Q^2}{2g} (44634 + 2817) = 47451 \cdot \frac{Q^2}{2g} = 2,0 \text{ მ},$$

საიდანაც

$$Q = \sqrt{\frac{2g \cdot H}{47451}} = \sqrt{\frac{4 \cdot 9,81}{47451}} = 0,0288 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ახლა ვიანგარიშოთ H_1 და H_2 დაწინეები:

$$H_1 = \frac{Q_1^2 \cdot \frac{1}{\mu_1^2 \cdot \omega_1^2}}{2g} = 1,881 \text{ მ,}$$

$$H_2 = \frac{Q_2^2 \cdot \frac{1}{\mu_2^2 \cdot \omega_2^2}}{2g} = 0,119 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ

$$H = H_1 + H_2 = 1,881 + 0,119 = 2,0 \text{ მ.}$$

II შემთხვევა. იგივე პირობების მიხედვით ვიანგარიშით H_1 , H_2 და Q როდესაც ატმოსფეროში გამოდინება სწარმოებს ცილინდრული ნამატიდან (იხ. ნახ. 59 ბ).

ტიხარის ხვრეტიდან და ნამატიდან გამოდინებული ხარჯები ტოლი უნდა იყოს ($Q_1 = Q_2$).

სათანადო დაწნევები:

$$H_1 = \frac{Q_1^2}{\mu_1^2 \cdot \omega_1^2 \cdot 2g},$$

$$H_2 = \frac{Q_2^2}{\mu_2^2 \cdot \omega_2^2 \cdot 2g}.$$

$$H = H_1 + H_2 = \frac{Q^2}{2g} \left(\frac{1}{\mu_1^2 \cdot \omega_1^2} + \frac{1}{\mu_2^2 \cdot \omega_2^2} \right).$$

მივიღოთ, რომ $\mu_1 = 0,60$, $\mu_2 = 0,82$. სათანადო გაანგარიშების შედეგად მივიღებთ:

$$H = 46151 \frac{Q^2}{7g} = 2,0 \text{ მ და } Q = \sqrt{\frac{2 \cdot 2g}{46151}} = 0,0292 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$


სათანადო დაწნევები კი

$$H_1 = 1,934 \text{ მ, } H_2 = 0,064 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ, თხელკედლიან ხვრეტიდან ნამატზე გადასვლის შედეგად გამოდინებული ხარჯი გაიზარდა. დაწნევა H_1 იზრდება, ხოლო H_2 მცირდება და ნამატი დაიწყებს მუშაობას არასრული კვეთით.

ამოცანა № 73. საჭიროა წყალსაცავიდან გადაევაღოთ წყლის ხარჯი $Q = 40,0$ მ³/წმ. წყალსაცავი შექმნილია კაშხალის მეშვეობით, რომელიც კეტავს ხეობას. კაშხალის სიმაღლე $H_1 = 18,0$ მ. აღნიშნული ხარჯის გასატარებლად კაშხალის ტანში მოწყობილია მრგვალი ხვრეტი. განვსაზღვროთ ხვრეტის საჭირო ფართი და მისი ცენტრის დაცილება წყალსაცავის თავისუფალ ზედაპირიდან.

ჰიდრავლიკურად აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სქელკედლიან ხერტიან, რომლის სიგრძე $l=8,0$ მ (იხ. ნახ. 60).



ნახ. 60.

ამოხსნა. სქელკედლიანი ხერტისა და გარეგანი ცილინდრული ნამატის მოქმედების პრინციპი ერთი და იგივეა.

დაუშვათ $H_2=15,0$ მ, მაშინ ხარჯი

$$Q = \mu \omega \sqrt{2gH_2},$$

ხოლო

$$\omega = \frac{Q}{\mu \sqrt{2gH_2}} = 2,84 \text{ მ}^2,$$

სადაც

$$\mu = 0,82.$$

განვახორციელოთ ორი მილი. თითოეული მილის განიკვეთის ფართი:

$$\omega_1 = \frac{\omega}{2} = \frac{2,84}{2} = 1,42 \text{ მ}^2,$$

დიამეტრი

$$d = \sqrt{\frac{4 \cdot \omega_1}{3,14}} = 1,35 \text{ მ}.$$

შევამოწმოთ ეს მილი ვაკუუმის წარმოშობაზე. ვაკუუმის სიმაღლე

$$h_{\text{ვაკ.}} = 0,75 \cdot H_2 = 0,75 \cdot 15,0 = 11,25 \text{ მ}.$$

როგორც ვხედავთ მილში ვითარდება ვაკუუმის დაუშვებელი სიდიდე, რაც გამოიწვევს მის მოწყვეტას და კაშხლის ხერტი იმუშავებს, როგორც ჩვეულებრივი თხელკედლიანი ხერტი.

ახლა დავსახოთ ღონისძიებანი, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება მილის ფარგლებში განვაფითაროთ ზღვრულ მნიშვნელობაზე ნაკლები სიდიდის ვაკუუმი.

1. კაშხლის ხერტის ქვემოთ შევარჩიოთ ისეთი დაწნევა (H_3), რომელიც უზრუნველყოფს ხერტის ფარგლებში ვაკუუმის დასაშვებ სიდიდეს. ამ მიზნით შევადგინოთ შემდეგი ტოლობა:

$$(h_{\text{ვაკ.}})_{\text{დას.}} = 0,75 (H_2 - H_3),$$

საიდანაც

$$H_3 = H_2 - \frac{(h_{\text{ვაკ.}})_{\text{დას.}}}{0,75} = 15 - \frac{7}{0,75} = 5,65 \text{ მ}.$$

დასაშვები ვაკუუმის სიმაღლე მივიღეთ $(h_{\text{ვ.კ.}})_{\text{ღ.ს.}} = 7,0$ მ. ამ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც $H_3 = 5,65$ მ, მილი იმუშავებს, როგორც ნამატო და გაატარებს შესაბამის ხარჯს.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მილის ქვემოთ შეუძლებელია განვახორციელოთ $H_3 = 5,65$ მ ტოლი შეტბორვა, მაშინ საჭიროა მილის ღერძი მოვათავსოთ წყლის ზედაპირიდან $H_2' = H_2 - H_3 = 9,35$ მ სიღრმეზე. ამ დაწნევისათვის გამოვთვალოთ ხერტის განიკვეთის ფართობი შემდეგი განტოლებიდან:

$$\omega = \frac{Q}{\mu \sqrt{2gH_2'}} = \frac{40,0}{0,82 \cdot \sqrt{19,62 \cdot 9,35}} = \frac{40,0}{11,12} = 3,60 \text{ მ}^2.$$

ტექნიკურად ხელსაყრელია მოეწვოს ორი წყალგასაშვები მილი. მაშინ ერთი მილის განიკვეთის ფართობი

$$\omega' = \frac{3,60}{2} = 1,80 \text{ მ}^2 \quad \text{და} \quad d = \sqrt{\frac{1,80 \cdot 4}{3,14}} = 1,51 \text{ მ.}$$

ამრიგად, ორი მილით გატარებული ხარჯი ტოლია:

$$Q = 2\mu\omega' \cdot \sqrt{2gH_2'} = 2 \cdot 0,82 \cdot 1,80 \cdot \sqrt{183,2} = 40,0 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

რაც ხარჯის გატარების პირობას აკმაყოფილებს.

შევამოწმოთ ვენტურის ნამატის პირობა $L_{\text{ღ.ს.}} = (3,0 \div 4,0) d$, სახელდობრ: $L_{\text{ღ.ს.}} = 3,5 \cdot 2,16 = 7,56$, რაც აკმაყოფილებს ნამატის პირობას:


$$l = 8,0 > L_{\text{ღ.ს.}} = 7,56 \text{ მ.}$$

წყალსაშვები

ამოცანა № 74. სარწყავ არხზე ირიგაციული მიზნით დაყენებულია სწორკუთხოვანი კვეთის სრულქმნილი თხელკედლიანი წყალსაშვები.

წყალსაშვის სიმაღლე $t_1=0,5$ მ, გეომეტრიული სიგანე $b=2,0$ მ, დაწნევა წყალსაშვის წინ $H=0,40$ მ (იხ. ნახ. 61).

ამოხსნა. ა) განვსაზღვროთ წყალსაშვზე გადადინებული წყლის ხარჯი, რისთვისაც გამოვიყენოთ წყალსაშვის ხარჯის განტოლება:



ნახ. 61.

$$Q = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2}.$$

ხარჯის კოეფიციენტი m ვიანგარიშოთ ბაზენის ფორმულით:

$$m = \left(0,405 + \frac{0,003}{H} \right),$$

$$\left[1 + 0,55 \frac{H^2}{(t_1 + H)^2} \right] = 0,458.$$

m დადგენა შეიძლება აგრეთვე ცხრილებით (იხ. დანართი, ცხრილი 8 და 9).

წყალსაშვის ხარჯი:

$$Q = 0,458 \cdot b \sqrt{19,62} \cdot 0,40^{3/2} = 1024 \text{ ლიტ/წმ.} = 1,024 \text{ მ}^3/\text{წმ}$$

(დაწნევის $3/2$ ხარისხში საანგარიშოდ ვისარგებლეთ მე-11 ცხრილით, იხ. დანართი).

უნდა აღინიშნოს, რომ ნაკადის ე. წ. მოსვლის სიჩქარის მხედველობაში მიღების შედეგად, გადადინებული ხარჯის მნიშვნელობა რამდენადმე გაიზრდება ($Q=1,082$ მ³/წმ).

ბ) განვსაზღვროთ დაწნევა წყალსაშვის წინ H (იხ. იგივე ნახაზი) და წყალსაშვზე ჰაერის შეკუმშული სიგანე $b_{\text{შკ}}$, თუ წყალსაშვის სიმაღლე $t_1=1,0$ მ, გეომეტრიული სიგანე $b=1,5$ მ, გადადინებული ხარჯი $Q=1,8$ მ³/წმ და ხარჯის კოეფიციენტი $m=0,42$.

წყალსაშვზე გადადინებული ნაკადის შევიწროვებული სიგანე, რომელიც წყალსაშვის ფარგლებში გვერდითი კუმშვის შედეგია, შემდეგი ფორმულით იანგარიშება:

$$b_{\text{შკ}} = b - 0,1 \cdot n \cdot H,$$

სადაც n არის გვერდითი კუმშვის გამომწვევი ადგილების რიცხვი.

ვინაიდან დაწნევა H უცნობია, ამიტომ ჯერ განვსაზღვროთ წყლის ხარჯი და დაწნევა წყალსაშვის გეომეტრიული სიგანის მიხედვით (გვერდითი კუმშვის გარეშე):

$$Q = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2},$$

საიდანაც

$$H^{3/2} = \frac{Q}{m \cdot b \cdot \sqrt{2g}} = 0,65,$$

ხოლო

$$H = 0,65^{2/3} = 0,75$$

(იხ. დანართი, ცხრილი 12).

ახლა გავარკვიოთ წყალსაშვზე გადაღინებული ნაკადის შეკუმშული სიგანე:

$$b_{შვ} = 1,5 - 0,1 \cdot 2 \cdot 0,75 = 1,35 \text{ მ},$$

სადაც $n=2$ (ნაკადი წყალსაშვზე განიცილის ორმხრივ კუმშვას).

ნაკადის შეკუმშული სიგანის მიხედვით განმეორებით ვიანგარიშოთ დაწნევა H , რომელიც საჭიროა მოცემული წყლის ხარჯის გასატარებლად:

$$H^{3/2} = \frac{1,80}{0,42 \cdot 1,35 \cdot 4,43} = 0,72,$$

სადაც

$$H = 0,72^{2/3} = 0,80 \text{ მ}.$$

H დაწნევის შემდგომი დაზუსტება პრაქტიკულ აუცილებლობას არ წარმოადგენს.

გ) განვსაზღვროთ თხელკედლიან სრულქმნილ წყალსაშვზე გადაღინებული ხარჯი Q .

წყალსაშვის სიმაღლე $t_1 = 0,8$ მ, არხისა და წყალსაშვის სიგანე $b = 1,5$ მ, დაწნევა $H = 0,35$ მ.

ამოხსნა. ამოცანა გადავწყვიტოთ თანდათანობითი მიახლოების წესით (იხ. ნახ. 61).

პირველ მიახლოებისას წყალსაშვზე ნაკადის მოსვლის სიჩქარეს (v_0) მხედველობაში არ ვიღებთ.

გადაღინებული ხარჯი

$$Q = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2}.$$

ხარჯის კოეფიციენტი ბაზენის მიხედვით

$$m = \left(0,405 + \frac{0,003}{0,35} \right) \cdot \left[1 + 0,55 \frac{0,35^2}{(0,8 + 0,35)^2} \right] = 0,435,$$

ხარჯი

$$Q = 0,435 \cdot 1,5 \cdot 4,43 \cdot 0,35^{3/2} = 0,60 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

ნაკადის, ე. წ. მოსვლის სიჩქარე

$$v_0 = \frac{Q}{\omega} = \frac{Q}{b \cdot (H + t_1)} = \frac{0,60}{1,5(0,35 + 0,80)} = 0,348 \text{ მ/წმ}$$

მოსვლის სიჩქარეზე შესწორებული დაწნევა

$$H_0 = H + \frac{v_0^2}{2g} = 0,35 + \frac{0,348^2}{19,62} = 0,356 \text{ მ},$$


ხარჯის კოეფიციენტი

$$m = \left(0,405 + \frac{0,003}{0,356} \right) \cdot \left[1 + 0,55 \frac{(0,356)^2}{1 \cdot 156^2} \right] = 0,436,$$

საბოლოოდ ხარჯი

$$Q = 0,436 \cdot 1,5 \cdot 4,43 \cdot 0,356^{3/2} = 0,614 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ამოცანა № 75. განვსაზღვროთ თხელკედლიან არასრულქმნილ წყალსაშვზე გადადინებული წყლის ხარჯი, როდესაც წყალსაშვის სიმაღლე $t_2 = 1,0$ მ, სიგანე $b = 10$ მ, დაწნევა $H = 1,5$ მ და ქვედა ბიეფის დონის შემალეება წყალსაშვის ქიმის მიმართ $h = 0,5$ მ (იხ. ნახ. 62).



ნახ. 62.

ამოცანის პირობის მიხედვით, აღნიშნული წყალსაშვი შეტბორილია (დაძირულია) ქვედა ბიეფის მხრიდან.

ამოხსნა. თუ ცნობილია შეტბორავე წყალსაშვის ხარჯის კო-

ეფიციენტი $m=0,43$, მაშინ შეტბორილი წყალსაშვის ხარჯის კოეფიციენტი $m'=m \cdot \sigma_{\text{პაბ}}$, სადაც $\sigma_{\text{პაბ}}$ არის წყალსაშვის ე. წ. ტბორვის კოეფიციენტი რომლის დადგენა მე-10 ცხრილიდან შეიძლება (იხ. დანართი).

ჩვენ შემთხვევაში

$$\sigma_{\text{პაბ}} = \left(1 + 0,2 \frac{h}{t_2}\right)^3 \sqrt{\frac{z}{H}} = 0,953,$$

$$\text{ვინაიდან } z = H - h = 1,0 \text{ მ.}$$

ამრიგად, ხარჯის კოეფიციენტი განსახილველი წყალსაშვისათვის:

$$m' = m \cdot \sigma_{\text{პაბ}} = 0,43 \cdot 0,953 = 0,41,$$

ხარჯი

$$Q = 0,41 \cdot 10 \cdot 4,43 \cdot 1,5^{3/2} = 33,3 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

ნაკადის მოსავლის სიჩქარე

$$v_0 = \frac{Q}{\omega} = \frac{33,3}{(H+t_1) \cdot b} = 1,33 \text{ მ/წმ},$$

შესწორებული დაწნევა

$$H_0 = H + \frac{v_0^2}{2g} = 1,59 \text{ მ},$$

ხარჯის კოეფიციენტი მეორე შიახლოებაში ტოლია:

$$m' = 0,43 \left(1 + 0,2 \frac{0,5}{1,0}\right)^3 \sqrt{\frac{1,09}{1,59}} = 0,417,$$

ხარჯი

$$Q = 0,417 \cdot 10 \cdot 4,43 \cdot 1,59^{3/2} = 37,0 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ამოცანა № 76. თხელკედლიანმა წყალსაშვმა უნდა გაატაროს ხარჯი $Q = 5,0 \text{ მ}^3/\text{წ}$ ისე, რომ დაწნევა $H = 0,5 \text{ მ}$. მოცემულია წყალსაშვის სიმაღლე $t_1 = 1,50 \text{ მ}$.

განვსაზღვროთ წყალსაშვის ისეთი სიგანე b , რომელიც დააკმაყოფილებს აღნიშნულ პირობებს.

ამოხსნა. ხარჯის განტოლებიდან გვაქვს:

$$b = \frac{Q}{m \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2}}.$$

ხარჯის კოეფიციენტი $m = 0,45$.

საბოლოოდ

$$b = \frac{5,0}{0,45 \cdot 4,43 \cdot 0,353} = 28,09 \text{ მ.} = 28,1 \text{ მ.}$$

ამოცანა № 77. მდინარის დინების მართობულად აგებულია თხელ-
კედლიანი სრულქმნილი წყალსაშვი.

წყალსაშვის სიგანე $b=25,0$ მ, ე. ი. მდინარის სიგანის ტოლია
(გვერდით კუმშვას ადგილი არა აქვს), წყალსაშვის სიმაღლე $t_1=1,5$ მ.
ვიანგარიშით წყალსაშვის გამტარიანობა ორი შემთხვევისათვის,
როდესაც მაქსიმალური დაწნევა წყალსაშვის ქიშხე $H_1=0,70$ მ და რო-
დესაც მდინარის მინიმალური ხარჯის დროს დაწნევა $H_2=0,20$ მ.

ამოხსნა. ამოცანის ამოსახსნელად გამოვიყენოთ დანართში მო-
ყვანილი ცხრილები.

უპირველეს ყოვლისა დაწნევისა და წყალსაშვის სიმაღლის მიხე-
დვით მე-8 ცხრილიდან დავადგინოთ შესაბამისი ხარჯის კოეფიციენტი.

ასე მაგალითად, $H_1=0,7$ მ და $t_1=1,5$ მ მნიშვნელობებს შეესაბა-
მება ხარჯის კოეფიციენტი $m=0,430$.

ახლა განვსაზღვროთ ხარჯი ცხრილის საშუალებით (იხ. დანართი,
ცხრილი 9).

ვინაიდან $m=0,43$ მნიშვნელობის შესაბამისი ხარჯი ცხრილში არ
არის მოყვანილი ამიტომ მივმართოდ ინტერპოლაციის ხერხს.

როდესაც $H_1=0,70$ მ, ხოლო $m=0,40$, მაშინ ხვედრითი ხარჯი
(ანუ ხარჯი წყალსაშვის ერთი მეტრის სიგრძეზე) $q'=1,036$ მ³/წმ, ხვედ-
რითი ხარჯი კი (როდესაც $m=0,43$)

$$q = 1,036 \cdot \frac{0,43}{0,40} = 1,113 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

სრული ხარჯი წყალსაშვის მთელ სიგრძეზე

$$Q_1 = q \cdot b = 1,113 \cdot 25,0 = 27,83 \text{ მ}^3 = 27830 \text{ ლიტ}/\text{წმ}.$$

მეორე შემთხვევაში, როდესაც დაწნევა $H_2=0,2$ მ. ხარჯის კო-
ეფიციენტი იმავე ცხრილიდან განისაზღვრება. თუ $m=0,425$, სრული
ხარჯი

$$Q_2 = \frac{158 + 178}{2} \cdot 25 = 4,20 \text{ მ}^3/\text{წმ} = 4200 \text{ ლიტ}/\text{წმ}.$$

ამ ხარჯის განსაზღვრის დროს გამოვიყენეთ ცხრილის შემდეგი
მონაცემები:

$m=0,400$	მნიშვნელობას	შესაბამება	ხვედრითი ხარჯი	$q_1=158$ ლ/წმ,
$m=0,450$	"	"	"	$q_2=178$ ლ/წმ,
$m=0,425$	"	"	"	$q_3 = \frac{158 + 178}{2}$ ლ/წმ.

ახლა დამატებით ვიანგარიშით წყალსაშვზე გადადენილი ნაკადის
სიჩქარე:

პირველ შემთხვევაში

$$v_1 = \frac{Q_1}{\omega_1} = \frac{27,83}{25 \cdot 0,7} = 1,59 \text{ მ/წმ},$$


მეორე შემთხვევაში

$$v_2 = \frac{Q_2}{\omega_2} = \frac{4,20}{25 \cdot 0,2} = 0,84 \text{ მ/წმ}.$$

საორიენტაციო ანგარიშის დროს უკვე ჩატარებული ჰიდრაული-კური ანგარიშის შესამოწმებლად გაანგარიშება ცხრილების მიხედვითა ფრიად მიზანშეწონილია.

ამოცანა № 78. წყალსაშვის ზღურბლის დახრა დინების მიმართულებით 1:2 ტოლია.

განვსაზღვროთ წყალსაშვის ხარჯი. დაწნევა $H=0,5$ მ, წყალსაშვის სიმაღლე $t_1=1,0$ მ და სიგანე $b=5,0$ მ (იხ. ნახ. 63).



ნახ. 63.

ამოხსნა. ამოცანის ამოსახსნელად კვლავ ვისარგებლოთ ცხრილებით.

განსახილველ შემთხვევაში ხარჯის კოეფიციენტი

$$m_1 = \lambda \cdot m,$$

სადაც λ არის შემასწორებელი კოეფიციენტი.

ჯერ განვსაზღვროთ m მნიშვნელობა, როდესაც $H=0,5$ მ, და $t_1=1,0$ მ (იხ. დანართი, ცხრილი 8),

$$m = 0,437.$$

λ მნიშვნელობა, როდესაც წყალსაშვის დახრა დინების მიმართულებით 1:2 ტოლია*

$$\lambda = 1,12.$$

* პ. ჯიქია. ჰიდრაულიკა. 1947 წ., გვ. 314.

ასე რომ

$$m_1 = \lambda \cdot m = 1,12 \cdot 0,437 = 0,49.$$

წყლის ხარჯი (როდესაც $m_1 = 0,50$, იხ. დანართი, ცხრილი 9)

$$Q_1 = 785,0 \text{ ლიტ/წმ.}$$

ხარჯი (როდესაც $m = 0,49$)


$$Q = 785,0 \cdot \frac{0,49}{0,50} = 0,759 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

იგივე წესით იანგარიშება ხარჯი წყალსაშვზე, როდესაც წყალსაშვი დაქანებულია დინების საწინააღმდეგო მიმართულებით.

ამოცანა № 79. ზოგჯერ არხზე ან ძდინარეზე მათი გრძივი ქანობისა და წყლის დონის აწევის სიმცირის გამო, აწყობენ მცირე დაწნევის მქონე წყალსაშვებს. ამ შემთხვევაში წყალსაშვის ანგარიში უნდა ჩატარდეს გარკვეული წესით.

განვიხილოთ თხელკედლიანი წყალსაშვი რომლის სიმაღლე $t_1 = 1,20$ მ, სიგანე $b = 5,00$ მ, ხოლო დაწნევა ქიშზე უნდა აკმაყოფილებდეს პირობას $H \leq 1,2$ მ.

ვინაგარიშოთ ხარჯი Q თუ $h = 0,4$ (იხ. ნახ. 64).



ნახ. 64.

ამოხსნა. შევამოწმოთ წყლის გადადინების ხასიათი განსახილველ წყალსაშვზე. შემოწმებისას ვრწმუნდებით, რომ განსახილველი წყალსაშვი არის არასრულქმნილი (შეტბორილი გადადინებით), ვინაიდან დაცულია შემდეგი პირობები:

$$h = 0,40 > 0 \text{ და}$$

$$\frac{z}{t_1} = \frac{H-h}{t_1} = 0,67 < 0,70,$$

სადაც კრიტერიუმი 0,70 დადგენილია ბაზენის ცდების მიხედვით.

როგორც ვიცით შეტბორილი გადადინების დროს ქვედა ბიფეის წყლის დონე გავლენას ახდენს წყალსაშვზე გადადინებული წყლის ხარჯზე, სახელდობრ, ამცირებს გადადინებული წყლის ხარჯს წყლის დონის მომატებასთან ერთად.

განვიხილოთ არასრულქმნილი წყალსაშვის განტოლება:

$$Q = m' \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2}.$$

ამ განტოლებაში შემავალი ხარჯის კოეფიციენტი

$$m' = 1,05 \cdot m \cdot \sigma_{3/2},$$

სადაც კოეფიციენტი 1,05 (ნ. პავლოვსკის მონაცემებით) გადადინებულ ხარჯზე იმ გავლენას გულისხმობს, რომელიც დაკავშირებულია ჰაერის შეღწევის ხარისხთან წყალსაშვზე გადადინებული ჰაერის ქვეშ.

ცხრილის მიხედვით $m=0,43$ (ეს მნიშვნელობა ზუსტად გაირკვევა ბაზენის ფორმული სრულქმნილი წყალსაშვისათვის).

წყალსაშვის შეტბორვის კოეფიციენტი

$$\sigma_{\text{შვ}} = \left(1 + \frac{h}{H}\right) \cdot \sqrt[3]{\frac{\chi}{H}} = \left(1 + \frac{0,40}{1,20}\right) \cdot \sqrt[3]{\frac{0,80}{1,20}} = 0,90.$$

ზედა და ქვედა ბიფფებს შორის დონეთა სხვაობა

$$z = H - h = 1,20 - 0,40 = 0,80 \text{ მ}$$

ასე, რომ

$$m' = 1,05 \cdot 0,43 \cdot 0,90 = 0,406.$$

ამიტომ ხარჯი

$$Q = 0,406 \cdot 5 \cdot 0,4 \cdot 43 \cdot 1,2^{3/2} = 11,63 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ბოლო გამოსახულებაში $H^{3/2} = 1,2^{3/2} = 1,313$ (იხ. დანართი ცხრილი 11).

მოსვლის სიჩქარის სიმციროს გამო გვერდით კუმშვას მხედველობაში არ ვიღებთ.

ახლა შევამოწმოთ დაწინევა H :

$$H^{3/2} = \frac{Q}{m' \cdot b \cdot \sqrt{2g}} = \frac{11,64}{0,40 \cdot 5 \cdot 0,4 \cdot 43} = 1,31,$$

საიდანაც

$$H = (1,31)^{2/3} = 1,192 \text{ მ. (იხ. ცხრილი 12).}$$

ამრიგად,

$$H = 1,192 < 1,2 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ ამოცანის პირობა დაკმაყოფილებულია.

ახლა დაუშვათ, საჭიროა წყალსაშვმა გაატაროს ხარჯი $Q=20,0$ მ³/წმ. ამოცანის დანარჩენი პირობები იგივეა რაც წინა ამოცანაში.

დაუშვათ $H=1,0$ მ მაშინ, წყალსაშვის საჭირო სიგანე

$$b = \frac{20,0}{0,40 \cdot 4,43 \cdot 1} = 11,1 \text{ მ.}$$

არასრულქმნილი წყალსაშვის ანგარიშის დროს მიზანშეწონილია ცხრილებით სარგებლობა (იხ. დანართი, ცხრილი 10).

ამოცანა № 80. ვიანგარიშოთ ფართობლურბლიან წყალსაშვზე გადადინებული წყლის ხარჯი, თუ $t_2=1,00$ მ, $t_{\text{კ.}}=1,20$ მ, წყალსაშვის სიგანე $b=4$ მ, ხოლო ნაკადის მოსვლის სიჩქარე $v_0=1,0$ მ/წმ (იხ. ნახ. 65).

ამოხსნა. ხარჯის ანგარიშისათვის საჭიროა ვიცოდეთ მოსვლის სიჩქარეზე შესწორებული დაწნევა H_0 . თეორიულად ცნობილია, რომ დაწნევა წყალსაწვის წინ


$$H = k' \cdot t_{36} = 1,71 \cdot t_{36},$$

სადაც

$$k' = \sqrt[3]{\frac{1}{2m^2}} = 1,71.$$

ზემოაღნიშნულ ტოლობაში ხარჯის კოეფიციენტი $m = 0,32$. ამრიგად,

$$H_0 = H + \frac{v_0^2}{2g} = 1,7 \cdot 1,20 + \frac{1}{19,62} = 2,1 \text{ მ.}$$



ნახ. 65.

წყლის ხარჯი, როდესაც წყალსაწვის შესასვლელი ნაწილი მომრგვალებულია

$$Q = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H_0^{3/2} = 0,35 \cdot 4 \cdot \sqrt{19,62} \cdot 2,1^{3/2} = 18,86 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

სადაც ცხრილის მიხედვით $m = 0,35$, ხოლო $\varphi = 0,92$. სიჩქარე ზღურბლზე

$$v = \frac{Q}{\omega} = \frac{18,86}{4 \cdot 1,2} = 3,93 \text{ მ/წმ}.$$

ახლა ფართოზღურბლიანი წყალსაწვის სიგანე ავიღოთ $b = 8,0$ მ, ხარჯი წყალსაწვზე $Q = 40,0$ მ³/წმ, $t_0 = 1,0$ მ. ზღურბლის შესავალი ნაწილი სწორკუთხოვანია.

ვიანგარიშოთ დაწნევა წყალსაწვის ზღურბლის წინ H (იხ. ნახ. 65).

დაწნევის მნიშვნელობა ვიანგარიშოთ მიახლოებითი წესით ხარჯის ვანტოლებიდან ($m = 0,32$):

$$H_0 = \left(\frac{Q}{m \cdot b \cdot \sqrt{2g}} \right)^{2/3} = 2,82^{2/3} = 2,0 \text{ მ.}$$

ნაკადის მოსავლის სიჩქარე

$$v_0 = \frac{Q}{\omega} = \frac{Q}{b(t_0 + H_0)} = 1,66 \text{ მ/წმ.}$$

მოსვლის სიჩქარის დაწნევა

$$\frac{v_0^2}{2g} = \frac{1,66^2}{19,62} = 0,14 \text{ მ.}$$

საძიებელი დაწნევა პირველ მიახლოებაში

$$H = H_0 - \frac{v_0^2}{2g} = 2,00 - 0,14 = 1,86 \text{ მ.}$$

ახლა ვიანგარიშობთ v_0 ისე, რომ მხედველობაში მივიღოთ H მიღებული მნიშვნელობა:

$$v_0 = \frac{Q}{b(t_0 + H)} = \frac{40}{8(1 + 1,86)} = 1,75 \text{ მ,}$$

ხოლო

$$\frac{v_0^2}{2g} = \frac{1,75^2}{19,62} = 0,157 \text{ მ.}$$

საძიებელი დაწნევის მნიშვნელობა საბოლოოდ იქნება:

$$H = H_0 - \frac{v_0^2}{2g} = 1,844 \text{ მ.}$$

ნაკადის სიღრმე წყალსაშვზე, რომელიც დაახლოებით კრიტიკული სიღრმის ტოლია

$$t_1 \approx t_{36} = \frac{H}{1,71} = 1,08 \text{ მ.}$$

ნაკადის სიჩქარე წყალსაშვის ზღურბლზე

$$v = \frac{Q}{b \cdot t_{36}} = 4,63 \text{ მ/წმ.}$$


ამოცანა № 81. ვიანგარიშობთ ფართეზღურბლიანი წყალსაშვის ხარჯი Q . წყალსაშვის სიგანე წინასწარ მოცემულია, $b=4,0$ მ. დაწნევა $H=1,5$ მ, ნაკადის მოსვლის სიჩქარე $v_0=1,1$ მ/წმ, წყალსაშვის ზღურბლის სიმაღლე $t_1=0,56$ მ, წყლის სიღრმე გამყვან არხში $t_2=1,5$ მ. წყალსაშვი განიციდის გვერდით კუმშვას. წყალსაშვის ხვრეტი სწორკუთხოვანია და ზღურბლი არ არის მომრგვალებული (იხ, ნახ. 66).

ამოხსნა. ვიდრე შეუდგებოდეთ ხარჯის ანგარიშს საკიროა დავადგინოთ ნაკადის გადადინების ხასიათი წყალსაშვზე.

ჩვენი შემთხვევისათვის სიჩქარის კოეფიციენტი შეგვიძლია მივიღოთ $\varphi = 0,90$ ტოლი, მაშინ ხარჯის კოეფიციენტი $m = 0,344$ და გვერდითი კუმშვის კოეფიციენტი $\varepsilon = 0,80$.

სიჩქარის კოეფიციენტი პროფ. აგროსკინის მიხედვით, როდესაც წყალსაშვებს გვერდითი კუმშვა გააჩნია, იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\varphi_c = \frac{\varepsilon \varphi}{\sqrt{1 - \varphi^2(1 - \varepsilon^2)}} = \frac{0,80 \cdot 0,90}{\sqrt{1 - 0,9^2(1 - 0,8^2)}} = 0,857.$$



ნახ. 66

ჰიდრაულიკური ნახტომის მეორე შეუღლებული სიღრმე, რომელიც ფართობლურბლიანი წყალსაშვის ზღურბლზე მყარდება ტოლია:

$$h'' = k'' \cdot H_0 = 0,73 \cdot 1,562 = 1,34 \text{ მ,}$$

სადაც

$$k'' = \frac{2\varphi_c^2}{1 + 2\varphi_c^2(2\varphi_c^2 - 1)} = \frac{2 \cdot 0,857}{1 + 2 \cdot 0,857^2(2 \cdot 0,857^2 - 1)} = 0,73,$$

$$H_0 = H + \frac{v_0^2}{2g} = 1,5 + \frac{1,1^2}{19,62} = 1,562 \text{ მ.}$$

ახლა შევამოწმოთ წყალსაშვზე გადაღინების ხასიათი:

$$h'' + t_1 = 1,34 + 0,56 = 1,9 > t_2 = 1,5 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ წყალსაშვი შეუტბორავია და ამიტომ გადაღინებული ხარჯი

$$Q = m \cdot b \sqrt{2g} \cdot H_0^{3/2} = 0,34 \cdot 4,0 \cdot 4,43 \cdot 1,6^{3/2} = 10,72 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ამოცანა № 82. ფართობლურბლიანი წყალსაშვის წინ დაწნევა $H = 2,0$ მ.

მოცემულია: $t_0 = 1,5$ მ, $t_2 = 1,5$ მ, წყალსაშვის სიგანე $b = 10,0$ მ (იხ, ნახ. 67).


ვიანგარიშოთ წყალსაშვზე გადადენილი წყლის ხარჯი.

ამოხსნა. გავარკვევით ნაკადის გადაღინების ხასიათი წყალსა-
შვზე (მივილოთ: $\varphi=1$, $m=0,385$). წინასწარი ანგარიშების ჩატარების
შემთხვევაში წყლის სიღრმე წყალსაშვის ზღურბლზე t_1 შეუტბორავი გა-
დაღინების დროს დაახლოებით შეიძლება კრიტიკული სიღრმის $t_{3,6}$ ტო-
ლი მივილოთ:

$$t_1 = t_{3,6} = \frac{2}{3}H = 1,33 \text{ მ.}$$

რადგან

$$t_{3,6} = 1,33 < t_2 = 1,5,$$



ნახ. 67.

ამიტომ წყალსაში შეტბორილია და წყლის საანგარიშო სიღრმე ზღურ-
ბლზე t_2 ტოლი იქნება, ე. ი.

$$t_1 = t_2 = 1,5 \text{ მ.}$$

t_2 სიღრმე ყოველთვის დამოკიდებულია გამყვანი არხის განიკვე-
თის ფართზე, მის გრძივ ქანობზე და არხის ანგარიშის მიხედვით უნ-
და დადგინდეს.

მაშასადამე, ხარჯი

$$Q = \varphi \cdot b \cdot t_1 \sqrt{2g\zeta},$$

სადაც ვარდნილი

$$\zeta = H - t_1 = 2,0 - 1,5 = 0,50 \text{ მ,}$$

$$w = b \cdot t_1; \varphi = 0,92.$$

როდესაც წყალსაშვის შესასვლელი ნაწილი სწორკუთხოვანია და $t_1 =$
 $= 1,5$ მ, ნაკადის ხარჯი პირველ მიახლოებაში

$$Q = 0,92 \cdot 10 \cdot 1,5 \cdot 4,43 \cdot 0,707 = 43,22 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

მოსვლის სიჩქარე

$$v_0 = \frac{Q}{w} = \frac{Q}{b(H+t_1)} = 1,24 \text{ მ/წმ.}$$

მოსვლის სიჩქარის დაწნევა

$$\frac{v_0^2}{2g} = 0,078 \text{ მ.}$$

საბოლოოდ ხარჯი

$$Q = \varphi \cdot b \cdot t_1 \cdot \sqrt{2g \left(z + \frac{v_0^2}{2g} \right)} = 46,4 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ამოცანა № 83. ვიანგარიშით ფართეზღურბლიანი წყალსაშვის ხარჯი, რომლის სიგანე $b=4,0$ მ, კალაპოტის სიგანე $B=5,0$ მ, წყალსაშვის ზღურბლის სიმაღლე $t_1=1,5$ მ, დაწნევა $H=1,5$ მ.

ამოხსნა. ამოცანის ამოხსნისათვის ხარჯის კოეფიციენტი ვიანგარიშით ა. ბერეზინსკის ფორმულით.

გვერდითი კუმშვის პირობებში წყლის ხარჯი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Q = \varepsilon \cdot m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H_0^{0,5},$$

სადაც ε არის გვერდითი კუმშვის კოეფიციენტი და მისი დადგენა შეგვიძლია ცხრილის საშუალებით*. ცხრილის მიხედვით, როდესაც

$$\frac{t_1}{H} = 1 \text{ და } \frac{b}{B} = 0,80, \text{ მაშინ } \varepsilon = 0,94.$$

ხარჯის კოეფიციენტი m , როდესაც წყალსაშვის შესასვლელი ზღურბლი სწორკუთხოვანია იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$m = 0,32 + 0,01 \cdot \frac{3 - \frac{t_1}{H}}{0,46 + 0,75 \cdot \frac{t_1}{H}} = 0,32 + 0,01 \cdot \frac{3 - 1}{0,46 + 0,75 \cdot 1} = 0,337.$$

შესატყვის მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ პირველ მიახლოებაში მივიღებთ:

$$Q = 0,94 \cdot 0,337 \cdot 4,0 \cdot 4,43 \cdot 1,5^{0,5} = 10,25 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ხარჯის მიღებული მნიშვნელობის შემდგომი კორექტირება ნაკადის მოსვლის სიჩქარისა და მოსვლის სიჩქარეზე შესწორებული H_0 დაწნევის დადგენის გზით.

ამოცანა № 84. ხევის ნიაღვრის წყლის გატარების მიზნით, გზატკეცილის ყრილის ქვეშ მოწყობილია სწორკუთხოვანი ბეტონის მილი. ყრილის გზატკეცილის უმაღლესი წერტილი (სავალი ნაწილი) დაცილებულია მილის ფსკერიდან $H_1=4,0$ მ მანძილზე. ნიაღვრული ხასიათის წვიმის დროს წყლის ხარჯი ხევიში $Q_{max}=15,0$ მ³/წმ, წყლის სიღრმე

* ლატიშენკოვი გვ. 337, ცხრ. 10-5.

ხევში მილის ქვემოთ $t_2 = 0,8$ მ, ნაკადის დასაშვები სიჩქარე მილში $v = 3,25$ მ/წმ (იხ. ნახ. 68).

ვიანგარიშით მილსადენის ხერცის ისეთი სიგანე b და დაწნევა H , რომელიც დააკმაყოფილებს შემდეგ პირობას:

$$H_1 > (H + 1,5 \text{ მ}).$$

ამოხსნა. ჰიდრაულიკური თვალსაზრისით მილი ისე განვიხილოთ, როგორც ფართოზღურბლიანი წყალსაში. უპირველეს ყოვლისა გავიგოთ ნაკადის კრიტიკული სიღრმე მილში:

$$t_{36} = \frac{v^2}{g} = 1,076 \text{ მ},$$

სადაც

$$v = 3,25 \text{ მ/წმ}.$$

ცნობილი ხარჯის დროს t_{36} შეიძლება გავარკვიოთ სხვა ფორმულითაც:

$$t_{36} = \sqrt[3]{\frac{\alpha Q^2}{g b^2}}.$$

როგორც ვხედავთ

$$t_{36} = 1,076 > t_2 = 0,80 \text{ მ}.$$

მაშასადამე, მილი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სრულქმნილი (შეუტბორავი) წყალსაში თავისუფალი დინებით.

ხარჯი

$$Q = t_{36} \cdot b \cdot v,$$

აქედან, მილის ხერცის სიგანე

$$b = \frac{Q}{t_{36} \cdot v}.$$

ამ გამოსახულებაში ჩავსვით t_{36} . მნიშვნელობა, მივიღებთ:

$$b = \frac{g \cdot Q}{v^2 \cdot v} = \frac{g Q}{v^3} = 4,27 \text{ მ}.$$

დაწნევა მილის წინ აკად. პავლოვსკის მიხედვით (როდესაც $\varphi = 0,85$ და $m = 0,32$)

$$H = k' \cdot t_{36} = 1,7 \cdot 1,076 = 1,829,$$

სადაც

$$k' = \sqrt[3]{\frac{1}{2m^2}} = 1,7.$$

ახლა გავვიგოთ წყლის ღონეთა სხვაობა:

$$z_1 = H - t_{36} = 0,753 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ H დაწინევა და ხერეტის b სიგანე შერჩეულია სწორად:

$$H_1 = 4 > (H + 1,5) = 3,329 \text{ მ.}$$

ამრიგად, ამოცანის პირობა დაკმაყოფილებულია და გზატკეცილს არ მოელის ნიაღვრის წყლისაგან გადარეცხვის საშიშროება.

ამოცანა № 85. ვიანგარიშით ნაკადის ღონეთა სხვაობა მილის წინ (z_1) და ქვემოთ (z_2). წყლის ხარჯი $Q = 20,0$ მ³/წმ, მილის სიგანე $b = 5,0$ მ, წყლის სიღრმე მილის ქვემოთ $t_2 = 0,70$ მ (იხ. ნახ. 68).



ნახ. 68.

ამოხსნა. მოცემულ შემთხვევაში კრიტიკული სიღრმე შეგვიძლია ვიანგარიშით შემდეგი ფორმულით:

$$t_{36} = \sqrt[3]{\frac{\alpha(\gamma)^2}{\varepsilon b^2 \cdot g}} = 1,22 \text{ მ,}$$

სადაც

$$\alpha = 1, \text{ და } \varepsilon = 0,90 \text{ (კუმშვის კოეფიციენტი).}$$

ვინაიდან,

$$t_{36} = 1,22 > t_2 = 0,70,$$

ამიტომ დინება იქნება თავისუფალი (შეუტბორავი).

მილის წინ დაწინევა, როდესაც $m = 0,35$ ტოლია

$$H = k' \cdot t_{36} = 1,590 \cdot t_{36} = 1,94 \text{ მ,}$$

სადაც

$$k' = \sqrt[3]{\frac{1}{2m^2}} = 1,59.$$

ვიციტ რა, რომ

$$t_{36} = \frac{v^2}{g},$$

შეგვიძლია ვიანგარიშოთ ნაკადის სიჩქარე მილში:

$$v = \sqrt{t_{36} \cdot g} = 2,98 \text{ მ/წმ.}$$

ახლა გავიგოთ ზემო დონეთა სხვაობა (ვარდნილი):

$$z_1 = H - t_{36} = 0,72 \text{ მ,}$$

ხოლო მილის ქვემოთ

$$z_2 = t_{36} - t_2 = 0,52 \text{ მ.}$$

ვარდნილთა მიღებული მნიშვნელობანი შეესაბამებიან შეუტბორავ (თავისუფალ) გადადინების რეჟიმს, მილის (ფართეზლურბლიან წყალსაშვის) ფარგლებში. თუ ვიგულისხმებთ, რომ

$$t_{36} < t_2,$$

მაშინ მილის მოქმედება ჰიდრაულიკურად ნაკადის შეტბორილ (ართავისუფალ) ფართეზლურბლიან წყალსაშვზე გადადენის ანალოგიური იქნება.

დაუშვათ, მილის ქვემოთ, გამყვან კალაპოტში მოძრაობის თავისებური პირობების გამო $t_2 = 1,30$ მ, მაშინ

$$t_{36} = 1,22 < t_2 = 1,30.$$

ამ შემთხვევაში წყლის სიღრმე მილის ფარგლებში t_2 ტოლი ვახდება.

z_1 ვარდნილის საანგარიშოთ მილის წინ შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი განტოლება:

$$z_1 = \frac{v^2 - v_0^2}{2g\varphi^2},$$

სადაც v_0 არის ნაკადის სიჩქარე მილის წინ. თუ მას სიმციობის გამო მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ

$$z_1 = \frac{v^2}{2g\varphi^2} = 0,537 \text{ მ.}$$

სადაც

$$v = \frac{Q}{b \cdot t_2} = 3,08 \text{ მ/წმ.}$$

მილის წინ დაწნევა კი

$$H = t_2 + z_1 = 1,837 \text{ მ.}$$

ამოცანა № 86. დავადგინოთ სწორკუთხოვანი მილის კვეთის ზომები, რომელმაც უნდა გაატაროს ხარჯი $Q = 50,0$ მ³/წმ, თუ მილის წინ დაწნევა $H = 3,0$ მ და მის ქვემოთ მყარდება სიღრმე $t_2 = 1,20$ მ (იხ. ნახ. 68).

ამოხსნა. კრიტიკული სიღრმე მილში, როდესაც φ ტოლია 0,95 მ

$$t_{კრ.} = k' \cdot H = 1,950 \text{ მ,}$$

სადაც

$$k' = \frac{2\varphi^2}{1+2\varphi^2} = 0,65 \text{ მ.}$$

იმის გამო რომ

$$t_{კრ.} = 1,95 > t_2 = 1,20,$$

ამიტომ წყლის დინება მილში შეუტბორავი იქნება (თავისუფალი) და წყლის ვარდნილი მილის წინ

$$z_1 = H - t_{კრ.} = 1,050 \text{ მ.}$$

ნაკადის სიჩქარე

$$v = \sqrt{t_{კრ.} \cdot g} = 4,35 \text{ მ/წმ.}$$

ასეთი სიჩქარე მილში დასაშვებია, თუ იგი მოპირკეთებულია ქვით.

მილის კვეთის სიგანის გასაგებად, წინასწარ დავწეროთ ხარჯის განტოლება:

$$Q = \varepsilon \cdot \omega \cdot v = \varepsilon \cdot b \cdot t_{კრ.} \cdot v,$$

საიდანაც

$$b = \frac{Q}{\varepsilon \cdot t_{კრ.} \cdot v} = 6,61 \text{ მ.}$$

$\varepsilon = 0,90$ გვერდითი კუმშვის კოეფიციენტია (....).

მეორე ვარდნილი (მილის ქვემოთ)

$$z_2 = t_{კრ.} - t_2 = 0,732 \text{ მ.}$$

ამოცანა № 87. დავადგინოთ სწორკუთხოვანი მილის კვეთის სიგანე, რომელმაც უნდა გაატაროს ხარჯი, $Q = 20,0 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

მოცემულია: $H = 2,0 \text{ მ}$, $t_2 = 1,50 \text{ მ}$.

ამოხსნა. ნაკადის სიღრმე მილში (რომელიც მიახლოებით კრიტიკული სიღრმის ტოლია)

$$t_{კრ.} = 0,650 \cdot H = 1,300 \text{ მ (იხ. ამოცანა 73).}$$

ვინაიდან

$$t_{კრ.} = 1,30 < t_2 = 1,50 \text{ მ}$$

დინება მილში შეტბორილია და ვარდნილი მილის წინ

$$z_1 = H - t_2 = 0,50 \text{ მ,}$$

ნაკადის სიჩქარე მილში (თუ მივიღებთ $\varphi = 1$)


$$v = \sqrt{2gz_1} = 2,97 \text{ მ/წმ,}$$

ხერეთის სიგანე

$$b = \frac{Q}{z \cdot t_2 \cdot v} = 5,30 \text{ მ,}$$

სადაც კუმშვის კოეფიციენტი $\varepsilon = 0,85$.

ამოცანა № 88. ვიანგარიშით თაღოვანი ხიდის ხერეთი, რომელიც წყალდიდობის დროს ატარებს ხარჯს, $Q = 800,0 \text{ მ}^3/\text{წმ}$. ნაკადის დასაშვები სიჩქარე ხიდის ქვეშ $v = 6,0 \text{ მ/წმ}$ (იხ. ნახ. 69).



ნახ. 69.

ამოცანის პირობის თანახმად h_1 მანძილი წყლის დონიდან ხიდის სავალ ნაწილამდე არ უნდა იყოს $0,5-1,0$ მ-ზე ნაკლები. ხიდის ქვემოთ მყარდება სიღრმე $t_2 = 3,0$ მ. ხიდის სავალი ნაწილის სიმაღლე ფსკერიდან $H_1 = 6,0$ მ.

ამოხსნა. ამოცანის პირობის თანახმად, დასაშვები სიჩქარე ხიდის ქვეშ $v = 6,0 \text{ მ/წმ}$ და ამიტომ კრიტიკული სიღრმე

$$t_{კრ.} = \frac{v^2}{g} = 3,67 \text{ მ.}$$

დაწნევა ხიდის წინ (როდესაც $\varphi = 0,95$)

$$H = \frac{t_{კრ.}}{k'} = \frac{1+2\varphi^2}{2\varphi^2} \cdot t_{კრ.} = 1,54 \cdot t_{კრ.} = 5,7 \text{ მ (ვინაიდან } t_{კრ.} = k' \cdot H).$$

როგორც ვხედავთ

$$H = 5,7 > (H_1 - h_1) = 5,0,$$

ე. ი. ხიდის წინ წყლის სიღრმე დასაშვებზე მეტია და ამოცანის პირობას არ აკმაყოფილებს.

როგორც ვიციით დასაშვები დაწნევა ხიდის წინ

$$H = H_1 - h_1 = 5,0 \text{ მ.}$$

მიეჩინოთ იგი საფუძვლად და დავადგინოთ სათანადო კრიტიკული სიღრმე:

$$t_{36} = 0,650 \cdot H = 3,25 \text{ მ.}$$

განვიხილოთ ორი შემთხვევა: 1) როდესაც $t_2 = 3,0$ მ და 2) როდესაც $t_2 = 3,5$ მ.

პირველ შემთხვევაში

$$t_{36} = 3,25 > t_2 = 3,0$$

დინება ხიდის ქვეშ შეუტბორავი (თავისუფალი) იქნება და ხერცტის სიგანე

$$b = \frac{Q}{\varepsilon \cdot t_{36} \cdot v} = 46,0 \text{ მ.}$$

მეორე შემთხვევაში

$$t_{36} = 3,25 < t_2 = 3,5$$

რაც იმას ნიშნავს, რომ ხიდის ქვეშ დინება შეტბორილია (არათავისუფალი) და ნაკადის სიღრმე

$$t_2 = 3,5 \text{ მ.}$$

ახლა დაახლოებით დავადგინოთ ნაკადის სიჩქარე ხიდის ქვეშ:

$$v = \sqrt{2g(H - t_2)} = 0,95 \cdot \sqrt{19,62(5 - 3,5)} = 5,15 \text{ მ/წმ.}$$

ხერცტის სათანადო სიგანე კი

$$b = \frac{Q}{\varepsilon \cdot t_2 \cdot v} = \frac{800}{0,89 \cdot 3,5 \cdot 5,15} = 50 \text{ მ.}$$

ამოცანის პირობა ორივე განხილულ შემთხვევაში დაცულია.

ამოცანა № 89. ვიანგარიშით ყრილის ქვეშ მოწყობილი სწორკუთხოვანი წყალგასასვები ბეტონის მილის კვეთის ზომები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მაქსიმალური ხარჯის ($Q = 25,0$ მ³/წმ) გატარების პირობას.

გარკვეული ტექნიკური მიზეზების გამო დაწინევა მილის წინ და ნაკადის სიჩქარე მილში შესაბამისად უნდა აკმაყოფილებდენ შემდეგ პირობებს: $H \leq 3,0$ მ, $v \leq 3,0$ მ/წმ.

ნაკადის სიღრმე მილის გავლის შემდეგ (მილის ქვემოთ) $t_2 = 2,0$ მ.

დავადგინოთ ნაკადის სიღრმე მილის ფარგლებში t_1 და მილის კვეთის სიგანე b .

ამოხსნა. ნაკადის მაქსიმალური ხარჯისა და მილის წინ მაქსიმალური დაწინევის დროს ვიანგარიშით ნაკადის კრიტიკული სიღრმე მილში:

$$t_{36} = k \cdot H = \frac{2\varphi^2}{1+2\varphi^2} \cdot H = 0,65 \cdot 3,0 = 1,95 \text{ მ,}$$

სადაც

$$\varphi = 0,96.$$

იმის გამო, რომ $t_{36} < t_2$ ამიტომ მილი ქვედა ბიეფიდან შეტბორილია და ნაკადის სიღრმე მილში $t_1 = t_2 = 2,0$ მ.

ვარდნილი მილის წინ

$$z_1 = H - t_1 = 3,0 - 2,0 = 1,0 \text{ მ,}$$

ნაკადის სიჩქარე მილში

$$v = \varphi \cdot \sqrt{2g \cdot z_1} = 4,21 \text{ მ/წმ,}$$

სადაც

$$\varphi = 0,95.$$

როგორც ვხედავთ ნაკადის სიჩქარე მილში დასაშვებ მნიშვნელობას აღემატება და ამიტომ გავიანგარიშოთ ისეთი ვარდნილი z_1 , რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ დასაშვებ სიჩქარეს მილში ($v = 3,0$ მ/წმ).

ნაკადის მოსვლის სიჩქარის (v_0) სიმციროს გამო, ნაკადის სიჩქარესთან შედარებით მილსადენში შეგვიძლია დავწეროთ:

$$z_1 = \frac{v^2 - v_0^2}{\varphi^2 \cdot 2g} \approx \frac{v^2}{\varphi^2 \cdot 2g} = \frac{3,0^2}{0,95^2 \cdot 19,62} = 0,51 \text{ მ,}$$

ხერტიის საჭირო სიგანე კი

$$b = \frac{Q}{\varepsilon \cdot t_1 \cdot v} = \frac{25}{0,95 \cdot 2,0 \cdot 3,0} = 4,4 \text{ მ.}$$

ნაკადის სიღრმე (დაწნევა) მილის წინ

$$H = t_1 + z_1 = 2,51 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ ამოცანის პირობა აქაც დაცულია. დაწნევა მილის წინ დასაშვებ სიდიდეს ($H < 3,0$ მ) არ აღემატება.

ამოცანა № 90. პრაქტიკული პროფილის მქონე წყალსაშვის სიგანე $b = 40,0$ მ, სიმაღლე $t_1 = 7,0$ მ, დასაშვები დაწნევა წყალსაშვის წინ $H = 1,5$ მ. წყალსაშვი შეუტბორავია, რადგანაც წყლის სიღრმე ქვედა ბიეფში $h_0 < t_1$. მდინარის სიგანე $B = 40,0$ მ (იხ. ნახ. 70).

ამოცანა. ვიგულისხმოთ მოსვლის სიჩქარე $v_0 \approx 0$ და პირველადვიანგარიშოთ წყალსაშვის ხარჯი. ხარჯის კოეფიციენტი კრივეროფიციეროვის პროფილის წყალსაშვისათვის ნორმების მიხედვით მივიღოთ, $m = 0,49$. მაშინ

$$Q = m \cdot b \cdot \sqrt{2g \cdot H^{3/2}} = 160,0 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$


ახლა ვიანგარიშოთ მოსვლის სიჩქარე v_0 და შესაბამისი სიჩქარის დაწნევა.

მოსვლის სიჩქარე

$$v_0 = \frac{Q}{B(H + t_1)} = 0,47,$$

ხოლო შესაბამისი სიჩქარის დაწნევა

$$\frac{v_0^2}{2g} = 0,11 \text{ მ.}$$



ნახ. 70.

მოსვლის სიჩქარეზე შესწორებული დაწნევა წყალსაშვის წინ

$$H_0 = H + \frac{v_0^2}{2g} = 1,5 + 0,11 = 1,61 \text{ მ,}$$

დაზუსტებული ხარჯი

$$Q = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H_0^{3/2} = 0,49 \cdot 40 \cdot 4,43 \cdot 1,61^{3/2} = 178,0 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ამოცანა № 91. ვიანგარიშოთ წინა ამოცანაში განხილული წყალსაშვის დაწნევა H , თუ $t_1 = 5,0$ მ, $Q = 20,0$ მ³/წმ, $b = 10,0$ მ, ხარჯის კოეფიციენტი $m = 0,49$, მდინარის კალაპოტის სიგანე წყალსაშვის სიგანის ტოლია, ე. ი. $B = 10,0$ მ.

ამოხსნა. ხარჯის განტოლებიდან გამომდინარე

$$H_0 = \left(\frac{Q}{m \cdot b \cdot \sqrt{2g}} \right)^{2/3} = 0,95 \text{ მ}$$

(იხ. დანართი ცხრილი № 12).

მოსვლის სიჩქარე პირველ მიახლოებაში ტოლია:

$$v_0 = \frac{Q}{B(t_1 + H_0)} = 0,336 \text{ მ/წმ,}$$

მოსვლის სიჩქარის დაწინევა

$$\frac{v_0^2}{2g} = 0,057 \text{ მ,}$$

ამიტომ დაწინევა წყალსაშვზე ტოლია:

$$H = H_0 - \frac{v_0^2}{2g} = 0,95 - 0,057 = 0,893 \text{ მ.}$$

დაწინევის მიღებული მნიშვნელობის შემდგომი დაზუსტება პრაქტიკულ საჭიროებას არ შეადგენს.

ამოცანა № 92. დავადგინოთ ზემოთ განხილული წყალსაშვის სიგანე b ისე, რომ შესწორებული დაწინევა წყალსაშვის წინ აკმაყოფილებდეს პირობას, $H_0 \leq 1,5$ მ, თუ წყალსაშვის სიმაღლე $t_1 = 5,0$ მ, ხოლო ხარჯი $Q = 30,0$ მ³/წმ.

ამოხსნა. წყალსაშვის ხარჯის განტოლებიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ წყალსაშვის სიგანე:

$$b = \frac{Q}{m \cdot \sqrt{2g \cdot H_0^{3/2}}} = 7,65 \text{ მ.}$$


თუ წყალსაშვის სიგანეს b ავიღებთ $10,0$ მ ტოლს, მაშინ გატარებული ხარჯი $Q = 0,49 \cdot 10,0 \cdot 4,43 \cdot 1,84 = 40,0$ მ³/წმ.

პრაქტიკული პროფილის მქონე წყალსაშვის ანგარიშის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაკადის დინების სხვადასხვა დამახასიათებელი დონეების დადგენას. დონის საგრძნობი ცვლებადობა განსაკუთრებით დამახასიათებელია მთის მდინარეებისათვის. მდინარის დამახასიათებელ დონეებისათვის შემოვიღოთ შემდეგი პირობითი (შემოკლებული) აღნიშვნები:

1. დაბალი დონე—დ. დ.,
2. საშუალო დონე—ს. დ.,
3. მაღალი დონე—მ. დ.

ნაგებობის (კაშხლის) აგების შედეგად მდინარის დონეები შეიცვლება ნაგებობის გაბარიტებისა და ხარჯის გამტარუნარიანობის შესაბამისად, სახელდობრ წყალსაგდებ ნაგებობათა (წყალსაშვები, გამრეცხი ხერცები და სხვ.) ტიპისა და ზომების მიხედვით. შემოვიღოთ შემდეგი შემოკლებული აღნიშვნები:

1. წყალსაშვის ქიმის სიმაღლის ტოლი შეგუბებული (შეტბორილი) დონე აღნიშნოთ—შ. დ.,
 2. შეგუბებული (შეტბორილი) საშუალო დონე—შ. ს. დ.,
 3. " " " " მაღალი " —შ. მ. დ.
- ნაკადის დანარჩენი შუალედი დონეების პირობით აღნიშნებს გავცნობით ქვემოთ (იხ. ნახ. 71).



ნახ. 71.

ამოცანა № 19. მდინარეზე აგებულია წყალსაშვიანი ტიპის კაშხალი გამრეცი ხერტების და სხვა რაიმე მოწყობილობის გარეშე. აგებული კაშხალის განივკვეთის პროფილი პრაქტიკული მოხაზულობისაა. წყლის მ. დ. დამყარების შემთხვევაში ქვედა ბიეფში წყალსაშვიანი უნდა გაატაროს მაქსიმალური ხარჯი $Q=250,0$ მ³/წმ. წყალსაშვის სიგანე $b=56,0$ მ, წყალსაშვის ქიმის ნიშნული 112 მ ტოლია, მისი სიმაღლე $t_1=8,0$ მ, წყლის დ. დ. ნიშნული 106 მ ტოლია, მ. დ. ნიშნული კი—109 მ.

მოცემული ხარჯის გატარებისათვის ვიანგარიშით მაქსიმალური ხარჯი $Q=250$ მ³/წმ. შესაბამისი შ. მ. დ.-ის ნიშნული, ანუ დავადგინოთ ის დაწინევა H , რომელიც უზრუნველყოფს მოცემული ხარჯის გატარებას მდინარის ქვედა ბიეფში.

ამოხსნა. უპირველეს ყოვლისა გამოვარკვიოთ ნაკადის გადადინების ხასიათი განსახილველ წყალსაშვიანზე. იმის გამო, რომ მ. დ. ნიშნული მდინარის ქვედა ბიეფში ნაკლებია კაშხლის ქიმის ნიშნულზე, სახელდობრ $112-109=3,0$ მ, ამიტომ გადადინება იქნება შეუტბორავი (თავისუფალი) და შეიძლება გამოვიყენოთ ხარჯის ცნობილი განტოლება:

$$Q = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H_0^{3/2},$$

სადაც მივიღოთ, რომ $m = 0,45$.

დაწნევა კაშხლის ქიმზე

$$H_0 = \left(\frac{Q}{m \cdot b \cdot \sqrt{2g}} \right)^{2/3} = \left(\frac{250}{0,45 \cdot 56 \cdot 5,43} \right)^{2/3} = 2,28^{2/3} = 1,73 \text{ მ}$$

(იხ. დანართი, ცხრილი 12). თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსვლის სიჩქარის დაწნევის მცირე სიდიდეს შეგვიძლია განვსაზღვროთ 'ძ' მ. დ. ნიშნულით, რომელიც უდრის:

$$\nabla \text{შ. მ. დ.} = \nabla \text{ქიმის} + H = 112,0 + 1,73 = 113,73 \text{ მ.}$$

ამოცანა № 94. განვიხილოთ 2 სახის პრაქტიკული პროფილის მქონე წყალსაშვი:

ა) მოცემულია კრივერ-ოფიცეროვის 1 პროფილის მქონე წყალსაშვი.

განვსაზღვროთ ამ წყალსაშვზე გადადინებული მაქსიმალური ხარჯის სიდიდე თუ წყალსაშვის სიგანე $b = 120,0$ მ, წყალსაშვის ქიმის ნიშნული $\nabla \text{შ. დ.} = 20,0$ მ, $\nabla \text{შ. მ. დ.} = 21,5$ მ და $\nabla \text{მ. დ.} = 11,0$ მ. განსახილველი წყალსაშვის წყობა შესრულებულია გადადენილი ქაველის მოხაზულობის მიხედვით წყალსაშვის შესაძლო მაქსიმალური დაწნევის, H_{max} დროს. ჩვენ შემთხვევაში ვიგულისხმობთ, რომ $(\nabla \text{მ. შ. დ.})_{max} = 22,5$ მ ანუ $H_{max} = 22,5 - 20,0 = 2,5$ მ.

ამოხსნა. საანგარიშო დაწნევა წყალსაშვის ქიმზე ტოლია:

$$H = \nabla \text{შ. მ. დ.} - \nabla \text{შ. დ.} = 21,5 - 20,0 = 1,50 \text{ მ.}$$

მოსვლის სიჩქარის დაწნევას, მისი სიმცირის გამო, მხედველობაში არ ვღებულობთ.

დაუშვათ, რომ წყალსაშვი განიცდის გვერდით კუმშვას, რისთვისაც განვსაზღვროთ წყალსაშვზე გადადინებული ნაკადის შეკუმშული განი შემდეგი ცნობილი ფორმულით:

$$b_{შვკ} = b - 0,1 \cdot \xi \cdot n \cdot H = 120,0 - 0,1 \cdot 0,40 \cdot 2 \cdot 1,5 = 119,88 \text{ მ,}$$

სადაც $\xi = 0,40$ ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენს კაშხლის სანაპირო კედლების მოხაზულობის კოეფიციენტს (მათი წინალობის კოეფიციენტს), ხოლო $n = 2$ გამოხატავს გვერდითი კუმშვის ადგილების რიცხვს.

პავლოვსკის მიხედვით ხარჯი

$$Q = m'' \cdot \sigma_j \cdot \sigma_{ღან} \cdot \sigma_{შვკ} \cdot b_{შვკ} \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2},$$

სადაც ხარჯის კოეფიციენტი განსახილველი პროფილისათვის $m'' = 0,49$,

ნაგებობის მოხაზულობის კოეფიციენტი $\sigma_f = 1$; $\sigma_{\text{ბაბ}} = 1$,
დაწნევის სისრულის კოეფიციენტი


$$\sigma_{\text{ღაწ}} = 0,785 + 0,25 \frac{H}{H_{\text{max}}} = 0,935.$$

ამრიგად ხარჯი

$$Q = 0,49 \cdot 0,935 \cdot 119,88 \cdot \sqrt{19,62 \cdot 1,5^3} = 446,95 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ბ) დაუშვათ წყალსაშვის პროფილი მოხაზულია პავლოვსკის კლასიფიკაციის ნე-2 სახის მიხედვით*.

ვიანგარიშით წყალსაშვის ხარჯი, თუ წყალსაშვის სიგანე $b = 80,0$ მ, ნიშნული შ. დ. = 121,0 მ, ნიშნული შ. მ. დ. = 125,0 მ, მ. დ. = 123,0 მ, დ. დ. = 117,0. მდინარის ფსკერის ნიშნული 114,5 მ უდრის, (∇ შ. მ. დ.) $_{\text{max}} = 128,0$ მ (იხ. ნახ. 72).



ნახ. 72

ამოხსნა. უპირველეს ყოვლისა გავარკვიოთ ნაკადის გადაღინების ხასიათი წყალსაშვზე (ჩვენ შემთხვევაში ∇ მ. დ. $>$ ∇ შ. დ.), მაგრამ ეს პირობა არასაკმარისია, რათა წყალსაშვი განვიხილოთ, როგორც შეტბორილი, ვინაიდან ქვედა ბიეფში შეუღლება შეიძლება განხორციელებული იყოს განდევნილი ნახტომის სახით. ამიტომ დამატებით უნდა შევამოწმოთ ჭავლის დაძირული ნახტომით შეუღლებების პირობა ქვედა ბიეფში, რისთვისაც უნდა დავიკვათ შემდეგი უტოლობა:

$$\frac{\tilde{z}}{t_1} < 0,70.$$

ჩვენ შემთხვევაში:

$$\tilde{z} = \nabla \text{ შ. მ. დ.} - \nabla \text{ მ. დ.} = 2,0 \text{ მ}, \quad t_1 = \nabla \text{ შ. დ.} - \nabla \text{ ფსკერისა} = 121,0 - 114,5 = 6,5 \text{ მ},$$

* იხ. Н. Н. Павловский Гидравлический справочник, 1937, стр. 397.

ხოლო მათი ფარდობა

$$\frac{\bar{\zeta}}{t_1} = \frac{2,0}{6,5} = 0,308.$$

როგორც ვხედავთ დატულია შეტბორილი წყალსაშვის პირობები:

$$\frac{\bar{\zeta}}{t_1} = 0,308 < 0,70 \text{ და } h_0 > t_1.$$

ვინაიდან წყალსაში შეტბორილია, ამიტომ საჭიროა განვსაზღვროთ კოეფიციენტი

$$\sigma_{\text{შ.ბ.}} = \left(1 + 0,2 \frac{h}{t_1} \right) \sqrt{\frac{\bar{\zeta}}{H}},$$

სადაც

$$h = \nabla \text{მ. დ.} - \nabla \text{შ. დ.} = 123,0 - 121,0 = 2,0 \text{ მ,}$$

$$H = \nabla \text{შ. მ. დ.} - \nabla \text{შ. დ.} = 125,0 - 121,0 = 4,0 \text{ მ,}$$

სათანადო მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ მივიღებთ:

$$\sigma_{\text{შ.ბ.}} = \left(1 + 0,2 \cdot \frac{2,0}{6,5} \right) \sqrt{\frac{2,0}{4,0}} = 0,84.$$

6. პავლოვსკის 2-სახის პროფილისათვის $m'' = 0,49$, $\sigma_f = 0,97$ და

$$\sigma_{\text{დ.წ.}} = 0,785 + 0,25 \frac{H}{H_{\text{max}}} = 0,93,$$

სადაც

$$H_{\text{max}} = (\nabla \text{შ. მ. დ.})_{\text{max}} - \nabla \text{შ. დ.} = 128,0 - 121,0 = 7,0 \text{ მ,}$$

ასე რომ

$$Q = 0,49 \cdot 0,97 \cdot 0,93 \cdot 0,84 \cdot 80 \cdot 4,43 \cdot 4,0^{3/2} = 1052 \text{ მ}^3/\text{წმ}$$

(იხ. დანართი, ცხრილი 11).

ამოცანა № 95. ზოგ შემთხვევაში წყლის შეგუბებული უმაღლესი დონის ნიშნული წინასწარ არის დადგენილი და საჭიროა მოცემული ხარჯის გატარებისათვის დავადგინოთ წყალსაშვის ქიმის ნიშნული.

დაუშვათ $\nabla \text{შ. მ. დ.} = 120,0 \text{ მ}$, $\nabla \text{შ. ს. დ.} = 119,48 \text{ მ}$, $\nabla \text{მ. დ.} = 110,0 \text{ მ}$, $\nabla \text{ს. დ.} = 108,0 \text{ მ}$ და $\nabla \text{დ. დ.} = 106,5 \text{ მ}$. წყლის ხარჯი, როდესაც ჰორიზონტის ნიშნული ზედა ბიეფში გაუტოლდება $\nabla \text{შ. მ. დ. } Q = 400,0 \text{ მ}^3/\text{წმ}$ ტოლი ავიღოთ, $\nabla \text{შ. ს. დ.}$ დროს კი $Q = 100,0 \text{ მ}^3/\text{წმ}$ ტოლი. წყალსაშვის სიგანე $b = 90,0 \text{ მ}$.

განვსაზღვროთ წყალსაშვის ქიმის შესაბამისი საძიებელი ნიშნულები (ან რაც იგივეა $\nabla \text{შ. დ.}$) ორივე განსახილველი შემთხვევისათვის.

10. 3. ჯიქია

ამოხსნა. დავადგინოთ წყალსაშვის ქიმის ნიშნული, როდესაც ზედა ბიფეში წყლის ჰორიზონტი ∇ შ. ს. დ. ტოლია.

პირველ მიახლოებაში ვიგულისხმობთ, რომ წყალსაში შეუტბორავია. წყალსაშვის დაწნევა ტოლია:

$$H_1 = \left(\frac{Q}{m \cdot b \cdot \sqrt{2g}} \right)^{2/3} = 0,679 \text{ მ.}$$

ამიტომ წყალსაშვის ქიმის ნიშნული

$$\nabla \text{შ. დ.} = \nabla \text{შ. ს. დ.} - H_1 = 119,486 - 0,679 = 118,807 \text{ მ.}$$

ვინაიდან წყალსაშვის ქიმის ნიშნული (∇ შ. დ.) მეტია ∇ ს.დ.-ზე, ამიტომ წყალსაში შეუტბორავია:

$$\nabla \text{შ. დ.} = 118,807 \text{ მ.} > \nabla \text{ს. დ.} = 108,00 \text{ მ.}$$

მაშასადამე, H_1 დაწნევა სწორად იყო განსაზღვრული.

ახლა დავადგინოთ დაწნევა წყალსაშვზე H_2 და წყალსაშვის ქიმის ნიშნული, როდესაც ზედა ბიფეში ჰორიზონტი ∇ შ. მ. დ. ტოლია, ხოლო ხარჯი $Q = 400$ მ³/წმ:

$$H_2 = \left(\frac{400}{2,90} \right)^{2/3} = 1,7 \text{ მ.}$$

წყალსაშვის ქიმის ნიშნული ∇ შ. დ. = ∇ შ. მ. დ. - $H_2 = 120,0 - 1,70 = 118,3$ მ.

ვინაიდან ∇ შ. დ. = 118,3 $>$ ∇ შ. მ. დ. = 110,0, ამიტომ წყალსაში არაა შეტბორილი და დაწნევა H_2 განსაზღვრულია სწორად.

თუ მდინარის ფსკერის ნიშნული 104,0 მ ტოლია, მაშინ შეგვიძლია განვსაზღვროთ აგრეთვე წყალსაშვის სიმაღლე:


$$t_1 = 118,30 - 104,00 = 14,30 \text{ მ.}$$

ამოცანა № 96. მდინარეზე აგებულია ბეტონის კაშხალი. წყლის მაღალი დონის დროს მდინარის წყალდიდობის ხარჯი $Q_{max} = 220,0$ მ³/წმ. სათავე ნაგებობათა კვანძის შემადგენლობაში შემავალმა წყალმიმღებმა უნდა გაატაროს ხარჯი $Q' = 20,0$ მ³/წმ. კაშხლის წყალსაშვმა და ორი მაღლისაგან შემდგარმა ნახევრად დასაშლელმა ნაწილებმა უნდა გაატაროს ხარჯი $Q = 220,0 - 20,0 = 200,0$ მ³/წმ. ადგილობრივი პირობების შესაბამისად კაშხლის წყალსაში ნაწილის სიგანე $b = 75,0$ მ. კაშხლის ნახევრად დასაშლელი ნაწილის წყალსაშვის ქიმი ჩაღრმავებულია წყალსაშვიანი ნაწილის ქიმის მიმართ $h_0 = 1,5$ მეტრით. ნახევრად დასაშლელი ნაწილის თითოეული მაღის (ხერტის) სიგანე $b_1 = 10,0$ მ. მო-

ცემულია აგრეთვე: ∇ შ.დ.=30,0 მ, ∇ მ.დ.=19,0 მ, მდინარის ფსკერის ნიშნული 16,0 მ ტოლია (იხ. ნახ. 73).

დავადგინოთ ∇ შ.მ.დ. სათავე კვანძის ზედა ბიეფში.

ამოხსნა. განსახილველ შემთხვევაში, როგორც კაშხლის წყალსაში, ასევე ნახევრად დასაშლელი ნაწილების ზღურბლის ნიშნულები გაცილებით მაღალია, ვიდრე ∇ მ.დ. ნაგებობის ქვედა ბიეფში. ამიტომ კაშხლის წყალსაში და ნახევრად დასაშლელი ნაწილები, ფარების მთლიანი გალების დროს ჰიდრაულიკურად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც პრაქტიკული პროფილის შეუტბორავი წყალსაშვები.



ნახ. 73.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაკადის მოსვლის სიჩქარეს ზედა ბიეფში, კაშხლის წყალსაშვის ნაწილის ხარჯი შეგვიძლია ვიანგარიშოთ შემდეგი ცნობილი ფორმულით:

$$Q_1 = m'' \cdot \sigma_f \cdot \sigma_{\text{ღაწ.}} \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2},$$

სადაც პავლოვსკის მიხედვით მივიღებთ:

$$m'' = 0,48, \quad \sigma_f = 1,$$

ხოლო

$$\sigma_{\text{ღაწ.}} = \sqrt{\frac{20}{\frac{H}{H_{\text{max}}}}}.$$

იმის გამო, რომ დაწინევა წყალსაშვის ქიმზე არ არის ცნობილი, ამიტომ წინასწარ მივიღოთ $\sigma_{\text{ღაწ.}} = 0,97$, მაშინ

$$Q_1 = 0,48 \cdot 0,97 \cdot 75 \cdot 4,43 \cdot H^{3/2} = 154,7 \cdot H^{3/2}.$$

კაშხალის ნახევრად დასაშლელი ნაწილის 2 მალის ხარჯი

$$Q_2 = 2 \cdot m'' \cdot \sigma_f \cdot \sigma_{\text{ღაწ.}} \cdot b_1 \cdot \sqrt{2g} \cdot (H+1,5)^{3/2}.$$

მივიღოთ:

$$m = 0,47, \quad \sigma_f = 1 \quad \text{და} \quad \sigma_{\text{ღაწ.}} = 1.$$

ზაზასადამე,

$$Q_2 = 2 \cdot 0,47 \cdot 10 \cdot 4,43 (H+1,5)^{3/2} = 41,64 (H+1,5)^{3/2}.$$

შთელი ხარჯი, რომელიც უნდა გაატაროს კაშხალმა

$$Q = Q_1 + Q_2 = 154,7 \cdot H^{3/2} + 41,64 (H+1,5)^{3/2} = 200,0 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ზემოაღნიშნული გამოსახულებიდან უკვე შესაძლებელია საძიებელი H განსაზღვრა.


დაეუშვათ H რიგი მნიშვნელობა და განსახილველი განტოლების მიხედვით გამოვთვალოთ ხარჯის შესაბამისი მნიშვნელობანი.

ანგარიშის შედეგები მოვათავსოდ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

H მ	0,2	0,4	0,5	0,7	0,8	1,0	1,2	1,3
Q მ ³ /წმ.	106,15	148,19	172,44	226,46	255,73	319,30	387,84	724,35

თუ ცხრილის მონაცემების მიხედვით ავაგებთ მრუდს $Q = f(H)$, მაშინ მისი საშუალებით ვიპოვნით $Q = 200,0$ მ³/წმ, ხარჯის შესაბამის დაწინევას $H = 0,602$ მ. საძიებელი ნიშნული კი ∇ შ. მ. დ. = ∇ შ. მ. დ. + $H = 30,000 + 0,602 = 30,602$ მ.

მკითხველს ვთხოვთ აავსოს მრუდი $Q = f(H)$ და შეამოწმოს ჩვენს ზეირ მიღებული შედეგი.



ნახ. 74.


ამოცანა № 97. მდინარეზე აგებულია წყალსაშვიანი კაშხალი სამი ფსკერული გამრეცხით. გამრეცხი ხვრეტების სიგანე თანასწორია და $b_1 = 5,0$ მ (იხ. ნახ. 74, 75).

კაშხლის დაგეგმარების საფუძველზე დადგენილია შემდეგი პარამეტრები: ∇ დ. = 112,0 მ, ფსკერის ნიშნული = 109,5 მ.

▽ს. დ. = 113,8 მ. ▽მ. დ. = 117,0 მ, ▽შ. დ. = 116,0 მ,

▽შ. ს. დ. = 116,3:

▽შ. მ. დ. = 118,0 მ, ფსკერული გამრეცხის ზღურბლის ნიშნული = 110,0 მ, კაშხლის წყალსაში ნაწილის სიგანე = 60,0 მ, მდინარის სიგანე $B = 90,0$ მ.



ნახ. 75

ნახ. 75.

წყალსაში შესრულებულია პავლოვსკის კლასიფიკაციის მე-2 სახის პროფილის მიხედვით.

ვიანგარიშით კაშხალზე გადადინებული ხარჯი, როგორც მდინარის საშუალო, ასევე მაღალი დონის დროს.

ამოხსნა. ვიანგარიშით კაშხლის წყალსაშვ ნაწილზე გადადინებული წყლის ხარჯი Q_1 მდინარის ს. დ. დროს. ვინაიდან ∇ ს. დ. $< \nabla$ შ. დ., ამიტომ წყალსაშვი შეუტბორავი იქნება და ხარჯი შეგვიძლია ვიანგარიშით შემდეგი განტოლებით (იხ. ნახ. 75, კრილი I—I):

$$Q = m'' \cdot \sigma_f \cdot \sigma_{\text{გან.}} \cdot \sigma_{\text{შვ.}} \cdot b_{\text{შვ.}} \cdot \sqrt{2g} \cdot H_1^{3/2},$$

განსახილველი პროფილის წყალსაშვისათვის პავლოვსკის მონაცემების მიხედვით შეგვიძლია მივიღოთ:

$$m'' = 0,49, \sigma_f = 0,97, \sigma_{\text{შვ.}} = 1,$$

$$\sigma_{\text{გან.}} = 0,785 + 0,25 \frac{H_1}{H_{\text{max}}} = 0,785 + 0,25 \cdot 0,60 = 0,935,$$

სადაც

$$H_1 = \nabla \text{ შ. ს. დ.} - \nabla \text{ შ. დ.} = 117,2 - 116,0 = 1,2 \text{ მ,}$$

ხოლო

$$H_{\text{max}} = \nabla \text{ შ. მ. დ.} - \nabla \text{ შ. დ.} = 118,0 - 116,0 = 2,0 \text{ მ.}$$

ახლა ვიანგარიშით წყალსაშვის შეკუმშული განი კრიგერ-ოფიცეროვის ფორმულით:

$$b_{\text{შვ.}} = b - 0,1 \cdot \xi \cdot n \cdot H_{\text{max}} = 60,0 - 0,1 \cdot 1,0 \cdot 2 \cdot 2 = 59,6 \text{ მ,}$$

სადაც წინაღობის კოეფიციენტი $\xi = 1,0$ ტოლი ავიღოთ. ამრიგად, კაშხლის წყალსაშვიან ნაწილზე გადადინებული ხარჯი

$$Q_1 = 0,49 \cdot 0,97 \cdot 0,935 \cdot 59,6 \cdot 4,43 \cdot 1,2^{3/2} = 155,98 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ფსკერული გამრეცხები ჰიდრავლიკურად შეგვიძლია როგორც ფართულურბლიანი წყალსაშვები ისე განვიხილოთ (იხ. ნახ. 75, კრილი II—II). წყლის დონის შემალღება გამრეცხის ზღურბლის მიმართ ქვედა ბიფეის მხრიდან

$$t_2 = \nabla \text{ ს. დ.} - \nabla 110,0 = 113,8 - 110,0 = 3,8 \text{ მ,}$$

წყლის დაწნევა გამრეცხის ზღურბლის წინ

$$H_2 = \nabla \text{ შ. ს. დ.} - \nabla 110,0 = 116,3 - 110,0 = 6,30 \text{ მ.}$$

ნაკადის კრიტიკული სიღრმე გამრეცხის ზღურბლზე, როდესაც მისი შესასვლელი ნაწილი მომრგვალებულია

$$t_{36} = k' \cdot H_2 = 0,63 \cdot 6,3 = 3,97 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ $t_{36} = 3,97 \text{ მ} > t_2 = 3,80 \text{ მ}$ და ამიტომ წყალსაშვი შეუტბორავი იქნება.

გამრეცხზე გადადინებული ხარჯი Q' იანგარიშება შემდეგი ცნობილი ფორმულით:

$$Q_2' = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H_2^{3/2}.$$

როდესაც სიჩქარის კოეფიციენტი $\varphi = 0,92$, მაშინ ხარჯის კოეფიციენტი $m = 0,35$. მოსვლის სიჩქარეს მისი სიმცირის გამო მხედველობაში არ ვღებულობთ.

$$Q_2' = 0,35 \cdot 5 \cdot 4,43 \cdot (6,3)^{3/2} = 122,53 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

სამივე ფსკერული გამრეცხი გაატარებს ხარჯს:

$$Q_2 = 3 \cdot 122,53 = 367,59 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

კაშხალზე გადადინებული სრული ხარჯი მდინარის საშუალო დონის დროს იქნება:

$$Q = Q_1 + Q_2 = 155,98 + 367,59 = 523,57 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ახლა გამოვარკვიოთ კაშხალზე გადადინებული ხარჯი მდინარის მაღალი დონის (მ. დ.) დროს.

წყლის დონის შემალღება ქვედა ბიეფში კაშხლის წყალსაშვის ნაწილის ქიმის მიმართ ტოლია:

$$h = \nabla \text{ მ. დ.} - \nabla \text{ შ. დ.} = 117,0 - 116,0 = 1,0 \text{ მ}.$$

ნაკადის დაწნევა კი წყალსაშვის ქიმზე

$$H_1 = \nabla \text{ შ. მ. დ.} - \nabla \text{ შ. დ.} = 118,0 - 116,0 = 2,0 \text{ მ}.$$

ვიციტ აგრეთვე, რომ $t_1 = \nabla \text{ შ. დ.} - \nabla 109,5 = 116,0 - 110,0 = 6,5 \text{ მ}$ და ვარდნილი $z = \nabla \text{ შ. მ. დ.} - \nabla \text{ მ. დ.} = 118,0 - 117,0 = 1,0 \text{ მ}$ (იხ. ნახ. 75,

ქრილი I—I). ფარდობა $\frac{z}{t_1} = \frac{1}{6,5} = 0,155$. ვინაიდან $\frac{z}{t_1} = 0,155 < 0,70$

და $\nabla \text{ მ. დ.} > \nabla \text{ შ. დ.}$, ამიტომ წყალსაშვი იქნება შეტბორილი.

წყლის ხარჯი წყალსაშვიან ნაწილზე მდინარის მაღალი დონის დროს

$$Q_1 = 0,49 \cdot 0,97 \cdot 0,937 \cdot 59,6 \cdot 4,43 \cdot 2^{3/2} = 333,97 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

სადაც პავლოვსკის მიხედვით მივიღეთ:

$$m'' = 0,49, \sigma_{\text{მგ.}} = 0,937, \sigma_f = 0,97, \sigma_{\text{ნაწ.}} = 1.$$

ახლა ვიანგარიშოთ ფსკერული გამრეცხიდან გადადინებული ხარჯი.

წყლის დონის შემალღება გამრეცხის ზღურბლის მიმართ ქვედა ბიეფის მხრიდან უდრის:

$$t_2 = \nabla \text{ მ. დ.} - \nabla 110,0 = 117,0 \text{ მ} - 110,0 \text{ მ.} = 7,0 \text{ მ}.$$

წყლის დაწნევა გამრეცხის ზღურბლის წინ

$$H_2 = \nabla \text{შ. მ. დ.} - \nabla 110,0 = 118,0 - 110,0 = 8,0 \text{ მ.}$$

ხოლო კრიტიკული სიღრმე გამრეცხის ზღურბლზე ტოლია:

$$t_{კ.} = k' \cdot H_2 = 0,63 \cdot 8,0 = 5,04 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ $t_{კ.} = 5,04 \text{ მ} < t_2 = 7,0 \text{ მ}$, რაც იმას ნიშნავს, რომ ფსკერული გამრეცხები მუშაობენ როგორც შეტბორილი ფართეზღურბლიანი წყალსაშვებები.

წყლის სიღრმე გამრეცხის ზღურბლზე ამ შემთხვევაში $t_2 = 7,0 \text{ მ}$. წყლის ხარჯი გამრეცხზე შეგვიძლია ვიანგარიშოთ ფორმულით:

$$Q_2' = \varphi \cdot b_1 \cdot t_2 \sqrt{2g \cdot \chi},$$

სადაც

$$\chi = \nabla \text{შ. მ. დ.} - \nabla \text{მ. დ.} = 118,0 - 117,0 = 1,0 \text{ მ.}$$

ამრიგად, ერთი გამრეცხის ხარჯი

$$Q_2' = 0,95 \cdot 5 \cdot 7 \cdot 4 \cdot 43 = 147,3 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

აქ, სიმცირის გამო, მხედველობაში არ მიგვიღია ნაკადის მოსვლის სიჩქარე და გვერდითი კუმშვა (გამრეცხი ხვრეტების გამყოფი ბურჯების კეთილშემოვლითი გაფარების შემთხვევაში).

სამივე ფსკერული გამრეცხი გაატარებს ხარჯს:

$$Q_2 = 3 \cdot 147,3 = 441,9 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

კაშხალზე გადადინებული სრული ხარჯი მდინარის მ.დ. დროს იქნება:

$$Q = Q_1 + Q_2 = 523,57 + 441,9 = 964,47 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ამოცანა № 98. განვსაზღვროთ შეტბორილი საშუალო დონის ნიშნული ($\nabla \text{შ. ს. დ.}$) კაშხლის წყალსაშვიანი ნაწილის წინ, თუ წყალსაშვზე გადადენილი ხარჯი $Q = 500,0 \text{ მ}^3/\text{წმ}$, წყალსაშვის სიგანე $b = 70,0 \text{ მ}$, $\nabla \text{ს. დ.} = 23,75 \text{ მ}$, $\nabla \text{შ. დ.} = 23,50 \text{ მ}$. მდინარის ფსკერის ნიშნული $18,00 \text{ მ}$ ტოლია. წყალსაშვი მრუდი მოხაზულობისა და მისი ხარჯის კოეფიციენტი $m = 0,45$.

ამოხსნა. დაეუშვათ წყალსაშვი შეუტბორავია და ხარჯის განტოლებიდან განვსაზღვროთ დაწნევა წყალსაშვის წინ:

$$H = \left(\frac{Q}{m \cdot b \cdot \sqrt{2g}} \right)^2 = 2,33 \text{ მ.}$$

ამიტომ შეტბორილი საშუალო დონის ნიშნული პირველ მიახლოებაში

$$\nabla \text{შ. ს. დ.} = \nabla \text{შ. დ.} + H = 23,50 + 2,33 = 25,83 \text{ მ.}$$

ზედა და ქვედა ბიეფების დონეთა შორის ვარდნილი

$$z = \nabla \text{შ. ს. დ.} - \nabla \text{ს. დ.} = 25,83 - 23,75 = 2,08 \text{ მ.}$$

წყალსაშვის სიმაღლე

$$l = \nabla \text{შ. დ.} - \nabla 18,00 = 23,50 - 18,0 = 5,5 \text{ მ.}$$

ახლა დავადგინოთ ნაკადის გადაღინების ხასიათი წყალსაშვზე:

$$\frac{\sqrt{l}}{l} = 0,378 < 0,70$$

და

$$\nabla \text{შ. დ.} = 23,5 \text{ მ} < \nabla \text{ს. დ.} = 23,75 \text{ მ}$$

რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი დაშვება შეუტბორავი გადაღინების შესახებ (განსახილველ წყალსაშვზე) არ არის სწორი. ფაქტიურად ადგილი აქვს შეტბორილ გადაღინებას რისთვისაც საჭიროა შეტბორვის კოეფიციენტის $\sigma_{\text{შაბ.}}$ განსაზღვრა.

დავუშვათ შ. ს. დ. რიგი მნიშვნელობა და განვსაზღვროთ შესაბამისი z და H სიდიდეები. ეს სიდიდეები მოგვცემენ აგრეთვე $\sigma_{\text{შაბ.}}$ კოეფიციენტისა და გადაღინებული (q) ხარჯის მნიშვნელობათა განსაზღვრის საშუალებას. შემდგომ ჩატარებული ანგარიშების შედეგების მიხედვით შეგვიძლია ავაგოთ მრუდი, რომელიც $\nabla \text{შ. ს. დ.}$ -სა და გადაღინებულ ხარჯს შორის დამოკიდებულებას დაამყარებს. ხოლო მრუდის საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ მოცემული ხარჯის შესაბამისი $\nabla \text{შ. ს. დ.}$ კერძოდ:

$$z = \nabla \text{შ. ს. დ.} - \nabla \text{ს. დ.} = \nabla \text{შ. ს. დ.} - 23,75,$$

ხოლო

$$H = \nabla \text{შ. ს. დ.} - \nabla \text{შ. დ.} = \nabla \text{შ. ს. დ.} - 23,50.$$

ხარჯისა და $\nabla \text{შ. ს. დ.}$ დამოკიდებულების მრუდის ასაგებად საჭირო ანგარიში მოვათავსოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

№№	$\nabla \text{შ. ს. დ.}$ მ	z მ.	h მ.	l მ.	$\sigma_{\text{შაბ.}}$	მ ² ,წმ.
1	24,00	5,50	0,25	0,50	0,801	39,47
2	24,50	5,50	0,75	1,00	0,917	127,92
3	25,00	5,50	1,25	1,50	0,949	242,73
4	25,50	5,50	1,75	2,00	0,965	380,84
5	26,00	5,50	2,25	2,50	0,974	537,08
6	26,50	5,50	2,75	3,00	1,060	763,58

ანგარიშის მსვლელობის განმარტების მიზნით განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა, როდესაც $\nabla \text{შ. ს. დ.} = 24,00$ მ.

მაშინ

$$z = \text{შ. ს. დ.} - \text{ს. დ.} = 24,00 - 23,75 = 0,25 \text{ მ,}$$

ხოლო

$$H = \text{შ. ს. დ.} - \text{შ. დ.} = 24,00 - 23,50 = 0,50 \text{ მ.}$$

წყალსაშვის სიმაღლე $t = 5,5$ მ, ხოლო

$$\sigma_{\text{გბ.}} = 1,05 \left(1 + 0,2 \frac{h}{t} \right) \sqrt{\frac{z}{H}} = 0,801,$$


სადაც

$$h = \text{ს. დ.} - \text{შ. დ.} = 23,75 - 23,50 = 0,25 \text{ მ.}$$

ხოლო ხარჯი

$$Q = m \cdot \sigma_{\text{გბ.}} \cdot b \sqrt{2g} \cdot H^{3/2} = 39,47 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

მოყვანილი წესით მოვახდენთ ანგარიშს ∇ შ.ს.დ. ყველა დაშვებული ნიშნელობისათვის. ცხრილის მონაცემების მიხედვით ავაგებთ $Q = f(\nabla$ შ.ს.დ.) მრუდს (იხ. ნახ. 76).



ნახ. 76.

როგორც ვხედავთ ირკვევა როდესაც $Q = 500$ მ³/წმ, საძიებელი ∇ შ.ს.დ. ტოლია 25,8 მ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაკადის საძიებელი დონე ზედა ბიფში (∇ შ.ს.დ.) უზრუნველყოფს შეტბორილ გადადინებას წყალსაშვზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ანგარიში ჩატარებულია სწორად.

ამოცანა 99. მდინარის მაღალი დონისა (მ.დ.) და წყალსაშვის ქიმის ნიშნულის დადგენა ხდება ჰიდრომეტრული მასალების დამუშავებისა და წყალსაშვის დაგეგმარების საფუძვლებზე. ხშირად ნაკადის რეგულირების მიზნით, წყალსაშვიან ნაწილთან ერთად კაშხალში აწყობენ ნახევრად დასაშლელ ხვრეტებს, რომელნიც წარმოადგენენ ზე-

მოდან ფარებით გადახურულ, შედარებით დაბალი პრაქტიკული პროფილის წყალსაშვებს. ნახევრად დასაშლელი ტიპის კაშხლები მაშინაც ეწყობიან როდესაც კალაპოტის სიგანე ვერ აკმაყოფილებს წყალდიდობის ხარჯის გატარებას ქვედა ბიეფში კაშხლის წყალსაშვიანი ვარიანტით.

დაუშვათ მდინარეზე აგებულია ნახევრად დასაშლელი ტიპის კაშხალი (იხ. ნახ. 73). ვიგულისხმობთ, რომ იგი დაგეგმარებულია ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა საფუძველზე. კაშხლის წყალსაშვიანი ნაწილის სიგრძე $h=300,0$ მ, ორივე ნახევრად დასაშლელი ხერტის სიგანე ტოლია და $b_1=10,0$ მ, გამყოფი ბურჯების სიგანე $b'=2,0$ მ.

განვსაზღვროთ კაშხლის ნახევრად დასაშლელი ნაწილის წყალსაშვის ქიმის ჩაღრმავება წყალსაშვიანი ნაწილის ქიმის ქვემოთ h_0 , თუ მდინარის ხარჯი $Q=2000$ მ³/წმ. ზედა ბიეფის შეტბორილი მაღალი დონის ნიშნული 22,0 მ არ უნდა აღემატებოდეს. მოცემულია:

$$\nabla \text{შ. დ.} = 20,00 \text{ მ და } \nabla \text{მ. დ.} = 12,00 \text{ მ.}$$

ამოხსნა. იმის გამო, რომ კაშხლის წყალსაშვიანი ნაწილი შეუტბორავია, ამიტომ მასზე გადადინებული ხარჯი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Q_1 = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2},$$

სადაც დაწინევა

$$H = \nabla \text{შ. მ. დ.} - \nabla \text{მ. დ.} = 22,0 - 20,0 = 2,0 \text{ მ.}$$

ამრიგად,

$$Q_1 = 0,45 \cdot 300 \cdot 4,43 \cdot 2^{3/2} = 1691,29 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

კაშხლის ნახევრად დასაშლელმა ნაწილმა უნდა გაატაროს ხარჯი:

$$Q_2 = Q - Q_1 = 2000 - 1691,29 = 308,71 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ვიგულისხმობთ, რომ ნახევრად დასაშლელი ნაწილის წყალსაშვები შეუტბორავია.

ნახევრად დასაშლელი ნაწილის ერთი მალის ხარჯი

$$Q_2' = \frac{Q_2}{2} = 155 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ნაკადის გვერდითი კუმშვის კოეფიციენტი მივიღოთ $\varepsilon=0,90$ ტოლი, აქედან გამომდინარე

$$Q_2' = m \cdot \varepsilon \cdot b_1 \cdot \sqrt{2g} \cdot (H + h_0)^{3/2},$$

საიდანაც

$$H + h_0 = \left(\frac{Q_2'}{m \cdot \varepsilon \cdot b_1 \cdot \sqrt{2g}} \right)^{2/3},$$

ზოლო ნახევრად დასაშლელი ნაწილის ქიმის საძიებელი ჩაღრმავება

$$h_0 = \left(\frac{155,0}{0,45 \cdot 0,90 \cdot 10 \cdot 4,43} \right)^2 - H = 2,214 \text{ მ.}$$

იმის გამო, რომ ∇ შ. დ.— $h_0 = 17,786 \text{ მ} > \nabla$ მ. დ.— $12,0 \text{ მ}$, ამიტომ კაშხლის ნახევრად დასაშლელი ნაწილის წყალსაშვები შეუტბორავია და ჩვენი ვარაუდი სამართლიანია.

ზოგ შემთხვევაში, ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშების საფუძველზე, ზიზანშეწონილია h_0 სიმაღლის გაზრდა კაშხლის წყალსაშვიანი ნაწილის სიგანის შემცირების ხარჯზე.

ამოცანა № 100. განვსაზღვროთ შეგუბებული დონეები კაშხლის ზედა ბიეფში ორი შემთხვევისათვის: 1) როდესაც ხარჯი მდინარის მაღალი დონის დროს $Q = 6000 \text{ მ}^3/\text{წმ}$ და 2) როდესაც მდინარის საშუალო დონის შესაბამისი ხარჯი $Q_0 = 1200 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

განსახილველ მდინარეზე დაგეგმარებულია წყალსაშვიანი ტიპის კაშხალი ექვსი გამრეცი ხერეტი. კაშხლის წყალსაშვიანი ნაწილის სიგრძე $b = 150 \text{ მ}$. თითოეული გამრეცი ხერეტის სიგანე $b_1 = 10 \text{ მ}$.

მოცემულია: ∇ შ. დ.— 1130 მ , ∇ მ. დ.— 1126 მ და ∇ ს. დ.— 1120 მ . ფსკერული გამრეცების ზღურბლის ნიშნული 1116 მ ტოლია, მდინარის სიგანე ∇ შ. დ. დროს $B = 220,0 \text{ მ}$.

ამოხსნა. შევამოწმოთ თუ რა ხარჯს გაატარებენ გამრეცი ხერეტები, როდესაც ზედა ბიეფში წყლის დონე ∇ შ. დ. ტოლია, ხოლო ქვედა ბიეფში— ∇ ს. დ.

დავადგინოთ შემდეგი სიდიდეები:

$$h = \nabla \text{ს. დ.} - \nabla 1116,0 = 1120,0 - 1116,0 = 4,0 \text{ მ.}$$

$$H = \nabla \text{შ. დ.} - \nabla 1116,0 = 1130,0 - 1116,0 = 14,0 \text{ მ.}$$

გამოვარკვიოთ კრიტიკული სიმაღლე ფსკერული გამრეცის ზღურბზე:

$$t_{კრ.} = k' \cdot H = 0,63 \cdot 14,0 = 8,82 > h = 4,0 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ წყალსაშვი არ არის შეტბორილი და ხარჯი, რომელსაც ექვსი გამრეცი გაატარებს ტოლია:

$$Q_1 = 6 \cdot m \cdot b_1 \sqrt{2g} \cdot H^{3/2} = 4873 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

როგორც ვხედავთ გამრეცი ხერეტების მიერ გატარებული ხარჯი ∇ შ. დ. დროს დაახლოებით 4-ჯერ აღემატება მდინარის საშუალო დონის (∇ ს. დ.) შესაბამის ხარჯს: $Q_0 = 1200 \text{ მ}^3/\text{წმ}$.

ვიანგარიშით რა დაწინევით გაივლის ღია გამრეცებში მდინარის საშუალო დონის დროს ხარჯი Q_0 .

დაუშვათ, რომ გამრეცხი ხვრეტები შეუტბორავია. მაშინ დაწნევა-
იქნება ტოლი:

$$H = \left(\frac{Q_0}{6 \cdot m \cdot b_1 \cdot \sqrt{2g}} \right)^2 = 5,5 \text{ მ.}$$

კრიტიკული სიღრმე გამრეცხების ზღურბლზე

$$t_{კ.} = k' \cdot H = 0,63 \cdot 5,5 = 3,47 \text{ მ.}$$

რადგან $t_{კ.} < h$ ანიტომ გამრეცხის ზღურბლი შეტბორილი უოფილა.
და ზემოთ მიღებული დაშვება არ შეესაბამება სინამდვილეს. ანიტომ
ანგარიშისათვის გამოვიყენოთ შეტბორილი წყალსაშვის ხარჯის ფორ-
მულა და მისი საშუალებით განვსაზღვროთ ζ ვარდნილი გამრეცხის
ზღურბლზე. ნაკადის მოსვლის სიჩქარეს სიმციროს გამო მხედველობაში
არ ვღებულობთ.

მოცემული გვაქვს:

$$Q_0 = 6\varphi \cdot b_1 \cdot h \cdot \sqrt{2g\zeta},$$

საიდანაც

$$\zeta = \frac{Q_0^2}{6\varphi^2 (b_1 \cdot h)^2 \cdot 2g} = 1,49 \text{ მ.}$$

ამრიგად, მდინარის ს. დ. დროს ზედა ბიეფის ნიშნული

$$\nabla \text{ ზედა ბიეფისა} = \nabla \text{ ს. დ.} + 1,49 = 1120 + 1,49 = 1121,49 \text{ მ.}$$

ახლა დავადგინოთ ∇ შ. მ. დ., როდესაც მდინარის ხარჯი $Q =$
 $= 6000 \text{ მ}^3/\text{წმ.}$

ვინაიდან, ∇ შ. დ. $>$ ∇ მ. დ., ანიტომ კაშხლის წყალსაშვიანი ნაწილი
შეუტბორავია და მასზე გადადინებული ხარჯი შეგვიძლია ვიანგარიშოთ
ფორმულით:

$$Q_1 = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^2 \cdot \zeta,$$

სადაც H არის დაწნევა წყალსაშვზე.

ახლა გავარკვეოთ ნაკადის გადადინების ხასიათი ფსკერული გამ-
რეცხების ზღურბლზე (წყალსაშვზე).

განვსაზღვროთ წყლის სიმაღლე:

$$h_1 = \nabla \text{ მ. დ.} - \nabla 1116 = 1126 - 1116 = 10,0 \text{ მ.}$$

შეუტბორავი გადადინების შემთხვევაში გამრეცხის ზღურბლზე
დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობა:

$$k' (H + t_1) > h_1 \text{ ან } H > \frac{h_1}{k'} - t_1 = \frac{10}{0,63} - 14 = 1,87 \text{ მ,}$$

სადაც

$$t_1 = \nabla \text{ შ. დ.} - \nabla 1116 = 14 \text{ მ.}$$

ჩვენ შემთხვევაში მივიღოთ:

$$H = 1,87 \text{ მ.}$$

კაშხლის სრული ხარჯი შეგვიძლია ვიანგარიშოთ შემდეგი განტოლებით:

$$Q = Q_1 + Q_2 = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2} + 6 \cdot m \cdot b_1 \sqrt{2g} (h_1 + H)^{3/2} = 6601,65 \text{ მ}^3/\text{წმ},$$

სადაც Q_2 არის კაშხლის ფსკერული გამრეცხების ხარჯი.

როგორც ვხედავთ ∇ მ. დ. დროს მდინარის ხარჯის ($Q = 6000 \text{ მ}^3/\text{წმ}$) შესაბამისი დაწნევა 1,87 მ ნაკლებია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გამრეცხი ხვრეტები მუშაობენ როგორც შეტბორილი წყალსაშვები (იხ. ზემოთ მოყვანილი პირობა). ამ შემთხვევაში კაშხლის სრული ხარჯი


$$Q = m \cdot b \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2} + 6 \cdot \varphi \cdot b_1 \cdot h_1 \cdot \sqrt{2g} z,$$

სადაც

$$z = (H + t_1) - h_1 = H + 4.$$

მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ, მივიღებთ:

$$\begin{aligned} Q &= 0,45 \cdot 150 \cdot 4,43 \cdot H^{3/2} + 6 \cdot 0,92 \cdot 10 \cdot 10 \cdot \sqrt{2g} (H + 4) = \\ &= 2,99 H^{3/2} + 552 \sqrt{2g} (H + 4). \end{aligned}$$



ნახ. 77.

ამ განტოლების მიხედვით შეიძლება დავადგინოთ მოცემული ხარჯის $Q = 6000 \text{ მ}^3/\text{წმ}$ შესაბამისი დაწნევა H .

ანგარიში მიზანშეწონილია ჩავატაროთ გრაფო-ანალიზური წესით.

დავუშვათ H რიგი მნიშვნელობა და ანგარიშის შედეგები მოვათავსოდ ცხრილში.

ცხრილის მონაცემების მიხედვით ავავთ $Q = f(H)$ მრუდი (იხ. ნახ. 77).

H	0,20	0,50	0,80	1,00	1,20	1,50	2,00
Q	5038,79	5292,29	5570,54	5766,56	5967,79	6273,44	6834,77

მრუდიდან ვხედავთ, რომ $Q = 6000$ მ³/წმ ხარჯს შეესაბამება $H = 1,24$ მ დაწნევა. ამრიგად, მდინარის მაღალი დონის დროს (∇ მ. დ.), როდესაც მდინარის ხარჯი $Q = 6000$ მ³/წმ,

$$\nabla \text{ მ. დ.} = \nabla \text{ მ. დ.} + H = 1130 + 1,24 = 1131,24 \text{ მ.}$$

ასეთია ამოცანის პასუხი.

ამოცანა № 101. ჰიდროენერგომშენებლობის პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც კაშხალს აგებენ ცალკეულ ნაწილებად. სახელდობრ ასაგები კაშხლის კვეთში მდინარეზე ზღუდარის საშუალებით იქნება მშრალი ქვაბული, რომლის ფარგლებში აგებენ კაშხლის პირველ ნაწილს. მდინარის ხარჯი შევიწროებული კვეთით მიედინება ასაგები კაშხალის მეორე ნაწილის გავლით. ქვაბულში სამუშაოთა დამთავრების შემდეგ შლიან ზღუდარს და მდინარის ძირითად ხარჯს ატარებენ პირველი ნაწილის ხერტებით ქვედა ბიეფში. ამის შემდეგ ზღუდარის საშუალებით იქმნება კაშხლის მეორე ნაწილის ქვაბული და ხდება კაშხლის მშენებლობის დამთავრება. წყალდიდობის დროს შევიწროებული კვეთი შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს ხარჯის გასატარებლად და ამიტომ კაშხლის პირველი ნაწილის ზღუდარში ხშირად აწყობენ დროებით წყალგასაშვებ ხერტს, რომელიც შეიძლება მოვათავსოთ სათავე ნაგებობათა კვანძის კომპლექსში.

საჭიროა ასეთი დროებითი ხერტის კვეთის ფართის გაგება, როდესაც ∇ მ. დ. დროს $Q = 120$ მ³/წმ, შ. მ. დ. ნიშნული 35,00 მ ტოლია, მდინარის ფსკერის ნიშნული კი—31,00 მ.

საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ მდინარის დაბალი დონის (დ. დ.) დროს დაწნევა ხერტის წინ, თუ $Q = 60$ მ³/წმ.

∇ მ. დ. = 34,00 მ და ∇ დ. დ. = 31,50 მ, ხერტის ზღურბლის ნიშნული 30,50 მ ტოლია. მდინარეში დაბალი დონის დროს მდინარის განიკვეთის ფართობი (ხერტის წინ) $a_0 = 96,0$ მ² და კალაპოტის სიგანე $B = 100,0$ მ.

ამოხსნა. ხერტი რომელიც დარჩება კაშხალის ტანში მშენებლობის დამთავრებამდე შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ფართოზღურბ-

ლიახი წყალსაში. დავადგინოთ ხერტის სიგანე, როდესაც ზედა ბიეფ-ში წყლის ჰორიზონტის ნიშნული ტოლია ∇ შ.მ.დ. დაწნევა ხერტის წინ

$$H = \nabla \text{შ.მ.დ.} - 30,50 \text{ მ.} = 35,50 - 30,50 = 5,0 \text{ მ.}$$

მდინარის განიკვეთის ფართობი ∇ შ.მ.დ. დროს

$$F = \omega_0 + 100 \cdot 2 = 296 \text{ მ}^2,$$

სადაც ∇ შ.მ.დ. შესაბამისი მდინარის სიღრმე საორიენტაციოდ 2 მ ტოლი ავიღეთ, ხოლო ზღურბლზე წყლის სიმაღლე,

$$t_2 = \nabla \text{შ.მ.დ.} - 30,50 = 33,00 - 30,50 = 3,50 \text{ მ.}$$

ნაკადის მოსვლის სიჩქარე

$$v_0 = \frac{Q}{F} = \frac{120}{296} = 0,405 \text{ მ/წმ.}$$

მოსვლის სიჩქარე სიმცირის გამო შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ.

გამოვარკვიოთ ნაკადის გადაღინების ხასიათი ხერტის ზღურბლზე ∇ შ.მ.დ. დროს:

$$t_{\text{კ.}} = k' \cdot H = 2,95 \text{ მ,}$$

სადაც $k' = 0,59$ (იხ. ზემოთ ამოცანა № 89).

როგორც ვხედავთ

$$t_{\text{კ.}} = 2,95 < t_2 = 3,50,$$

ამიტომ განსახილველი ხერტის ზღურბლი ∇ შ.მ.დ. დროს შეტბორდება ქვედა ბიეფთან და წყლის სიღრმე მასზე t_2 ტოლი უნდა მივიღოთ.

ზედა და ქვედა ბიეფების დონეთა სხვაობა, ანუ ვარდნილი ზღურბლზე

$$z = \nabla \text{შ.მ.დ.} - \nabla \text{შ.მ.დ.} = 35,00 - 34,00 = 1,0 \text{ მ.}$$

ახლა შესაძლებლობა გვაქვს გამოვარკვიოთ ხერტზე გადაღინებული ნაკადის შეკუმშული (შევიწროებული) განი:

$$b_{\text{შკ.}} = \frac{Q}{\varphi \cdot t_2 \cdot \sqrt{2gz}} = 9,15 \text{ მ.}$$

ხერტის განი b ავიღოთ 10 მ ტოლი.

ახლა გამოვარკვიოთ ხერტის წინ დაწნევის სიდიდე როდესაც ∇ შ.მ.დ. დროს ხარჯი $Q = 60 \text{ მ}^3/\text{წმ.}$ ამ შემთხვევაში:

$$t_2 = \nabla \text{შ.მ.დ.} - 30,50 = 31,50 - 30,50 = 1,0 \text{ მ.}$$

კრიტიკული სიღრმე ხვრეტის ზღურბლზე

$$t_{კრ.} = \sqrt[3]{\frac{Q^2}{b^2 g}} = 1.64 \text{ მ,}$$

აქედან

$$t_{კრ.} = 1.64 > t_1 = 1.0 \text{ მ.}$$

მაშასადამე, დინება შეუტბორავია.

გამოვარკვევით დაწნევა ხვრეტის წინ.

ვინაიდან

$$t_{კრ.} = 0.59 \cdot H,$$

ამიტომ

$$H = \frac{t_{კრ.}}{0.59} = 2.78 \text{ მ.}$$

მაშასადამე, საძიებელი ∇ შ. დ. იქნება:

$$\nabla \text{შ. დ.} = 30.50 + H = 30.50 + 2.78 = 33.28 \text{ მ.}$$

ამოცანა № 102. მდინარეზე დაგეგმარებულია ბეტონის კაშხალი შემდეგ მოსაზრებათა საფუძველზე: წყალსაშვიან ნაწილზე დაწნევა არ უნდა აღემატებოდეს $H = 1.0$ მ, წყალსაშვის სიგანე $b = 20.0$ მ, ბურჯის სიგანე $b_1 = 2.0$ მ, წყალსაშვის ქიმის ნიშნული ∇ შ. დ. = 250.0 მ, ∇ შ. მ. დ. = 251.0, ∇ შ. დ. = 246.0, ხარჯი მდინარის მაღალი დონის დროს $Q = 150$ მ³/წმ.

საკიროა წყლის ხარჯის გატარება წყალსაშვისა და კაშხლის ნახევრად დასაშლელი ნაწილის ხვრეტით (იხ. ნახ. 78).

დავადგინოთ ნახევრად დასაშლელი ნაწილის ხვრეტის სიგანე (b_2), თუ მისი წყალსაშვის ზღურბლის ნიშნული 243.0 მ ტოლია, მდინარის ფსკერის ნიშნული კი — 240.0 მ.

პავლოვსკის კლასიფიკაციის წყალსაშვების პროფილი 4 სახისაა.

ამოხსნა. გამოვარკვევით წყლის ხარჯი წყალსაშვზე.

ვინაიდან ∇ შ. დ. < ∇ შ. დ., ამიტომ წყალსაშვი შეუტბორავია და ხარჯი შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი ფორმულით:

$$Q_1 = m'' \cdot \sigma_f \cdot \sigma_{\text{დნ}} \cdot \sigma_{\text{შვ}} \cdot b_{\text{შვ}} \cdot \sqrt{2g} \cdot H^{3/2}.$$

ვინაიდან წყალსაშვი 4 სახისაა ამიტომ:

$$m'' = 0.47; \sigma_f = 1.02 - 0.028 \cdot S - 0.02 \left(\frac{a}{r} - 1 \right).$$

ჩვენს შემთხვევაში

$$S = \frac{e}{d} = \frac{2}{1} = 2,$$

სადაც


$$c=2 \text{ და } a=1; r=1 \text{ და } \frac{a}{r}=1,$$

ამრიგად,

$$\sigma_f = 1,02 - 0,028 \cdot 2 - 0,02(1-1) = 0,964,$$

$$\sigma_{\text{გაბ}} = \sqrt[20]{\frac{H}{H_{\text{max}}}} = 1,0$$

ვინაიდან H_{max} ჩვენს შემთხვევაში H ემთხვევა და $\sigma_{\text{გაბ}} = 1$.



ნახ. 78.

ვინაიდან წყალსაში შემუტბორავია

$$b_{\text{გაბ}} = b - 0,1 \cdot \xi \cdot n \cdot H = 20 - 0,1 \cdot 1 \cdot 2 \cdot 1 = 19,8 \text{ მ},$$

$$H = \nabla \text{შ. მ. დ.} - \nabla \text{შ. დ.} = 151 - 150 = 1,0 \text{ მ.}$$

ასე რომ

$$Q_1 = 0,47 \cdot 0,964 \cdot 19,8 \cdot 4,43 \cdot 1,0^{3/2} = 39,47 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ნახევრად დასაშლელმა ნაწილმა ამავე დონის დროს უნდა გაატაროს ხარჯი:

$$Q_2 = Q - Q_1 = 110,53 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

განესაზღვრეთ ხედრითი ხარჯი ნახევრად დასაშლელ ნაწილზე, რისთვისაც წინასწარ დავადგინოთ სიდიდე:

$$z = \nabla \text{შ. მ. დ.} - \nabla \text{შ. დ.} = 251,0 - 246,0 = 5,0 \text{ მ},$$

მაშინ ხედრითი ხარჯი

$$q = m \cdot \sigma_{\text{გაბ}} \cdot \sqrt{2g} \cdot H_1^{3/2},$$

სადაც

$$H_1 = \nabla \text{შ. მ. დ.} - \nabla 243 = 151,0 - 243 = 8,0 \text{ მ.}$$

ამ შემთხვევაში ხვრეტის ერთეულ სიგანეზე ხარჯი იქნება:

$$q = 0,35 \cdot 0,95 \cdot 4,43 \cdot 8,0^{1,2} = 35,00 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ხვრეტის საკირო სიგანე

$$b_2 = \frac{Q_2}{q} = 3,14 \approx 3,20 \text{ მ.}$$

როგორც ვხედავთ, ერთი ხვრეტი სრულიად საკმარისია Q_2 ხარჯის გასატარებლად.

კაშხალის ძირითადი ნაწილის სიგრძე

$$L = b + b_1 + b_2 = 25,2 \text{ მ.}$$

ამრიგად, 5 მ. დ. დროს წყლის ხარჯის გატარების პირობა დაკმაყოფილებულია, ვინაიდან $H = 1,0$ მ.

ამოცანა 103. სათავე ნაგებობათა კვანძის წყალმიმღებს ხშირად თან ახლავს გვერდითი წყალსაშვი, რომელიც მუშაობს მხოლოდ წყალდიდობის დროს.

ეთქვათ, ასეთი წყალსაშვის სიგრძე $b = 40,0$ მ, წყალსაშვის ქიმის ნიშნული ტოლია 125,0, მ. დ. ნიშნული წყალმიმღებში 126,2 მ უდრის. გავარკვეოთ რა წყლის ხარჯის გატარება შეიძლება გვერდითი წყალსაშვით მ. დ. დროს.

მდინარის წყალდიდობის ხარჯი $Q = 1200$ მ³/წმ.

ამოხსნა. გამოვარკვეოთ დაწნევა წყალსაშვზე:

$$H = \nabla \text{ მ. დ.} - \nabla 125,0 = 126,0 - 125,0 = 1,20 \text{ მ.}$$

რადგან გვერდითი წყალსაშვის დაწნევა წინასწარ განსაზღვრულია და მისი სიგრძე $b = 40,0$ მ, შეგვიძლია ხარჯი შემდეგი განტოლებით განვსაზღვროთ:

$$Q_1 = 1,772 \sqrt[3]{b^{2,5} \cdot H^5} = 51,92 \text{ მ}^3/\text{წმ} \text{ (იხ. დანართი, ცხრილი 13, 14).}$$

კაშხალის დანარჩენი ხვრეტები უნდა დაგეგმარდეს წყლის შემდეგ ხარჯზე:

$$Q_2 = Q - Q_1 = 1148,08 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ამოცანა 104. წინა ამოცანის პირობის მიხედვით განვსაზღვროთ გვერდითი წყალსაშვის სიგანე b თუ წყალმიმღების ხარჯი $Q = 850,0$ მ³/წმ, გამრეცხი ხვრეტების ხარჯი $Q_2 = 620,0$ მ³/წმ, დაწნევა $H = 1,2$ მ.

ამოხსნა. Q და Q_2 მოცემულია. ხარჯი წყალსაშვზე $Q_1 = Q - Q_2 = 850,0 - 620,0 = 230,0$ მ³/წმ.

წყალსაშვის სიგანე:

$$\lg b = \frac{2 \lg N}{5} = \frac{2}{5} \lg \left(\frac{Q_1^3}{1,772^3 \cdot H^3} \right) = 2,378 \text{ მ,}$$

აქედან

$$b = 238,6 \text{ მ.}$$

ამოცანა № 105. განვსაზღვროთ ტრაპეციული ხერტის მქონე წყალსაშვის ხარჯი თუ მისი ფუძის განი $b=2,5$ მ, დაწნევა $H=0,5$ მ.

ამოხსნა. ხარჯი ასეთ წყალსაშვზე ტოლია:

$$Q = 1,86 \cdot b \cdot H^{3/2} = 1,86 \cdot 2,5 \cdot 0,5^{3/2} = 1,86 \cdot 2,5 \cdot 0,3535 = 1,64 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

(იხ. დანართი, ცხრილი 11).

ამოცანა № 106. განვსაზღვროთ დაწნევა ტრაპეციული ხერტის მქონე წყალსაშვზე H , რომელმაც უნდა გაატაროს ხარჯი $Q=2,0$ მ³/წუთში, თუ $b=0,75$ მ (იხ. დანართი, ცხრილი 17).

ამოხსნა. ამოცანა ცხრილით ამოვხსნათ. ცხრილში მოვძებნოთ ხარჯი ერთ წუთში, როდესაც $b=0,75$ მ. ეს იქნება ხარჯი $Q=2,008$ მ³/წუთში, რომელიც თითქმის ჩვენი ხარჯის ტოლია. ამ ხარჯის შესაბამის დაწნევას ავიღებთ ცხრილიდან, $H=82$ მმ $=0,082$ მ.

ამოცანა № 107. გამოსარკვევია ხარჯი თხელკედლიან ტრაპეციულ კვეთის მქონე წყალსაშვზე, თუ $b=1,25$ მ და $H=0,1$ მ.

ამოხსნა. ამოცანა მთლიანად ამოვხსნათ ცხრილით (იხ. დანართი, ცხრილი 12). ამ ცხრილში მოვძებნოთ ხარჯი, როდესაც $b=1,25$ მ და $H=100$ მმ:

$$Q_1 = 4,506 \text{ მ}^3/\text{წუთში,}$$

ხარჯი ერთ წამში

$$Q = \frac{Q_1}{60} = 0,0751 \text{ მ}^3/\text{წმ} = 75,1 \text{ ლ/წმ.}$$

ამოცანა № 108. საჭიროა ვიანგარიშოთ ხარჯი სამკუთხოვან წყალსაშვზე, თუ $\alpha=90^\circ$ და $H=1,2$ მ.

ამოხსნა. რადგანაც $\alpha=90^\circ$, $Q=K \cdot H^{3/2} = 1,4 \cdot 1,2^{3/2} = 2,22$ მ³/წმ, სადაც $K=1,40$.

ამოცანა № 109. გამოვარკვიოთ ხარჯი სამკუთხოვან წყალსაშვზე, როდესაც კუთხე $\alpha=90^\circ$, $H=0,14$ მ $=140$ მმ.

ამოხსნა. ამოცანა გადავწყვიტოთ ცხრილის საშუალებით (იხ. დანართი, ცხრილი 18) როდესაც $\alpha=90^\circ$ და $H=140$ მმ, მაშინ ერთი წუთის განმავლობაში ხარჯი

$$Q_1 = 616,03 \text{ ლიტ/წუთში} = 0,616 \text{ მ}^3/\text{წუთში.}$$

ხარჯი ერთ წამში

$$Q = \frac{Q_1}{60} = 0,010 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

სითხის თანაბარი მოძრაობა ღია კალაპოჯებში


ამოცანა № 110. თიხოვან ნიადაგში უნდა აიგოს ტრაპეციული კვეთის არხი, რომლის ფსკერის სიგანე $b=10,0$ მ, წყლის ნორმალური ავსების სიღრმე $h=3,5$ მ, არხის ფერდობების ქანობი $m=1,5$. არხის ფსკერის გრძივი ქანობი $i=0,0004$.

დავადგინოთ არხში დინების სიჩქარე v და ხარჯი Q (იხ. ნახ. 79).

ამოხსნა. არხში მოძრაობის საშუალო სიჩქარის საანგარიშოთ გამოვიყენოთ შეზის განტოლება:

$$v = C \cdot V \overline{Ri},$$

სადაც C არის ე. წ. შეზის კოეფიციენტი, ხოლო R — ჰიდრაულიკური რადიუსი.



ნახ. 79.

სიჩქარის და ხარჯის საანგარიშოთ გამოვიარკვიოთ არხის შემდეგი ჰიდრაულიკური ელემენტები:

არხის ცოცხალი კვეთის ფართობი

$$\omega = (b + mh) \cdot h = (10,0 + 1,5 \cdot 3,5) 3,5 = 53,4 \text{ მ}^2,$$

არხის კვეთის სველი პერიმეტრი

$$\chi = b + 2h\sqrt{1+m^2} = 10,0 + 2 \cdot 3,5\sqrt{1+1,5^2} = 22,6 \text{ მ},$$

ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R = \frac{\omega}{\chi} = \frac{53,4}{22,6} = 2,36 \text{ მ}.$$

C კოეფიციენტის გასაგებად მივმართოთ სხვადასხვა ავტორების ემპირიკულ ფორმულებს და მიღებული შედეგები შევადაროთ ერთმანეთს.

1. პროფ. ნ. პავლოვსკის მიხედვით

$$C = \frac{1}{n} \cdot R^n,$$

სადაც

$$y = 2,5\sqrt{n} - 0,13 - 0,75\sqrt{R} \cdot (\sqrt{n} - 0,10) = 0,199.$$

n არის ხორკლიანობის კოეფიციენტი და განვილიე-კუტტერის ცხრილის მიხედვით $n=0,025$.

ამრიგად,

$$C = \frac{1}{0,025} \cdot 2,36 \cdot 0,199 = 47,36 \frac{\text{მ}^{\text{თ},5}}{\text{წმ}}$$

(იხ. დანართი, ცხრილი 19 და 20).

2. განგილიე-კუტტერის ფორმულით (როდესაც $n=0,025$)

$$C = \frac{23 + \frac{1}{n} + \frac{0,00155}{i}}{1 + \left(23 + \frac{0,00155}{i} \right) \sqrt{\frac{n}{R}}} = 45,8 \frac{\text{მ}^{\text{თ},5}}{\text{წმ}}$$

(იხ. დანართი, ცხრილი 21).

3. განგილიე-კუტტერის შემოკლებული ფორმულით (როდესაც $n=0,025$)

$$C = \frac{23 + \frac{1}{n}}{1 + 23 \cdot \frac{n}{\sqrt{R}}} = 43,6,$$

4. ბაზენის ფორმულით

$$C = \frac{87}{1 + \frac{\gamma_{\text{ბ}}}{\sqrt{R}}} = 47,1,$$

სადაც ხორკლიანობის კოეფიციენტი $\gamma = 1,30$ და აღებულია 22-ე ცხრილიდან.

5. მანინგის ფორმულით (როდესაც $n=0,025$)

$$C = \frac{1}{n} \cdot R^{1/6} = 46,17$$

(იხ. დანართი, ცხრილი 23).

როგორც ვხედავთ, C კოეფიციენტისათვის სხვადასხვა ავტორების ფორმულებით მიღებულია სხვადასხვა მნიშვნელობები.

გაეიგოთ, მაგალითად, საშუალო სიჩქარე და ხარჯი თუ C კოეფიციენტს გამოვთვლით ნ. პავლოვსკის ფორმულით:

$$v = C \sqrt{Ri} = 47,36 \cdot \sqrt{2,36 \cdot 0,0004} = 1,468 \text{ მ/წმ},$$

$$Q = \omega \cdot v = 53,4 \cdot 1,468 = 78,39 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ასეთივე წესით გამოვთვალოთ v და Q სხვა ავტორების ფორმულებით და შედეგი მოვათავსოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ჰიდრაული- კური ელემენტები	პავლოვსკით	განგილიე-კუტტერით		ბახენით	მანიჩით
		სრული	შემოკლებული		
<i>C</i>	47,36	45,8	45,8	47,10	46,17
<i>V</i>	1,47	1,42	1,40	1,46	1,43
<i>Q</i>	78,39	75,83	74,76	77,90	76,63

ამოცანა № 111. დაეუშვათ, რომ არხის ჰიდრაულიკური ელემენტები წინასწარ დადგენილია ადგილობრივი პირობების მიხედვით (არხი-უკვე არსებობს): $i=0,0002$, $b=5,0$ მ, $h=1,2$ მ. არხს გვერდი თიხის კაპოტი აქვს და ამის გამო $m=1$.

გავარკვიოთ რა ხარჯის გატარება შეუძლია არხს (იხ. ნახ. 79).

ამოხსნა. არხის განიკვეთის ფართობი

$$\omega = (b + mh)h = (5,0 + 1,12)1,2 = 7,44 \text{ მ}^2,$$

სველი პერიმეტრი

$$\chi = b + 2h\sqrt{1 + m^2} = 5,38 \text{ მ},$$

ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R = \frac{\omega}{\chi} = \frac{7,44}{5,38} = 1,38 \text{ მ}.$$

C კოეფიციენტი ვიანგარიშით განგილიე-კუტტერის ფორმულით. ვისარგებლოთ ცხრილით (იხ. დანართი, ცხრილი 21), ცხრილიდან სჩანს, რომ მნიშვნელობებს $n=0,020$, $i=0,0002$ და $R=1,00$ მ, შეესაბამება *C* შემდეგი სიდიდე: $C=50$, თუ $R=2,00$ მ, მაშინ $C=56$. ჩვენ შემთხვევაში $R=1,38$ მ, ამიტომ *C* დასადგენად მოვახდინოთ წრფივი ინტერპოლაცია, რის შედეგად მივიღებთ: $C=52,28$.

წლის ხარჯი კი უდრის:

$$Q = \omega \cdot C \cdot \sqrt{R \cdot i} = 7,44 \cdot 52,28 \cdot \sqrt{1,38 \cdot 0,0002} = 6,46 \text{ მ}^3/\text{წმ}.$$

ამოცანა 112. გასაყვანია არხი წყალსაცავ აუზიდან მომხმარებლამდე. დადგენილია, რომ ბეტონის არხის კვეთი უნდა იყოს სწორკუთხოვანი. მოცემულია: $b=1,0$ მ, $h=1,3$ მ. არხმა უნდა გაატაროს ხარჯი, $Q=2,0$ მ³/წმ (იხ. ნახ. 80). გავარკვიოთ არხის ის გრძივი ქანობი რომელიც დააკმაყოფილებს ამოცანის პირობას.

ამოხსნა. არხის გრძივი ქანობი შეზის ფორმულის მიხედვით

$$i = \frac{V^2}{C^2 \cdot R}.$$

საშუალო სიჩქარე

$$v = \frac{Q}{\omega} = 1,54 \text{ მ/წმ,}$$

სადაც


$$\omega = b \cdot h = 1 \cdot 1,3 = 1,3 \text{ მ}^2.$$

ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R = \frac{\omega}{\chi} = 0,36 \text{ მ,}$$

ხოლო

$$\chi = 6 + 2 \cdot h = 1 + 2 \cdot 1,3 = 3,6 \text{ მ.}$$



ნახ. 80

ნახ. 80.

C ვიანგარიშით განგილიე-კუტტერის შემოკლებული ფორმულით, როდესაც $n = 0,012$ მივიღებთ: $C = 72,21$.

ჰიდრაულიკური ქანობი

$$i = \frac{1,54^2}{72,2^2 \cdot 0,36} = 0,00126.$$

ვინაიდან ქანობის მიღებული მნიშვნელობა $i = 0,00126 > 0,0005$, ამიტომ არ არის საჭირო ვანგილიე-კუტტერის სრული ფორმულის მიღებულ შედეგს ($i = 0,00126$) მივიღებთ.

გამოყენება და საბოლოოდ ზემოთ გამოყენებულ შედეგს ($i = 0,00126$) მივიღებთ.

შევამოწმოთ ხარჯი:

$$Q = \omega \cdot C \cdot \sqrt{R \cdot i} = 1,3 \cdot 72,21 \cdot \sqrt{0,36 \cdot 0,00126} = 1,999 \approx 2,0 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

როგორც ვხედავთ ამოცანის პირობა დაკმაყოფილებულია.

ამოცანა № 113. მოცემული არხისათვის განესაზღვროთ წყლის სიღრმე h , თუ $Q = 50,0 \text{ მ}^3/\text{წმ}$, $b = 10,0 \text{ მ}$, $m = 2$ და $i = 0,0002$ (იხ. ნახ. 79). ამოხსნა. საკითხი გადავწყვიტოთ შემდეგი მეთოდის მიხედვით. ხარჯის მახასიათებელი (ან ხარჯის მოდული) ჩვენს შემთხვევაში

$$K' = \frac{Q}{\sqrt{i}} = \frac{50,0}{\sqrt{0,0002}} = \frac{50,0}{0,0141} = 3546,1 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

დავუშვათ, h რიგი მნიშვნელობა და გამოვარკვიოთ არხის შესაბამისი ჰიდრაულიკური ელემენტები.

ვთქვათ $h = 1,0 \text{ მ}$, მაშინ

$$\omega = (b + mh)h = 12,0 \text{ მ}^2,$$

სველი პერიმეტრი

$$\chi = b + 2h\sqrt{1+m^2} = 14,47 \text{ მ,}$$

ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R = \frac{\omega}{\chi} = 0,83 \text{ მ.}$$


C კოეფიციენტი გამოვთვალოთ ბაზენის ფორმულით ($\gamma = 1,30$). ამიტომ გამტარუნარიანობის კოეფიციენტი

$$K = \omega \cdot C \cdot \sqrt{R} = 328,0 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

ასეთივე წესით ვიანგარიშოთ ჰიდრაულიკური ელემენტები სიღრმის შემდეგი მნიშვნელობებისათვის: $h = 2,0, 3,0$ და $4,0$ მ ანგარიშის შედეგები იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

№№	h მ	ω მ ²	χ მ	b მ	\sqrt{R} მ ^{0,5}	C მ ³ /წმ ^{0,5}	K მ ³ /წმ
1	1,0	12,0	14,47	0,83	0,91	29,8	328,0
2	2,0	28,0	18,91	1,48	1,22	35,7	1220,0
3	3,0	48,0	23,42	2,05	1,43	39,2	2690,0
4	4,0	72,0	27,89	2,58	1,61	41,6	4822,0

ცხრილის მონაცემების მიხედვით ავაგოთ მრული $K = f(h)$ (იხ. ნახ. 81).



ნახ. 81.

როგორც მრულიდან ჩანს, ჩვენ, კერძო შემთხვევაში $K' = 3546 \text{ მ}^3/\text{წმ}$ მნიშვნელობას შეესაბამება $h = 3,45 \text{ მ}$ სიღრმე.

ნაკადის სიჩქარე არხში

$$v = \frac{Q}{\omega} = \frac{Q}{b \cdot h} = 1,45 \text{ მ/წმ.}$$

ამოცანა № 114. მიწის ტრაპეციული არხი, რომლის სიგრძე $L = 5000$ მ აერთებს ორ წყალსაცავს. შათი დონეთა სხვაობა $H = 4,0$ მ, არხის ფერდობების ქანობი $m = 1,5$, ბაზენის ფორმულისათვის $\gamma = 1,3$, არხის ხარჯი $Q = 4,0$ მ³/წმ.

განესაზღვროთ არხის ჰიდრაულიკურად ყველაზე ხელსაყრელი ცობალი კვეთის h და b ზომები (იხ. ნახ. 79).

ამოხსნა. არხის ჰიდრაულიკური ქანობი

$$i = \frac{H}{L} = \frac{4,0}{5000} = 0,0008.$$

უდიდესი გამტარუნარიანობის პროფილის ანუ ჰიდრაულიკურად ყველაზე ხელსაყრელი პროფილისათვის, როდესაც $m = 1,5$ უნდა დავიცვათ პირობა:

$$\frac{h}{b} = 1,65^*.$$

ასეთი პირობების დროს ფუძის სიგანე

$$b = \frac{h}{1,65}.$$

დავუშვათ h რიგი მნიშვნელობა და განესაზღვროთ სათანადო ჰიდრაულიკური ელემენტები.

მაგალითად, თუ $h = 2,5$ მ, მაშინ

$$b = \frac{2,5}{1,65} = 1,51 \text{ მ,}$$

$$\omega = (1,51 + 1,5 \cdot 2,5) \cdot 2,5 = 13,15 \text{ მ}^2,$$

$$\chi = 1,51 + 2,5 \cdot 3,606 = 10,51 \text{ მ,}$$

$$R = \frac{13,15}{10,51} = 1,25 \text{ მ,}$$

$$K' = \frac{Q}{V i} = \frac{4,00}{\sqrt{0,008}} = 141,0 \text{ მ}^3/\sqrt{\text{წმ.}}$$

იგივე ჰიდრაულიკური ელემენტები გამოვთვალოთ h -ის შემდეგ მნიშვნელობებისათვის: $h = 0,5$ მ, $1,0$ მ და $1,5$ მ.

* პ. ჯ. ი. ქი ა, ჰიდრაულიკა 1947, გვ. 377.

ხორკლიანობის კოეფიციენტი $n=0,025$, ხოლო K ვიანგარიშით ფორმულით:

$$K = \omega \cdot C \cdot \sqrt{R}.$$

კოეფიციენტი C ვიანგარიშით პავლოესკის ფორმულით. ანგარიშის შედეგები მოვათავსოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

h მ	b მ	χ მ	ω მ ²	R მ	\sqrt{R} მ ^{1/2}	C მ ³ /წმ	K მ ³ /წმ
0,5	0,30	2,10	0,53	0,25	0,500	28,50	7,55
1,0	0,61	4,22	2,11	0,50	0,707	34,00	57,8
1,5	0,91	6,33	4,74	0,75	0,870	37,45	177,51
2,5	1,51	10,51	13,15	1,25	1,120	420,5	630,45

ცხრილის მონაცემების მიხედვით უნდა ავაგოთ მრუდი $K=f(h)$. მრუდიდან ვაპოვიოთ, რომ $K'=141,0$ მ³/წმ მნიშვნელობას შეესაბამება $h=1,45$ მ სიღრმე.

აღნიშნული მრუდის აგებას მკითხველს ვანდობთ.

არხის ფსკერის სიგანე

$$b = \frac{h}{1,65} = \frac{1,45}{1,65} = 0,873 \text{ მ.}$$

ამრიგად, განვსაზღვრეთ არხის უდიდესი გამტარუნარიანობის მქონე განივკვეთის ფართის ელემენტები (h , b).

თუ ადგილობრივი პირობების მიხედვით h განსაზღვრულია წინასწარ, მაშინ b უშუალოდ უდიდესი გამტარუნარიანობის ზემოთ მოყვანილი პირობიდან დავადგენთ.

იგივე ამოცანა შეიძლება გადავწყვიტოთ h მიმართ, რისთვისაც უნდა დავამყაროთ დამოკიდებულება და ავაგოთ $K=f(b)$ მრუდი.

ამ მრუდიდან შეგვიძლია განვსაზღვროთ K' კერძო მნიშვნელობის შესაბამისი სიგანე b და შესაბამისი აგების სიღრმე h .

ამოცანა № 115. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი პირობები არ იძლევიან საშუალებას არხის კვეთს, რომ უდიდესი გამტარუნარიანობა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში იძულებული ვართ არხის კვეთი დავადგინოთ ეკონომიური ანგარიშის საფუძველზე.

დავუშვათ საჭიროა გავიყვანოთ არხი დაქანებულ კლდოვან ფერდობზე. მოცემულია: $Q=5,0$ მ³/წმ, $i=0,001$.


ბეტონის არხის კვეთი სწორკუთხოვანია ($m=0$).

ამოხსნა. მოცემულ პირობებში ეკონომიურობის თვალსაზრისით მიღებულია შემდეგი ფარდობა:

$$\frac{h}{b} = \frac{5}{4} = 1,25.$$

$$K' = \frac{Q}{\sqrt{i}} = \frac{5,0}{\sqrt{0,001}} = 158,0 \text{ მ}^3/\sqrt{\text{მ}}.$$

ვთქვათ $b=2,0$ მ, მაშინ $h=1,25$, ხოლო თუ $b=2,5$ მ, მაშინ



ნახ. 82.

$$a = b \cdot h = 2,0 \cdot 2,5 = 5,0 \text{ მ}^2,$$

$$\gamma = 2h + b = 2 \cdot 2,5 + 2,0 = 7,0 \text{ მ},$$

$$R = \frac{a}{\gamma} = \frac{5,0}{7,0} = 0,71 \text{ მ}.$$

C ვიანგარიშით ბაზენის ფორმულით, როდესაც $\gamma=0,46$. მივიღებთ:

$$C = 56,2.$$

ხოლო

$$K = a \cdot C \cdot \sqrt{R} = 5,0 \cdot 56,2 \cdot \sqrt{0,71} = 236,04 \text{ მ}^3/\sqrt{\text{მ}}.$$

b მივცეთ შემდეგი მნიშვნელობანი: 1,5 მ, 1,0 მ, 0,5 მ.

ანალოგიური გამოთვლების შედეგები მოგათავსოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

b მ	h მ	a მ ²	γ მ	R მ	\sqrt{R}	C	K მ ³ /√მ
0,5	0,63	0,32	1,76	0,18	0,42	42,2	5,67
1,0	1,25	1,25	2,50	0,50	0,71	52,8	36,86
1,5	1,88	2,82	5,26	0,51	0,73	53,7	110,55
2,0	2,50	5,00	7,00	0,71	0,84	56,2	236,04

ამ ცხრილით აგებული $K = f(b)$ მრუდის საშუალებით (იხ. ნახ. 82) ვანგაზრდით $K' = 158,0 \text{ მ}^3/\sqrt{\text{მ}}$, შესაბამისი არხის ტსკერის განი $b = 1,82$ მ და წყლის სიღრმე არხში

$$h = 1,25 \cdot b = 1,25 \cdot 1,82 = 2,75 = 2,8 \text{ მ}.$$

საშუალო სიჩქარე არხში

$$v = \frac{Q}{a} = \frac{5,0}{1,82 \cdot 2,8} = 1,00 \text{ მ/წმ}.$$

ამოცანა № 116. ვიანგარიშით ტრაპეციული არხის განივკვეთის ფართი, თუ ხარჯი $Q = 20,0 \text{ მ}^3/\sqrt{\text{მ}}$. ავსების სიღრმე უნდა აკმაყოფილებდეს პი-

რობას: $h \leq 3,0$ მ. გრძივი ქანობი $i = 0,002$ და ფერდობის კოეფიციენტი $m = 1$ (იხ. ნახ. 79).

ამოხსნა. ჩვენს შემთხვევაში ხარჯის მოდული

$$K' = \frac{Q}{V \cdot i} = 447,7 \text{ მ}^3/\text{წმ.}$$

არხის კვეთის დადგენის მიზნით ჯერ ვიანგარიშოთ წყლის მაქსიმალური სიღრმის ($h = 3,0$) შესაბამისი ხარჯის მოდული K .

არხის ფსკერის სიგანე

$$b = k_1 \cdot h = 0,828 \cdot 3 = 2,484 \text{ მ,}$$

სადაც $k_1 = 0,828$, როდესაც $m = 1$ (იხ. დანართი, ცხრილი 26).

არხის ცოცხალი კვეთის ფართი

$$\omega = k_2 \cdot h^2 = 1,828 \cdot 3,0^2 = 16,452 \text{ მ}^2.$$

კოეფიციენტი k_2 შეგვიძლია დავადგინოთ იმავე ცხრილით. ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R^{**} = \frac{h}{2} = 1,5 \text{ მ.}$$

კოეფიციენტი C განვსაზღვროთ ბაზენის ფორმულით. ხორკლიანობის კოეფიციენტს $\gamma = 0,85$ შეესაბამება $C = 51,3$ მნიშვნელობა (იხ. დანართი, ცხრილი 22).

ხარჯის მოდული ან გამტარუნარიანობის კოეფიციენტი ვიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$K = A \cdot C \cdot h^{3/2},$$

სადაც A არის კოეფიციენტის მნიშვნელობა (იხ. პ. ჯიქია, „ჰიდრაულიკა“ 1947 წ. გვ. 379).

ამრიგად, $K = 1,293 \cdot 51,3 \cdot 3,0^{3/2} = 1033 \text{ მ}^3/\text{წმ}$ (იხ. დანართი ცხრილი 26).


ვინაიდან $K > K'$ ეს ნიშნავს იმას, რომ მოცემული ხარჯის გატარება არხში შესაძლებელია $h < 3,0$ მ სიღრმით. h მივცეთ 3,0 ნაკლები მნიშვნელობები და გამოთვლის შედეგები მოვიყვანოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

* პ. ი. ჯიქია, ჰიდრაულიკა. 1947 წ. გვ. 379.

** Н. Павловский, „Гидравлический справочник“, 1937. стр. 176.

h მ	$R = \frac{h}{2}$ მ	C მ ³ /წმ	k მ ³ /წმ
1,00	0,50	39,50	51,1
1,50	0,75	43,90	156,4
2,00	1,00	47,00	343,0
3,00	1,50	51,30	1033,0

ამ ცხრილის მონაცემების მიხედვით ავგავთ $K = f(h)$ მრუდი.



ნახ. 83.

ამ მრუდის საშუალებით ვსაზღვრავთ $K' = 447,4$ შესაბამის სიღრმეს $h = 2,25$ მ (იხ. ნახ. 83). არხის ფსკერის სიგანე

$$b_1 = k_1 \cdot h = 0,828 \cdot 2,25 = 1,86 \text{ მ.}$$

საშუალო სიჩქარე არხში

$$v = \frac{Q}{\omega} = \frac{20,0}{9,25} = 2,16 \text{ მ/წმ,}$$

სადაც

$$\omega = (b + mh) \cdot h = (1,862 + 1 \cdot 2,25) \cdot 2,25 = 9,25 \text{ მ}^2.$$

ამოცანა № 117. განვსაზღვროთ ყორე-ქვეით მოპირკეთებული არხის ჰიდრაულიკური ელემენტები, თუ არხმა უნდა გაატაროს ხარჯი $Q = 8,00$ მ³/წმ. მოცემულია: $i = 0,0002$. შევარჩიოთ კვეთი ისე, რომ საშუალო სიჩქარე $v = 1,0$ მ/წმ ნაკლები არ იყოს. არხის ფერდობების ქანობი $m = 1$.

ამოხსნა. ჯერ დავადგინოთ არხის გამტარუნარიანობის კოეფიციენტი (ხარჯის მოღუდი)

$$K' = \frac{Q}{\sqrt{i}} = \frac{8,0}{\sqrt{0,0002}} = 567,4 \text{ მ}^3/\sqrt{\text{წმ}}.$$

საანგარიშოდ მივიღოთ: $v = 1,0$ მ/წმ, მაშინ $\omega = 8,0$ მ². ვინაიდან

$$\omega = k_2 \cdot h^2 = 8,0 \text{ მ}^2,$$

ამიტომ

$$h = \sqrt{\frac{\omega}{k_2}} = \sqrt{\frac{8,0}{1,828}} = 2,09 \text{ მ,}$$

ხოლო ჰიდრაულიკური რადიუსი

$$R = \frac{h}{2} = \frac{2,09}{2} = 1,045 \text{ მ.}$$

კოეფიციენტი C განვსაზღვროთ განგილე-კუტტერის ფორმულით მე-20 ცხრილიდან, როდესაც $n=0,017$ და $R=1,045$ მ. ვპოულობთ $C=58$.

შეზის ფორმულიდან ქანობი

$$i = \frac{v^2}{C^2 R} = 0,000284.$$

როგორც ვხედავთ $i=0,000284 > 0,0002$, რაც ამოცანის პირობას აკმაყოფილებს.

~~ამოცანა № 118.~~ გავარკვეოთ ტრაპეციული არხის ჰიდრაულიკურად ყველაზე ხელსაყრელი განივკვეთის ზომები, თუ $Q=5,0$ მ³/წმ, $i=0,00075$ და $m=1,5$. მინიმალური დასაშვები სიჩქარე არხში ვიანგარიშოთ კენნედის ცნობილი ფორმულით.

არხის სიგანე b როდესაც $m=1,5$ ტოლია:

$$b = \frac{h}{1,65},$$

$$\omega = (b + mh)h,$$

$$\chi = b + 2h\sqrt{1+m^2} \quad \text{და} \quad R = \frac{\omega}{\chi}.$$

წინასწარ დაუშვათ სიღრმის რიგი მნიშვნელობა: $h=0,6; 0,8; 1,0; 1,2; 1,6$ მ.

მინიმალური დასაშვები სიჩქარე ვიანგარიშოთ კენნედის ფორმულით:

$$v_{min} = 0,55 h^{0,64},$$

ქანობი

$$i = \frac{v^2}{C^2 R}.$$


კოეფიციენტი C ვიანგარიშოთ ბაზენის ფორმულით, როდესაც ხორკლიანობის კოეფიციენტი $\gamma=1,30$.

გამოთვლების შედეგები ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოვათავსოთ.

h მ	b მ	ω მ ²	χ მ	v_{min} მ/წმ	R მ	C	i
0,6	0,36	0,76	2,52	0,40	0,30	25,8	0,00080
0,8	0,49	1,35	3,38	0,48	0,40	28,5	0,00071
